


საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება

კვადიმარცხი




კუპი



სახელმწიფო არივარსაგადის

გამოცემა მიმდინარე

1936 გვერდის 1936



ଶେଷବିଜ୍ଞାନ

2.06
1940
514

საქართველოს მთარესიული საზოგადოება

3. კლასიკურობი

ხ ი ა ს ს უ კ ი

თ ა რ ე ბ ი ლ ი

უ ა ფ ი ბ ი ლ ი ლ ი ლ ი

4386



სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა
0805060—1936

„დასაშტკიცებლად იმისა, რომ
ზანგებს არ გააჩნიათ საღი ვონები-
ხაკმაოა ისიც, რომ ისინი მეტ მნი-
შენელობას აძლევენ შუშის უელ-
საბამს, ვიდრე ოქროს, ესოდენ ხა-
პიროს განათლებულ ერთათვის“
(მონტესკიი, „კანონების სული“).

XV. 5.

ფიქრობენ, რომ კომპასი გამოიგონა იტალიელმა ფლავიო ჯო-
ამ XIV საუკუნეში. შესაძლოა, რომ კომპასით უფრო ადრეც ხი-
გებლობდენ. ძველმა მეზღვაურებმა, — ფინიკიელებმა. — სავაჭრო
გზების ძიებაში მოიარეს აფრიკა და გიბრალტარის სრუტის გავლით,
წითელი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე მიაღწიეს. ჩრდილო ევროპის
ხალხი აღწევდა ირლანდიის, გრენლანდიის, ჩრდილო ამერიკის და
დასავლეთ აფრიკის ნაპირებს. უძველესი დოროიდანვე ნილოსიდან და
წითელი ზღვიდან ინდოეთისაკენ, — ამ მსოფლიოს საუნჯისაკენ, —
დაიარებოდენ აქლეშების ქარავნები. როდესაც არაბებმა გაანადგუ-
რეს ეგვიპტე და დაკეტეს გზები, მაშინ იტალიელ ვაჭართა გალუ-
რებშა გასცურეს შავი ზღვისაკენ და გენუელთა ციხე-სიმაგრეები
აიმართა ყირიმის კლდეთა მწვერვალებზე. კასპიის, ზღვის, მდინარე
ინდოს. უფრატის და სპარსეთის უბის ნაპირებზე სავაჭრო ფაქტო-
რიები აღმოცენდა და აივსო ინდოეთის. აღმასით ცეილონის მარგა-
ლიტით, სპილოს ძვლით, ჩინური აბრეშუმით, ხე-ტყის ძეირფასი
ჯიშებით, ხორბლით და მონებით. მონობით ვაჭრობა გაჩაღებული
იყო ხმელთაშუა და შავი ზღვის ნაპირას მდებარე ყველა ქვეყანასთან.
1453 წელს სულთან მამედ II-ს იანიჩრებმა გაიმარჯვეს იტალიელთა
მოკაშირე ბიზანტიაზე და გადასწვეს პერა და გალატა, — გენუელ
ძრიდარ ვაჭართა ეს ძირითადი ბაზა; 1475 წელს კი მათ აღმართეს
წინასწარმეტყველის მწვანე დროშა გენუელთა ციხე-სიმაგრეების
ნაგრევებზე, სასტიკად გაუმასპინძლდნენ „უბრწყინვალეს“ რეს-
პუბლიკის კონსულებს და განლევნეს იტალიელი ვაჭრები შავი ზღვის

ნამირებილაშ. „შინაგანში უთანხმოებამ ხელი შეუშალა გენუელების
გახევრისთვის გზების ძიება „ბედნიერ“ ინდოეთისაკენ, თუმცა იმ გენ-
ედიციაშ, რომელმაც გაბედა ოკეანეში გასულია, აღმოჩენა მაღი-
რა, კანარიისა და აზორის კუნძულები, გენუელთა მუდმივმა მეტოქე-
ებშა და ეგვიპტის სულთანის მიჟავშირე — ვენეციელებმა ისარ-
გებელს იმით, რომ სულთანშა კვლავ გახსნა გზა ნილოსით და ხელ-
ში ჩაგდეს ფერობა აღმოჩავლეთთან. XIII საუკუნის, დამლევისათვის
საფრანგეთი კაპიტალმა დაიუფლა უახლოესი აღმოჩენის წიგნთა-ბეჭდ-
ვის, სამხედრო საქმის, ნაეიგაციისა და გემთა მშენებლობის დარგში
და დაიწყო ჩინეთისაკენ და ინდოეთისაკენ სავალი ახალი, უფრო-
მოხერხებული საზღვაო გზების ძიება, ახალ ქვეყნების და კუნძულე-
ბის აღმოჩენა, ახალ ხალხთა დაპყრობა. დედამიწის სფერიულობის
და მის ირგვლივ მოვზაურობის შესაძლებლობის აღასტურებდენ ას-
ტროლობები, რომელთაც შეისწავლეს არისტოტელე და პტილომეტ-
რები, პორტუგალელი მარკო პოლოს ცნობების გამოყენებით, რო-
მელმაც. XIII საუკუნეში მოიარა იაპონია, ინდოეთი და ჩინეთი,
იმ დასკვნამდე მიღიოდენ, რომ დედამიწა მრგვალია. XIV საუკუნეში
პორტუგალელმა შეცნიერებჩა დადასტურეს ეს მოსაზრება, პოლო-
რულ ვასკვლავისა და მზის მოძრაობის მიხედვით.

დედამიწის გარშემო მოვზაურობის შესაძლებლობა თოთქმის
დამტკიცებული იქნა: წიგნები, თოფის წამალი და კომპასი იძლეოდა
არსებულებრივ შესაძლებლობის ხალხთა, ქვეყნებისა და ზღვების
დასაბურობად. XV საუკუნის დამტლევი აღინიშნა აღმოჩენით
ქრისტეფორე კოლუმბის მიერ და ესკი დე-ვამის მოვზაურობით
ძალა დატაში. ესპანელ კონკვისტადორების და პორტუგალელ ვაჭარ-
ოთ კარიველები მიემზვავრებოდენ ახალ ქვეყნებისაკენ; ისინი კიბ-
ლით და მახვილით, გაიძეგრობით და ძოლიაზობით იპყრობდენ
აღვილობრივ მცხოვრებთა ტომებს და ტვირთვებდენ თავიანთ ხა-
ზალდებს თქრითი, ვერცხლით, ძეირცისი თვლებით, მიხევით, მუს-
კატის კაჯლით და მონებით. კოლუმბმა გამოვზავნა ეკროპაში თორ-
შეტერ ხომალი, დატვირთული ინდოელებით, ესები იყვნენ დატყვე-
ვებული „მეაშბოსები“, რომლებიც თავს იცავდნენ დამპყრობელთა
ძალადობისაგან. ეკლესიაშ დალოცა ვაჭრობა ცოცხალი საქონლით.
ძლევდლები, რომლებიც კოლუმბს ახლდნენ, ამართლებდნენ მონების
გაფზავნას ესპანეთში, სადაც მათ ქრისტიანულ სარწმუნოების მი-
ღებით სულის ცხონების საშუალება უნდა მისცემოდათ. მონობა
ურცილდებოდა კაპიტალისტურ საწარმოთა ახალი ფორმების გავრ-
ცელებასთან ერთად; ასეთი იყო მანქანებით (ლერწმიდან წვენის გა-

პომეტურაց ლვილებით) მოწყობილი შექრის პლანტაციები. ყოველივე
ამას ამართლებდენ გაქრისტიანების მაღალი მიზნით. იხდოედ ყას
აზეპირებინებდენ კატეხიზმის და ლოცვების მათთვის უცნობ ენაზე.
XVI და XVII საუკუნეებში აფრიკის დასავლეთი სახაპირო, ინდოეთი,
შალაბარის ნაპირი, ზონდის კუნძულები და სამხრეთი აფრიკა ავს-
ტრიული იყო ბედის მაძიებლებით, მხედრებით და გარებით. პოლლან-
დიელი, პორტუგალიელი და ესპანელი ედავებოდნენ ერთმანეთს
მიწის ამა თუ იმ ნაჟერზე; კუნძულზე ან ნავთსაყუდელზე პირველო-
ბის უფლების დასხემებლად. ეომებოდნენ მავრებს, ეომებოდნენ კუნძუ-
ლების ადგლობრივ შოსტელებას, ეომებოდნენ ერთმანეთს. ესპანელი
და პორტუგალიელი მეფეები ურთიერთ შორის გაჭრობას აწარმოებდენ
კუნძულებით, საბადოებით და ქალაქებით. ამერიკის აღმოჩენის შემ-
დეგ უთანმორება ესპანელთა და პორტუგალელთა შორის იმდენა-
გოზარდა, რომ კათოლიკე ეკლესიის მეთაურს, კომის პაპი აღეწ-
სენდორე I-ს, დაკირდა გაუზადვაში მეზღვაურთა შერიგება. „ქრის-
ტის მემკვიდრე“ მოხერხებულად გამოვიდა მღვიმარეობისას; შან
გაიყენა „სადემარქაციო ხაზი“, მსოფლიოს რუკაზე პოლუსების
გასწერივ, პტილომეტრის მერიდიანის მიმართულებით და წება დარ-
თო პორტუგალიელებს თავისად მაგნიტთ ყველაფერი, რასაც დამუ-
ხობდნენ ამ ხეზის აღმოსავლეთით, ესპანელებს კი, — დასავლეთით.
1520 წელს პორტუგალელმა მავრებანმა პირველად იმეზვერზე დედა-
მიწის ირგვლივ. ვერ ნაოლავდა გზაში იდგილობრივ მეცნეებს, წი-
რავდო, დეიმდა ჯერებს მოგბზე და ცვლიდა შუშის მძიევებს ოქრო-
ზე. ეს გამედული მეზღვაური დაიღუძა 1521 წელს ფილიპის კუნ-
ძულებზე ბრძოლის დროს იქცური მეომრის მოწამლულ ისრისაგან. ას-
ესხლი და ოქრო, — ასეთია ამ ორი საუკუნის ნიშანი... ხოლო მათ
შინაარსს შეატყენს დასავლეთ ევროპის უძლიერეს სახელმწიფოთ
გამოიდირება, კულტურის დაბალ დონეზე მღვარ, ველურ ტომთა და-
მინების საშუალებით. სავაჭრო სახლები და სამხედრო სამინისტ-
როები გაფაცირებით შეუდგენ ახალ გემთსა შენთა და საზღვაო ექ-
სეურობათა მოწყობას; მათთ ინტერესები მოითხოვდა ისალ აღმოჩე-
ნებს ნავიგაციის დარგში და აგრეთვე ახალ ხელსაწყოების გამოვთ-
ხების ასტრონომიის, ბუნებისმეტყველებისა და ხომალდების მართვის
სეურობათ. შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში აღმოჩენილი იქნა
საზღვაო ქრონომეტრი, მიკროსკოპი, თერმოსკოპი, დურბინი და
ასტრონომიული ჭრები, ზარომეტრი, გაუმჯობესებული კომპასი, ან-
უერის სიათი და საათის საქანი, მანომეტრი და ჰაერის ტუმბო, გრა-

ფიტის ფანქარი და ფოსფორი. წლითი-წლობით უმჯობესდებოდა
გემთ-მტენებლობის, მათი მოწყობისა და სამხედრო შექურვილობის
საქმე. იზრდებოდა გემთსაშენთა რიცხვი, სამხედრო და სავაჭრო
ფლოტების ტონაუი. დაპყრობილი ზღვები თანდათან აფართოებდნენ
პოლიტიკურ პორიზონტებს, სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა
ევროპელ სახელმწიფოთა ეკონომიკური ურთიერთობანი პოლიტიკუ-
რად მომძლავრებულ ახალ ქვეყანასთან — ამერიკასთან.

ოქროს ციებ-ცხელებამ მუსრი გაავლო ესპანელ და პორტუგა-
ლელ ბედისმაძიებლებს, ფიცხი კონკვისტადორების ადგილი დაიკი-
რეს გულუიქმა და ყაირათიანმა ინგლისელებმა. ისინი გულმოდგრ-
ნედ იპყრობდენ პირველობას ზღვებზე და ამარცხებდნენ თავის ძველ-
თა-ძველ მეტოქეებს, — ჰოლლანდიელებს, რომლებიც საბოლოოდ
დაიძნენ იავბრუდამზევ სპეცულაციებში, კონტრაბანდით ვაჭრობა-
სა და სამხედრო ავანტურებში. ყავა, ინდიგო, ლერწმის შაქარი და
ჭინაჭინის ხის ქერქი უკვე ინგლისელების ტომრებში იტევირთებოდა.

ჯერ კიდევ XVI საუკუნის დამლევს ინდოეთთან მოვაჭრე ჰოლ-
ლანდიური კომპანიები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხომალდების რა-
ოდენობაში; შესრულებულ მოგზაურობათა და ნაყიდ საქონლის რიც-
ხვში. გაშმაგებულმა კონკურენციამ, რომელმაც, ცხადია ფასების
დაცემა ვამოიწვია, კინალამ სრულ გაკოტრებამდე არ მიიყვანა ეს
კომპანიები. ეს მოხდა 1602 წელს, როდესაც გამონახული იქნა გა-
კოტრების საწინააღმდევო ზომა და დაფუძნდა გაერთიანებული
ოსტ-ინდური კომპანია. ესპანელ და პორტუგალელ სავაჭრო სახლებ-
თან საბრძოლველად გაერთიანებულმა ჰოლლანდიურმა კაპიტალმა
ფეხი მოიკიდა ინდოეთსა და მოლუკის კუნძულებზე და მთავარი
ბაზა ბატავიაში გაიჩინა. ინდოეთსა და ევროპას შორის მავალ ხო-
მალდთა რიცხვი წელიწადში ორმოცამდე ავიდა. შეიდან ათასამდე
შეზღვაური ემსახურებოდა ამ ფლოტს. შეერთებული კომპანია შე-
ტოქეობას უწევდა ესპანეთის, პორტუგალიის და ინგლისის სავაჭრო
ფლოტებს. იბრძოდა სავაჭრო და საკოლონიო ბატონობისათვის,
წლითი-წლობით ზრდიდა თავის მოგებას და ამგვარად მოიპოვა დი-
დი პოლიტიკური მნიშვნელობა. მან შეაირაღა ხომალდები, შექმნა
ძლიერი სამხედრო ფლოტი, ფულად დახმარებას აძლევდა ნიდერ-
ლანდების მთავრობას, — და ამგვარად კამპანია გადაიქცა ამ ქვეყნის
და მისი კოლონიების ფაქტიურ ბატონ-პატრონად. ორმხუთ წლის
განმავლობაში წარმოებდა შეუჩერებელი ბრძოლა მეტოქეებ-
თან, რომელიც დამთავრდა ჰოლანდიელთა გამარჯვებით და ინ-
დოეთის არქიპელაგიდან ესპანელ და პორტუგალელ ვაჭრების საბო-

ლოი განდევნით. მაგრამ დარჩა უსაშიშროესი და გაძლიერებული ზტერი, — ინგლისის ოსტ-ინდური კომპანია, — რომელიც წარმოიშვა ერთდროულად პოლლანდიურ კომპანიასთან და რომელიც იპყრობდა სულ ახალ და ახალ ტერიტორიებს, ვრცელდებოდა მაღაბარის და კორამანდელის ნაპირებზე, იჭრებოდა ინდოეთის შუაგულში, — დიდი მოგოლის ქვეყნის საზღვრებში, აფართოვებდა თავის კოლონიალურ მფლობელობათა ზონას და აძლიერებდა თავის სავაჭრო და სამხედრო ფლოტს. დაიწყო მოსალოდნელი ომი, რომელიც დამთვრდა ინგლისის გამარჯვებით და ინგლისის კოლონიალურ დაპყრობათა განმტკიცებით.

დასუსტებულმა ესპანეთმა და პოლლანდიამ ადგილი დაუთმეს უდიდეს ძალას, — საფრანგეთს, რომელიც ფლობდა დიდძალ კალონიებს ჩრდილო ამერიკაში და ემუქრებოდა ზღვებზე ინგლისს. 1649 წლის რევოლუციამ შეარყია ინგლისის სიმტკიცა, აქციების. ფასი კატასტროფიულად ეცემოდა. კრომველის გამარჯვებამ ესპანელებზე და პორტუგალიელებზე ველარ აღადგინა წონასწორობა. მდგომარეობა გამოაწორა მხოლოდ სტუარტების რესტაურაციამ. აქციების კურსმა სწრაფად აიწია ლონდონის ბირჟაზე ორას ორმოცდათი პროცენტით. პარლამენტის შინაგანი ბრძოლა რომელმაც გაძყო პალატები სავაჭრო კაპიტალის და მიწის არისტოკრატიის წარმომალენლებზე, ვაჭრებზე და მემამულუკებზე, — დაუინებით წარმოებდა რამდენიმე წლის განმავლობაში.

† სტუარტები—შოტლანდიელ თავადების გვარია. 1379 წ. ერთი სტუარტთავინი გახდა შოტლანდიის მთართველად. სამასი წლის განმავლობაში სტუარტები აწარმოებდენ მუდმივ ბრძოლას ფეოდალურ აზნაურობასთან, ბარონებთან და ინგლისის მეფეებთან. XVII საუკუნის დასაწყისში იკოპ VI სტუარტი გახდა ინგლისის, შოტლანდიის და ირლანდიის მეფედ. ინგლისის პოლიტიკურ ტრადიციების წინააღმდეგ, მან დაამყარა მეფის განუსაზღვრელი შელისუფლება. ანგლიკანურ ეკლესიასთან ერთად სტუარტები ებრძოდნენ არისტოკრატიას და ხალხს—სამეფო გვირგვინის უფლებებისათვის. ამ ბრძოლის შედეგი იყო ძლიერი ოპოზიციური პარტიის წარმოშობა, რამაც გამოიწვია 1649 წლის რევოლუცია, მეფე კარლის I-ს გადაყენება და სასიკვდილოდ დასჯა. 1658 წლამდე ინგლისს განაგებდა ჯერ პარლამენტი, შემდეგ კრომველი, რომელმაც მიიღო ლორდ-პარლატექტორის წოდება და ფაქტიურად სამეფო ხელისუფლება. კრომველის სიკვდილის შემდეგ სახელმწიფოს განაგებდა ლენგრლების სამხედრო ჯგუფი, 1660 წ. გასაფხულზე კი პარლამენტმა, სადაც უმეტესობას შეადგენდა ძველი რეჟიმის მომსწრეები, გამოაცხადა კარლოს სტუარტი ინგლისის მეფედ. შემდეგ დაიწყო სამეფო დინასტიების ბრძოლა, გადაჭდობილი კათოლიკობასა და პორტუგალიანტისმს შორის ბრძოლასთან, რაც დამთავრდა 1714 წ. პანნოვერელ გეორგ I-ს. თანამედროვე ინგლისის სამეფო დინასტიის მამამთავრის ტახტზე ასულით.

სამეცნ პარტიის დაპყრობითი ტენდენცია, შიმართული მონარქიულ წესწყობილების სრული აღდგენისაკენ, პოულობდა დასაყრდენს მსხვილ სავაჭრო ბურჟუაზიის რიგებში და იმარჯვებდა ლიბერალ ვიგებზე, რომელნიც მოითხოვდენ პარლამენტარულ სისტემის საჭიროსტიუციო პრეროგატივების აუცილებელ დაცვას. ინდოეთის კოლონიებიდან მიღებული უზარმაზარი მოგება აძლიერებდა კომპანიის პოლიტიკურ მნიშვნელობას, მაგრამ ამერიკელ კალონიების გვერდით საფრანგეთის მფლობელობათა გაძლიერება ემუქრებოდა შეს სერიოზული მეტოქეობით.

უკვე 1686 წელს ინგლისის ოსტ-ინდურმა კომპანიამ მიიღო ფულის მოჭრის უფლება, 1726 წლიდან კი მან მიიღო პრივილეგიები, გადაიქცა უძლიერეს პოლიტიკურ ერთეულად და დაიწყო პრივილეგიებთან. ოსტ-ინდოეთი თანდათანობით გადავიდა ზიდი ბრიტანეთის ხელში. მეთვრამეტე საუკუნე არის ინგლისის კოლონიალური ექსპანსიის განმტკიცების ხანა ინდოეთში, ავსტრალიაში, ამერიკაში და წყნარ იყენეს კუნძულებზე.

გაჭრობას შავკანიანი მონებით უზარმაზარი მოგება მოჰქონდა. მუშა ხელის მიწოდება ბრაზილიის შაქრის პლანტაციებისათვის მეტად სარფიან მონიპოლიად გადაიქცა. „ზანგებით ვაჭრობა, — სწერს ერთი ინგლისელი ვაჭარი, — უკიდურესად აცხოველებს კომერციული საქმიანობის უნარს, წარმოშობს სახელგანთქმულ მეზღვაურებს და მოაქვს უდიდესი მოგება“.

1651 წლის სანავიგაციო აქტის გამოქვეყნების შემდეგ, — რომელმაც წაართვა ევროპელ ერებს უფლება უშუალო გაცვლა-გამოცვლისა ინგლისთან და მის კოლონიებთან და, ამგვარად, იხსნა ოსტ-ინდური კომპანია საშიშ მეტოქებისაგან, — სავაჭრო ხომალდების რიცხვი იზრდება და აღწევს პირველხარისხოვან ფლოტის რაოდენობას. „რევოლუციურ“ რეჟიმთან ოპოზიციაში მდგარ როიალისტ-არისტოკრატების მამულებზე გადასახადების დაწესებამ, მნიშვნელოვანმა გამარჯვებამ ზღვაზე ჰოლლდანდიასთან ბრძოლის დროს და ხელსაყრელ ხელშეკრულებათა დადებამ საფრანგეთთან, დანიასთან და შვეციასთან, — შესაძლებლობა მისცა ინგლისს გაეძლიერებინა სამხედრო ფლოტი. ლორდ-პროტექტორის მოხერხებულმა ბრძოლამ ოპოზიციასთან, რომელსაც მხარს უჭერდა თავის ეკონომიურ კეთილდღეობით დაინტერესებული სავაჭრო ბურჟუაზია, შექმნა შესაძლებლობა მილიონიან სამხედრო სუბსიდიების გაღებისა; მეფის სამხედრო ფლოტის მსუბუქი ხომალდების კორვეტებისა და ნავების რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა. მათი საშუალებით

ყველა ზღვაზე, ქვეყნის ყველა კუთხში ეზიდებოდენ ჯარისკაცებს, ზარბაზნებსა და ყუმბარებს, მასალებსა და მუშებს სიმაგრეებისა და სამხედრო ბაზების ასაშენებლად. ყოველივე ეს სასიკვდილო მუქარას წარმოადგენდა დაპყრობილ ველურ ტომებისათვის და ჰემიდა საშიშროებას ინგლისის ამაყ მეზობლებისათვის, რომელთაც ასეთივე „მშვიდობიანი“ დაპყრობის პრეტენზიები ჰქონდათ. გახშირდა სამეფო ხომალდების ეპიზოდი „სამეცნიერო“ ექსპედიციებში ახალ მიწების გამოსაძებნად, ცდილობდენ წინ გაესტროთ ასეთივე მიზნით მოწყობილ ფრანგულ ან ჰოლლანდიურ ექსპედიციათ ხომალდებისათვის.

საუკუნის დამლევისათვის მომწიფდა შეიარაღებული კონფლიქტი ასრ უძლიერეს სახელმწიფოს, — საფრანგეთსა და ინგლის შორის. ბრძოლის შედეგს საბოლოოდ უნდა გამოერკვია, თუ ვის დარჩებოდა კოლონიალური პირველობა. ამერიკული კოლონიები გახდნენ სამკედრო-სასიცოცხლო დავის საგნად.

ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ინგლისი შეეცადა ხელში ჩაეგდო კანადა, რომელიც ფრანგებს ეკუთვნოდა. „ახალ კაფრანგეთს,“ — ასე უწოდა მას უკ კარტიემ, რომელმაც მიაღწია წმ. ლავრენტის მდინარის სათავეს და იქ აღმართა მეფე ფრანცის I-ს დროშა, — სათავეში უდევა სავაჭრო კომპანია. ინგლისის ხომალდები უშედეგოდ ესროლნენ კვებეკის ფრონტებს¹.

ბოლოს, 1755 წლის გაზაფხულზე, ინგლისმა გამოუცხადა ომი საფრანგეთს და დაიწყო მეზღვაურთა მოგროვება ასი წლის განმავლობაში გაზრდილი ფლოტისთვის, რათა გაეგზავნა იგი ფრანგულ კოლონიების ნაპირებისაკენ ვალბოლის სამინისტრომ და „განათლებულმა“ მეფე გეორგ II-მ გადაწყვიტეს, რათაც არ უნდა დამჯდარიყო, აღედგინათ ინგლისის იარაღის დიდება, შელახული ევროპის კონტინენტზე ომების დროს. XVIII საუკუნის მეორმოცდაათე და მესამოცე წლები აღინიშნება მთელი რიგი გამარჯვებით და დაპყრობით ამერიკაში, ინდოეთში და ესპანურ კოლონიებში. დაქვეითების გზაზე დამდგარი ფრანგული მონარქიის ბრწყინვალება ქრიზოდა. აღმოცენებულ რევოლუციის სხივებში.

თავისუფლად მოაზროვნე ფილოსოფიის შუქი ვრცელდებოდა შორის, საფრანგეთის საზღვრების იქით. ლიბერალური იდეები თავ-

¹ კვებეცი—XVIII საუკუნეში მთავარი გამარტებული ქალა ჸ იყო ფრანგული კოლონიებისა ჩრდილო ამერიკის აღმოსავ ჟერ სანაპიროზე. დაფუძნებული იქნა ფრანგების მიერ 1608 წ. 1629 წ. დაიპყრეს იმგლისელებმა, მაგრამ უკანვე დაუბრუნეს საფრანგეთს 1.32 წ.

ბრუს ხევევდნენ მინისტრებს და მეცნიერებს. ძველი ევროპა მიუიღო ახალი ხანის მიჯნასთან.

ამ დროისთვის აღმოჩენილი და გამოკვლეული იქნა ინდოეთისა და წყნარ და ატლანტურ ოკეანეთა კუნძულების უმეტესობა. ინგლისელმა და ფრანგმა კაპიტანებმა ააჭრელეს რუკები ახალ სახელწოდებათა გრძელი სიით. ლონდონის სამეფო საზოგადოების სწავლული წევრები მუშაობდნენ ორ უმნიშვნელოვანეს საკითხის გადაჭრაზე: არსებობს თუ არა სამხრეთის მიწა, რომელიც, ზოგი ავტორიტეტის აზრით, აუცილებელი იყო დედამიწის ბურთის წონა-სწორობისათვის და არსებობს თუ არა ჩრდილოეთის გზა ინდოეთისაკენ ე. ი. სრუტე, რომელიც აერთებს ატლანტურ და წყნარ ოკეანებს. ამ ორი საკითხის სფეროში მწიფდებოდა მეცნიერული აზრი, ხდებოდა შეხედულებათა შეჯახება სამეცნიერო თათბირებზე, კაბინეტებში და ლაბორატორიებში, იწერებოდა მეცნიერული მოხსენებები, დისერტაციები და ტრაქტატები; გვერდით კი სააღმიალო სამართველოს ლორდები აწყობდნენ საიდუმლო თათბირებს, აგზავნიდნენ ახალ სამხედრო ექსპედიციებს და მეცნიერულ მიზნების ნიღაბ ქვეშ, ამზადებდნენ ხომალდებს მოხერხებულ ნავსაყუდელთა და და სამხედრო ბაზების დასაზვერავად. ბრძოლა ბაზრებისათვის და ზღვებზე ბატონობისათვის საფუძვლად დაედო ინგლისის მთავრობის პოლიტიკას.

ბრიტანეთის ლომი, აბურძგვნილი და მსუქანი, დამორჩილებულ ხალხთა სისხლით საკმაოდ დასვრილ ბრჭყალებს ილესავდა.

უცლება ცხოვრებაზე

გისბოროს და სტოქტონს შორის მდებარე გზის პირად, იორჰ-შიორში, დიურამის საგრაფოში, მდებარეობდა სოფელი მარტონი; ერთხელ ამ სოფელში ჩრდილო ინგლისიდან მოვიდა მუშა ჯეპ კუკი და ფერმაში დაიწყო მუშაობა. ჯეპს თან მრავალრიცხოვანი ოჯახი ახლდა — მას ჰყავდა 9 შვილი.

ერთი მათვანი — ჯემსი, 1728 წლის 27 ოქტომბერს დაიბადა. შავ თმიანმა ბიჭუნამ, რომელსაც ცოცხალი, მუქი თვალები ჰქონდა, უკვე რვა წლის ასაკში იცოდა ანგარიში ასამდე და გავირვებით „დაბადების“ კითხვა. სხვა წიგნი არ გააჩნდა მისს ვოლკერს, პატივ-ცემულ სოფლის მასწავლებელს. ჯემსის მშობლები კეთილსინდისი-ერად მუშაობდნენ ბატონთან, რითაც დაიმსახურეს კარგი სახელი ამ მხარის მდიდარ ფერმერებს შორის. ჯეპი გადავიდა საჭმახურში

უფროსი მუშის თანამდებობაზე აირი-ხოლმის ფერმაში, აიტონის ბახლობლად. იქ ჯემსი სკოლაში შევიდა. ორცა მას ცამეტი წელი შეუსრულდა, შეკოლიდან გამოიყვანეს და მიაბარეს შეგირდად გალანტერეით მოვაჭრე ვილიამს სანდერსონს ქ. სტეტში.

დედ-მამა დამშვიდებული იყო შეილის ბედ-ილბლით. შეითვისებს რა მყიდველთან მოპყრობისა და ქინძისთავ-ზონარ-ფოლაქებით ეაჭრობის გაიძვერულ სიბრძნეს, ჯემსი ერთ დროს თითონაც შეიქნება პატიოსანი ვაჭარი, ღუქნის პატრონი, პატივცემული შოქალაქე და მისი მშობლებისთვისაც უზრუნველყოფილი იქნება წყნარი და გაუჭირვებელი სიბერე.

მაგრამ გარემოებათა უცნაურ ცვლილების გამო კუკის მშობლების ოცნებას არ ელირსა განხორციელება. მისტერ სანდერსონი, როგორც ჩანს, მეტად უყურადღებო აღმოჩნდა - თავის შეგირდის მიმართ. აღბათ ხშირად აღგილი ჰქონდა მუჯლუგუნებსაც და ექს-შილლინგ თვიურ ჯამაგირის დაკავებასაც. მტკიცე ხასიათის მქონემ, ურყევმა ერთხელ მიღებულ გაღაშუვეტილებაში, თოთხმეტი წლის ჯემსმა, მშობლების დაუკითხავად, გაუმხილა პატრონს დიდი ხნის დაგუბებული წყნება, წავიდა ღუქნიდან და შევიდა იუნგად დატვირთულ ხომალდზე „ფრი-ლონ“-ზე, რომელიც ეკუთვნოდა ქაკერებს: ჯონ და გენრი ვალკერებს.

სტეტი — თევზის მრეწველობის მსხვილი ცენტრია. ნაესადგური სავსეა სათევზაო და ნახშირით დატვირთული ხომალდებით. ზღვი იშიდავს თავისი შორეული პერსპექტივებით, მოთხოვობები მოგზაურობათა შესახებ აღიზიანებენ ფანტაზიას. წიგნები, რომელიც საგალანტერიო დუქანში ჯემს ხელში უვარდებოდა, მოუთხრობდა მას აზალი მიწების სასწაულებრივ სიმღიდეზე, მეზღვაურთა გაშედულებაზე, კაპიტანების შეუპოვრობაზე და სულგრძელობაზე, ჰორეულ იდუმალ ზღვებზე, რომელნიც თავის წიაღში ინახავდენ ჯერ კიდევ უხილავ კუნძულებს და მიწებს.

იუნგას მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების ძალით იგი ვალდებული იყო კეთილ-სინდისიერად ემსახურნა ბატონების, ჯონ და ჯემს ვალკერებისათვის შევიდი წლის განმავლობაში. რად ულირდა ჯემსს ასეთი კონტრაქტის ხელის მოწერა? ხომ არ დაბრუნდება, მართლაც, იქ საცავავ საგალანტერიო დუქანში, მისტერ სანდერსის ლანდგა-გინების მოსასმენად. გარდა ამისა, ჯემსმა ერთხელ და საშუალოდ გადაშეყვიტა გახდეს მეზღვაური და შეისწავლოს ყოველივე, რაც საჭიროა ოკეანეზე სამოგზაუროდ, სადღაც ღრმად, შეგნებაში ჰყუტავდა ოცნება, — შესაძლოა იგი ოდესმე ხომალდის ყა-

პიტანიც გახდეს. დარწმუნებული თავისი საქციელის სისწორეში, ჯემსი შეურყევლად თანხმდება და ხელს აწერს ხომალდების პატრონების ყველა პირობას.

ცურვეშ ნახშირით დატვირთულ ხომალდზე ჯერ იუნგად და შემდეგ მეზღვაურად არამც თუ გაუკაუა კუკს ჯანსაღობა, არამედ მისცა მას დიდი პრაქტიკული ცოდნა და განუმტკიცა ნებისყოფა. ჯემსმა გამოიჩინა ერთგულება, მკვირცხლი გონება და ოცდაორთ წლის ასაკში ის უკვე დანიშნეს სანახშირო ხომალდის შეიპერად. პირველი ეტაპი უკვე გავლილია, საჭიროა წინ წასულა, ცოდნის შეძენა, ჯერ კიდევ ბუნდოვნებად დასახულ მიშნის მიღწევა.

საფრანგეთისთვის ომის გამოცხადება მისთვის მოულოდნელი ამბავი იყო, ხომალდი მაშინ ტეზზაზე იდგა. ჯარისკაცთა შემკრებ თვიცრების შფოთიანბა და შვაცრმა აღვირახსნილობამ შეაშინა ოცდაშეიდი წლის შეიპერი. მან უმჯობესად ჩასახალა დამალულიყო, — როგორც ამას ბევრი სჩაღილია. შემდეგ სინანულის გრძნობამ აიძულა იგი წასულიყო ვაპპინგში შესაკრებ პუნქტზე, გამოცხადებულიყო სამხედრო ხომალდ „არწივის“ ოციცერთან და განეცხადებია სამეფო ფლოტში მოხალისედ შესვლის სურვილი.

ზაიშუმ საშოც-ზარბაზნიანი ხომალდის წოწყობა და მომზადება. შემოღომაზე მის კაპიტნად დანიშნული იქნა ხიუგ პალისერი, რომელმაც პირველმა შეამჩნია ნიჭიერი ქუკი, დაიახლოვა და დაუბეგობრდა მას.

ოორკშირის პატრიოტიულ გრძნობებით გამსჭვალულმა მოქალაქეებმა, სთხოვეს თავიანთ წარმომაღვენელს პარლამენტში, — ეშუამდგომლა მათი მამაცი. თანამემამულესათვის, რომელმაც თავისი ნებით განაცხადა სურვილი ძველი ინგლისის დაცვისა. როგორც ჩანს, ოჯახისა და საგალანტერეო ვაჭრის შეურაცყოფის ლაქა საბოლოოდ წარხოცილი იყო.

კაპიტანშა პალისერმა მიიღო გრძელი წერილი პარლამენტის წევრ სკორბორო ოსბალდესტონისაგან, რომელიც შეიცავდა კუკის თანამემამულეთა თხოვნას, — ეზრუნა ახალგაზრდა მეზღვაურისთვის და გაეწია მისთვის საჭირო დახმარება სამსახურში წინ წასაწევად.

კაპიტანმა პალისერმა თავაზიანად უპასუხა პარლამენტის წევრს, რომ იგი თეთი აფასებს ახალგაზრდა ცაცის ნიჭის, მაგრამ, სამწუხაროდ, არ შეუძლია, არსებულ წესების საწინააღმდეგოდ, გახადოს კუკი ოფიცრად, რომ ამისათვის საჭიროა კიდევ რამდენიმე წის სამსახური და ახლა შესაძლოა მხოლოდ მისი გადაყვანა ბოცმანად რომელიმე სხვა ხომალდზე.

ამ მიწერა-ძოურის შედეგი იყო კუკის დანიშვნა პატარა ხო-
მალდ „გრამპუს“-ზე, მაგრამ უწინდელი ბოცმანი არ წავიდა, ამიტომ
კუკი მაშინვე დანიშნეს „გირლანდაზე“; მაგრამ ეს ხომალდიც ზოვა-
ში აღმოჩნდა გასული. მაშინ, მეორე დღეს, გამოვიდა ახალი ბრძა-
ნება კუკის დანიშნის შესახებ საბრძოლო ხომალდ „მერკურიზე“.
„მერკური“ მიემგზავრებოდა კანიდისაკენ და შედიოდა აღმირალ
საუნდერსის ქაკადრის შემადგენლობაში, რომელმაც იმ დროს, გვ-
ნერალ გრძელუის არმიასთან ერთად, ალყა შემოარტყა კვებეკის სი-
მაღლეებს. „არწივზე“ გატარებულმა ოთხმა წელმა და ლიბერალ
ოუიკრის კაპიტან პალისერის კარგმა მოპყრობაში, რომელმაც არ
ითავიღა დამეგობრება უბრალო მეზღვაურთან და აწოდებდა მას
წიგნებს ნაეიგაციის, ასტრონომიისა და მათემატიკის დარგში — მისცა
კუკს მტკიცე მორალური და შეცნიერული ცოდნის საძირკველი.
1759 წელს გაზაფხულზე ჯემს კუკი, როგორც ხომალდ „მერკუ-
რის“ მოხალისე-ბოცმანი, იმავე მეგობარ — კაპიტან პალისერის
მეთაურობით, — მიემგზავრება ამერიკის ნაპირებისაკენ.

ხშირ წარბებიდან გამომყურე ჭკვიანი თვალები ხარბად და
გამჭრიახად აკვირდებოდენ ზღვის შორეულ ჰორიზონტებს. მოგრძო,
შავი თშებით შემოსილი პატარა თავი დაუინებით ჩასჩერებოდა რუ-
კებს და წიგნს. ახალგაზრდა ბოცმანის მაღალი, ახლვანი ფიგურა
არ მოხრილა ქარიშხალისაგან.

მეორე ეტაპიც საპატიოდ იქნა დაპყრობილი:

კვებეკი მდებარეობს წმ. ლავრენტის უბეში, რომელიც ვიწრო
ზორად შეჭრილია ლაბრადორის ნაპირებში, ფართე, მრავალი წყლი-
ანი მდინარის შესართავთან. ხომალდების არტილერიას უნდა აეტეხა
სროლა ფრანგულ ბატარებისათვის და, ამგვარად, ხელი შეეწყო
ხმელეთის ჯარებისათვის, რომელიც გარს შემოერტყა მონმორანსის
და ბოპორის სიმაგრეებს და ბანაკებს¹, საჭირო იყო ხომალდების
შეყვანა არხში, რომლის სილრმე არ იყო ცნობილი. მდინარის ფარ-
ვატერის გამოუკვლევლად არ შეიძლებოდა მოწინააღმდეგის ცეც-
ხლის ქვეშ დადგომა, მით უმეტეს, რომ არხი გადიოდა საფრანგეთის
ჯარების სიახლოებეს. საჭირო იყო მტრის შეუმჩნევლად დაზვერვის
მოხდენა და შემდეგ ანაზღად თავდასხმა; პალისერმა მისცა წინა-
დადება კუკს, — ეკისრა ეს ძნელი და პასუხსაგები ამოცანა.

¹ მონმორანსი და ბოპორი — ფრანგული არმიის საზღვაო და ხმელეთის ჯა-
რის სარდლები იყვნენ.

კუკმა, უყოფისანოდ მიიღო წინადადება. ეს იყო არა მარტო უფროსის ბრძანების შესრულება, არა მარტო მოვალეობის ასრულება, — ეს იყო საკუთარი თავის, ნების-ყოფის, ნიჭის და, რაც მთავარია, საკუთარი ბეჯითობით შექნილი ცოდნის შემოწმება. მოსამზადებელი მუშაობა ჩატარდა, საჭირო იყო ცოდნის გამოყენება, გამოცდის დაჭერა.

ბნელმა ღამემ სწრაფად შთანთქა დატოვებული ხომალდი. ტილდებზე პატარა ნავი ნაჭუჭეს წააგავს, აღამიანი, — კიდევ უფრო პატარა მოჩანს. ტალღები გახელებით ისვრის მსუბუქ ნაჭუჭეს წინ და ქვევით. აი, უკნიდან მოგორებული ტალღა სადაც არის დაეტაკება მას, წალექავს და მოსპობს. მაგრამ პატარა კაცი მუშაობს ნიჩბებით, ებრძევის გამწყრალ სტიქიონს და ნავი სწრაფად წინ მიღის. სცილდება ტალღებს. აი, იგი შევიდა არხში, სადაც არ არის იასეთი ლელვა და სადაც თითქმის საჭირბოროტოდ იმ ადამიანისათვის, რომელმაც მტრების მოტყუილება განიხრახა, — სუფევს სიწყნარე. კუნძულის ნაპირები იზრდება და უახლოვდება. ნავს, ნიჩბების მოსმა სულ უფრო და უფრო მკაფიოდ ისმის ბნელ სიჩუმეში...

ექვსმა ღამემ ზედიზედ მშვიდობიანად განვლო. კუკი ღამლამობით ზომიავდა მდინარის ფარვატერს, დღისით კი წესრიგში მოჰყავდა ციფრები, აკეთებდა ნახაზებს დაწვრილებითი რუკის შესადგენად. ეს იყო პირველი რუკა, რომლის დახაზვა მან თვითონ სცადა. სურდა შეეფარგლებოდება იგი რაც ჟეიძლება უკეთესად, დაწვრილებით და ზედმიწევნით.

მეშვიდე ღამე დაიწყო ისევე, როგორც წინა ღამეები. მაგრამ უცერად მოისმა ნიჩბების ხმა და კუკმა დაინახა რამდენიმე ნავის სილუეტი, რომელიც მტრის სანაპიროდან მოდიოდა მისკენ. სიწყნარე, დაარღვია ყვირილმა და იგი მიხვდა, რომ ნავი სავსეა „ველურებით“, რომელიც ფრანგების სარდლობას გამოეგზავნა მის დასაჰერად. მეტი გზა არ იყო, — კუკი უნდა დაყრდნობოდა საკუთარ კუნძულის ძალას და თავისი ნავი მიეშურებინა კუნძულისაკენ, სადაც ინგლისელების საღარაჯო იდგა. ველურების რიცხვი დიდი იყო და მათი მსუბუქი ნავები სწრაფად მოსცურავდენ.

კუკი მთელი ძალლონით დააწვა ნიჩბებს. მძიმე ნავი ცხვირით წყალს ეხლება, გაჭირვებით მიიწევს წინ. მდევართა მოწინავე ნავი სულ უფრო ახლოვდება.

როგორც იქნა კუკის ნავი მიადგა ნაპირს, ამ დროს მტრის ნავიც წამოეწია მას. „ველურები“ ყიუინით გადმოცვივდენ ნავიდან. კუკმა ძლიერ მოასწრო ნაპირზე გადმოხტომა და კლდეებში დამალვა. „ველურებმა“ გამარჯვებული ყიუინით გაიტაცეს კუკის ნავი.

აღმირალი საუნდერისი მეტად გარეცდა, როდესაც კაპიტანშა პალისერმა წარუდებინა მას არხის ფარვატერის რუკა, ზუსტად გამოზომილი ზედ მოწინააღმდეგის პოზიციებთან. ტყუილად კი არ უქმბდა მას ლიბერალი-კაპიტანი თავის ნიჭიერ ბოცმას. კვებეკი დამორჩილდა და ჯერი მონრეალზე მიდგა¹.

ინგლისელების ფლოტი შეცურდა მდინარის აღმა, ზეპირად, ზუსტი რუკის უქონლად. საზღვაო ხომალდების მოძრაობა მდინარეზე სახიფათო შეიქნა. აღმირალმა გასცა ბრძანება გაეგზავნათ ქუკი მდინარის კალაპოტის გამოსჯველევად. ამ ჯერად თვით ნასწავლი მეზღვაური უფრო გულდაჯერებულად შეუდგა მუშაობას. ზედმიწევნითი სისწორით გადაჰქონდა მას რუკაზე ნაპირების ოდნავი დაკლაკნილობა, აღნიშნავდა ფარვატერს, კუნძულებს და თავთხელებს, ხაზს უსვამდა ხომალდისათვის საშიშ აღილებს.

ინგლისელმა აღმირალმა იხელმძღვანელა ამ რუკით, მიიყვანა ფლოტი მონრეალის სიმაგრეებთან და დაქმარის არმიას ქალაქის აღებაში. მთელი ნაპირი წმ. ლავრენტის მდინარის გასწვრივ გაწმენდილ იქნა ფრანგი ჯარებისაგან.

სამხედრო ხომალდებზე დაიჩნა ხმა ბოცმან კუკის ნიჭის შესახებ. რუკების შედგენა ყველას არ შეეძლო და ამიტომ დიდად ფასდებოდა. ესკადრის მეთაურმა ახალ შოტლანდიის ნაპირებთან, ლორდ კოლეეილმა, მოითხოვა კუკის გადაყვანა ფლაგმანის ხომალდ „ნორტუმბერლანდზე“, რომელიც გალიფაქსის ყურეში იდგა.

იქ კუკმა დაჰყო ორი წელი. მან ყურადღებით შეისწავლა რამდენიმე წიგნი, რომელიც ხელში ჩაუარდა. ეკვლიდეს „გეომეტრიის ელემენტებმა“ საძირკველი ჩაუყარეს მის მათემატიკურ ცოდნას. ქელი ალექსანდრიელის თეორემები, მოძღვრება არათანაზომიერ სიღიდეებზე, რიცხვების, ხაზების, ფიგურების, ზედაპირთა და სხეულთა თვისებებზე, ანვითარებდენ მის მკვირცხლ გონებას. პიოაგორესა და კოპერნიკისგან მან შეისწავლა ზეციურ მნათობთა კონფიგურაცია და მოძრაობა. ტრაქტატები ნავიგაციაში იხსენიებდენ მაველანის, პირველ მოგზაურობას დედამიწის ირგვლივ, მეზღვაურთა ამაო ცდას სამხრეთის მატერიკის აღმოჩენისათვის და რუსი კაპიტანის ბერინჯის საეჭვო აღმოჩენას, რომელმაც თითქოს 1728 წელს

¹ მონ უდალი — ქალაქი ამავე სახელწოდების გუნდულზე. დარსეს 1649 წ. ფრანგიმა, აიღეს ინგლისელებმა 1760 წ., შემდევ ამერიკელებმა 1775 წ.; მალე ისევ გადავიდა ინგლისელების ხელში. 1843 წლიდან გახდა კანადის დედა-ქალაქი. 1852 წ. განადგურდა ხანძრის გამო, შემდევ აღდგენილ იქნა, დასა-ქალაქი კი გადაიტანეს კვებეცში.

დაამტკიცა ჩრდილოეთის სრუტის არსებობა აზიასა და აშერიკას შეუა. 1762 წ. შემოღომაზე „ნორტუმბერლანდი“ მივიდა კუნძულ ნიუფაუნდლენდთან, რომელიც ფრანგების ხელთ იყო.

ამ ჯერად კუკს დაევალა გადაეღო პლაცენციის ნავსადგურისა და მის მახლობელ სიმაღლეების გეგმა.

თავის მუშაობის დროს კუკი ხედებოდა ნიუ-ფაუნდლენდის გუბერნატორს, აღმირალ გრევს. გრევის რამდენიმეჯერ შეხვდა ამ განსაცვიფრებელ თვით ნასწავლ მეცნიერს, უბრალო მუშის შვილს. ძველი მეომარი მიხვდა, თუ რამდენად სასარგებლო იქნებოდა ინ-გლისის ფლოტისთვის კუკი. პალისერის და ორი დამსახურებული აღმირალის შეხედულება კუკზე აძლიერებდა გუბერნატორის კეთილ განშეყობილებას.

ბრძანებათა ზუსტი და სწრაფი შესრულება მოსწონდა სამხედრო ხალხს.

„განსაცვიფრებელშა“ ბოცმანმა დაიმსახურა მათი ურყევი სიმპატია.

1762 წლის დაშლევს ჯემს კუკი დაბრუნდა სამშობლოში. შეიდი წლის მოგზაურობამ ძლიერ შესცვალა იგი. როდესაც წავიდა, კუკი ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო, ახლა კი სამშობლოში დაბრუნდა მომწიფებული ვაჟკაცი, გამობრძმენდილი საზღვაო მოგზაურობებსა და ბრძოლაში.

მას დაუწევდა ძველებური პატრიარქალური ინგლისი: კრამიტით დახურული ლარიბი სოფლის სახლები და ციხე-დარბაზთა პარკები; მოდუნებული, ზანტი სოფლის ცხოვრება და სავაკრო ნავსადგურების ორმტრიალი. კეთილგუნებიერი პოლიტიკანური სჯა-ბაასი გზის პირა დუქნების მაღალ თაღიან ბუბრებთან და პარლამენტის წევრთა მწვავე სჯა-ბაასი სალონებში; დამჭვნარ ნეკერჩხლების მელანქოლიური სიყვითლე და ლონდონის ნისლი; პორტერი და ყალი-ონები, მინისტრები და ფერმერები, — ერთი სიტყვით ლორდების და ვაჭრების ინგლისი ისეთივე იყო, როგორც შვიდი წლის წინეთითქმს, მას არაფერი საერთო არ ჰქონდა რაღაც უცნობ, შორეულ უბებებთან, მდინარეებთან და კუნძულებთან, მისი დიდებისათვის დაღუპულ ასეულ აღამიანებთან.

შორეულ ცურვიდან დაბრუნებულს, დაღლილს, მაგრამ იღ-ბლიან ახალგაზრდა კაცს ლონდონის ნისლიანი შემოღომა საუცხოვო რამედ ეჩვენებოდა. მღვრიე ტემზა, ერთ დროს რომ ასე ულაზა-თოდ არწევდა ჭუჭყიან ნახშირის ხომალდს, — ლაბრადორის უველა-მდინარეზე უფრო ლამაზად მოჩანდა. განა არის რაიმე ქვეყანა-

Ցյ Շպետես, Յուլիոյ յարցած մովկոմնուն օնցլուսուրո ռտանո, յան-
տլեցնուն ծովերուն ալուու, Ծյացու օյրունո մալալո սաշահճլցենու,
շրելուրարուն յալունենցնու և օյագունցնուն քարցերուո տոենու սա-
մունեցնու. և յանա աշչեր սդրու արա սչչոնա մշցենցնուո պարու
կլցւու և հանհիյը Ծյնարո օնցլուսուրո Շահա-շիա, մոցենուն
Շեմուցնուն Ծյուղ և պարու ուռուլցնուո, սաշուստո ըոլույանու
ծոռնելց յայշ հոմ Շրուալցենց? ա օյետո շիա, հոցորուցա լոն-
դոնսա և ծարկոնց Մորուն. օյայ արուն անալո մեցոնցնու, յարցո,
կցուուն եալեն — ծերտեցնու ոչչան.

Ծարկոնց Սյուլ ուրումեցու կոլումեցնուո արուն օացուունելուն
լոնցնուն; Ծարկոնց Շի արուն ծերեցույթուո սաածուն ժցուու
սոս, շրուցուուո ցածանցրունո քարտարա սաելցնու, լույնեցնու և սամոյո-
ւնուցնու, յանուսացան մոյանց Ծարիցերունուո, սաստումրուո, սագաց ար
Ծյնարուցնու պայնեցնուու ուցենու եմա, յուլցնուն եմաշրունու և պայնեցնուն
քրուալու. Ծարկոնց Շի արուն օգուունեծուու քոլուույունուցնու, հոմլց-
նու նշուացեց յարուալու սայուուեն, մեյյան, Շեմիցար ծարուն մորումյ-
ցուու ջրուն օառեցն սաելցնուու զալշու և յուուշուլունեց յուացապ
լուներալուր „Nirth Briton“^{1-ն.} մաշրամ պայելաս չոնա ծարկոնց-
նու ցլուսածեց ծերտու.

Ոցի პորզել լունուանց մոյիունա կոյս և օսուց, աեռզանո, չան-
լունուու ալսացս մեթլզաւրո, ծրուունատա մոնացուու, մենց և գուո-
սյուլունա զայյացո, յուսածեցուսացուու Ծարմուացցենու Ծյուունեց-
նուունեցնուու զայունա յանսաեյրենան. յայերունց սանաձու-
ռուշ, Շեմուց, Քամտրուն օասաբունու Ծյեցուու սաշանցարունու մեցոնցնու-
ուն, Ծյնարո սալունու ծովերուուն...

Օպրայրու օյյեմերու սաածուն ժցուունեցնու ծերեցնու յանս-
նա սայունու ցալուն. Ծամարնու յամեցունելու ծոնցու Շեմուց ուռու-
լու ուցալս կյուրուն. տացուու սուուտրուու. մենարունու մոյիրուունեց-
նուու և յուլունեց յուացնու. մենարունու ոյու ուուալցնուու Ծյա-
րունու և մեցոնց յուուամուն. հա սակուրու ծերնույրենուու մենա
նելցնու յարուամ, հոցուսաց օցու շուաց. մոկունելունու այ, մշոմնուր,
սայցարուն օնցլունու? կոյս արու ջրուն և արուսաց ալար Ծյաց պոլուս-
յան և մեցոնց յուունուսացն. օցու արուսաց ար յաւցուս ծարկոնց Ծյ-
նար. ծերնույրենու նելցատա մուսանատ տամանից և եռմալուն ըասի-
յնարեց պայունը յարուամ. յոն յածեցակ և օւպուն, հոմ ոչչանցու
ծերնույրենու մույուց ար արուն? յոն յածեցակ և օամթիցուցնու, հոմ

¹ Արգուու ծրութանցուն:

მეგობრები ერთგულნი არ არიან? საერთოდ, ვინ გაბედავს და აუკრძალავს მას, ბედნიერ კაცს, სამუდამოდ დარჩეს თავისი ელისაბედის გვერდით?

პირველმა გამარჯვებებმა და ფიცხმა ხისითმა კუკი ყმა-წვილად გადააჭილეს. მას გულწრფელად სჯეროდა, რომ არასდროს არ წავა ბარკინგიდან, არასდროს არ დასტოვებს ცოლს, სჯეროდა; რომ მისი მეზღვაურობის კარიერი დამთავრდა. რომ მან მოიპოვა ბედნიერი ნავსაყუდელი.

მაგრამ საოჯახო ცხოვრების სიხარულმა ვერ მოკლა მასში ცოდნის წყურვილი. იგი განაგრძობდა მეცადინეობას მათემატიკაში, ასტრონომიაში და მუშაობას რუკებზე. საუბარი მეგობრებთან, — ბეზისთან და პალისერთან, — მიმართავდა მის აზრებს მთავარ მიზნისაკენ. როდესაც მეგობრები მოუთხრობდენ კუკს მეცნიერთა შორის აღმოცენებულ დაზეზე, უთანხმოებდებზე სამეფო საზოგადოებაში, — ისინი კვლავ აცხოველებდენ თითქოს უკვე მიმქრალ აღს. კუკი ატყუილებდა თავის თავს, რომესაც ამტკიცებდა. რომ აღარ დაუბრუნდება ზღვას.

თანახმად პარიზის ზავისა. 1763 წელს ონგლისმა მიიღო საფრანგეთიდან კანადა, კაბ-ბრეტონი. სენ-ვინცენტის კუნძულები, დომინიკო, ტობაგო და სენეგალი აფრიკაში, ესპანეთიდან-კი, — ფლორიდა. ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიის მიერ წამოყენებულმა ლორდ კლეივმა დაიპყრო ბენგალია, ბეგარი და ორისი. კოლონიათა რიცხვი იზრდებოდა.

1760 წლიდან ტახტზე ავიდა ახალგაზრდა მეფე გეორგ III. ტორთა პარტიაშ თავი მალლა ასწია: ვილლიამ პიტტი მეორედ გავვიდა სამინისტროდან: „მეფის მეგობრები“ ეპრძოდნენ პარტიებს მონარქის პირადი ხელისუფლებისათვის. იზრდებოდა თანამდებობა ლორდ ბიუტტი, რომელმაც შესცვალა პიტტი, აწარმოებდა ორაზროვან პოლიტიკას, იგი თანაუგრძობდა ხან ლიბერალურ ვიგებს და ხან კონსერვატორ ტორებს¹. საადმირალო სამმართველოს ლორდები, გართულნი პარტიული დავით, სამეფო კარის ჭორებით და საკუთარ საქმეების მოწყობით, ძალიან ნაკლებად ფიქტობრდნენ

¹ ტ ა რ ი—სახელწოდება კონსერვატიულ ჰარტიისა, რომელიც წარმოიშვა 1679 წელს და იცავდა ანგლიკანურ ეკლესიის და მონარქიის უფლებებს. ვ იგ ი— ლიბერალურ პარტია, წარმოშობილი ერთდღულად ტორებთან, ხელს უწყობდა პროტესტანტულ მოძრაობას და ებრძოდა სამეფო ხელისუფლების აბსოლუტიზმს. XVIII საუკუნის დამლევს ვიგთა პარტიაში შედიოდნენ, მდიდარი მიწათმფლობელები და მსხვილი ბურეუაზია.

ახლად დაპყრობილი მიწების მართვა-გამგეობის მოსაწყენ მოვალეობაზე. ნიუ-ფაუნდლენდის გუბერნატორად ხელიხლად დანიშნულ აღმირალ გრევსს დიდი შრომა დასჭირდა, რათა დაემტკიცებინა ლორდებისთვის კუნძულის. ნაპირების დეტალური რუკის შედგენის საჭიროება. არავის ესმოდა, რატომ სწუხდა ასე მოუსვენდარი ადგირალი.

ბოლოს აღმირალმა მიიღო ბრძანება რუკის შედგენის შესხებ და წინადაღება მისცა კუკს, გაჰყოლოდა მას ინჟინერ-გეოგრაფის თანამდებობაზე.

და კუკმაც, რომელიც ორი თვის წინეთ ფიცულობდა, ცოლს არ დავტოვებო, ვერ დასძლია კვლავ ხომალდზე ასვლისა და აღმირაციის ნაპირებისაკენ შგზავრობის სურვილს. მოგზაურობა აღმირალ გრევსთან იყო სრულიად გასაგები გავრძელება მისი საზღვაო მუშაობისა, მისი მოწოდების ბუნებრივი განხორციელება. ბარკინგის მადლინმა გაზაფხულმა ვერ შეუშალა ხელი კუკს მოეხდინა სწორი არჩევანი. მან უცდ გადასწყვიტა, ისევე, როგორც რვა წლის წინად.

მას კელავ ძნელი, ამოცანა ხედა წილად, — ფრანგების მიერ დათმობილ. პიერის და მიგელლონის კუნძულების რუკის შედგენა. სამუშაო უნდა დამთავრებულიყო ერთი თვის განმავლობაში, — ეს ვადა საქმარისი იყო იმდისთვის, რომ გრევსს სხევადასხვა საპატიო საბაბით შეეჩერებინა ფრანგი გუბერნატორის ფრეგატი და კოლონისტებით სავსე. სხვა ხომალდები, რომლებიც მიემართებოდენ მაჯულლონისაკენ. კუკმა კეთილსინდისიერად შეასრულა ეს დავალებაც და ზაფხულის დამლევს დაბრუნდა ინგლისში.

აღმირალ გრევსის მაგიერ ნიუ-ფაუნდლენდის და ლაბრადორის გუბერნატორად დაინიშნა პალისერი. გაუსწორებელი ლიბერალი განავრობდა „განსაციფრებელი ბოკუმანის“ მფარველობას, ამაყობდა თავისი კრეატურით და ლელავდა მშობლიურ კარტოგრაფიის პედისათვის ასჯერ მეტად, ვიდრე საადმირალო სამმართველოს ჯველა ლორდი.

მას გაგონებაც არ სურდა იმისი, რომ მისთვის თან გაეყოლებინათ ვინმე სხვა ინჟინერი. ჯერ-ერთი, კუკს უკვე დაეწყო ნიუ-ფაუნდლენდის ნაპირების რუკის შედგენა, მეორეც ისა, რომ სხვა ვინმე, კალსერის აზრით ყველაფერს არევდა და ისეთ რუკას დაზარდა, რომლის მსგავსი ბლომად ეყარა საადმირალო სამმართველოში და ვერც ერთი კაპიტანი ვერ ბედავდა ასეთი რუკის მიხედვით თავისი ხომალდის წაყვანას, იმდენი იყო იქ შეცდომა.

ამ ჯერად კუქს მისცეს სამხედრო სახელწოდება და ზარისხმა დაუახლოვეს სამხედრო უწყების იერარქიას.

სამი წლის გამძვლობაში მუშაობდა კუკი ნიუ-ფაუნდლენდის და ლაბრადორის აღმოსავლეთ ნაპირების დაწვრილებითი რუკის შესაღენად. ზამთრობით იგი ბრუნდებოდა ინგლისში.

მუშაობა იტაცებდა მას, რუკების შედგენასთან ერთად კუკი მეცატინეობდა ასტრონომიაში. 1766 წელს კუნძულ ბურგეზე მან ჩატარა შზის დაბნელების დაკვირვება და შეადგინა სამეცნიერო მოხსენება, მოწონებული ოქსფორდის პროფესორთა მიერ.

შავრამ ყველაფერზე მიმზიდველი და ამაღლვებელი იყო თვით კუნძულის გამოკვლევა. უსაზღვრო ცოდნის წყურვილი იზიდავდა მას სულ შორს და შორს, ქვეყნის სირდმეში, იქ, სადაც ჯერ არ დადგმულიყო ადამიანის ფეხი. განუცდელი სიხარული იპყრობდა შთელ მის არსებას; როდესაც არყის ხეების და ფიჭვების გაუვალ ტევრის უქეთ აიმართებოდა კლდოვანი მწვერვალი ან აელვარდებოდა უცებ ტბის ზედაპირი. მონადირეებთან ერთად, რომლებიც ირმებს და მგლებს დასდევდნენ, მეოვეზეებთან ურთად, რომლებიც თევზის სვლას უდარაჯებდენ, კუკი ნადირობდა მთებსა და ტბებზე ავსებდა რუკას ახალი ნიშნებით და სახელწოდებებით. არას დროის მონადირე ან მეოვეზე არ დაკმაყოფილდება თავისი ნადავლის რაოდენობით, არასდროს მკვლევარი არ იქნება დაკმაყოფილებული თავისი მუშაობის შედეგებით. მეტი იცოდე, ვიდრე იცი, — ასეთა დაკვირვებულ გონების მუდმივი სურვილი და უცვლელი მიზანი:

სიმტკიცით და დაუინებით, შრომის მოვარეობით და დასახული მიზნისაკენ მიმართული შეუდრეველი ნებისყოფით, კუკი, ორმოცი წლის ასაკისათვის სავსებით დაეუფლა საზღვაოსნო მეცნაერებას. კაპიტანი კინგი, რომელიც შემდეგ მასთან ერთად მოგზაურობდა, სწერს თავის მოვონებებში: „კაპიტან კუქს მისი მაგარი აგებულება და მუშაობის უნარი შესაძლებლობას აძლევდა წინააღმდეგობა გაეწია უსასტიკეს დაღლილობისთვის და ცხოვრების მეტად მოუხერხებელ პირობებისთვის. მაგრამ ყველაზე უფრო მას ახასიათებდა უდიდესი გულმოღვინება დასახულ მიზნისაღმი მის წრაფებაში. მას ვერ შეაჩერებდა დაბრჭოლება, დაღლილობა ან საშიშროება; კიდევ მეტი, — მან არ იცოდა რა იყო გართობა ან დასვენება. გრძელ და მძიმე მოგზაურობათა განმავლობაში მისი აღტყინება და საქმიანობა ერთი წუთითაც არ შენელდებოდა ხოლმე...“

ხასიათის დადგებითი თვისებები განაწყობდენ მის სასაჩვებლოდ, „მისი ტემპერამენტი მეტად ძლიერი იყო, — სწერს სამველლი, — პა-

აადი ცხოვრება კი მეტად ზომიერი. ის იყო მორიდებული, თითქმის შორციერი, იცოდა სასიამოვნო, მოსწრებული და ჭივიანი საუბარი. ხშირად იგი მომეტებულ სიფიცხეს იჩენდა, მაგრამ მისი გულგეთობა და თავაზიანობა ანაზღაურებდენ ამ ნაკლე...“

1767 წელი არის მესამე და უკანასკნელ ეტაპის დამთავრების წელი; ცხოვრების და მეცნიერების გზაზე მტკიცე პოზიციების და-კურობისა და უძნელეს საწყისთა დაუფლების საქმეში. წინ მას ელოდა ბევრი სიძნელე, განსაცდელი და იმედების გაცრუება, მაგრამ უფლება ცხოვრებაზე მოპოებული იყო. ჯემს კუკმა დასძლია მეცნიერული აზრის ჩამორჩენილობას, ტრადიციულ კონსერვატივიზმს, — გასწორდა წელში და მტკიცედ დადგა. თავისი ცხოვრების უმაღლების საჭიროა.

პირველი მოგზაურობა

რომის ინკვიზიციის ბერებმა 1300 წელს ცეცხლზე დასწვეს ჯორდანო ბრუნო, რაღაც მან გაბედა კოპერნიკის თეორიის დაცვა, რომელიც ქადაგებდა პანთეიზმს და ებრძოდა მოძველებულ ფილო-სოფიურ სისტემას. კათოლიკე ეკლესია აცხადებდა მწვალებლად, მისნად და ეშმაკის კერძად ყველას უინც მეცნიერული გზით ცდილობდა მსოფლიოს წარმოშობისა და აგებულობის ახსნას. უბორო-ტეს მწვალებლობად ამერიკის აღმოჩენამდე ითვლებოდა მოძღვრება ანტიპოდების შესახებ. ქრისტეფორე კოლუმბი ბოლოს მღვდლების ინტრიგების მსხვერპლი შეიქნა. სახელოვანი ნიკოლოზ კოპერ-ნიკის შრომები დაპგმო პაპის ბულლამ უღმერთობისა და სამღვთო წერილთან წინააღმდეგობისათვის. სამეცნიერო მეთოდების ერთ-ერთმა პირველმა რეფორმატორმა, როუერ ბეკონშა, XIII საუკუნეში სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა სქოლასტიკას: თავის წიგნებში იგი ოვარძლიანად დასცინოდა სწავლულ სქოლასტიკოსებს. „მათემატიკას სთვლიან ძნელ და ხშირად საეჭვო მეცნიერებად მხოლოდ იმი-ტომ, რომ მას ჰქონდა უბედურება ეკლესიის მამებისაოვის უცნობი ყოფილობი“. მეცნიერს ბრალი დასდეს კულიანობაში და მან თავისი სრუცხლლის მეტი ნაწილი საპყრობილებში გაატარა.

ექსპერიმენტულ ფიზიკის მამამთავარს, — გალილეის, — საეკლე-სიო ტრიბუნალმა მიუსაჯა სამუდამოდ თავისუფლების აღკვეთა. 1643 წელს უტრეხტის ლვორისმეტყველებს. სურდათ დეკარტეს წიგ-ნების დაწვა. „გონება-მახვილი“ ხოლმოგორელი გლეხი მიხაილო

ლომინოსოვი, არჩეული ბოლონის და შვეციის აკადემიების საპატიო წევრად, თავის სამშობლოში იძულებული იყო შეედგინა გალექსილი წარწერები მხიარული დედოფლის ელისაბედის ილუმინაციებისა და მაშხალებისათვის; იგი იბრძოდა სახალხო განათლებისათვის და განიცდიდა ყოველგვარ შევიწროებას სამღვდელოებისა და მმართველ წრეების უვიცობის წყალობით.

ყოველი ცხოველი აზრი ფეოდალურ წესწყობილების პირობებში იხშობოდა და იქველებოდა ღვთისმეტყველთა და ფილოსოფოსთა მიერ, რომლებიც გააფთრებით იცავდენ თავიანთ მოძველებულ, პრიმიტიულ შეხედულებებს. ყოველი მეცნიერი, რომელსაც სწამდა მეცნიერების წინმსვლელობა და უარყოფდა. აზროვნების სქოლას ტიურ მეოთხდ, — ცხადდებოდა მწვალებლად და ღვთის მგმობელად.

ახლად აღმოჩენილ ქვეყნების შევილრთა „მოშინაურების“ მეხოდები წვევდა მუდმივ პროტესტებს ინტელიგენციის განათლებულ და თავისუფლად მოაზროვნე ნაწილში. XV, XVI და XVII საუკუნის ჰუმანისტები იღაშქრებდნ ევროპელთა სისასტიკის წინააღმდეგ აფრიკის, ინდოეთისა და ამერიკის კოლონიებში. მთავრობა და ეკლესია წელს უწყობდა. ადგილობრივ მცხოვრებთა პიროვნების გაქელვას, მათდამი მხეცურ მოპყრობას, მათს უსინდისო მოტყუილებას და ექსპლოატაციას. ამასთან ერთად, მეცნიერთა შორისაც მოიპოვებოდნ ისეთები, რომელნიც ამართლებდნ ასეთ მოპყრობას და ებრძოდენ იმათ, ვინც მოითხოვდა ადამიანურ და პატიოსნურ დამოკიდებულებას „ველურ“ ხალხთან.

XVIII საუკუნის დამლევს „განათლებულ“ ინგლისში, რომელშიც ფრანგ ენციკლოპედიისტთა მოძღვრების — ვოლტერის და მონტესკიეს ფილოსოფიის შეფვისებასთან ერთად, შეითვისა ადამიანთა უფლებებისათვის მებრძოლთა რევოლუციური იდეები, — მოიპოვდნენ მეცნიერები, რომლებიც გააფთრებით იბრძოდნ დედამიწის ირგვლივ მოგზაურობათა და ახალი ქვეყნების აღმოჩენათა წინააღმდეგ. ეს მეცნიერები არამც თუ არ იზიარებდნ ამა. თუ იმ კოლონიზატორულ პოლიტიკის თვალსაზრისს, — ისინი ამტკიცებდნ, რომ მოგზაურობანი დედამიწის ირგვლივ, რასაც თან მოსდევს ახალ ხალხთა აღმოჩენა, ხაერთოდ მავნებელია კაცობრიობისათვის, განსაკუთრებით კი — თვით ამ ახლად აღმოჩენილ ხალხისათვისთ. ისინი ამტკიცებდნ, რომ ადამიანის ველური მდგომარეობა უფრო კათოლიკოფელია, ვიდრე ცივილიზირებული მდგომარეობა.

იყვნენ თუ არა გულწრფელნი ეს თავისებური „ქველმოქმედი“? ხომ არ გამოსთქვამდენ ისინი ვისიმე საიდუმლო აზრებს, რომ

ლის აშენად გამუღავნებას შეეძლო გამოეწვია მთავრობის რისხვა? თავის თავად ცხადია, რომ კოლონიალურ ექსპანსიის გაფართოება, ესოდენ ხელსაყრელი სავაჭრო კაპიტალისათვის, მძიმე ტვირთად აწვებოდა შიწათმფლობელ ბურუუზიას და მსხვილ მესაკუთრეარისტოურატებას. წლითი-წლობით გაზრდილი გადასახადები ფლოტის ასაშენებლად, საეჭვო სამხედრო ექსპედიციების მოსაწყობად და კოლონიებში გარნიზონების შესანახად, საგრძნობი იყო მსხვილ მიწათმფლობელთა ჯიბისათვის, ამიტომ ისინი ვერ ურიგდებოდენ ვაჭრების დაპყრობითი მაღის გაძლიერებას.

მეცნიერთა ნაწილი, ასე თუ ისე დაკავშირებული მიწათმფლობელთა ამ კლასსთან, ემსახურებოდა მათ ინტერესებს; ეს მეცნიერები სოხუმის ათასგვარ ჰიპოთეზებს და სისტემებს, და ყველა საშუალებით ებრძოდენ ეგრეთშოდებულ მოწინავე ინტელიგენციას, რომელიც ეძიებდა გზებს მეცნიერების განვითარებისათვის. ინტელიგენციას, ამ შემთხვევაში, ხელს უწყობდენ მთავრობა და მრეწველები, რადგან მასში ხედავნ თავის დაპყრობითი ზრახვების იარაღს.

ნიუტონის მსოფლიო მიმჩვიდველობის კანონმა დაამსხვრია თეოლოგიური შეზედულება სულიერ ძალთა ზემოქმედების შესახებ ბუნების მოვლენებზე. კრიტიკამ აიძულა საზოგადოება აღეარებინა ახალი თეოზია ბუნების მოვლენათა მკაცრი კანონზომიერებისა: პლანეტების, კომეტების, ოკეანეს მოქცევის და უკუჭცევის მოძრაობისა: „სარკიანშა ტელესკოპმა“ შესცვალა ასტრონომია და შესაძლებელი გახადა ასტრონომიულ დაკვირვებათა დაზუსტება. მნათობთა მოძრაობა ამ დაკვირვებათა საყვარელი საგანი იყო. ასტრონომებმა შეადგინეს ვარსკვლავების დაწვრილებითი კატალოგები, მათემატიკოსებმა დაამუშავეს ზეციურ მნათობთა მოძრაობის გამოანგარიშების ზედმიწევნითი მეთოდები. XVIII საუკუნეში საბრძოლოდ დაიმსხერა ძველი ასტროლოგიური თეორიები, გაბატონებული XVII საუკუნეში და პირველად შერყეული ტიხოს, კეპლერის, გალილეის და დაკარტეს მოძლვრებით.

1768 წელს ლონდონის სამეფო საზოგადოებამ გადასწყვიტა გაეგზავნა ასტრონომიული ექსპედიცია; ექსპედიციის მიზანი იყო დაკვირვებათა წარმოება მნათობ ვენერას გავლაზე მზის დისკოში. ეს უნდა მომხდარიყო ერთი წლის შემდეგ. დაკვირვების საუკერესო პუნქტად მიმჩნიეს წყნარ ოკეანეში მდებარე ამხანაგობის კუნძულები¹. ლორდ შელბურიმ წარუდგინა მეფეს დეტალური წერილი,

¹ ეს სახელი მათ უწოდა კუმა 1769 წ.

რომელშიაც არ დაავიწყდა მოქსენებინა, თუ როგორ ინტერესს იჩინენ ევროპის სხვა მეფეები ამგვარ ექსპედიციებისადმი. ამ მითითებამ გასჭრა და გეორგ მე-III-მ დაუყონებლივ გამოაცხადა თანხმობა. სამეფო საზოგადოების უნდა დაენიშნა ასტრონომი-დამკვირვებელი და ექსპედიციის მეთაური. არჩეულ იქნა სწავლული გეოგრაფი, სამეფო საზოგადოების წევრი დელრიმპლი, ცნობილი თვისი წიგნებით სამხრეთის ზღვაში მოგზაურობის შესახებ. მაგრამ საარტირიალო სამმართველოს პირველმა ლორდმა კატეგორიული უარი განაცხადა. მიენდო ხომალდი არა მეზღვაურისათვის. მან მიუთითა უწინდელი ექსპედიციის გამოცდილებაზე, როდესაც ხომალდის შემადგენლობა უარს ამბობდა დამორჩილებოდა ასტრონომის. ამ ნიადაგზე ლორდს მოუვიდა უთანხმოება დელრიმპლთან, რაც უნდა გათავებულიყო ექსპედიციის ჩაშლით, მაგრამ საქმეში ჩაერია სააღმირალო სამმართველოს მდივანი სტეფენსი. მან დაარწმუნა ლორდი, რომ საჭიროა ახალი, საზღვაო საჭმეში უფრო გამოცდილი მეთაურის დანიშვნა და მიუთითა. სამეფო ხომალდების ყოფილ ბოცმანზე, ნიუფაუნდლენდის ინუინერ-გეოგრაფ ჯემს კუკზე. დოქტორ ბევისმა ჯერ კიდევ ერთი წლის წინეთ წარადგინა იგი, როგორც „კარგი მათემატიკოსი და გამოცდილი მეზღვაური“. სტეფენსმა დაუმატა, რომ კუკს კარგად იცნობს ნიუ-ფაუნდლენდის გუბერნატორი სერ ზიუგ პალისერი; უკანასკნელმა დიდი დახმარება ვაუწია კუკს. 25 მაისს იგი დანიშნეს ექსპედიციის მეთაურად, ლუიტენანტის ხარისხით. პალისერთან ერთად კუკმა მოიარა ტემზის ნავთ-საშენები და აირჩია სამას სამოცდა-ათ-ტონიანი ხომალდი.

მას უწოდეს „გულმოდგინება“ (Endlavrrir).

საშეფო საზოგადოების პრეზიდენტის გრაფ მორტონის ინსტრუქციით კუკს ევალებოდა ეწარმოებინა დაკვირვებანი არა მარტო მნათობ ვენერას მოძრაობაზე, არამედ ზედმიწვენით გამოეკვლეა ავრეთვე წენარი ოკეანეც. კუკი მაშინვე შეუდგა ხომალდის მომზადებას და მოწყობას. მან შეკრიბა ეკიბაზე ოთხმოც-და-ოთხი კაცის შემადგენლობით, მოიმარავა წელიწად-ნახევრის სამყოფი სურსათი და დადგა ხომალდზე ათი ზარბაზანი და ოთრმეტი მორტირა.

კუკთან ერთად მიღიოდა გრინვიჩის ასტრონომი ჩარლზ გრინი, ბორინბირის დოქტორ სოლანდერი, ქიმურგი. მონპაუზი, ახალგაზრდა ენტუზიასტი, იოსებ ბენქის და მხატვარი პარკინსონი.

27 მაისს დეპტოორტის ნავთსაშენში კუკი შეუდგა კაპიტანის და ექსპედიციის მეთაურის მოვალეობას შესრულებას. 30 ივნისს ხომალდი დაიძრა ტემზაზე პლიმუტისაკენ, საიდანაც 26 აგვისტოს,

ჭაფიდა ატლანტური ოკეანეში და 13 სექტემბერს დაუშვა ღუზა, კუნძულ მაღირას ნაპირებთან; აქ მოხდა არასასიამოვნო ინციდენტი, რამაც ცოტა არ იყოს გააფუჭა მოგზაურობის დასაწყისი. პორტუგალიის სანაპირო არტილერიამ არ უპასუხა „გულმოდგინების“ სალიუტს, რაც კუკმა ბრიტანეთის დროშის შეურაცყოფად ჩასთვალია. მან გასცა ბრძანება სროლი აეტეხათ სიმაგრისათვის. მას შემოუქროდა უურეში მდგომი ინგლისური მსუბუქი სამხედრო ხომალდი. ცოტა დააკლდა დიდი შეტაკება არ მოხდა. ახალგაზრდა კაპიტანის სიფიცხე კინაღამ შეიქნა პოლტიკურ კონფლიქტის მიზეზი, მაგრამ ორივე მხარე დროზე მოვიდა გონის და ეს ამბავი მიაფუქებეს. ისე, რომ ინციდენტი არცერ ყოფილა მოხსენებული მოგზაურობის აღშერაში.

მადეირაზან კუკმა გადასწყვიტა წასულიყო რიო-დე-ჟანეიროში. მოგზაურობის ერთმა თვეებ წყნარად გაიარა. ასტრონომ გრინის ენა-მახვილობა და ბენქსის უცნაური, აღტაცებული ხასიათი აცხოველებდა მოგზაურობის ქრთველოვნებას. მანათობელი თევზები იპყრობდენ ბუნების-მეტყველთა ყურადღებას.

რიო-დე-ჟანეიროში კუკმა მოულოდნელი შეხვედრა მოელოდა. პორტუგალელი ვაცე-კოროლი გაიძევრა აღმიანი გამოდგა. ის ამბობდა, რომ აই ესმის ინგლისელების მოგზაურობის მიზანი. შეუძლებელია, რომ შეიარაღებული ხომალდი მიღიოდეს მშეიდობიანი მიზნებით, სად გაგონილა, რომ ზარბაზნები დამდგარი იყოს ისე, ყოველ შემთხვევისათვის და სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ინგლისელები მიემგზავრებოდნენ შორეულ ქვეყანაში იმისათვის. რომ მიღით უჭირიტონ რომელიდაც ვარსკვლავს.

ზრდილობის ყველა წესისა დაცვით, კუკმა ცდილობდა დაემტკიცებინა პორტუგალელისათვის თავის მოგზაურობის მშეიდობიანი მიზანი. მეცნიერები დაუინებით უხსნიდნენ ვას პლანეტის მოძრაობის კანონებს. მაგრამ ვიცე-კოროლი თავს იყარებუნებდა, ვერაფერი გაიგვო, — თუმცა ირწმუნებოდა, — ჩემთვისაც მეტად თავშესაქცევი იქნებოდა მენახა. თუ „როგორ გაივლის პოლარული ვარსკვლავი სამხრეოს პოლუსს“. ესპეციური გონიერმა მეთაურმა გადასწყვიტა. მეტად აღარ შედავებოდა ვიცე-კოროლის და მოემარაგებინა წყალი და სურათი. ამ ღროს ესპანელების მიმავალი ხომალდების კაპიტანმა თავაზიანად აღუთქვა კუკმა გადაეცა მისი წერილები ინგლისში, — კუკმა შეადგინა დაწვრილებითი რელაცია. საადმირალო სამმართველოს ლორდებისა-

თვის, ასლი კი გადასცა ვიცე-კოროლს, რათა საბოლოოდ გაეფანტა
შისი ეჭვები.

ხუთ დეკემბერს „გულმოღვინებამ“ ღუზა ასწია.

მოულოდნელად, ნავსადგურიდან ვამოსვლისას, სანტა-კრისტიან
სიმაგრეების არტილერიამ ხომალდს სროლა აუტეხა. კუქმა გაცდა
გრძანება, შეეჩერებინათ ხომალდი და გაგზავნა ჩავი სროლის მიზეზის
გასაგებად. აღმოჩნდა, რომ სიმაგრის უფროსს არ მიუღია ინგლისელი
თა გაშვების ნებართვა, საჭირო შეიქნა ისევ მოლაპარაკების წარ-
მოება ვიცე-კოროლთან.

კუკი მიხვდა, რომ გაიძვერა შმართველშა, რომელმაც წიხა დღით
გამოუგზავნა მას. წერილი კეთილი მგზავრობის თავაზიანი სურვი-
ლით, განგებ არაფერი შეატყობინა სიმაგრის უფროსს; მას იმედი
ჰქონდა, რომ „გულმოღვინება“ დაიღუპებოდა, — უკიდურეს შეძოხვე-
ვაში სერიოზულად დაზიანდებოდა. კუკი იძულებული შეიქნა დამა-
კმაყოფილებლად ეცნო ვიცე-კოროლის უხერხული პასუხი, თითქოს
ხომალდის გაშვების განკარგულება მის ხელქვეითა დაუდევრობით
დროზე ვერ გადაეცა სიმაგრის უფროსს. კუკი ვერ ჩაშლიდა ესოდებ
მნიშვნელოვან ექსპედიციას. მან გადასწყვიტა, არ მიექცია ყურად-
ღება ვიცე-კოროლის ასეთი საჭირელისათვის და მშვიდობიანად გა-
ნეგრძო გზა.

წასელამდე რამდენიმე დღის წინეთ ინგლისელებმა დაათვალი-
ერეს ოქროს საბადოები.

შავ-კანიან მონების დიდი რაოდენობა წელში წყდებოდა და
იღუპებოდა მძიმე შრომისაგან, ჰავის და კვების აუტანელ პირობები-
საგან და, უმთავრესად, თეთრ მეპატრონეთა მხეცურ მოპყრობისა-
გან. პორტუგალიის მთავრობა ყოველ წლიურად ორმოც ათას ზანგს
ყიდულობდა. ეს ზანგები თითქმის მთლიანად იღუპებოდენ იქროს
საბადოებზე. ხანდახან ბრაზილიაში არ ყოფნიდათ ზანგები და მათ
შოდენიდენ სამხრეთ ამერიკის სხვა ოლქებიდან:

კუკი თავის დღიურში აღშფოთებით კიცხავს პორტუგალელებს,
და ცდილობს დაარწმუნოს მკითხველები საბადოების მფლობელთა
საშინელ საქციელში; მას „ავიწყდება“, რომ მისი თანა-მემამულენი
თავის კოლონიებში არაფრით არ იყვნენ უკეთესი პორტუგალელებ-
ზე. ზანგებს არ დაუმსახურებიათ ასეთი არაადამიანური მოპყრობა, —
— სწერს იგი, — ისინი ისეთივე აღამიანები არიან, როგორც ყველანი
და თუ ზანგები კეთილსინდისიერად მუშაობენ თავისი ბატონებისათ-
ვის, უკანასკნელნიც უნდა მოეპყრონ მათ, როგორც პატიოსან მუშა-
კების და არა როგორც პირუტყვებს. მხოლოდ ამაში ხედავდა ივა

უსამართლობას და გულწრფელად აღშეფოთებული, მოითხოვდა ამ უსამართლობას ბოლო მოღებოდა.

ცხოვრება ხომალდზე წესიერად მიმდინარეობდა, დღითი ტლე, გუშაგობიდან გუშაგობამდე, დილის საუზმიდან სადილობამდე და სადილობიდან ვანშმიდამდე. ოდდესაც ხომალდი შეივლიდა ნავსად-გურში, მეცნიერები გადმოდიოდნენ ნაპირზე იშვიათად მცენარეების მოსაძებნად, ადგილმდებარეობის და ადგილობრივ მოსახლეობის შესასწავლად.

კუკი გამუდმებულ ხელმძღვანელობას უწევდა ხომალდის მთელ ცხოვრებას. იგი მოითხოვდა თავისი პრანებების წესიერ ჲუსტ და სწრაფ შესრულებას, მაგრამ თვის თავსაც მკაცრ მოთხოვნილებას უკენებდა. ხომალდის შემადგენლობა აუსებდა ამის. შეზღვაურებმა იკორნენ მისი წარსული, ხედავდიმინ მასში ნიჯრავ მომუშავე, სამართლიან უფროსს, ზოგჯერ ფიცხი, იგი ყველასთან ერთნაირი იყო... „შეიძლება მისთვის ხანდახან ესაკვედურათ ზედმეტი სიფიცხე, მაგრამ მის რისხებს სწრაფად აყუჩებდა ბუნებრივი გულკეთილობა“... გარდა ამისა, მეზღვაურები, ომელოთაც არა ერთხელ უმოგზაურნიათ შორეულ ქვეყნებში, პირველად ხედავდენ კაპიტანს, რომელიც ზრუნავდა მათი კვებისა და ჯანმრთელობისათვის. ზღვაში გასვლის პირველ დღეებიდანვე მათ იგრძნეს უფროსის გამოკითლიურ ტკიცე და მკაცრი ხელი.

ხომალდის მართვისთან ერთად იგი ეწეოდა მეცნიერულ მუშაობას, კუკი მუდმივად აწარმოებდა ასტრონომიულ და სანავიგაციო დაკვირვებებს, არკვევდა ხომალდის გავლის და შეჩერების ადგილთა გრძელსა და განედს, აღნიშნავდა კომპასის ჩვენებებს, აღრიცხავდა შოქცევათა და უკუჭცევათა დროსა და ზომას; მან შეადგინა ხომალდის უურნალი და დაკვირვებით სწერდა მოგზაურობის დღიურს. ის უპირატესობას ანიჭებდა ხოლმე ყველა საჭირო ცნობის ჩაწერისა და არა ბუნების სილამაზის აღწერებს, ამასვე ავალებდა იგი თავისთანამგზავრებს; იგი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ მის ამოცანის შეადგენს არა ლამაზი შიგნის დაწერა ჯერ უნახავ ქვეყნების სასწაულთა შესახებ, არამედ დაწვრილებით და წესიერი რელაციის შედგენა. ასეთი რელაცია, პირველ რიგში, სასარგებლო იქნებოდა მის მდგომარეობაში მყოფ კაპიტანებისათვის, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან ხომალდის წესიერ მართვა-წაყვანისათვის.

დღითი-დღე, სათობით იგსებოდა რვეულის გვერდები დაწერა-ლებითი ჩანაწერებით, ჲუსტი ციფრებით და მეცნიერული სახურ წოდებებით, მაგრამ რვეულში კოჭლობდა მართლწერი.

.... უნდა გახსოვდეთ, — ეუბნება ის თავის მცითხველებს, — რომ ეს არის ნაწარმოები აღამიანისა, რომელსაც არ მიუღია ხანგრძლივი განათლება სკოლაში, რომელიც ახალგაზრდობიდანვე ზღვებზე მოგზაურობს”...

განსაკუთრებით საგულისხმოა კუკის დღიურის შედარება მისი შეორე მგზავრობის თანამგზავრის, გვორგ ფორსტერის დღიურთან. ორივე ტლიური, გამომცემლის სურვილით, ერთ წიგნად გამოყიდა. აი, როგორ სწერს ფორსტერი:

„...მთვარე ანთებდა მთელი ლამე მოწმენდილ ცაზე და ფარავდა თავის ვერცხლისფერ შუქით ზღვის გლუვ ზედაპირს, იმ დროს, როდესაც ზღვაში ისახებოდა შორიდან მშვენიერი, თითქოს ფერის სწლით მოხატული პეიზაჟი“...

კუკი სწერს:

„...თუმცა ამ მიმართულებით აღებული გზის იმედი არ მქონდა, მაგრამ მე მაინც დაუინებით მივდიოდი სამხრეთსაკენ დილის 3 საათიდან თორმეტამდე: როდესაც ჩვენ შეგვაჩერა შტილმა 58°56' სამხრ. განედ. და 13°26' აღმ. გრძ.; რამდენიმე საათის შემდეგ დაბერა. დასავლეთის ჭარბა, რომლის მიხედვით ავიღე კურსი აღმოსავლეთისაკენ“....

კუკის წინამორბედნი ფიქრობდენ, რომ ხომალდის წაყვანა წყარო აკეთებული უნდა იყოს სამართლის გავლით.

კუკმა უარყო ეს აზრი. მან წაიყვანა „გულმოდგინება“ ცეცხლის მიწის და გორნის კონცხის მოვლით. ოცდაცამეტი დღის შემდეგ ის უკვე წყარო აკეთებული იყო, სამნახევარ გრადუსზე ჩრდილო-ურთით მაგელანის სრუტისაგან; უწინდელი მოგზაურები კი გადიოდენ სრუტით და ამ გადასვლას სამ თვეს ანდომებდენ; ამგვარად, კუკმა შეინახა თავის ხელქვეითთა ძალ-ღონე, შეამცირა ხომალდის მოკაზ-ჭულობის გაცვეთა და, გრძედ-განედის ზუსტი აღრიცხვით, დააწესა უმოკლესი და უმიშარი გზა. მთელი თებერვლის განმავლობაში წომალდი მოდიოდა ღია ზღვაზე. შემდეგ გამოჩდა უცნობი კუნძულები. მობნეული აკეთებული სხვადასხვა მხარეზე. დრო ცოტა რჩებოდა კუკი აღნიშნავდა კუნძულებს რუკაზე. და გვერდს უვლიდა მათ. კიდევ საჭი თვე მიღოთდა „გულმოდგინება“ დასავლეთით, თავის მოგზაურობის მიზნისკენ, — ამხანაგების კუნძულებისაკენ:

მოგზაურობის ერთი წლის განმავლობაში კუკი ახლოს გაეცნ ახავის ხელქვეითებს. მან შეასწავლა თვითეული მეზღვაურის, თვითეული ჯარისკაცის ხასიათი, მათი უარყოფითი და დადებითი თვისებები. იყვნენ მათ შორის კეთილსინდისიერი, პატიოსანი აღ-

შიანები, მაგრამ იყვენ შფოთიანებიც, ძნელად რომ ემორჩილებოდენ დისციპლინას. ესენი გაჩერების დროს დაუშებლად ირჯებოდენ აღგილობრივ მკვიდრთა მიმართ. იყვნენ აგრეთვე გულკეთილი, მაგრამ სუსტი ადამიანებიც. გადაჭარბებით რომ ეტანებოდენ მაგარ სასმელებს, — მათი მოთვინიერება შეიძლებოდა მხოლოდ მკაცრი გაფრთხილებით. იყვნენ უწინდელ მოგზაურობით განებივრებული გულადი ვაჟბატონები, ისინი ექცეოდნენ კუნძულთა მცხოვრებლებს ძველ კონკვისტადორთა ყველა წესის თანახმად და ამტკიცებდენ, რომ ევროპელს თავისუფლად შეუძლია გაძარცოს „ველური“. ამის შიზეზი იყო ის გარემოება, რომ მათივე მსგავსი, სამხრეთ ჰლვებში მავალი სავაჭრო ხომალდების კაპიტანები ხელს უწყობდენ და უწონებდენ მათ ასეთ საქციელს. კუქმა ყოველივე ეს მხედველობაში მიიღო, მან შეადგინა და წაუკითხა ეკიპაჟს წესები და მოითხოვა მათი შეურყევლად შესრულება; წესების დარღვევისათვის კი იგი სასჯელით იმუქრებოდა. აი, ეს წესებიც:

1. „ყოველივე ძალონით ეცადეთ ინდოელების კეთილი განწყობილების მოპოებას და ყოველთვის მოპყარით მათ უდიდესი კაცომოყვარეობით.

2. ინდოელებისაგან¹ სურსათის, ხილეულის და სხვ. საყიდლად უნდა დაინიშნოს ხოლმე ერთი ან რამდენიმე პირი. ხომალდზე მყოფ სხვა პირებს, ოფიციალებს ან მეზღვაურებს არა აქვთ უფლება აწარმონ გაცვლა-გამოცვლა, განსაკუთრებული ნებართვის გარეშე.

3. იმ პირს, რომელსაც გარკვეული დავალება აქვს მიცემული ნაპირზე, ეკრძალება სადარაჯოს მიტოვება. თუ ჯარისკაცი, მუშა ან მეზღვაური თავისი გაუფრთხილებლობის მიზეზით დაკარგავს იარაღს ან ხელსაწყოებს, ამ ნივთების ღირებულება მას არამც თუ ჯამოერიცხება ჯანაგირიდან, არამედ, თანახმად საზღვაო წესებისა, იგი დაისჯება ისე, როგორც იმას შემთხვევა მოითხოვს.

4. ჯარიმა დაედება ყველას, ვინც შეზღუდავს გაცვლა-გამოცვლას ან გაცვლისათვის გამოიყენებს რომელიმე ნივთს, რომელიც ხომალდს ეკუთვნის.

5. რკინის ან სპილენძის ნივთები, ტანსაცმელი ან მსგავსი საჭირო სავნები შეიძლება გადაიცვალოს მხოლოდ სურსათზე“. ხელმოწერილია ჯ. კუჩი.

¹ კოლუმბის შემდეგ, რომელმაც ასე უწოდა, ამერიკის მცხოვრებთ, — ამ სახელს არქევეგდენ ყველა ახლად აღმოჩენილ ქვეყნების მკვიდრთ:

1769 წლის ცამეტი ივნისს „გულმოდგინებაშ“ ჩაუშვა ლუზა ამ-
ხანაგობის კუნძულთა შორის ყველაზე დიდი კუნძულის, — ტა-
ტის¹ ყურეში.

უკვე ორი დღით ადრე ცისფერ ბურუსში გამოჩნდა კუნძულის
ხაკვთები, წვიმის ზოლი ხან ფარავდა და ხან აჩენდა დაკბილულ
მწვერვალს. მზის სხივებზე კუნძული ათასორად ელვარებდა. ბა-
ზალტის კლდეები ალისფრად ბრწყინვდენ ხშირი ტყეების მწვა-
ნით დაფარულ ნაესაყუდლებსა და კონცხებს შორის. გამოჩნდა
მარჯნის ბრაგების ნახევარ-წრე, რომელიც, იცავდა კუნძულს ტალ-
ლების ცემისაგან. ბრაგებს იქნით. ზოვის გლუვ ზედაპირზე, ისახებო-
და მწვანე მთები და ნაპირზე მწყობრად აშოლტილი კოკოსის
პალმები.

პირველ დღიდანვე კუკმა დაიწყო ასტრონომიულ ხელსაწყო-
ების გადმოტვირთვა და მათთვისაც სიმაგრის აგება.

ბენქსმა დადგა კარავი, რომელსაც მაშინვე გარს შემოეხვიერ
ცნობისმოყვარე ადგილობრივი მკვიდრნი. მათ შორის ზოგს უკვე
ენახა უცხოელები. კუკი ფრთხილობდა, — იგი ცდილობდა დაერწმუ-
ნებინა კუნძულის მცხოვრებნი, რომ დაექცებს ღამის გასათევ ად-
გილს მხოლოდ რამდენიმე დღისათვის. ხომალდზე დარჩენილ არტი-
ლერისტებს მან უბრძანა დაემიზნებინათ ზარბაზნები ნაპირისათვის.
ვინ იცის, რა მოეპრიანებოდათ ამ, ერთი შეხედვით, სათნო ველუ-
რებს.

კუკმა დასტოვა ნაპირზე ცამეტი ჯარისკაცი, ოფიცრის მეთა-
ურობით, თითონ კი, თანაზღავრებთან ერთად, წავიდა ახლო-მახლო
მიდამოების დასათვალიერებლად.

ტყე ნაპირამდე იყო ჩამოსული; შეხუთული, სურნელოვანი ჰა-
ერი თავბრუს ასხემდა ადამიანს. პურის ხის მძიმე ნაყოფებს ძირს
დაეხარათ ტოტები, რომელსაც ფართე და ღრმად დაჭრილი ფოთ-
ლები ესხა. მათ გზას უღობავდა ნაყოფების, ყვავილების და ტოტე-
ბის ქაოსი, გადაბურდული ლიანების გირლანდებით; დიდის სიძნე-
ლით არღვევდენ ისინი ამ ჭრელ, ცოცხალ კადელს. ჰაერი ცხელი
და ნოტიო იყო, სოლანდერს და ბენქსს თვალები გაუბრწყინდათ.
ისინი ხან ერთ ადგილისაცენ გარბოდნენ, ხან მეორისკენ, მანამდე
უნახავ მცენარისა, ყვავილებისა ან ნაყოფისაცენ. გრინი დასცინოდა
ალტიცებულ ბოტანიკოსებს.

¹ კუკის დღიურში და მისი ცხოვრების აღწერილობაში კუნძულს ეწოდება
— „ტატი“. ეს სახელწოდება კუკმა 10 მაისს გაიგო ადგილობრივ მცხოვრებლე-
ბისაგან და შეუცვლელად დასტოვა იგი.

მოულოდნელად ყველა შეჩერდა. ნაპირის მხრიდან მათ მოას-
მათ უწესრიგო თოფის სროლა. ისინი საჩქაროდ დაბრუნდენ.

საქციელ წამხდარმა ოფიცერმა მოახსენა კუკს, რომ ერთ-ერთი
ადგილობრივი მკვიდრი მოეპარი ჩვენს გუშაგს, თოფი გამოსტაცა
და გაიქცაო. მაშინ მე ვუბრძანე ესროლათ და „ველური“ მოვკალითო.

აღმოჩნდა, რომ ოფიცერს კუკისათვის სწორედ არ ეამბნა მომხ-
დაო ამბავი. კუნძულის მცხოვრები მართლაც მდჯვრებს მოექლათ,
სხვა ჯარისკაცებს კა აუტეხიათ სროლა უცხოელთა დასათვალიერებ-
ლად შეკრებილ ველურთა ბრძოსათვის. რაღაც საოცარი შემთხვევის
გამო არავინ არ მოუკლავთ და არც დაუჭრიათ. ბრძო გაიტენტა. გან-
მარტოებით ეგდო მრკლულის გვამი. ამ შემთხვევამ გააუსიამოვნა
ასე კეთილად დაწყებული დღე.

კუკი აღშევოთებული იყო. იგი, ააღელვა თოფიცრის უგნურმა
საქციელმა, და ჯარისკაცების სიმხეცემ. რა საჭირო იყო ერთბაშად
ასეთი სასტიკი ზომის მიღება. განა ამას ეწოდებოდა მისი წესების
დაცვა? მან სასტიკი საყვედლური გამოუცხადა ოფიცრს და დაემუქ-
რა ჯარისკაცებს, ვინც ასეთ სისაძაგლის ჩაიდენს კიდევ, გამათრა!
ხებული იქნებაო.

განრისხებული კუკი, ჩვეულებისაშებრ მაღვ დაწყნარდა. მან
აუხსნა თრივე მხარეს მათი მიუტევებელი შეცდომა. ადგილობრივ-
თა, მიმართ კუკი განსაკუთრებულ სიფრთხილეს იცავდა; ის არავის
აძლევდა ხის მოჭრის ნებას, თუ მცხოვრებთა თანხმობას არ მიიღებ-
და,—ხევბი კი საჭირო იყო სიმაგრის ასაგებად. სიმაგრე ყოველ შემ-
თხვევისთვის, დაცული იყო მორტირებით. მცხოვრებლები გაუბე-
დავად და ცნობის მოყვარეობით შველოდენ ინგლისელებს მასალე-
ბის ზიდვაში.

გავიდა რამდენიმე დღე და კუკს ისევ დასჭირდა წესრიგის
დაყარება, მაგრამ ეხლა იძულებული გახდა უფრო სასტიკი ზომე-
ბისათვის მიემართნა.

ხომალდის ყასაბს უნდოდა გადაეცვალა ლურსმანი ქვის ნაჯახ-
ზე. ჩააციდა იქაური ბელადის ცოლს, გინდა თუ არა გადამიცვა-
ლეო. ქალმა უარი განუცხადა. მაშინ ყასაბმა გამოგლივა მას ხელი-
დან ნაჯახი და დანა მოუქნია. ბენქსმა დაინახა ეს სურათი და ყო-
ველივე უამბო კუკს. როდესაც ინდოელების ბელადი თავისი ცო-
ლით და ორი ადგილობრივი მცხოვრების თანხლებით, ხომალდზე
ავიდა, კაპიტანმა გამოიძახა ყასაბი, ამხელა მისი უსაქციელობა და
გასცა ბრძანება. დაესაჭათ დამნაშავე. ყასაბს გახდეს პერანგი, მია-

ბეს ანძას და გააშათრახეს. კუნძულელებმა ტირილი დაიწყეს და სონქოვდენ კუკს შეეწყვიტა დასჯა, მაგრამ კუკი ულმობელი იყო.

გამათრახება ითვლებოდა დისციპლინის განმტკიცების ერთად ერთ საშუალებად. კუკი ბევრზე მაღლა იდგა, მაგრამ ის არ იძგა თავისი დროის ზეობაზე მაღლა, იგივე ემჩნევა მას სარწმუნოებრივ საკითხებშიც. კუკი გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ ერთ-ერთი საშუალება ველურ ხალხთა ცივილიზირების და განათლებისა არის მათი მოქცევა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე; კუკი აწირვინებდა კუნძულის მკვიდრთა თანდასწრებით, რომლებიც შეუგნებლად ბა-ძავდენ მლოცველ უცხოელების მოძრაობას, მაგრამ არ ესმოდათ ამ მოძრაობის მიზანი; მათი ინტერესი ცხოველდებოდა მხოლოდ გაც-ვლა-გაშოცვლის საგნების დანახვის დროს. მაშინ იმართებოდა ხოლ-მე მთელი ბაზრობა. კუნძულელებმა ჩქარა გაიგეს ლურსმნის უპი-რატესობა შუშის მძივთან შედარებით, პრიმიტიული აზროვნება ამ უშლიდა მათ ხელს სწრაფად შეეთვისებინათ იმის სარგებლივანობას, რაც მართლა სასარგებლორ ცხოვრებისათვის.

პირველ ივნისს კუკმა გაჰყო თავისი თანამგზავრები სამ ჯგუ-ფად. ორი ჯგუფი მან გაზავნა უახლოეს კუნძულზე, თითონ კა-დარჩა მესამე ჯგუფთან ერთად ტაიტზე, ამგვარად მომავალში მო-სახერხებელი ხდებოდა პლანეტის გავლაზე დაკვირვებათა ჩატარე-ბისას დაშვებული შეცდომების გამოსწორება.

ცას ძლიერი ბურუსი ფარავდა, მაგრამ სამ რიცხვში ცა სრუ-ლიად მოიწმინდა და დაკვირვებებიც დიდის წარმატებით ჩატარდა.

თვითუეულმა მათგანმა შეადგინა ცხრილი და აღრიცხა დაკვირ-ვების აღვილის გრძელი და განედი, პირველადი გარეგანი შეხებს ანუ პირველი გამოჩენა ვენერასი მჩენზე. დილის 9 ს. 25' 42". მეო-რადი შინაგანი შეხება ანუ დასვლის დასაწყისი. შუადლის 3 ს. 14' 8". მეორადი გარეგანი შეხება ანუ სრული დასვლა. შუადლის 3 ს. 32' 10". დაკვირვების წერტი: სამხრ. განედის $17^{\circ} 29' 15''$ გრინვი-ჩისაგან.¹

მოგზაურობის მთავარი მიზანი მიღწეული იყო²:

¹ ცხრილი შედგენილია გრინის მიერ კუნძულ ტაიტზე.

² ვენერას გავლა ხდება მხოლოდ 4-ჯერ 243 წლის განმავლობაში, რადგან 243 წელი შეადგენს პლანეტის 152 სინობრივურ ბრუნვას. ვენერას პირველ გაუ-ლის დაკვირვება ჩატარეს ინგლისში გოროგემ და გრაბტრიმ 1639 წ. 4 დეკემ-ბერს. ვენერას გავლა ხდება ივნისში და დეკემბერში 8, 122, 8 და 105 წლის შუ-ალედებით. ვენერას გავლა იძლევა საშუალებას ე. წ. მზის პარალაქსის, ე. ი. ყვე-ლა ზეციურ მანილთა ერთეულის, ზუსტად გმოანგარიშებისა. ვენერას გავლა მოხდება 2.004 და 2.012 წლებში.

ხუთ რიცხვში მხიარულად იზეიშეს ინგლისის მეფის დაბადების დღე. სეირნობდენ კუნძულზე, აღმოაჩინეს ადგილობრივი მოხეტიალე მუსიკოსები, სტვირზე და დოლზე დამკვრელნი და სოსოვეს მათ თავიანთი ხელოვნების ჩვენება. დოლზე დამკვრელებმა აქვე გამოიგონეს ინგლისელთა საპატივსაცემო სიმღერა.

კუკი განაგრძობდა თავის „ფილანტროპიულ“ ცდებს. მან მიზნად დაისახა აღეჭვეთა ქურდობა. რასაც ყოველდღე ეწეოდენ ადგილობრივი მცხოვრებნი. კუკმა კატეგორიულად აუკრძალა გუშაგებს ესროლათ ქურდებისათვის უტყვიოდ. დატენილ ოოფებითაც კი; მართალია, ასეთი განკარგულება გამოწვეული იყო იმ მოსაზრებით, რომ ასეთი სროლა შეასუსტებს კუნძულელთა შიშს სასროლ იარაღისადმი.

მაგრამ ყოველი მისი ცდა, ჟესნათ თვით კუნძულელთათვის, რომ ქურდობა არ არის ხელსაყრელი, — ფუჭი გამოდგა. ბოლოს, მან ახალ ხერხს მიმართა.

ერთხელ კუნძულელთა ოციოდე ნავი, თევზით სავსე, დაბრუნდა ზღვიდან. კუკმა ბრძანება გასცა ხელში ჩაევდოთ ნავები, წაეღოთ სიმაგრისაკენ და გამოეცხადებინათ მეთევზებისათვის, რომ დასწვავდენ ნავებს, თუ დაბრუნებული არ იქნებოდა მოპარული ნივთები. მცხოვრებლებმა დააბრუნეს მოპარული რკინის მცირე რაოდენობა და მოითხოვეს ნავები. კუკმა უარი განაცხადა. მეორე დღეს არავინ აღარ გამოცხადებულა. „კაჭო-მოყვარე“ კაპიტანი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა: შეიძლებოდა თევზი დამპალიყო სიცხისაგან. მას ან უარი უნდა ეთქვა თავის სიტყვაზე, ან უნდა გაეწირა საშიმშილოდ, შეიძლება, სრულიად უდანაშაულო ხალხი.

კუკმა მიმართა კომპრომისს: წაიღონ თევზი და დასტოვონ ნავები, მაგრამ ეს უფრო უარესი გამოვიდა: მცხოვრებლები ეცენ და გიოტაცეს თევზი, ვისაც რამდენი უნდოდა, მეთევზებს კი ანგარიში არავინ გაუწია. ნავების დაბრუნება მაინც მოითხოვეს. კუკი თავს იძულებდა: ივი ამბობდა, რომ კუნძულელებს ვერ გამოურკვევიათ, თუ ვინ არის ნამდვილად ქურდი, ნივთები კი დამალულია სხვა კუნძულებზე. მაგრამ ის მაინც იძულებული იყო ელიარებინა, რომ ადგილობრივ მკვიდრათა ზნეობის გამოსწორების ბრძნულად მოსაზრებულია ცდამ ფუჭად ჩაიარა.

იყო დეზერტირობის შემთხვევებიც, როდესაც კუნძულელთა უდარღელი ცხოვრებით ან კუნძულელ ქალის სილამაზით გატაცებული მეზოვაური ან ჯარის კაცი მიღიოდა ხომალდიდან და ქრებიდა. ამ შემთხვევაში, კუკი დააკავებდა ერთს ან რამდენიმე ბე-

ლადს და გამოაცხადებდა, რომ არ გაანთავისუფლებს მათ, ვიღრე
არ იქნება მოყვანილი დეზერტირი, მაგრამ ეს ზომა ყოველთვის
არ სჭრიდა და კუნძულელნი უპასუხებდენ უინიანი კონტრ-მოთხოვ-
ნით: ჯერ დაუბრუნონ ბელადები და შემდეგ მოიყვანენ დეზერ-
ტირს, — და ძალა-უხებურად საჭირო ხდებოდა დათმობა.

ექსპედიციის მეცნიერული მუშაობა წარმატებით მიმდინარე-
ობდა. კუკმა და ბენქსმა ნავით იმოგზაურეს კუნძულის ირგვლივ და
გამოარევის მისი სიდიდე. შემდეგ ბენქსი გაემართა მდინარეთი ზე-
ვრთ და აღმოაჩინა მთების ვულკანიურ მუშაობის შედეგები. სიმაგ-
რის ირგვლივ და ტყის ჭალაკებში მათ დასთესეს რიო-დე-უანეირო-
ზან წამოლებული საზამთროს, ლიმონის და ფორთოხლის თესლი.

დიდის რაოდენობით მან დაურიგა თესლი ადგილობრივ მცხოვ-
რებთ, თანაც აუხსნა, რომელ ნიადაგში და როგორ უნდა დაითესოს
ეს თესლი.

სამმა თვემ განვლო ტაიტზე მოსვლის დღიდან და საჭირო იყო
უკან გამგზავრებაზე ფიქრიც.

ნაჯახები, ლურსმნები, დანები და შუშის მძივები გასცვალეს
სხვადასხვა სურსათის დიდ რაოდენობაზე. ექსპედიციის ყოველმა
მონაწილემ დაწვრილებით აღწერა ასტრონომიული და გეოგრაფი-
ული ცნობები, კუნძულის ფლორა და ფაუნა, ადგილობრივ მცხოვ-
რებთა ზნე-ჩვეულებანი.

კუნძულის მთავარმა ქურუმმა, ტუპიამ, მოისურვა გაჰყოლოდა
ინგლისელებს, კუკი გაახარა ნდობის ასეთმა ნიშანმა, იგი დასთანხმ-
და წაეყვანა მოხუცი, რომელიც კარგად იცნობდა ახლო მდებარე
კუნძულებს, მცხოვრებთა ენას და ზნე-ჩვეულებას. ასეთი აღამიანი
შეიძლებოდა სასარგებლო ყოფილიყო.

ტუპია ა. წავლიდა კუკს კუნძულების სახელწოლებებს, უამბობ-
და, თუ რომელ კუნძულზე შეიძლება ღორების ან ნანადირევის
შოვნა; იგი ხშირად გულმოღვინედ ლოცულობდა, სთხოვდა თავის
ღვთაებას ქარის გამოგზავნას, თუმცა ყველაფერი ისედაც მოწმობ-
და, რომ ქარს უნდა დაებერა.

ზოგ კუნძულზე შეჩერდებოდენ ხოლმე სურსათის და ხორავის
მოსამარაგებლად. ამ დროს ეცნობოდნენ ადგილობრივ მეფეებს. კუ-
კი იცავდა აუცილებელ ეტიკეტს: უცვლიდა სახელს კუნძულის
მფლობელს. თუ მეფეს ქვიოდა ორე, — კუკის კუნძულზე ყოფნის
დროს კუკი იღებდა მის სახელს, მეფეს კი უწოდებდენ კუკეს. ყო-
ველივე ეს აძლევდა გრინს კარგ საოხუნჯო შასალას.

ჭუკი არ ივიწყებდა ინგლისის ინტერესებსაც. განშორებისას, მან გადასცა მეფეს ლითონის ფირფიტა, ზედ ამოკვეთილი წარწერით:

„მისი ბრიტანული უდიდებულესობის ხომალდო „გულმოდგონება“, ლეიტენანტ ჯემს კუკის მეთაურობით, გუან, 13 ივლისი 1769 წ.“

ამგვარად, განმტკიცდა ინგლისელთა უფლება კუნძულის აღმოჩენის პირველობაზე.

სამი კვირის მოგზაურობა კუნძულიდან კუნძულისაკენ ერთფეროვანი აღმოჩნდა: ამიდი ცვალებადი იყო: ხან ქარი ქროდა, ხან წყნარი დარი დგებოდა და ბურუსი ფარავდა მიწას. ხომალდი ფრთნილად გარს უვლიდა მარჯნის ბრაგების კედელს, რომ ფსკერი არ გახვრეტოდა.

„მოსაწყენი და ძნელი ცურვაა“—ჩასწერა კუკმა თავის დლიურში. მან გადასწყვიტა პირდაპირ ევლო სამხრეთისაკენ, სანამ ხმელეთს შეხვდებოდა და უკვე ალარ ეძებნა ახალი კუნძულები.

ოცდახუთ აგვისტოს აღნიშნეს ინგლისიდან გამგზავრების წლის თავი.

ორმოცდა ორი დღე ვიღოდენ ლია ზღვაზე. ცურვის ერთფეროვნება გამოაცხოველა კუდიან ვარსკვლავის გამოჩენამ პირიზონტის ზემოთ. კუდიანი, ცეცხლოვანი მნათობის ლამაზი გაფრენა. ხუთი საათი გრძელდებოდა: ამ ამბავმა გამოიწვია ასტრონომების სიხარული, მაგრამ სასოწარკვეთილებაში ჩაავდო ტუპია, რომელიც განერთხო ღვთაების წინაშე და უქადდა მრავალ უბედურებას დატოვებულ კუნძულის მკვიდრთ.

ექვს ოქტომბერს ახალგაზრდა მეზღვაურმა ნიკოლოზ იუნგმა, ანძაზე ასკლისას, პირველმა დაინახა მიწა.

ნელა ახლოდებოდა და იზრდებოდა უშველებელი. მთის მწვერვალები, ნაპირები მიიმართებოდენ შორს ჩრდილოეთის და სატრეთისაკენ.

მოგზაურთა უმეტესობამ გადაშვიტა, რომ ეს არის დიდი ხნის ძიების საგნად გამხდარი სამხრეთის მიწა, პირობით აღნიშნული რუკაზე Terra Australis incognita-ს¹ სახელწოდებით.

კუკმა უბრძანა ჩაეშვათ ნავი. იგი გაემგზავრა ნაპირის დასათვალიერებლად პატარა მღინარის აყოლებით. გამოჩენდენ ტაიტელების მსგავსი ადგილობრივი მცხოვრებნი. მათ მაშინვე გაძიამულავნეს

¹ უცნობი სამხრეთის მიწა.

მტრული განწყობილება; მათ, როგორც ეტყობოდა, ესმოდათ ყოველივე, რასაც ტუპია ეუბნებოდა, შაგრამ მაინც არ სურდათ რაიმე ურთიერთობა ტაქქავებინათ მოსულებთან და ლახვრებითაც იმუქ-რებოდენ.

არ გასჭრა! არავითარმა მოლაპარაკებამ, არავითარმა საშვიდობო ნიშანმა. ასეთი მდგომარეობა რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. თუ ვინმე მიუახლოვდებოდა მათ, კუნძულები ისარს ესროლენ ან ნაეს ართმევდენ, რის გამოც ბევრი ველური სიცოცხლეს გამოასალმეს, ბოლოს მოთრინებილან გამოსულმა კუკმა უბრძანა დაეჭირათ შვიდი მენავე-კუნძულელი, ისინი მაშინვე გაიქცენ. მათ დასაშინებლად კუკმა უბრძანა დაეწყოთ სროლა ჰაერში. გაქცეულები მოულოდნელად შეჩერდენ და გაუმასპინძლდენ მათთან მიახლოვებულ ნავს, რომელშიდაც კუკმა იჯდა, ქვების, ისრების და ნიჩბების ისეთი სეტყვით, რომ ინგლისელებმა მათ სროლა აუტეხეს, ოთხი მათგანი მოკლეს, სამი კი დაიჭირეს.

კუკის ბიოგრაფი ცდილობს გაამართლოს თავისი სახელგანთქმული თანამემამულის საქციელი მისი გულფიცხობით და ადგილობრივ მცხოვრებთა წინააღმდეგობის მოულოდნელობით, მაგრამ მას იქვე მოჰყავს ამონაწერი კუკის დღიურილან, რომელიც სავსებით ვერ ამართლებს ავტორს:

„რასაკვირველია, ინდოელებს არ დაუმსახურებიათ სიკვდილი მტოლოდ იმიტომ რომ მათ არ მოისურვეს დანდობოდნენ ჩემს დაპირებებს და გადმომსხდარიყვნენ ჩემს ნავში, კიდეც რომ არაფერი სცოდნოდათ ასეთ საშიშროების შესახებ. მაგრამ ჩემს მიზანს შეადგენდა მათი ქვეყნის შესწავლა. ამ მიზნის მიღწევა კი მე ორი გზით შემეძლო, —ძალით ან მათი ქეთილი განწყობილების დამსახურებით: მე უკვე ცსინჯე საჩუქრების ძალა, მაგრამ ამაოდ. ჩემი ერთად-ერთი სურვილი იყო ამეცდინა ყოველგვარი მტრობა და გადმომეყვანა რამდენიმე ინდოელი ჩემს ნავზე, რათა დაგვერწმუნებინა ისინი, რომ ჩეენ არ გვსურს ავი და შეგვიძლია ხელი შევუწყოთ მათ ბედნიერებას. მაშასადამე, ჩეში განზრახვა არ იყო ბოროტი. მართალი რომ ვთქვათ, ამ დავაში, რომელსაც მე სრულებით არ მოველოდი, ჩეენ შეგვეძლო გაგვემარჯვებინა ამდენი სისხლის დაუღვრელადაც მაგრამ ასეთ პირობებში, როცა გაცემულია სროლის ბრძანება, არავის არ შეუძლია განსაზღვროს საშიშროება ან წინდაწინ გაზომოს მისი შედეგები“.

კუკი ნანობს თავის მოუფიქრებელ საქციელს. მართლაც, ხომ შეიძლებოდა, რომ მას არ გაეცა სროლის დაწყების ბრძანება? და-

კავებული და ხომალდზე წაყვანილი მცხოვრებლები, როგორც გვიჩვენებს დღიური, არავისთვის საჭირო არ იყო. თვით ის ადგილიც კი, საღაც მოხდა უდანაშაულო ხალხის ხოცვა-ულეტა, კუქმა მაღვე დასტოვა. „ფილანტროპი“ ხანდახან ჰედმეტად “ფიცხი“ იყო.

კუქს არ მოეწონა კუნძულელთა მებრძოლი ხასიათი, მან გადას-შევიტა შეუჩერებლივ წასულიყო სამხრეთისაკენ. თუ ხომალდს მიუახლოვდებოდა ნავები შეიარაღებული მცხოვრებლებით, მას განზრახული პქონდა ესროლა ზარბაზნებიდან და მით დაეშინებინა ისინი.

ექვსი თვის მგზავრობამ დაარწმუნა კუქი, რომ ეს ხმელეთი სრულებითაც არ არის მისი ძიების საგანი,—სამხრეთის უცნობი მიწა.

პლანეტა მერკურის გავლაზე ჩატარებულმა დაკვირვებებმა, რაც ჩატერა გრინმა და კუქს მიერ გამოანგარიშებულმა დაკვირვების წერტის გრძელდა და განედმა დააღასტურეს ეს მოსაზრება. გარდა ამისა, ცხადი გახდა, რომ ეს არის სწორედ ის მიწა, რომელიც 1642 წელს აღმოაჩინა პოლლანდიელმა აბელ ტასმანმა, რომელიც მივიდა კიდეც მის აღმოსავლეთ ნაპირებთან.

მოგზაურობის განმავლობაში ადგილობრივ მცხოვრებთა ყოფა-ჭუვა იწვევდა მთელ რიგ გაუგებრობას. ასეთი არა მეგობრული შესვედრით გალიზიანებული მეზღვაურები და ოფიციელი აღარ ემორჩილებოდენ კუქს და თავისი ბურად უსწორდებოდნენ ქურდებს და შეურაცხმყოფელებს. კუქი ამაორახებინებდა თავის ხელქვეითებს, სვამდა მათ გემის ტრუმში, მაგრამ თითონაც ხშირად თავს ვერ იჭერდა და გრძნობდა, რომ უცდ მაგალითს აძლევდა ხელქვეითებს. შეტაკება კუნძულელებთან ხდებოდა თითქმის ყოველ შეჩერებაზე და კუქის ლიბერალურ განზრახვებს ყოველთვის ამსხვრევდა „ველურების“ უინიანობა და მეზღვაურთა შურისძიების გრძნობა.

ასე სწერს, ყოველ შემთხვევაში, იგი თავის დღიურში და ყველაფერს აბრალებს ან ადგილობრივ მკვიდრთ ან მეზღვაურთა აღვირ-ახსნილ ზნე-ჩვეულებას: ცხადია, ხომალდზე რომ გამეფებული ყოფილიყო მტკიცე დისკიპლინა და კუქს პქონოდა მისი დაცვის საკრამისი საშუალება, მეზღვაურთა ყოფა-ჭუვა ველარ გამოიწვევდა ასეთ შეტაკებას. კუქი ხშირად უნებურად ლაპარაკობს თავისი მკაცრი ზომების შესახებ და იქვე ცდილობს დაამშვიდოს მკითხველის „მგრანტობიარობა“ და დაარწმუნოს იგი ამ ზომების აუცილებლობაში. მას არ შეეძლო მიეთითებინა სააღმირალო სამმართველოს საიდუმლო ინსტრუქციაზე, რომლითაც მას ნაბრძანები პქონდა

ულმობლად გასწორებოდა იგი „ველურებს“, თუ ისინი წინააღმდეგობას გაუწევდენ მას, არ შეეძლო აშკარად ერიარებინა, რომ მის „მეცნიერულ“ მოგზაურობას საზღვაო სამინისტრო უყურებს, როგორც ახალ გზების გაკვლევას სამხედრო ფლოტისათვის, როგორც ახალ მიწების „მშვიდობიან“ დაპყრობის დასაწყისს, ბრიტანეთის კაბიტალის სადიდებლად.

კუკი არ არის ჯარისკაცი, დამპყრობელი, ბოროტი ადამიანი, ის უძრალო შესლვაურია, მოგზაური, მაგრამ მთავრობის დირექტიონის კეთილბანდისიერად შემსრულებელი მოგზაური, ადამიანი, რომელიც გაუღენთილია მოვალეობის გრძნობით იმათ წინაშე, ვინც იგი გავზადნა. აშასთანავე, ის უსათუოდ თანაუგრძნობს ხელისუფლების განზრახვებს, რაღაც იგი ალზარდა გარევაულ გარემოში, რომელმაც მას თავისი ბეჭედი დასვა. მიუხედავად თვალსაჩინო ნიჭისა ღა ხასიათის ლირსებისა, რაც მას განასხვავებდა სხვებისაგან, მოუხედავად რაღაც გაურკვეველ იდეალის ძიების და „კეთილ“ განზრახვებისა, — იგი სავსებით ვერ მოშორდა თავის კლასს, მოლიბერალო სამხედრო წოდების და მეცნიერთა საერთო მასას, ეგრეთ წოდებულ, მოწინავე ინტელიგენციას. ეს ინტელიგენცია ყოველგვარ ფილანტროპიულ, ფილოსოფიურ მოძღვრებათა ჭაღაგებასთან ერთად, ბოლოსდაბოლოს ემსახურებოდა მაინც იმავე სავაჭრო ბურუაზებისა, იმავე მეფის მთავრობას, რომელთანაც დაკავშირებული იყო:

ადგილობრივ მცხოვრებთა ცნობები, ტასმანისა და საკუთარი მოსაზრებები კუკი არწმუნებლნენ, რომ არსებობდა სრუტე, რომელიც ყოფილი ამ ბზარებს თავით დიდ კუნძულად. ამ მხრივ წარმართა კუკმა თავისი ძიება.

ოცდა ორ იანვარს, მაღალ მთიდან, მან დაინახა სრუტის დასაწყისი, რომელიც მიიმართებოდა ტყით შემოსილ კლდეების ვიწრო გასაგალისაკენ და აღმოსავლეთით უერთდებოდა ზღვას... ეჭვი აღარ იყო. საჭირო იყო ამ სრუტის გავლა.

ანძებისათვის გამოსაღებ, უზარმაზარ, მშვენიერ ხეების გარდა, აშე ქვეყანას არაფერი გააჩნდა. ცხოველები, გარდა ძალლების და ვირთაგვებისა, მწერებიც კი, სრულებით არ ჩანდა. მხოლოდ ზღვა იყო სავსე ყოველგვარი თევზით, რომელსაც ბლომად იჭერდენ საკუებად!

კუკი დაუკარკა იმედი ადგილობრივ მკვიდრებთან წესიერი დამკიდებულების დამყარებისა, იგი ცდილობდა მხოლოდ განემტკიცებინა თავისი, აღმოჩენა. ის აშენებდა პირამიდებს და აწყობდა

ზედ ფულებს, ტყვიებს და შუშის მძივებს. ერთ ნავსაყუდელში მან დადგა ორი სვეტი და ზედ წაწერა თავისი ხომალდის სახელი, დღე და წელიწადი. სვეტების აღმართვას თან მოყვა მისი საზეიმო გადაცემა მოხუც კუნძულელისათვის, რომელმაც პირობა მისცა კუქს, რომ სვეტებს ხელს არ ახლებდა და უჩვენებდა მათ ყოველ ხომალდის კაპიტანს, რომელიც ნავსაყუდელში შემოჟიღოდა. ერთ მაღლობზე აღმართულ სვეტზე ააფრიალეს ბრიტანეთის დროშა და იმ აღგილსაც დედოფალ შარლოტტას სახელი უწოდეს. მეფის სახელით კუქმა გამოაცხადა, რომ ეს მიწა ინგლისს ეკუთვნის. „აშ ფორმალობათა დამთავრების შემდეგ, — სწერს კიპისი, — ინგლისელებმა დალიეს ერთი ბოთლი ღვინო, მისი უდიდებულესობის სადღეგრძელოდ, შემდეგ დაუტოვეს ცარიელი ბოთლი მოხუცებულს, რომელიც მათ მაღლობზე აყვა და, როგორც ჩანს, მეტად კმაყოფილი დარჩა ამ საჩუქრით.

ბიოგრაფი, — აღწერს რა ამ ზეიმს, — იჩქარის ბოდიში მოიხადოს კაპიტანის ყოფაზეცვისთვის, რაღაც არ მოსწონს მას მისი თავისუფლად მოაზროვნე გმირის ასეთი უქვეშევრდომილესი გრძნობების გამოხატვა. ბოლოს იგი უმატებს:

„ფილოსოფოსს შეიძლება ეკითხა, რა უფლებით დაეპატრონა ბატონი კუკი, ინგლისის სახელით, უკვე ადამიანებით დასახლებულ მხარეს; ამ კითხვენე შემდეგი პასუხი უნდა გავცეთ: ბატონმა კუქმა ეს ზეიმი მოაწყო არა მარტო ინდოელებისთვის, რომ მათგან რაიმე ბუნებრივი უფლებები ჩამოერთმია, არამედ იმიტომ, რომ თავიდან აეცდინა სხვა ევროპელ მეზღვაურთა შემოწრა, რომლებიც შეიძლება მოსულიყვნენ მის შემდეგ და მოესურვებინათ თავისი სახელმწიფოს სასაჩვენებლოდ ისეთი უფლებების მითვისება, რაც დამყარებული არ იქნებოდა აღმოჩენის პირველობაზე.

ზოგი თანამგზავრი განაგრძობდა მტკიცებას, თითქოს ისინი მისცარავენ სამხრეთის მიწის გასწვრივ; კუკი დარწმუნებული იყო, რომ ეს აზრი არ შეეფერებოდა სინამდვილეს და ხომალდი წინ მიჰყავდა. მან გამოიძახა ოფიცირები და დაარწმუნა ისინი თავის სიმართლეში.

ეს არ იყო მისთვის საკმარისი: მან წაიყვანა „გულმოლგინება“ სრუტით, დაუბრუნდა აღმოსავლეთის შესავალს, და, სამხრეთით მდებარე კუნძულის მოვლის შემდეგ, გაემართა დასავლეთ ნაპირის გასწვრივ. ნავსაყუდლებს, კონტებს, მდინარეებს და პატარა კუნძულებს მან უწოდა თავის მეგობრების და საზღვაო მეთაურების სახე-

ლი, იგი სდგამდა ბოძებს და კიდებდა ზედ, ბაირალებს ხომალდისა და გეორგ III-ს სახელშოდებით.

კუქმა თავის აღმოჩენილ კუნძულებს (გარდა ნაპირისა, რომელიც ტასმანმა თავის ხომალდიდან დაინახა), უწოდა შტატების მიწა¹.

მარტი თავდებოდა. დრო იყო გამოემუშავებიათ ინგლისში უკან დასაბრუნებელი გზის მიმართულება. კუქს ძალიან უნდოდა ჰირნის კონცხისკენ დაბრუნება, რომ ერთხელ კიდევ ეცადა სამხრეთის ნიწის აღმოჩენა. დაბრუნება, კეთილ იმედის კონცხის მოვლით, მოსაწყენი იყო. ეს მეტად ცნობილი გზა არათრის აღმოჩენის იმედს არ იძლეოდა. მაგრამ ჰირნის კონცხს ის მხოლოდ ზამთარში მიაღწევდა, ხომალდს კი ქარიშხლების ძლიერი დაღი აჩნდა. ხალხი დაიღალა, სურსათი ცოტა-ოა დარჩა. კუკი მაინც ჩაებრაუჭა უკანასკნელ შესაძლებლობას. იქნებ თვითონ თვიცურებმა სოხოვონ მას სამხრეთ-აღმოსავლეთით წასვლა? იმედი სუსტი იყო. მან გადაწყვიტა შეექრიბა საბჭო. ოფიციელებმა ერთხმად შემოიტანეს წინადაღება, დაუყონებლივ წასულიყვნენ დასავლეთით, ახალ ჰირლანდის ნაპირებისკენ² და შემდეგ კი ჩრდილოეთით, ინდოეთის ნაპირების გასწვრივ, რამე სიძნელის შემთხვევაში ჭი ეძიათ კვიროსის³ მიერ აღმოჩენილი მიწა.

ოცდა შვიდ აპრილს, წყნარმა, უქარო დარმა, კინაღამ არ დალუპა ხომალდი. ძლიერმა მდინარებამ გაიტაცა იგი ახალი ჰირლანდის სანაპირო კლდეებისაკენ. უკანასკნელ წუთში დაბერა ქარმა და კლდეებს უხითათოდ შეუარეს გვერდით.

ერთი თვის შემდეგ გაიარეს თხის რქის ტროპიკი.

10 ივნისს, მთელი დღის განმავლობაში მოსჩანდა კუნძულები და სილიანი თავთხელები. სილრმე საკმარისი იყო, ქარიც კარგი. დადგა შშვენიერი ღამე. საღამოს ცხრა საათზე, ჩვეულებისამებრ, შეიკრიბნენ კაიიტ-კომპანიაში, სავახშმოდ. საერთო სულიერი განწყობილება კარგი იყო. რაც არ უნდა იყოს, სახლში ბრუნდებოდნენ. უკანასკნელ ხანებში მოღუშული კაპიტანი იცინოდა და ხუმრობდა.

¹ გენერალური შტატების. (პარლამენტის) პატივისუმით; კუკის მიერ აღმოჩენილ არქიპელაგს შემდეგ დაერქვა ახალი ზელანდია.

² ახლა—: ხალი გალლისი.

³ ფერფინანდ კვიროსი—XVII ს. დასაწყისის ესპანელი მოგზაური. სამხრეთის მიწის ძიებაში აღმოაჩინა გებრიდის კუნძულები, რომელთაც უწოდა წმ. სულის კუნძულები. აღწერა თავისი მოგზაურობა გამოცემულია აბსტროდამის 1613 წ.).

გრინი მშენიერ გუნებაზე იყო. იგი აჯავრებდა ოფიცირებს, თვითონ კუკსაც, ყველა ხალისით იღებდა მას ოხუნჯობას. იგონებდენ, როგორ დაბრუნდა ბენქსი ერთი კუნძულიდან, ეკლებით დაჩვლეტილი და კოლოებისგან დაკბენილი.

უცებ კაიუტაში შემოიჭრა ბოცმანი და მოახსენა კუკსე რომ სიღრმე დაკარგულია, ყველა გაეშურა ერდოსაკენ და დაიჭირა თავ-თავისი ადგილი. რამდენიმე წუთის შემდგვ გადასწყვიტეს რომ შიში უსაფუძლო იყო,—ხომალდს გაევლო თავთხელის კიდეზე. ყველა დაიშალა და დაწვა დასაძინებლად.

თერთმეტ საათზე კუკი გამოაღვიძა სირბილმა ერდოზე, ყვირილმა და ოფიცირების აჩეულმა ბრძანებებმა. იგი გარეთ გამოვარდა და საშინელი სურათი დაინახა: ხომალდი დასობოდა მეჩეჩს და ჰვერდზე გადახრილიყო. ძლიერი ტალღები მას ქვებზე ახლიდა. ნაპირი ახლოს იყო. როდესაც მოზომეს, სიგრძე, აღმოჩნდა, რომ ხომალდი კლდეზე იჯდა. წყალში ცურავდა ხომალდის ფალშეკილის და აკრულობის ნატეხები. მდგომარეობა საშინელი იყო. ყოველ წუთში მოსალოდნელი იყო გემის რომელიმე ნაწილში დაწყებულიყო წყლის დინება, რაც გემის დაღუპვას ნიშნავდა. ამასთანავე, მალე უკუცცევა უნდა დაწყებულიყო, ხომალდის შემსუბუქება დროის ტყუილად დახარჯვა იქნებოდა. კლდე ხერხავდა ხომალდს. წყალი შევიდა ტრიუმში. თვითეული წუთი ძეირფასი იყო.

კუკმა ერთ წამში შეაფასა მდგომარეობა.

ექვსი ზარბაზანი, რეინა, ბალასტი, სავსე და ცარიელი კასრები, ტკეჩის კონები, დოქები ზეთით, — ყოველივე ეს გადაისროლეს ზღვაზე.

ტრიუმში ამუშავდა ტუმბოები.

ყველა თავ-თავის ადგილზეა: მეზღვაურები, ჯარისკაცები. ოფიცირები, მეცნიერები, კაპიტანი, — როგორც ერთი კაცი. არც ზედმეტი ხმაურობა, არც ყვირილი, არც უდიერი ლანძღვა, — ყოველივე ამისათვის — სიკვდილით დასჯა მოელოდა დამნაშაქეს. განთიადამდე ასე იმუშავეს.

მიწა თურმე შორს ყოფილა. ნავებზე ყველა ვერ დაეტევა. სანამ ნაწილი მიაღწევდეს ნაპირს, დანარჩენებს ოკეანე შთანთქავს.

კუკი წყნარადაა. თვალები შეელვარებს. ქარი თმებს უთამაშებს. მისი ხმა მტკიცეა და მკაცრი.

შუადღისოვანის სრულებით უქარო, წყნარი დარჩ დგება. თითქმის შესვენებაა, მაგრამ მოქცევამ ვერ დანძრია ადგილიდან ხო-

მალდი, თუმცა გადაედებულია ორმოცდა ათი ტონა ტვირთი. ორი ტუმბო ცამეტი საათია, რაც შეუჩერებლივ მუშაობს.

დაიწყო უკუქეცევა. წყალი მეტი სიძლიერით მოასკდა ტრიუმს. შემდეგი მოქცევა თორქშეტი საათის მერეა. დადგეს კიდევ ორი ტუმბო. ცხრა საათისთვის ხომალდმა ცოტათი აიწია, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ხომალდის ფსკერი კლდეს მოწყვდება თუ არა, მაშინვე გაისსნება ნახვრელი და წყალს ველარაფერი ველარი შეაჩერებს.

აღარ არის დაფიქრების დრო. კუკი უბრძანებს, გასჭირონ ლუზის თოკი:

კვნესით და ჭრიალით ჩამოცოცდა ხომალდი კლდიდან. ათი საათია. დღე-ლამებ გაიარა შეუჩერებელ მუშაობაში. ადამიანები ეცემიან დაქანცულობისაგან, ეყრებიან სოველ ერდოზე, შემდეგ პვლავ დგებიან, ისევ მუშაობენ და ისევ ეცემიან. წყლის დინება გემძირედში ხან მატულობს, ხან იკლებს, ხან უკანასკნელ იმედს ართმევს ჩალხს, ხან კი ძალას შატებს. ერთ-ერთი ლუზა მოწყდა; აუშვეს იალქნები და თერთმეტ საათზე წავიდენ ნაპირისაკენ; ხერელი, საიდანაც გემძირედში წყალი შედიოდა, ვერ აღმოაჩინეს. მაშინ ახალგაზრდა შტურმანმა მონაკაუზმა სცადა ერთ სავაჭრო ხომალდზე ნახული საშუალება წყლის დინების შესაჩერებლად. მან დააკერა ჩალა და მატყლი დიდ იალქანს, მკვრივად დაფარა იგი. ცხვრის განავალით და ნაკელით. იალქანი თოკებით გაჭიმეს ხომალდის ქვევით. ჩალა და მატყლი შეისრუტა ხერელში და იალქანი მიეწება ფსკერს. წყლის დენა უცებ შემცირდა. დასტოვეს მხოლოდ ერთი ტუმბო:

„გულმოლგინება“ გადარჩა და მშვიდობით შევიდა ნავსაყუდელში.

კუკი წავიდა თავის კაიუტაში. მან ჩასწერა დლიურშა:

„....თვითეული ჩვენთაგანი სავსებით დამშვიდებული იყო. ყველა მუშაობდა მოთმინებით, ზუსტად, აუჩქარებლად და ყოველგვარი სასოწარკვეთილების „გარეშე“.

ფათერაკი თან სდევდა ხომალდს. ხომალდზე გაჩნდა სურავანდი. პირველად დაავადდენ გრინი და ტუპია. ჯანმაგარი ტაიტელი ახერხებდა თევზის ჭერას და ამით თავის ძალლონის შენახვას. გრინი, მიუხედავად ქირურგის ყრიველგვარი ცდისა, დლითი-დლე უარესად გრძნობდა თავს. თითქოს განგებო, პირველი ნავსაყუდელი გამოუსადეგარი აღმოჩნდა ხომალდის შესაკეთებლად. დალლილობით ლონე-მიხდილი და ნახევრად ავადმყოფი მეზღვაურები განუწყვეტლივ მუშაობდენ. თითქოს ბოლო აღარ უჩანდა ამ ძნელ მოვზაურობას.

კუკი გარევნულად ყოველთვის მშვიდად იყო. ცხრა ტლე-ლამჭე
ის ებრძოდა ჯიუტ სტიქიას, თავის თავს. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ
დაღლალობა დასძლევდა მის ნებისყოფას. მაგრამ ამის გამოჩენა არ
შეიძლებოდა. არც მეზღვაურებს, არც ჯარისკაცებს, — არავის არ
უნდა შეემჩნია მისი სისუსტის ნასახიც კი.

ბოლოს, „გულმოდგინება“ მაგრად შეიჭრა ცხვირით სილოვან
თავთხელში. შესაძლო გახდა ხომალდის შეკეთება და ავადმყოფების.
გადმოყვანა. დახოცეს მტრედები, გამონახეს წყალი. ხერელის და-
თვალიერებისას აღმოჩნდა, რომ კლდის ნატეხი შეჭრილიყო და გაჭე-
დილიყო ფსკერში. სწორედ ამან გადაარჩინა ხომალდი.

კუკი, ავადმყოფ გრინთან ერთად, მაშინვე შეუდგა ასტრონო-
მიულ დაკვირვებებს; იუპიტერის დაკვირვების გზით მათ გამოარკ-
ვის ადგიუ-მდებარეობა: $214^{\circ} 42' 30''$ დას. გრd. და $15^{\circ} 25' 26''$
სამხრ. განედი.

ოფიცირებს დაევალათ ნაპირის გადაღება.

ავადმყოფებს ეძლეოდათ ყოველდღიურად სამ-სამი გირეანქა
ახალი თევზი, ხარშავდენ ფაფას ცერცვისა და ბალახებისგან. მიუ-
ნედავად აუტანელი სიცხისა (თერმომეტრი ჩრდილში უჩვენებდა,
87%). — მათ ძალ-ღონე უბრუნდებოდათ.

კაპიტანი ზრუნავდა ავადმყოფებისათვის და ანაშილებდა სამუ-
შაოს ჯანსალთა შორის. თვითონ იგი დილიდან საღამომდე ხელ-
მძღვანელობდა ხომალდის შეკეთებას, ასწორებდა ასტრონომიულ
დაკვირვებებს, ზომავდა სიღრმეს და ამუშავებდა გასავლელი გზის
გეგმას. მისი ენერგია სხვებსაც გადაეცა.

არ შეიძლება ეჭვი შეგიტანოთ იმ გულწრფელ მზრუნველობა-
ში, რომელსაც იჩენდა კუკი დაღლილ და ავადმყოფ მეზღვაურთ
მიმართ. მხოლოდ ლონდონში მჯდომარეობის დოქტორს შეე-
ძლო გამოეთქვა თავისი მაღალ-ფარდოვანი ქება ასეთი ფორმალური
ფრაზით:

„.... ამ ფრთხილმა მეთაურმა დროზე შენიშნა, რომ კაპიტანი
დაინტერესებულია არასღროს არ გადაუხვიოს ამ წესს ამგვარ მოგ-
ზაურობაში“.

თვის დამლევს გამოჩნდენ აღგილობრივი მკვიდრნი. ისინი
ახალ ზელანდიელებთან შედარებით უფრო გულკეთილად მოსჩან-
დენ; შიშვლები, ცხვირში და ყურებში გაყრილი ბეჭდებით და თმი-
საგან დაწნულ სამაჯურებით — ისინი მაღვე შეუთვისდენ თეთრებს,
ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდენ ყველაფერს და ხომალდზე
დაც კი ავიდნენ. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მოსულმა ადგი-
ლობრივ მცხოვრებთა მეორე ჯგუფმა მოითხოვა, რომ მათთვის გა-

დავცათ დაჭერილი კუები. უარმა უკმაყოფილება გამოიწვია მათ შორის. ნაწყენშა მცხოვრებლებშა ხელი დაავლეს იქვე გაღვივებულ ცეცხლის მუგუზლებს და ბალახს ცეცხლი წაჟიდეს. რამდენიმე კარავი და სხვა ნივთი ცეცხლმა შთანთქა, საჭირო გახდა თოფის გასროლა: მცხოვრებლები დაშინდენ და გაიქცენ. ალი მოედო ხეებს და ლაშე ცეცხლი გავრცელდა მახლობელ მთების ბალაზე, რამდენიმე შილის მანძილზე. სამ აგვისტოს დაიმრენ თავთხელიდან. ცურავა მეტად ძნელი იყო, ცლდებისა და მეჩეჩების გამო. ხშირად საჭირო ხდებოდა ღუზის დაშვება. ხომალდს წინ მიუძღვდა ნავი, რომელიც სილრმეს ზომავდა.

კუკმა მოაწყო თათბირი ბოცმანისა და ოფიცრების თანდას-წრებით და გადასწყვიტა დაშორებოდა მიწას. ეს ნაბიჯი გამართლდა. ლია ზღვაში „გულმოდგინება“ დაუბრკოლებლად წავიდა წინ.

კუკი განაგრძობდა თავის სამეცნიერო მუშაობას: ახლა მან შიწნად დაისახა გამოეკვლია ახალი ჰოლლანდიის და ახალი გვინეის გავლის შესაძლებლობა. გან წაიყვანა ხომალდი ჩრდილო-დასავლე-ზით.

22 აგვისტოს აღმოჩენილი იქნა სრუტე. გზა ინდოეთის ზღვისა-კენ გახსნილი იყო. ახალი ჰოლლანდიის ჩრდილო კონცხზე კუკმა აღმართა. ინგლისის პაირაღი და უწოდა მიწას ახალი. ვალლისი. თოფებში და ზარბაზნებმა სამჯერ გაისროლეს.

ფდიდესი კუნძული—ავსტრალია, 7.650.000 კვ. კმ. ფართობით, უკალიბტის ტყეებით, ნოკიერი მიწით, უხვწყლიანი მდინარეებით და „ინდოელების“ უფასო მუშა-ხელით გახდა დიდი პრიტანეთის სამეფოს საკუთრებად.

თრი კვირის შემდგვ დაინახეს ახალი გვინეის ნაპირი. „გულმოდგინებამ“ დაიწირა კურსი დასავლეთისაკენ და, შეუჩერებლივ, პიდონდა სრუტით.

კუკი ასწორებდა ძველი რუკების შეცდომებს, უცვლიდა რუკაზე ადგილს შეცდომით სხვაგან მოთავსებულ კუნძულებს, აგრძელებდა ან ამოკლებდა მათ ნაპირებს. პირველი რუკები შეაღვინეს ჰოუმზადებელმა მეზღვაურებმა. მათ არ იცოდნენ კარტოგრაფიის ძეცნიერება და არ შეეძლოთ კოორდინატების გამოანგარიშება. მათ გაურკვეველი და არეული აღწერების მიხედვით პირველი კარტოგრაფები ამზადებდენ აგრეთვე არა სწორ რუკებს. როდესაც ტიბორიას კუნძულს ჩაუარეს,—დაინახეს კოკოსის პალმებით გარშემორტყმული ჰოლლანდიელების სახლები და ცხრის ფარები. ეკი-

პაჟი მოითხოვდა შეჩერებას. სიხარულით შეჯგუფდენ ერდოზე. გამოცოცხლდა ფერწანხდილი სახეები, ხარბად გაბრწყინდა თვალები. პირველად, მთელი მოგზაურობის განმავლობაში, მეზღვაურნი უკაცყოფილო დარჩენ კაპიტანით, როდესაც მან არ მოისურვა გაჩერებულიყო კუნძულთან.

კუკმა აირჩია მეორე კუნძული, — სავა. აქ მოხერხდა ზომიერ ფასებში ცხვრების, ლორების, ქათმების, კეერცხების, კოკოსის კაჭლების, ლიმონების, ხანვის და რამდენიმე გალლონ პალმის ღვინის შესყიდვა, რაც ძალიან შეშურდა ადგილობრივ პოლლანდიურ სავაჭრო კანტორის უფროსს.

ორ აქცომბერს მიაღწიეს იავას ნაპირებს.

ცხელ, ნესტიან, ბურუსში ცისფრად მოსჩანდა მთებზე შეფენილი ტყეები. პალმების და ლერწმების ტყე მოსავდა ფერდობებს. დასახლებულ პოლლანდიელთა სახლები იმალებოდა აკაციისა და ფიგის ხეებში. ნაპირი აჭრელებული იყო ნაირ-ნაირი ყვავილებით. უბის გასავალში იდგა ორი სავაჭრო პოლლანდიური ხომალდი. ერთეულთ მათგანზე კუკმა გაგზავნა პირველი ლეიტენანტი ხიქსი. მას სურდა საჩქაროდ გაეგო ინგლისის ამბები. ლეიტენანტმა მოიტანა პოლლანდის ასტ-ინდურ კომპანიის მდინარის მიერ ხელმოწერილი ქალალდი, რომელიც, გუბერნატორის სახელით, მოითხოვდა პასუხის ყაცემას მთელ რიგ კითხვებზე. კუკმა ჩასთვალა, რომ მის ღირსების დამცირება იქნებოდა ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. მან მოულედ უპასუხა: „გულმოდგინება“. კუკი. ინგლისი.

ორასი წლის სისხლის ღვრამ დაიმორჩილა სულთნები, გადაარჩინა ასტ-ინდელი ვაკრები. მეტოქე-ევროპელებისაგან და მისცა მათ შესაძლებლობა მშვიდობიანად ეთვლიმათ ამსტერდამულ წესით აფუებულ ბატავურ ბუმბულზე და დაუბოლოვებლად ეწარმოებინათ ანგარიში აქტოსი, მონების, წიწაკის, მიხაკისა და იავას კუნძულის სხვა ურიცხვ სიმდიდრისა.

გაახსენდათ ფრანგი ფილოსოფოსის მწვავე ირონია: „შაქარი მეტად ძვირი იქნებოდა, მის მომცემ მცენარეს მონები რომ არ ამუშავდებონ“.

კუკმა არ შისცა სალიუტი ბატავიას და შეუთვალა გუბერნატორს, რომ მას დარჩა მხოლოდ სამი ზარბაზანი. კომპანიის საბჭოს მან სთხოვა ნებართვა დაეყენებინა „გულმოდგინება“-ხომალდის ცხვირის დასათვალიერებლად და შესაკეთებლად.

სალამოს ატყდა ქარიშხალი, გრიგალი და წამოვიდა კოკის-პირული წვიმა. ხომალდის წყალი ესხმოდა, იგი ირყეოდა. მეხი დაეცა

ჭვერდით მდგომ პოლლანდიურ ხომალდის მესამე, უმცირეს ანძას, ანძა, ნაფოტებად ქცეული, ძირს დაეცა. „გულმოდგინება“ გადაარჩინა კუკის წინდახედულობამ, რომელმაც ხომალდზე მეხთამრიდი აღმართა.

ჯერ კიდევ ბარკინგში გაიგონა და წაიკითხა კუკმა ამერიკელ დეპუტატ ფრანკლინის მეხთამრიდის შესახებ. როგორც ყოველთვის, ახლაც გამოჩნდა კუკიანი ხალხი, რომელიც უარყოფდა ახალი აღმოჩინის სარგებლიანობას. ამ განათლებულ ამერიკელის ბედი და მუშაობა ყოველთვის აინტერესებდა კუკს. მუშა-მბეჭდავი, რომელიც იყენებდა თავის ცოდნას წიგნთ-საცავების მოსაწყობად, მათემატიკურ და სხვა მეცნიერულ წიგნების დასაბუჭდად და ხალხში გასავრცელებლად, რომელიც აღმოჩენებს ახდენდა და ფილოსოფიურ ტრაქტატებს სთხზვდა,—ყოველთვის იზიდავდა მის ყურადღებას. კუკმა დააფასა ბოსტონელი ფილოსოფოსის თვალსაჩინო ნიჭი და არჩეველმა, თხუთმეტი წლის განმავლობაში გამოიყენა მეხთამრიდი თავის ხომალდზე.

როდესაც კუკმა მიმართა პოლლანდიელ მდიდრებს ფულადი დახმარებისაოვის, მათ გადაჭრით უარი გამოუცხადეს იმ საპატიო საბაბით, რომ ვერ მისცემენ სუბსიდიას მათთვის, უცნობ შეზღვაურს, რომელიც სარკ კი არის სამხედრო კაპიტანი, მოგზაურობს ყოველგვარი სერიოზული კომერციული მიზნის გარეშე ველურ კუნძულებს, შორის, რაღაც ცის მნათობების საძიებლად. სიფრთხილე შართვებლათ ინგლისელ მეტოქებთან. ვინ იცას, რა ოინებს იგონებს ინგლისი ბატავიელი ვაჭრების კეთილდღეების წინააღმდეგ.

კონება-მახვილი ვაჭრები მაშინვე მიუხვდენ „მეცნიერულ“ უქაცელიცის ნამდვილ მიზანს, კუკს დასჭირდა ოტიციალურ მიწერმოწერის დაწყება გუბერნატორთან და კომპანიის საბჭოსთან, ბეჭდების დასმით და გუორგ მეფის სახელით.

ბატავიის ჰავა საბერისწერო აღმოჩნდა „გულმოდგინების“ ეკიპაჟისოვის და თანამგზავრებისთვის. ისინი ერთი მეორეზე ავაღმყოფდებოდნენ საშინელი ტროპიკული ციებით. ტაიტელების უბედურმა ქურუმმა, რომელიც ასე შეპხაროდა უცნობ ქალაქს, ვერ აიტანა ცხოვრების ახალი პირობები და უჩვეულო კვება. სურავანდმა მოპქლა იგი, ციებ-ცხელება სტანჯავდა ბენქს და სოლანდერს. ქირურგი მონპაუზი გარდაიცვალა, ჯანსაღად იყო მხოლოდ ათი კაცი.

კუკი გრძნობდა, რომ ციება მასაც ერეოდა. მართალია, იგი ისეთი სიძლიერით არ ეკიდებოდა კუკს, როგორც სხვებს, მაგრამ ორგანიზმა და წინდახედულმა ზომებმა საშუალება არ მისცა ავად-

შეოფობას მოეტეხა იგი. კუკი ებრძოდა სენს ისე, როგორც იგი ებრძოდა ზღვის, აღამიანებს, ცხოვრებას. მან მოიკრიბა მთელი ენერგია და არ დაემორჩილა ავადმყოფობას. კუკი დილიდან საღამომდევნელმძღვანელობდა ხომალდის შეკეთებას და გამსჭვალული იყო ერთი აზრით: საჩქაროდ წაეყვანა „გულმოდგინება“ ამ მოწამლულ დგილიდან.

ეს „ამ ქცეულიური სამოთხე“ გაულენთილი იყო მავნე ანართქლით, გახრწნის სიშმორით, გადამდები სენით, ვერავითარი მტრის ტყვია და ოკეანეს ჭარიშხალი ვერ შეეძრებოდა ამ ულმობელ სენს.

შვილი კაცი მოკვდა. ორმოც ავადმყოფი წაიყვანა „ვულმოდგინებამ“ ბატავიადან. ხომალდი მიღიოდა, აღსავსე კვნესით, ბოდვით, მრაწოლავ, უჩვეულოდ მიუჩებული ცხოვრებით. დასუსტებული, გამხდარი მეზღვაურები, ყვითელი სახეებით, ჩაცვენილი თვალებით, ზლაზენით ასრულებდენ სამუშაოს და უვლიდენ ავადმყოფებს.

კუკი განაგრძობდა ბრძოლას. ის ეძიებდა ყოველგვარ საშუალებას ავადმყოფობის შესახერებლად. უექიმობა აიძულებდა მას თვითონ მიმხვდარიყო, რას შეუძლია მოსპოს ან შეამსუბუქოს დავადება. სასმელ წყალში აწვეთებდენ ლიმონს, გემძირედს, საღაცინახებოლა სურსათი, რწყავდენ ძმრით.

ყავიდა ერთი თვე. კიდევ ერთი თვის შემდეგ, თუ ხელსაყრელი ჭარი ცენა, ხომალდი მისღწევს კეთილი იმედის კონცხს. ზედი ზედ იხოცებოდენ აღამიანები. ზედი-ზედ ავად ხდებოდნენ თვიცურები, შეზღვაურები, ჯარისკაცები. ყოველ დილით კაპიტანს მოახსენებდენ გარდაცელილის ან ახლად დაბადებულის შესახებ.

ლამ-ლამობით, როდესაც კუკი საგუშავოს შესამოწმებლად გამოდიოდა, ის ხედავდა სანათის მკრთალ სინათლეზე, როგორ მოძრაობდა ორი მცხლვაურის აჩრდილი. ისინი დიღის სიძნელით მიათრევდენ რაღაც მძიმე ტვირთს, ჩუმად გააქანებდენ და გადასროდნენ ზღვაში. ისმოდა წყლის თქაფუნი. აჩრდილები წყნარად ქრებოდენ სიძნელეში. „კიდევ ცრთი“....

თვე-ნახევრის განმავლობაში, დაიღუპენ ბენქსის მეგობრები — სპორტინგი და პარკინსონი, საყვარელი, ჭკვიანი გრინი, ახალგაზრდა მონჰაუზი, რომელმაც გადაარჩინა ყველანი აუცილებელ სიკვდილს ახალ ჰოლლანდიის ნაპირებთან. მოხუცი ბოცმანი, დურგალი, პირველი. და მეორე მხარეული, ამომჩურთავი, კაპრალი. „ერთი, ორი, სამი.... თხუთმეტი, ოცი, ოცდა ათი.... ვინდა დარჩა. ერთი, ორი, სამი“....

როგორც უზარშახარი, ბნელი ბალდახინი, მიღის ხომალდო ჩრდილოეთისაკენ, მიაქვს სამშობლოსაკენ ცრემლების და უძირო სევდის „შუბუქი“ ტვირთი დედებისთვის, ცოლებისთვის და მეგობრებისთვის.

თხუთმეტი მარტს მიაღწიეს კეთილი იმედის კონცხს.

ისევ გუბერნატორთან მოლაპარაკება, ისევ ნებართვის გამოხსოვა ავალყოფების ნაპირზე გადმოსაყვანად, ისევ სიკვდილის მოლოდინი. დამქანცავად და ფუჭად განვლო ერთმა თვემ.

წმ. ელენეს კუნძულზე მისვლით „გულმოდგინებამ“ დაამთავრა თავისი მოგზაურობა დედამიწის ირგვლივ აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ.

ნავსადგურში იდგა ინგლისის ოსტ-ინდურ კომპანიის თორმეტი სავაჭრო ხომალდი და სამხედრო ხომალდი „პორტლანდი“. მათთან ერთად გაემართა კუკი ინგლისისაკენ. შეექვსე დღეს „გულმოდგინება“ ჩამორჩა მათ. იალქნები და ხომალდის მთელი მოკაზმულობა სულს დაფავდა, ისევე, როგორც აღამიანები. კუკმა შეაჩერა „პორტლანდი“ და გადასცა კაპიტან—ელიოტს ხომალდის უურნალი და ოფიცერთა დღიურები.

თორმეტი „ვაჭარი“ სულ უფროდაუფრო მიიწევდენ წინ.

„გულმოდგინება“-ს თითქოს სავსებით გამოეცალა არაქათი. ამ „პარტლანდიც“ გაქრა ცისფერ ბურუსში.

გვერდით, კაიუტაში ციუბისაგან კვდებოდა პირველი ლეიტენანტი ხიკი. ერთი კვირის შემდეგ მის აღგილზე დანიშნული ჩარლზ კლერკი ამწერივებდა ედროზე მეზღვაურებს, — ლეიტენანტ ხიკის ცხედარი გამოასცენეს ხომალდის ქიმთან,

1771 წლის 1-ლ ივნისს, დილში, კუკმა ჩამოდგა ფეხი ინგლისის მიწაზე.

გეგობრები და გთხები

ამ ჯერად ინგლისი არ გამოიყურებოდა ისე იდილიურად, ისე მშეიღობიანად და კეთილმოწყობილად, როგორც საოჯახო ბედნიერების პირველ დღეებში, როდესაც მთელ ქვეყანას თითქოს სანტიმენტალური ბურუსი ეფინა. სასიხარულო იყო დაბრუნება ლონდონში, ოჯახის კერასთან, რომელიც გაშუქებული იყო ცოლის მიმილით და ბავშვების ტიტინით. უფროსი შვილი ჯეკი უკვე მერვე წელში გადადგა. სასიხარულო იყო მეგობრების ნახვა. ისინა თითქმის არ გამოცვლილან, ამ ორი წლის განმავლობაში. მაგრამ მო-

ზაურობაში მიღებულმა გამოცდილებამ და აგრეთვე მოხვეჭილში დიღებამ აიძულეს კუკი მეტის უურადღებით დაკვირვებოდა გარემოს, ჩაეხედნა ცხოვრებაში, სერიოზულად დაეფასებინა სინამდვილე, უფრო ორმად შეესწავლა ის რაც გააკეთა; გადაესინჯა, გარდა ექმნა ბევრი რამ თავის პიროვნებაში და თავის დამტკიდებულებებში.

ბატავიიდან გამოგზავნილი რელაციები, რომლებმაც მას ჩაუსწრეს ინგლისში, ასტრონომიულ დაკვირვებათა ბრწყინვალე შედეგები, მეცნიერთა მიერ შეკრებილი უძირფასები მასლები, ახალი ზელანდიის აღმოჩენა, მისი აღწერა და რუკები, ახალ ჰოლანდიის კუნძულებრივი მდგომარეობის დამტკიცება, — რამაც დაარღვია უმეტესთაგან მიღებული ჰიპოთეზა, თითქოს ეს მიწები ეკუთვნოდენ სამხრეთის მატერიკს, — დოკურები, რომლებიც მოწმობდნენ ხომალდის ოსტატურ გაძლოლასა, კაპიტანის გამბედაობასა, მოხერხებასა და მზრუნველობაზე, ოფიცირების და მეზღვაურების აზრი, რომლებიც აღტაცებით იხსენიებდნენ თავის უფროსს, — ყოველივე ამან უცხვი წინ წამოსწია კუკი და დააყენა პირველ ადგილზე მეზღვაურთა და კაპიტანთა შორის, უცებ მიიძყრო მისკენ ყურადღება ევროპის ყველა მეცნიერულ ძალების, მინისტრების და ათასეულ ადამიანების, რომლებიც გატაცებული იყვნენ მისი მოგზაურობათა და ახლად აღმოჩენილ ტომთა ზნე-ჩვეულების აღწერით. „მთელი ევროპა ყურადღებით თვალყურს ადევნებდა მის აღმოჩენებს, — სწერს, კასტერა, — და ყველგან დიღის ინტერესით იკითხებოდა ვრცელი რელაციები მათ შესახებ“.

სამეცნიერო საზოგადოებაში იგი ითვლებოდა არა მარტო „კარგ მათემატიკოსად“, არამედ გამოჩენილ ასტრონომადაც, სააღმირალო სამართველოში — უგამოცდილეს კაპიტნად, საზოგადოებაში — გმირად, სახელგანთქმულ ინგლისელად, სამეფო კართან, — ყველა ევროპული მონარქების შურის საგნად.

მოხერხებულმა გამომცემლებმა ისარგებლეს მეშჩანური გემოვნებით, იგრძნეს გამორჩენის შესაძლებლობა და აავსეს წიგნის მაღაზიები სხვადასხვა გემოვნების, ზომის და ფასის ფალბი დღიურებით და მოგზაურობის აღწერებით. წიგნის ბირჟა ფასების აწევაზე თამაშობდა. ნამდვილი დღიურები დიდ ფულად ფასობდა. დოქტორ ხაუკ სკორტს, კუკის მეგობარს, რომელიც შეუდგა მისი დღიურების წესრიგში მოვანას და დასაბეჭდავად დამზადებას, წინასწარ აძლევდენ ათას გირვაქნა სტერლინგს, რაც იმ დროისთვის უდიდეს თანხას შეადგენდა. ვიღაცამ მოხერხა ეშმაკურად გადაეწერა „გულმო-

დგინებაზე” გარდაცვლილი მხატვრის, სიდნეი პარკინსონის დლიური და გამოუშვა იგი მღიდარი გამოცემის სახით, გრავიურებით და რუკებით. მოხერხებულმა გამომცემელმა ზედმეტი ბეჯითობა გამოიჩინა და იმდენი შეცდომა დაუშვა, ისე დაამახინჯა ფაქტები, იმდენად არია თარიღები და ციფრები, რომ მთავრობას დასჭირდა თავის შეწუხება და ამ წიგნის აკრძალვა.

კუს გაუქნდა მრავალრიცხოვანი თავანისმცემლები, ორგული პირმოთნები. ოფიციალურ კეთილგანწყობილების ფონზე მკვეთრად ისახება მტრების სახეები: ასეთი მტრები იყვნენ მთავრობასთან ოპოზიციაში მდგომი არისტოკრატი-მიწათმფლობელები, რომლებიც მეფის კოლონიალურ განზრახვებში თავის ინტერესების შელახვას ხელავდენ, მათ იცოდენ იმ საიდუმლო ინსტრუქციათა შინაარსი, რომელიც გადასცა კუს სააღმირალო სამმართველომ, იციდენ, რომ ეს ინსტრუქციები ეხებოდა ბევრ რამეს, რაც ძალიან დაშორებული იყო მეცნიერებას; ეს მტრები იყვნენ მეცნიერები, რომლებიც ყოველგვარ ფილოსოფიურ სისტემისა და ჰიპოთეზების ნიღაბით მაღავდენ ამავე პოლიტიკურ ოპოზიციის სახეს და ცდილობდენ ჩაეშალათ ლორდი-მინისტრების „მეცნიერული“ საწყისები.

თუმცა კუს მტრული ბანაკის ეს ორი ძალა უფრო სუსტი იყო, ვიღრე მისი „მეგობრები“, რომელთაც, მეტად მაღალი თანამდებობანი ეჭირათ სააღმირალო სამმართველოშიდაც და მეფის კართანაც, — მაგრამ მტრები მაინც მრავალ დაბრკოლებას ქმნიდა და ამ დაბრკოლებათა გადალახვა არც ისე აღვილი იყო. პოლიტიკურმა ჯგუფებმა აირჩიეს სახელგანთქმული მოგზაური თავისი იერიშის მიზნად.

შესაძლოა, კუს ნამდვილი მეგობრები იყვნენ პალისერი (მართალია, სააღმირალო სამმართველოში მას ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა), ღოქტორი ხაუსვორტი, ბენქსი და სოლანდერი. მათ კუთან ერთად განვლეს მთელი მისი ცხოვრების გზა და ჩირქი არ მოუცხიათ საკუთარი თავისათვის მისდამი არაგულწრფელი დამოკიდებულებით; გარდა ამისა ისინი მუდამ თავგამოდებით იცავდენ მის შეხედულებებს და ინტერესებს. ეს ოთხი ადამიანი რომ არ ყოფილიყო, — კუს სრულებით მარტო დარჩებოდა, გარემოცული მზაკერულ გრძნობათა და პოლიტიკური ინტრიგების გაიძვერული ქსელით.

ცილისწამება და უაზრო ჭორები გამოიდიდა სამეცნიერო საზოგადოებათა წრეებიდან: სააღმირალო სამმართველოს პირველ

ჭორდზე გამშურალი დელრიმპლი სამუდამოდ გადაემტერა ცუკა
და მის წარჩინებულ მფარველებს. იგი სარგებლობდა ოპოზიცი-
ურ პარტიების გავლენით და მათ მოსაწონად აწარმოებდა ბრძოლას
სააღმირალო სამმართველოში განზრახულ ახალ ექსპედიციათა გეგ-
მების ჩაშლისათვის. იგი ყოველგვარი საშუალებებით ცდილობდა
გაებიაბრუებინა და დაემცირებინა კუკის გამარჯვება. მან ისარგებ-
ლა ექსპედიციის გამგზავრებით, რათა ყოველგვარი გზით, წინდა-
წინვე მოეხდინა მისი კომპრომეტაცია. ის იჭერდა ყოველ შეუმო-
წმებელ ხმას, ყოველგვარ ჭორს და აქედან სთხზავდა წიგნებს, სა-
დაც უარყოფდა ექსპედიციის სარგებლიანობას, ამტკიცებდა მის
შიზანშეუწოდლობას. კუკის მტკიცებათა კრიტიკისა და მის მეცნიე-
რულ დასკვნათა უარყოფის გარდა იგი არ ერიდებოდა საზიზლარ
სიცრუესა და უკბილო პამფლეტებსაც, სადაც დასცინოდა კუკისაც
და მის სწავლულ დამცველებსაც. ბევრი ასეთი პამფლეტი მიმარ-
თული იყო დოქტორ ხაუკსვორტის წინააღმდეგ, რომელიც პატიოს-
ნად მხარს უჭერდა თავის დამსახურებულ მეგობარს. დელრიმპლი
იყენებდა ყოველ წვრილმან ფაქტს, რომელსაც შეეძლო ასე თუ ისე
ვნება მიეყენებინა ათვალწუნებულ „მეტიჩარას“ რეპუტაციისთვის.
ის აწყობდა ინტრიგებს, რომ გაება კუკის ცველა მეგობარი. მას
ვერ ეპატიებინა ბევრისათვის მისი რეკომენდაცია სამეფო საზოგა-
დოებაში. ვერ ეპატიებინა ხაუკსვორტისათვის მისი წიგნები და
მოხსენებები; თავის სამეცნიერო ნაშრომებში, იგი დასცინოდა
„კარგი მათემატიკოსის“ და „სოფლის მუშებიდან გამოსულ მეტიჩ-
რის“ აღმოჩენებს, მისი სიტყვით კუკმა აღმოაჩინა „რამდენიმე
კუნძული“ და თავი მეორე კოლუმბად წარმოიდგინა. დელრიმპლის
ცილისწამება იქამდე მიღიოდა, რომ იგი ბრალს სდებდა კუკს ხო-
მალდის მართვის უცოდინარობაში. ინგლისში მიღებულმა ცნობამ
ხომალდის სერიოზულ დაშავების შესახებ ახალ ჰოლლანდიის ნაპი-
რებთან გამოიწვია დელრიმპლის სიხარული და მისი იერიშების
გაცეოველება, — თუ „გულმოდგინება“ დალუპვას ძლივს გადაურჩა
1770 წლის 10 ივნისს, — ეს მოხდა ხომალდის ცუდი მართვის
გამო. იგი დაუინებით იცავდა აშკარად მოძველებულ და გაცვე-
თილ ჰიპოთეზას სამხრეთის მიწის არსებობის შესახებ მხოლოდ
იმიტომ, რომ კუკის წინააღმდეგ წასულიყო. ის სარგებლობდა თა-
ვისი მდგომარეობით და ნაცნობობით, ცდილობდა ესიამოვნებინა
„მშვიდობიანად“ განშურებილ მსხვილ მიწათმფლობელებისათვის და
მოითხოვდა მთავრობისაგან ნებართვას, მოეწყო სახელმწიფო იმ
მიწებზე, რომლებიც აღმოაჩინეს დელაროშმა და დიუკლო-გიუკომ.

1675 — 1753 წლებში და ბუვემ 1732 წელს; დელრიმპლი ამტკიცებდა, რომ ეს მიწები წარმოადგენენ სამხრეთის. მიწის ჩრდილო ნაპირს. მან შეადგინა ახალი ხალხების მოწყობისა და მართვა-გამგეობის და ბუნებრივ სიმღილეთა დამუშავების უაზრო-უტოპიური გეგმა, იგი ანგარიშობდა მოგებას, რომელსაც ვითომც მიიღებდა ინგლისი, თუ დელრიმპლს მიანდობდენ. ექსპედიციის ორგანიზაციას და უფროსობას. იგი სწერდა წერილებს ლორდ-კანცლერს, სარე-ბლობდა თავის ნაცნობობით სამეფო კართან და თავის შურით ალსავს წერილებში იქამდე მიღიოდა, რომ მისივე მეგობრები დას-ციონიზმი მას და უწოდებდენ მის პროექტს „ყველაზე ცუდი სა-ხელმწიფოს თვალსაჩინო ნიმუშს“.

დელრიმპლი არ იყო მარტო. მას ზურგს უმაგრებდა ძველ, დრომოქმულ ტრადიციებზე აღზრდილ მეცნიერთა რეაქციონური ნაწილი, მეტიჩრები და კარიერისტები, რომლებიც არავითარ საშუ-ალებას არ ზოგავდენ, ოლონდ კი მიეღწიათ სამეცნიერო ხარისხისა და მდგომარეობისათვის, თუმცა საამისოდ არც უფლება გააჩნდათ, არც ცოდნა და არც გამოცდილება. მის ზურგს უკან იდგა მოსყი-დულ პუბლიცისტების ბრძოც, რომელსაც თავისი კალაში რევოლუ-ციის მოწინააღმდეგებთა ბანაკისთვის მიეყიდნათ, — იმ ხალხისათვის, რომელიც ებრძოდა ახალ განმანათლებელ მოძრაობას, ახალ სო-ციალ-პოლიტიკურ იდეებსა და ცოცხალ მეცნიერულ აზრის განვი-თარებას.

ინგლისი ამ დროს განიცდიდა პოლიტიკურ განხეთქილებათა და სამინისტროთა კრიზისების პერიოდს. ლორდის ლირსებაში აყვა-ნილმა, გრაფ ჩატაშის ტიტულით აღჭურვილმა ვილლიამ პიტტმა გასწყვიტა კავშირი ვიგებთან და, მოკლე ხნით, დაუბრუნდა ხელი-სუფლებას. ავადმყოფობამ იგი კვლავ აიძულა საპატიო უვადო შეგებულებაში წასულიყო. სახელმწიფოს მართვდა ჰერცოგი გრაფ-ტონი, მეფის პრივილეგიების ულმობელი დამცველი, — იგი სარგე-ბლობდა პარტიების დასუსტებით. ამერიკის და ინდოეთის კოლო-ნიებით გამდიდრებული მეტროპოლია ლარიბდებოდა: ტორების სა-მინისტრომ და მიწათმფლობელ არისტოკრატიის საპარლამენტო ოლიგოარხიამ დაშალა ქვეყნის საფინანსო სისტემა. პოლიტიკურმა გამყიდველობამ იგი კრიზისამდე მიიყვანა. სახელმწიფო ვალი გაი-ზარდა ას ექვს მილიონ გირვანქა სტერლინგამდე. გრენვილლის სა-მინისტრომ მიმართა არაჩვეულებრივ ზომებს და ოპზიციის და-შინებას. ახალი ხარჯები და ბაჟები ახრჩობდენ კოლონიებს. კო-ლონიებში ხშირ-ხშირად ენთებოდა აჯანყებებისა და ამბოხებათა

კუცხლი, წლითი-წლობით ძლიერდებოდა დრტვინვა ამერიკულ კოლონიებში, შემოტანილ საქონელზე ბაჟების გაზრდის გამო. საერთო უკმაყოფილება არსებულ წესწყობილებით საშიშ ფორმებს იღებდა. მეფე გეორგ III-ე, ავადმყოფი მეოცნებე, მხოლოდ ჰანნოვერულ დინასტიის დიდებაზე მზრუნვავი, თავბრულასხმული საფრანგეთზე ვამარჯვებით, თავის თავს ევროპის პირველ მონარქად სთვლიდა და განუსაზღვრელ ხელისუფლებას მოითხოვდა. პარიზის ზავმა, ასე ბრწყინვალედ გამომყურემ დიპლომატიურ ნოტების, ჰარლამენტის ბილლების და სამეფო მინისტრების მოხსენებათა ქალალდებზე, სინამდვილეში ვერ გაამართლა პატრიოტების აღტაცული იმედები. ნახევრად შეშლილი მეფის „მეგობრები“ არბევდენ სახელმწიფოს, მათი მოქმედება უქადღა ინგლისელ ხალხს სიმშილს და სიღარიბეს.

თემთა პალატის ბრწყინვალე ორატორი, ყოფილი ლორდ-კანცლერი და სახელმწიფო ბეჭდის მცხელი, მესამოცდაათე წლებიდან მთავრობის სათავეში მდგომი — ლორდ ნორტი, მეფის ფავორიტი და ტორების პარტიის სიამაყე, შეიქნა ინგლისის ბედ-ილბალის ბატონ-პატრონი, გეორგ მესამის გიუურ განზრახვების შემსრულებელი და იარალი არისტოკრატის ხელში, რომელიც იბრძოდა პარლამენტის საკონსტიტუციო პრეროგატივების და ხალხის უფლებათა წინააღმდეგ.

ასეთი პლანიტიკის ბუნებრივ გამოძახილს წარმოადგენდა გაძლიერება ირლანდიის რევოლუციური კავშირების მოღვაწეობისა; ეს კავშირები იმ თავითვე ებრძოდნენ მათთვის აუტანელ ლონდონის მთავრობის აგენტების, ეკლესიისა და მემამულეთა ბატონობას. გაიზარდა უკმაყოფილება და დრტვინვა ამერიკულ კოლონიებში და ლიბერალურ ბურჟუაზიის, მოწინავე ინტელიგენციის; მასში გაისაზრის გაბედული ხმები, ისინი მოითხოვდენ მმართველობის კანონიერებას, კონსტიტუციის ურყეობას, ბეჭდვის თავისუფლებას, განსაკუთრებულ კანონების და გადასახადების გაუქმებას და რეაქციონურ-მინისტრების მოხსნას.

ლიბერალური გაზეთები ბეჭდავდენ თამამ პოლიტიკურ პამფლეტებს, მიმართულს მთავრობის და მეფის კარის წინააღმდეგ აღმფოთების ქარიშხალი გამოიწვია ქვემო პალატის წევრის და გაზეთ „North Briton“-ის გამომცემლის საქმემ, რომელიც მანისტრის ბრძანებით, მეფის შეუჩაცყოფის გამო, დაიჭირეს და ჩასვეს ტოსურში. სასამართლო იძულებული იყო გაემართლებინა თავისუფლად მოაზროვნე პუბლიცისტი, მაგრამ, დევნილი მთავრობის მიმართ გადასახადების გაუქმებას და რეაქციონურ-მინისტრების მოხსნას.

ბისაგან, იგი წავიდა რამდენიმე ხნით სატრანგეთში. დაბრუნებისას იგი კვლავ დააკავეს და ჩასვეს საპყრობილეში, მიუხედავად იმისა, რომ იგი სამჯერ იყო არჩეული პარლამენტის წევრად.

სამოცდა რეა წელსლიბერალურ კრებულში „Public Advertiser“ დაბეჭდი „იუნიუსის“ ბრწყინვალე ენით დაწერილი, გაბეღული შინაარსის წერილები. პამფლეტისტი იმართავდა თავის შხამიან ისარს გრაფტონის სამინისტროს წინააღმდეგ, იგი თამაშად ამხილებდა ტორთა მინისტრის პოლიტიკას, აღშფოთებით და რისხვით დასკინოდა მთავრობის მეთაურს.

„იმათი ღირსება, ვინც ცნობილ პირთა წინაპრებად ითვლებიას, ² — აძლევს შესაძლებლობას შთამომავალით მიგიდონ ბიწიერების უკიდურეს წერტილამდე. თქვენი მოწყალების წინაპრებს, მაგალითად, არ დაუტოვებიათ სათნოების რაიმე უხეირო მაგალითი და თქვენ გაქვთ სასიამოვნო შესაძლებობა განსჭრიტოთ თქვენს იქით ბრწყინვალე გენეალოგია, რომლის სათნოებაზე ჰერალდიკურ მატიანებში მცირე რამეც კი არ არის მოხსენებული. თქვენ ხელთა გაქტ, მილორდ, უფრო დამარტინებელი საბუთი თქვენი წარმოშობისა, ვიდრე რაიმე საქორწინო მოწმობები: არსებობს ხასიათის მემკვიდროებითი თვისებანი, რომლებიც ისევე მკვეთრად განასხვავებენ რაიმე გვარს, როგორც სახის ყველაზე თვალსაჩინო ნიშნები. კარლოს I ცხოვრობდა და მოკვდა პირმოთნე აღამიანად. კარლოს II სხვეგვარი პირმოთნე იყო და ეშაფოტი დაიმსახურა. ასი წლის შემდეგ ჩეენ ვხედავთ ორთავე ხასიათს, აღდგენილს და გაერთიანებულს თქვენს მოწყალებაში. მოლუშული და გაუბედავი, მაგრამ არა მორწმუნე; გარყვნილი, მაგრამ არა მხიარული, თქვენ ეწევით კარლოს II ცხოვრებას, მაგრამ არა ხართ კეთილი ამხანაგი და, ალბათ, მოკვდებით მისი მამის სიკვდილით, ოღონდ მოკლებული იქნებით წამებულის შარავანდედს.... ყველა ქვეყანაში ხალხი, მასსები მომთმენია მხოლოდ გარკვეულ ზომამდე“.

იუნიუსთან პოლემიკაში ჩაბმული რეაქციონერი პუბლიცისტები დამარცხებას განიცდიდენ. საზოგადოებრივი აზრი მთლიანად გაბედული პამტლეტისტის მხარეზე იყო. იუნიუსი არ იყო რევოლუციონერი. მისი კონსტიტუციონალური შეხედულებანი ასახავდნენ ლიბერალურ ბურჟუაზიის რწმენას, რომელიც ოცნებობდა სახელ-

¹ „საზოგადოების მოამბე“.

² ლორდ გრაფტონის გვარი შოდიოდა კარლოს II-ის ქორწინების გარეშე დაბადებულ შვილისაგან.

შერთო წესწყობილების არისტოკრატიულ ფორმებშე და დემოკრატიულ შინაარსზე. „Public Advertiser“-ის მრავალრიცხვოვანი მკითხველი მოუთმენლად მოელოდა ახალ „წერილებს“. ლორდ გრაფტონი იძულებული იყო დაეტოვებინა თავისი თანამდებობა-გაბოროტებულმა რეაქციამ, რომელსაც პამფლეტების ავტორად შიაჩნდა ყველა თავისი მტერი, თვით ლორდ ჩატამამდე, — გული იჯერა კრებულის გამომცემელზე, — უცდფოლზე, მათ ისარგებლეს იუნიუსის მიმართვით მეფისადმი და წერილის გადამბეჭდავ სხვა გამომცემლებთან ერთად, მისცეს იგი სასამართლოში და საპყრობილეშიაც ჩასუეს. წერილები ძალიან გავრცელდა, არ იყო სახლი, სადაც არ კითხულობდენ იუნიუს. უცნობ ავტორის საიდუმლოება აცხოველებდა ინტერესს.

კუკი, სხვებთან ერთად, კითხულობდა და თანაუგრძნობდა გაბეჭულ სიტყვებს.

„...მთელი თქვენი ცხოვრების უბედურება და ყველა იმ საყვეღურის მთავარი მიზეზი, რომელიც ხვდება, თქვენს მთავრობას, ყველა იმ შეხედულების მიზეზი, რაც მას წილად ხვდა, იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ აქამდის არასდროს არ მოგისმენიათ მართალი სიტყვა, სანამ იგი არ გაიგონეთ თვით ხალხისაგან“.

იუნიუს არ ეშინია პირდაპირ, პირში უთხრას მეფეს შემაძრწუნებელი სიმართლე ირლანდიელებზე, ამერიკის კოლონიებზე, მოსალონელ უბედურებაზე:

„....მარტო სახელების განსხვავება დიდი ხნით ვერ შეგვიყვანს შეცდომაში. სტიუარტების სახელი ჩვენში მხოლოდ ზიზღს იწვევს, მაგრამ მათი პრინციპები, შეიარაღებული მონარქიის ხელისუფლებით, ჩვენთვის საშიში ხდება. მეფე, რომელიც სტიუარტების ყოფა-ქცევას ბაძავს, უნდა იყოს გაფრთხილებული მათი მაგალითით და, როდესაც იგი ამაყობს თავისი საფუძვლიანი უფლებით სამეფო გვრცელებისას, მას არ უნდა დაავიწყდეს, რომ ერთმა რევოლუციამ მისცა მას ეს გვირგვინი, მეორეს კი შეუძლია წაართვას იგი“¹.

¹: ჯონ ტაილორმა თავის გამოკვლევაში: „იუნიუსი, გაიგივებული გარკვეულ ცოცხალ პირთან“ (1816 წ.) დაამტკიცა, რომ იუნიუსის ფსევდონიმის ქვეშ იმაღლებოდა ქილიპ ფრემისისი — პარლამენტის წევრი და პიტტის მდივანი.

იუნიუსის წერილების კრებული დაიბეჭდა „Public Adv“. 1772 წ. განმეორებითი გამოცემები 1797, 1813, 1827, 1850 და 1873 წ.წ. წერილების თარგმნები მოიპოვება მრავალ ენაშე, გარდა რუსულისა, შაომლოდ წიგნებში: „პერიოდული ბეჭდებით სიტყვა დასავლეთში“. საბ 1504 წ. (გვ. 418—426) გადმოცემულია მარტო მათი შინაარსი.

შართლაც ინგლისი სრულებით აღარ იყო იდილიური ქვეყანა. პირველ დღეებშივე გაიგო კუკმა დელრიმპლის ოინებისა და სამეფო საზოგადოების ზოგი წევრის არა კეთილ განწყობილების შესახებ; იგი იძულებული ვახდა გამოსულიყო თავისი სახელის დასაცავად. აბეზარი თაყვანისმცემლები უკმევდენ მას გუნდრუკს, აწუხებდენ უსუსური კითხვებით, სულელური ლაპარაკით. ჭეშმარიტი შეგობრები აფრთხილებდენ მას ზედმეტის თქმისაგან, ასწავლიდნენ მისთვის ძნელ, უჩვეულო და საზიზლარ, დიპლომატიურ არაგულწრფელობის სიბრძნეს, რაც აუცილებელია სალონებში და კრებებზე. ისინი მიუთითებდენ მათი აზრით, ამა თუ იმ საშიშ პიროვნებაზე სააღმირალო სამმართველოში ან სამეფო საზოგადოებაში. ადამიანები, რომელთაც კუკი ჩევეულებისამებრ ენდობოდა მათი წარმოშობის, ან მალალი თანამდებობის გამო, — წერილმანი ინტრიგანები და მეჭორეები, კარიერისტები და მოშურნენი აღმოჩნდენ.

პირველ დღეებიდანვე საჭირო გახდა ბრძოლა, სამი წლის მძიმე გამოცდილებით მოპოებულ შეხელულებათა დასაცავად. საჭირო განხდა მტრული განწყობილების გარემოცვაში გზის გაკაფვა. შურის, ჭორების და პოლიტიკურ ინტრიგების ტალღები ბობოქრობდა მის გარშემო.

პომერანის წარმოდგენით მიწა თეთრი, გლუვი წრეა, ოკეანეს ბეჭედში მომწყველეული, ხოლო მსოფლიოს შუაგული, — ხმელთაშუაზღვაა. ფრაკია, კუნძულების არქიპელაგით, ზღვაში — კიპროსი და კრიტი, ზღვის მიღმა მსარეს, — ეგვიპტე ნილოსით, რომელიც ყოვს ფინიკიას ლივიის უდაბნოებისაგან. მის იქით, ქვეყნის კიდეზე, ეფიოპების და პიგმეების უცნობი ტომები, ოკეანეს გასავალს სდარჯვებდენ ხარიბდას და სკილლას მიუვალი კლდეები, — ფერიები, ღმერტების რიცხვის გამო ქვებად ქცეულნი.

ჰეროდოტემ, მე-Ⅴ საუკუნის შუაწლებში ჩვენს წელთ აღრიცხვამდე, გამოიკვლია გზები, რომლითაც ფინიკიილები მოგზაურობდენ, გაპყო არაბეთი ლივიისაგან, გახსნა გასავალი ოკეანესაკენ, დაბატა რცყაზე ევქსინის პონტი, კავკასია, ეფრატი და გასწია ხმელეთი ინდამდე.

პტოლომეუსმა, ას ორმოცდა ათი წლის წინ ქრისტიანულ ერამდე, პირველმა შემოსა რუკა გრადუსთა ქსელით და მკვეთრად დასახა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები, ჩრდილოეთით მივიდა სკანდინავიის ნაპირებამდე, აღმოსავლეთით, — ჩინეთამდე, სომხეთის და

სახვის დროს კი მან დააბოლოვა ინდოეთის ოკეანე სამხრეთის უცნობი მიწით, რომელიც უერთდება ეფიოპიას და ლივია — აფრიკას.

მე-XVI საუკუნის დასაწყისში, ორტელიუსმა, სწორედ მოხაზა ევროპა, აფრიკა, ინდოეთი და ჩინეთი, დასახა ორივე ამერიკა, იაპონიის, ინდოეთის ოკეანისა და ფილიპეს კუნძულები, დასტოვა თეთრ ლაქებად აზიის ჩრდილოეთი, რუსეთი და სკანდინავიის ნახევარ-კუნძული. ცეცხლის მიწა მას მიაჩნდა უცნობ სამხრეთის მიწის ჩრდილო დაბოლოვებად, რომელიც ავსებდა მთელ სამხრეთ ნახევარ-სფეროს თხის ჩეის ტროპიკიდან.

მე-XVII საუკუნეში პოლლანდიელებმა კიდევ უფრო გააუმჯობესეს რუკები.

ასტრონომმა კასსინიმ შეადგინა ცხრილები, რომლებიც აღნიშნავდენ გრძელთა გაზომეას. მერკატორის რუკებმა წაიყვანეს ხომალდები მოგზაურობაში დედამიწის ირგვლივ. გრადუსების ქსელმა საბოლოოდ შესცვალა კომპასთა „ვარდები“ რუმბების სხივებით. ჩრდილოეთი აღნიშნეს ზევით, და არა ქვევით, — როგორც ამას სჩადიოდენ საუკუნის შუაწლებში. პაკეალის მიერ 1648 წ. აღმოჩენილი ბარომეტრი წინასწარ ატყობინებდა ქარიშხალს და წყნარ ამინდს. ბათფინმა და რუსმა მოგზაურებმა, — ბერინგმა, ლოკუნმა და პერმია-კოვმა აღმოაჩინეს გზა ჩრდილოეთის პოლარული წრის მიღმა და მხოლოდ სამხრეთის ნახევარ-სფეროზე მე-XVIII საუკუნის დამლევამდე თეთრად მოჩანდა საიდუმლო ლაქა“.

ჯერ კიდევ მარტში, ქეთილი იმედის კონცხიდან, კუკმა გააგზავნა წერილი ინგლისში, სამეფო საზოგადოებაში, სამხრეთის ზღვის მოქცევის და უკუქცევის ცხრილების თანდართვით, რომელიც დამუშავებული იყო „გულმოღინებაზე“ ნაწარმოებ დაკვირვებათა მიხედვით. დაბრუნების შემდეგ მან წარადგინა ვრცელი რელაცია, რომელიც სამეფო საზოგადოების საბჭომ მიიღო, როგორც ძვირფასი სამეცნიერო განძი. ვენერას გავლის უზუსტესი ცნობები საფუძვლად დაედო გრინგიჩის ობსერვატორიის მუშაობას. კოლექციებმა და დღიურებმა „ინდოელების“ ყოფა-ცხოვრებისა და ზნეჩვეულების აღწერით, — გააშუქეს იმ დრომდე საღაოდ ცნობილი საკითხები. კუკის მიერ გავლილმა გზამ დააზუსტა ოკეანეთი რუკა და გასწია ლეგენდარული სამხრეთის მიწა კიდევ უფრო ახლოს პოლუსისაკენ. თეთრი ლაქები წალეკა წყალმა ან ამოავსო კუნძულებმა. კვლავ საგრძნობლად იცვლებოდა გეოგრაფიული წარმოდგენა დადამიწაზე.

საკითხი სამხრეთის მიწის შესახებ გახდა საკამათო თემად სა-
შეფო საზოგადოებაში და სააღმირალო სამართველოს სხდომებზე-
თავის რელაციებში კუკმა ბრწყინვალედ დაამტკიცა წამოყენებულ
ჰიპოთეზების უსაფუძვლობა. დელრიმპლის და მის მომხრეთა სასა-
ცილო თეორიები საბოლოოდ დაიმსხრა. მაგრამ ეს არ სწყვეტდა
საკითხს და კუკს არც ერთხელ არ უარუყვია სამხრეთის მიწის არ-
სებობა, ის მხოლოდ ამბობდა, რომ როგორც ჩანს, მიწა არის, მაგ-
რაც საღლაც შორს, პოლარული წრის იქით ყინვით დაფარული.
ბევრი მას საცინლად იგდებდა, მეცნიერთა გონიერი ნაწილი კი ეთან-
ხმებოდა და მოითხოვდა ექსპედიციის მოწყობას მისი მეთაურობით.
მიმზიდველ ჰიპოთეზით გატაცებულ ფილოსოფოსებს სურდათ
მისი საქმით შემოწმება; სააღმირალო სამართველოს ლორდები,
პალისტერი და სხვა შეგობრები ყოველთვის სიმპატიით უყვრებდენ
კუკს და ხედავდენ ყოველივე ამაში ახალ სამხედრო ექსპედიციის
მოწყობის შესაძლებლობას. მხურვალე პატრიოტები ოცნებობდენ
ღილი ბრიტანეთის ახალ გამარჯვებაზე. გეორგ მე-III „ალვივებდა“
მონარქიულ ზრაცხებს და გატაცებული იყო თავბრულამხვევი
აზრით: ორი-სამი ხომალდით დაეცყრო უზარმაზარი ხმელეთი, რაც
მიანიჭებდა მას დიდ სახელს და ზღაპრულ სიმღიდრეს.

როგორც თავის დროზე ლორდ შელბურმა მოახერხა მოქსენე-
ჰინა მისთვის, რომ აუცილებლად საჭიროა ექსპედიციის გაგზავნა
ამხანავობის კუნძულებზე, — ისე ამ ჯერადაც სააღმირალო სამარ-
თველოს პირველმა ლორდმა ჯონ მონტეგიუ გრაფ სენდვიჩმა
დაუწიტკიცა მეფეს ხომალდების გაგზავნის აუცილებლობა სამხრე-
თის მიწის აღმოსაჩენად. მაშინ ხომ ყველა დანარჩენ ხელმწიფეთა
და ქვეყნების დიდება ჩაქრება გეორგ III-ს და ინგლისის დიდების-
რწყინვალებაში! საკითხის ასეთმა დაყენებამ გააბათილა უკმაყო-
ფილოთა ყოველგვარი ხრიკი: ექსპედიციის გაგზავნის და კუკის
დანიშნის საკითხი გადაწყდა მეფის კალმის ერთი მოსმით.

იწყებოდა ყველაზე ძნელი პერიოდი აშ ძნელ და პასუხსაგებ-
შეზაობაში: ხომალდის არჩევა და მოკაზმვა, მეზღვაურების შექრე-
ბა, ოფიცრების დანიშვნა სააღმირალო სამართველოდან და მეცნიერ-
თა შერჩევა სამეფო საზოგადოებიდან; ყოველივე ეს აუცილებლად
გამოიწვევს დავას და ინტრიგებს იმავე დელრიმპლის მომხრეთა-
გან, რომლებიც მხოლოდ ნახევრად დამარცხდენ და არ სურთ ია-
რალის დაყრა.

კუკის წინ დაისახა რთული ამოცანა; მას უნდა დაეძლია ეს
პოსაბეზრებელი დაბრკოლებანი, შეძლებისდაგვარად აეცდინა ისი-
ნი თავიდან, რათა მთელი არსებით შესდგომოდა საჭირო მუშაობას.
58.

რათაც არ უნდა დაჯდომოდა, მას უნდა გადაელახა ეს დაბრკოლებები, რაღაც თვით მუშაობის მიზანი მეტად წარმტაცი და მნიშვნელოვანი იყო.

პირველი მოგზაურობის გაკეთილი საფუძვლად დაედო ყველა მზადებას. პირველ რიგში კუქმა დაიწყო ხომალდების შეჩრჩევა (გადაწყვეტილი იყო, რომ ექსპედიციაში წავა ორი ხომალდი), რაც მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენდა, არსებულ ხომალდების სრული მოუწყობლობის გამო ამდაგვარ მოგზაურობებისათვის.

„ეს ხომალდი ისე უნდა იყოს აშენებული, რომ მას შეეძლოს ნაპირთან მიღვომა. იგი იმ ზომის უნდა იყოს, რომ საჭიროების დროს, შეკეთებისათვის შეიძლებოდეს მოხერხებულად და მაგრად მისი გვერდზე დადება. ორმოც ზარბაზნიანი სამხედრო ხომალდები, ფრეგატები, ოსტინდოეთის კომპანიის ხომალდები, დიდი, საშერდოანი სავაჭრო ხომალდები, ჩრდილოეთში აგებული ხომალდებიც კი, თუ ისინი მხოლოდ ამ მიზნისათვის არიან მოწყობილი, — არ იძლევიან ასეთ უპირატესობებს. ბოლოს, საჭიროა ისეთი ფორმის და ზომის გამოძებნა, რომ გამოცდილმა მეზღვაურმა შეიძლოს მეტი გამბედა-ობის გამოჩენა და თავის ინსტრუქციების უკეთ შესრულება“.

არ შეიძლებოდა, არ გაეწიათ ანგარიში გამოცდილი კაპიტანის აზრისათვის. სააღმირალო სამშართველომ გასცა ბრძანება, ეყიდათ სწორედ ისეთი ხომალდები, კუკი რომ მიუთითებდა. მან მოიარა ნავსაშენებლები და აირჩია ბულლში ორი ხომალდი „გულმოდგინების“ მსგავსი და იშვი თატატის ხელით აშენებული. ერთს, — რომელს სამოც ტონიანს, — უწოდეს „გაბედულება“, მეორეს, — სამას ოც და ეჭვს ტონიანს, — „წამოწყება“. დეპტორორტის და ვულკიჩის ნავსაშენებლებში დაიწყეს მათი მომზადება, შეიარაღება და მოწყობა.

1771 წ. 28 ნოემბერს, კუკი დაინიშნა „გამბედაობის“ კაპიტანად, სამეცო ფლოტის მეთაურის ხარისხით, და ექსპედიციის უფროსედ. შორეულ მოგზაურობებში ნამყოფი კაპიტანი ფიურნო დაინიშნა „წამოწყების“ კაპიტანად. კუკი ექვემდებარებოდა ასთორმეტი აღამიანისავან შემდგარი ეკიპაჟი: მათ შორის იყო ორმოცდახუთი მეზღვაური და თხუთმეტი ჯარისკაცი. ყველა ისინი სააღმირალო-სამშართველომ დანიშნა კუკის მითითებით: კუკი იცნობდა თვითეულ მათვანს წინა მოგზაურობებიდან, გარდა ათი მოხალისისა, რომებიც თავისი ნებით მიღიოდნენ.

გრაფ სენდვიჩის დახმარებით კუკმა შესძლო საუკეთესო მოწყობილობისა და ორ წელიწად ნახევრის სამყოფი სურსათის მიღება. პირველ მოგზაურობის გამოცდილებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ეკიპაჟის კვების გაუმჯობესებას და ხომალდების უზრუნველყოფას სურავანდის საწინააღმდეგო საშუალებებით: მაგავე კომბოსტონი, მდოგვით, ბულიონის ტაბლეტებით, სტაფილოს მარმელადით, ლუდის საფუარით, ბადაგით და ლუდით. ქერის მაგიერ შოიმარაგეს პურის ხორბალი, ზეთის მაგიერ კი შაქარი.

კუკს ყოველთვის აინტერესებდა სურავანდთან ბრძოლის საკითხი. თავის დღიურებში და რელაციებში ის დიდ ადგილს უთმობს ამ საშუალებათა მომზადების, ხმარების, მოქმედების და შენახვის დაწვრილებით აღწერას.

ხომალდებს თან გააყოლეს თითო ოც ტონიანი იალქნიანი კატერი, — დაზვერვის მოსახდენად, ან ეკიპაჟის გადასარჩენად. ხომალდი დატვირთეს საოვზაო მოწყობილობითაც, სიმშილობის შემთხვევისათვის.

დილიდან სალამომდე მუშაობდა კუკი. ის პირადად ადევნებდა თვალყურს ხომალდების მოწყობილობას და დატვირთვას. იგი აკვირდებოდა ყოველ წვრილმანს და ცდილობდა გაეუმჯობესებინა. თავისი ხომალდები, რომ ისინი გამოსადეგი და ამტანი ყოფილობის კუნძულები უდედურ შემთხვევაში. მუშაობის ხელმძღვანელობის ღროს ის იღებდა მხედველობაში ყოველ წვრილმანს და ეყრდნობოდა პირკელ მოგზაურობის გამოცდილებას.

კუკი გარეგნულად საუკეთესო დამოკიდებულებაში იყო საადმირალო სამმართველოს პირკელ ლორდთან. გრაფ სენდვიჩი იყო მოგზაური, არქეოლოგიის მოყვარული და გამოჩენილი ღიპლომატი, აღმირალის და კარლოს მე-II-ს ფავორიტის შთამომავალი, ბრედის და აახენის კონგრესთა მონაწილე. სახელმწიფო საქმეებიდან თავისუფალ ღროს იგი ანდომებდა თავის მოგზაურობათა აღწერას იტალიასა, თურქეთსა და ეგვიპტეში. იგი მფარველობდა კუკს თავისი წარჩინებულრაბის და მდგომარეობის სიმაღლიდან. სენდვიჩის უყვარდა შეცნიერება და ხელოვნება, იგი ლიბერალობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კანონების მიმღევარი იყო და მკაცრად იცავდა არისტოკრატიის იერარქიულ პრივილეგიებს; მან იცოდა, რა არის და რა არ არის დასაშვები ხელქვეითებთან დამოკიდებულებაში, მაშინაც კი, როდესაც ისინი არაჩეულებრივ აღამიანებს წარმოადგენენ. კუკი არ ჰგავდა ინგლისის ფლოტის სხვა მეზღვაურებს, იგი მაოზე მაღლა იდგა თავისი დამსახურებით აღმოჩენათა, ნავიგაციისა და მეცნიერების სფეროში. მისი სახელი ცნობილი იყო ძველსა და

ახალ ქვეყანაში, თვით მეფე ამაყობდა ასეთი ქვეშევრდომით, მაგრამ როდესაც პირველ მოგზაურობიდან დაბრუნებისას კუქშა მიიღო დანიშვნა სამეფო ფლოტში და მოითხოვა კაპიტანის ხარისხი, — გრაფ სენდვიჩმა უარი გამოუცხადა და მიუთითა, რომ მისი წარდგენა ასეთ ხარისხზე დაუშვებელია. მან სთვა, რომ ეს ეწინააღმდეგება. საზღვაო სამსახურის კანონებს და წარადგინა კუკი მეთაურად, თუმცა განსხვავება მხოლოდ სახელწოდებაში იყო.

კუკი ნაწყენი დარჩა, ბიოგრაფი ამას მისი კეთილშობილებით ხსნის: „საკუთარი ლირსების კეთილშობილი გრძნობის გამო, იგი სთვლიდა თავის თავს არა საქმაოდ დაჯილდოვებულად“. სამხედრო ხომალდებზე გაზრდილი კუკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხარისხს, რომელსაც ასეთი დაფასება ჰქონდა მის გარშემო საზოგადოებაში. თავისი დროის და თავისი გარემოს ადამიანი, — ის ამ უარს დამცირებად სთვლიდა; აქ იყო, უნებური და ფარული. ანტიპატიური გრძნობა არისტოკრატიის მიმართ და შელახული თავმოყვარეობა.

მაგრამ გრაფი სენდვიჩიც, ექსპედიციის გეგმებით გატაცებული, იმედოვნებდა, რომ, მოგზაურობის ბეღინიერად დამთავრების შემთხვევაში მისი სახელიც იქნებოდა მოხსენებული მონაწილეთა სახელების გვერდით. ის ყოველმხრივ ცდილობდა ხომალდების საანაზოდ მოწყობისათვის. ის დადობდა ნაგაშენებში, ზრუნავდა კარგი ოფიცირებისა და მომზადებულ მეცნიერების დანიშვნაზე ექსპედიციაში, იყენებდა მთელი თავისი დიპლომატიური ნიჭის და მაღალი მდგომარეობის ძალას. მან მოითხოვა სააღმირალო სამმართველოში, რომ კუკისთვის გაეყოლებინათ შხატვარი უილლიამ ხოჯის და ცდილობდა საუკეთესოდ მოეწყო ექსპედიცია მეცნიერულ მიღწევათა და საზღვაო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

ნაწყენმა კუკმაც კი აღნიშნა თავის დღიურში გრაფის მხურვალე მონაწილეობა: „მილორდ სენდვიჩმა ინება ყურადღებით თვალყური ცდევნებია ხომალდის მოწყობა-შეჭურვისათვის. ის დროგამოშვებით ესტუმრებოდა ხომალდებს, რათა თვითონ დარწმუნებულიყო, ასრულებენ თუ არა მის ინსტრუქციებს და ვართ თუ არა დაკმაყოფილებული“.

სანეტო საზოგადოების შუამდგომლობით, პარლამენტმა გასცა დიდაღი ფულადი თანხა მეცნიერულ სამუშაოთა საწარმოებლად, და კოლექციების შესავსებად. სამეფო საზოგადოებამ და ასტრონომიულმა დეპარტამენტმა დანიშნეს ექსპედიციაში მონაწილეობის

მისალებად საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა პროფესორი იოჰანეს რეინჰოლდ ფორსტერი და მისი ვაჟი, ასტრონომები უილლიამ უელსი და უილლიამ ბედი. მათ მისცეს ახალი ხელსაწყოები, კენლალის და არნოლდის ზუსტი საზღვაო ქრონომეტრები.

კუკი კმაყოფილი იყო არჩევანით. მას გავონილი ჰქონდა ვარინგტონის პროფესორის განსწავლულობის შესახებ. ამ „ახირებული“ ადამიანის შესახებ დადიოდა მეტად საინტერესო ხმები. ამასთან ერთად, ყველა ერთხმად ამტკიცებდა, რომ იგი არის ერთ-ერთი გამოჩენილი ფილოსოფოსთაგანი და ნატურალისტ ლინნეის ცნობილი მოწაფე. ფორსტერის „ახირებულობა“ მდგომარეობდა მის არაჩვეულებრივ მიზეზიანობაში და უკიდურეს თავმოყვარეობაში, რაც მას, ხშირად სასაცილო მდგომარეობაში აყენებდა და მუდამ კონფლიქტს იწვევდა მისსა და იმ პირებს შორის, რომლებისგანაც ის დამოკიდებული იყო თავისი სამსახურით. იგი მეტად მომზადებული მეცნიერი იყო. კუკის ასაკში მყოფმა, მან ზედმიწევნით ოცნდა ჩვილმეტი ენა. როგორც პასტორი, იგი თავისი დროის ღვთისმეტყველთა საუკეთესო რიგებში იდგა. მან მოიპოვა სახელი, როგორც აღმოსავლეთ პრუსიის ფაუნის საუკეთესო მკვლევარმა და აღმშერელმა: ფორსტერი დედოფალ ეკატერინე მე-II სახელით, მიიწვია რუსეთის რეზიდენტმა დანციგში და 1765 წლიდან იგი იქვევდა ვოლგის ქვემო მიმდინარეობის გეოგრაფიულ თავისებურებებსა და ამ შესახის სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობას. ახირებულმა ხასიათმა აიძულა ფორსტერი წასულიყო ინგლისიდან, დიდმა სახელმა და სამეცნიერო შრომებმა კი იგი აიყვანეს ვარჩინგტონის უნივერსიტეტის კათედრაზე.

მისი ვაჟი, გეორგი, მოსწონდა კუკს თავისი ახალგაზრდული აღტაცებით, ცოცხალი გონებით და ცოდნის წყურვილით. ამ მომავალმა მეცნიერმა, ვილნოს და კასსელის პროფესორმა, საუკუნის დამლევს პარიზში ემიგრანტად გარდაცვლილმა რევოლუციონერმა, მიზიდა კუკი გაცნობის პირველ დღეებიდანვე. კუკი ხედავდა და გრძნობდა მასში იმ გულისთვებს, რომელმაც თვით კუკი მიიყვანა გამარჯვებისაკენ ცხოვრებაში, იმ წვის, რომელიც აიძულებდა, ებრძოლა მეცნიერების და უფლებისათვის, იმ ძალას, რომელიც ამსხვრევს დაბრკოლებებს და შიშყავს ნათელ მიზნისაკენ.

ასეთი თანამგზავრები უკვე გამარჯვების პირველი საწინდრები იყვნენ.

ბოტანიკა, ზოოლოგია, და ანტროპოლოგია, რომელიც იღებს. თავის დასაბამს ყველა მეცნიერების მამათავრის, არისტოტელე-საგან, მივიწყებული იყო საშუალო საუკუნეების მონასტერთა საღვ-თისმეტყველო წიგნთსაცავებში და სქოლასტიკოსთა ასკეტიურ აზ-როვნებაში. აყვავებული I^o ს-ში ჩვენს წელთაღრიცხვამდე და I ს., პლინიუსის ნაშრომების ვამო, ეს დარგები თანდათან დაქვეითდა და მე-XVI საუკუნემდე საცოდავ არსებობას განავრძობდა. თეოფრას-ტეს და თომა აკვინელის მეცნიერული ნაშრომები წარმოადგენდენ მხოლოდ სუსტ ცდას, დაეძრათ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი გაყინული წერტილიდან. ეს იყო თარგმნა ან გადაკეთება იმავე არის-ტოტელესი, რომელიც თავის დასკვნებში ეყრდნობოდა იმავე „პირ-ჯელი მამოძრავებლის“ ცნებას.

და მხოლოდ დიად გამოგონებათა ეპოქაში, იმ ეპოქაში, როდესაც აღგილი ჰქონდა მთელ რიგ აღმოჩენებს ინდოეთსა და წყნარ ოცეკანეში, კოლუმბის მოგზაურობებს, ახალ ფილოსოფიურ მიმდინარეობათა წარმოშობას და ახალ გამოგონებებს ასტრონომიის დარგში,—განახლ-და ინტერესი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართაც. მოგზაუ-რები, მისიონერები და ექიმები იწყებენ ჯერ უნახავ მცენარეთა კოლექციების შეკრებას ინდოეთსა და ამერიკაში, აღწერენ თავიანთ მოგზაურობათა დღიურებში ადამიანთა და ცხოველთა ახალ სახეებს. იტალიაში, პოლლანდიაში და საფრანგეთში ეწყობა ბოტანიკური ბაღები. აქამდე უნახავი ცხოველები ავსებენ მეფეთა სამხეცებს; იბათებიან დიდი ნატურალისტები: კონრად ჰესნერი, — „გერმანელი პლინიუსი“, ლარიბი მეცნიერი, რომელმაც დიდი სახელი გაითქვა თავის თარგმანებით ძველ ენებიდან, ნაშრომებით ბოტანიკაში. და ზოოლოგიაში და მიაღწია პროფესორის ხარისხს ციურიხში; ტურ-ნეფორი, რომელმაც საბოლოოდ დაარღვია საშუალო საუკუნეებში გამეფებული წარმოდგენა დედამიწის ფლორის ერთფეროვანების შესახებ და დასწერა სამტომიანი ნაშრომი „ბოტანიკის ელემენტები“, სადაც პირველმა მოახდინა მცენარეთა კლასიფიკაცია გვართა. და სახეობათა მიხედვით და საფუძველი ჩაუყარა ბუნების-მეტყვე-ლების შემდგომ განვითარებას. პარიზში, ლეიპციგში, ბოლონიაში და ოქსფორდში ჩამოყალიბდა მეცნიერებათა აკადემიები და სამც-ნიერო საზოგადოებანი. მე-XVIII საუკუნის დასაწყისში კოლექცი-ონერი-მოგზაურები აწყობენ სანიმუშო ჰერბარიუმებს, ათავსებენ თავის კაბინეტებში დასპირტულ ცხოველებს და მწერების კოლექ-ციებს. პეტრე დიდის კუნსტკამერა ციებ-ცხელებაში აგდებს რუს ძველ აღათების მიმდევართ; ისინი პირჯვერის წერით და წყევლით

იმიჯნებოდენ „მეფე-ანტექრისტეს ოინებისაგან“, რომელმაც აგრეთვე განიზრახა თავისი აკადემიის შექმნა.

შეეძმა კარლოს ლინნეიმ და ფრანგმა ჟორუ ლე-კლერკ გრაფ დებიუფფონმა განავითარეს ტურნეფორმის მოძღვრება სახეების შესახებ, წამოაყენეს კლასიფიკაციის ახალი პრინციპები და შეიტანეს მცენარეთა და ცხოველთა შესწავლაში და აღწერაში სიზუსტე, სიცხადე და სიმარტივე. ლინნეიმ შემოიღო ბინარული ნომენკლატურა (ორმაგი სახელწოდება) სახეობადა აღსანიშნავად, გაამარტივა მათი შესწავლა, საფუძველი მისცა სისტემას, რომელმაც ცხოველი ინტერესი გამოიწვია სამეცნიერო სფეროებში და გახდა შემხედვის სისტემების წარმოშობისა და პოლემიკის მიზეზი. სხვადასხვა ქვეყნის სწავლულებმა გამოაქვეყნეს სერიოზულ-მეცნიერული ნაშრომების დიდი რაოდენობა, საბუნებისშეტყველო მეცნიერებებმა პოინტეჭეს სრული უფლებები.

მზადება ოთხ თვეს გრძელდებოდა. 1772 წლის 9 აპრილს ხომალდები გამოვიდნენ დეპტოორტილან. საჭირო იყო პლიმუტში წასვლა და იქ ინსტრუქციების მიღება საადმირალო სამმართველო-საგან. გზაში ხომალდები შეაჩერა სამხედრო შეიარაღების პროცედურამაც: თოფის წამლის დატვირთვამ, ზარბაზნების დაყენებამ და ჯარისკაცების განაწილებამ. პლიმუტის სრუტეში შევიდნენ 3 ივლისს. იქ შეხვდენ გრაფ სენდვიჩის იახტას; რომელიც ნავსაშენებლებს ათვალიერებდა. მასთან ერთად იყო პალისერიც. „გაბედულება“ ზარბაზნის ჩეიდრეტი გასროლით მიესალმა საადმირალო სამმართველოს პრაველ ლორდს.

კუკი გამოემშვიდობა მეგობარს; მან მოისმინა აგრეთვე რამდენიმე წყალობით საესე სიტყვა უფროსისა, რომელიც მეტად ნასიამოვნები იყო ხომალდების ბრწყინვალე მდგომარეობით, რადგან ამ საქმეს თავის შეცადინეობას მიაწერდა. სხვადასხვა ფორმალობის შესრულების გაჭიანურებამ ხომალდები ნავსადგურში ერთ კვირაზე მეტ ხანს შეაჩერა. კუკი უსაშმოდ არ ჩერდებოდა. მან დაირწმუნა თავისი თანამგზავრები ჩამოსულიყვნენ ნაპირზე და წასულიყვნენ თითბრის საბადოებზე, მუშაობის დასათვალიერებლად.

იშვიათა ლითონმა ძველ დროიდანვე სახელი გაუთქვა კორნვალისის მყაცრ, შიშველ გორაკებს, რომელიც მოფენილი იყო დრურების ქვის შენობებითა და საშუალო საუკუნეების ბარონების კიხე-დარბაზთა ნაშთებით. ღმერთებისათვის შეწირულ აღაშიანთა სისხლით მოკურებულ საკურთხევლის ნანგრევებზე, ფეოდალურ კი-

ხე-სიმაგრეთა შორის, — ოდესლაც ერთი ზღვიდან მეორე ზღვამდე თავის ვასალებს რომ სიშვილითა და სიკვდილით ემუქრებოდენ, — ახლა გაშლილიყო უზარმაზარი წამოწყებები, სადაც მრავალი ასეული ძალა იყო ჩაბმული ძვირფასი ლითონის მოსაპოებლად. ეს მუშები კვირაში რამდენიმე შილლინგს იღებდენ, მათი ლონდონელი პატ-რონები კი ოქროს დიდ რაოდენობას იღებდენ მაღნებიდან და თავის ხავაჭრო კონტორების ჩაბილ სავარძლებში ჩამსხდარნი მშვიდობიანიდ ეწეოდნენ ლიბერალურ პოლიტიკას.

„ჩვენ დავაკმაყოფილეთ ჩვენი ცნობის-მოყვარეობა, „პოლ-დაილ და კელვინის“ უზარმაზარმა საბალოებმა გამოიწვიეს ჩვენს ჯულში აღტაცების, სიამოვნების გრძნობა“ — ჩასწერა ფორსტერმა.

13 ივლისს, დილის 6 საათზე „გაბედულებამ“ და „წამოწყებამ“ აუშვეს ღუზა, ჩაუარეს გვერდით სახელგანთქმულ ელსტონის შუ-ჭურას და გავიღნენ ღია ზღვაში.

ახლაც იმავე გზით წაიყვანა კაპიტანმა თავისი ხომალდი ოკე-ანეს მაცდურ სიშორეში ჩოგორც ოთხი წლის წინეთ; მათ წინ ელო-დენ უცნობი ნაპირები და ხალხები, ქარიშხალი და გრიგალი, აღ-მოჩენათა ნათელი და სასოწარკვეთილების ბინდი, უსახელო, აყვა-ვებული კუნძულები, მუნჯი, იდუმალი და უცნობი თეთრი ლაქები ყრულოვან სივრცეში.

კუპი, — ნაზი მეოჯახე, და ერთგული მეგობარი, კვლავ სტოვებ-და ახლობელ ადამიანებს; რომლებმაც არ იცოდნენ რამდენი წნით შორდებოდენ მას.

ძველი ანგლისის ნისლით დაბინდული მოლურჯო მთები დიდ-ჟანს უვზაუნილენ გამოსათხოვარ სალამს მიმავალ ხომალდებს.

მეორე მოგზაურობა:

„ღერმერები კრეფენ მხოლოდ პროდუქტის ოთხ მეტედს; აქე-ჯან ისინი უხდიან მეოთხედს მიწის მფლობელს, მეათედს — მეფეს და მეათედს — სასულიერო წოდებას. ისინი მუშაობენ სხვებისათვის, იღებენ მეტად უმნიშვნელო მოგებას და ამიტომ თითქმის სრულე-ბით ვერ აუმჯობესებენ მიწის დამუშავების წესებს. მიუხედავად ასეთი დაბეჩავებული მდგომარეობისა, ისინი მაინც კმაყოფილი და მხიარული არიან. ისინი ცდილობენ შეამსუბუქონ შრომა სიმღერით, ხალამობით იქრიბებიან ერთს ადგილას და ცეკვავენ გიტარის ხმაზე“.

ახალგაზრდა ფორსტერი ცდილობს არ შეაკრთოს თავის დღიურში რჩეულ მკითხველთა გრძნობები; სანტიმენტალურ რომანების და მოგზაურობათა აღწერის მოყვარეთ ოხვრა აღმოხდებათ საბრალი კოლონისტების ბედ-ილბლის გამო, რომელებიც საღლაც შორს, კუნძულ მადეირაზე, უვლიან ვენახს. ეს მკითხველები დასტურებიან „ჯეიზანთა“ მხიარული ცეკვის ლამაზი სურათით, ზღაპრულ, მომხიბლავ ბუნების წიაღში, მირტების, ველურ ყვავილების და ლოლოშოს ხეების ტოტებს ქვეშ. ვინ შეამჩნევს მაღირის მოჯამაგირუთა სისხლს ამ ფრთხილ სტრიქონებში?

ლამაზად ისმის კუნძულის პორტუგალელ მმართველთა სახელწოდებანი: „კარრეხიდორ“, „პროვიდორ“... ესენი არიან პორტუგალელ მეფის — ქრისტეს ორდენის დიდი ოსტატის — ნაცვალნი.

კუნძულის სამოც ათას მოსახლეობიდან — ათას ორასი კათოლიკე მღვდელია, ასთერთმეტი ფრანცისკანელი ბერი და სამასი მონაზონი-ქალი რეა შონასტრიდან. უმაღლეს ხელისუფლებას წარმოადგენენ: ეპისკოპოზი, რომელიც იღებს სამი ათას გირვანქა სტერლინგ შემოსავალს და გუბერნატორი, სამხედრო და სამოქალაქო უფროსი, რომელიც იღებს აგრეთვე დიდალ თანხებს.

მაღდეირის ვაზის ძვირფასმა წვენმა სახელი გაუთქვა კუნძულს მთელს მსოფლიოში. „მაღდეირის მალვაზის“ სურნელოვანი „ბუკეტი“ ერთნაირ სიტკბოებას გვრის ბატავიელ ვაჭარს და ინგლისელ ლორდს, ფრანგ მარკიზს და რუს წარჩინებულს, — მსუქანი ნანაღირევის, ან ნახევრად შემწევარ როსტბიფის მირთმევის შემდეგ.

„სოფლის მცხოვრებთა სიფხიზლე და თავშეკავება არაჩვეულებრივია: ისინი იყვებებიან პურით და ხახვით, ან სხვა ბოსტნეულით, ძაღრამ ძალიან ნაკლებად, — ხორცით. მათ ძალზე ეზიზლებათ შიგნეული და ანდაზაც კი აქვთ ღარიბ კაცზე გამოთქმული: „იგი იძულებულია შიგნეული სჭამოს“. ისინი ჩვეულებრივად სვამენ სუფთა წყალს ან სასმელს, რომელსაც აკეთებენ ჭაჭაზე დასხმული წყლით. ეს წყალი, დუღილის გამო, მომწარო გემოს იძენს, მაგრამ ეს გემო მას დიდ ხანს არ რჩება. ისინი სვამენ მხოლოდ რამდენიმე წვეთ ღვინოს, დამზადებულს მათივე ხელით. ამ ღვინომ დიდად გაუთქვა სახელი მათ კუნძულს. მათი მთავარი მოსაქმეობა ვაზის მოვლა-მოშენებაა. მაგრამ რადგან ეს დარგი შრომის მცირე დახარჯვას მოითხოვს, — ამიტომ წელიწადის უმეტეს ნაწილს ისინი უქმად ატარებენ. როგორც ჩანს, პორტუგალიის მთავრობა არ იღებს საჭირო ზომებს ხალხის ესოდენ საშიში უსაქმობის წინააღმდეგ. დიდი ხანი არ არის, რაც მთავრობამ გამოსცა ბრძანება ზეთისხილის ხეების დარგვის შესახებ იმ ოლქებში, რომელიც მეტად შურალი და უნაყოფოა ყურ-

მნის მოსაყვანად, მაგრამ მას აზრადაც არ მოსვლია დახმარებოდა მიწის მუშებს და არ დაპირებია არავითარ ჯილდოს, რაც წააქეზებდა მათ და დააძლევინებდა ზიზლს შრომის ახალი დარგისადმი".

დონ ანტონიო და საა-პერეირამ,— მადეირის გუბერნატორმა, — დღის თავაზიანობით მიიღო მოგზაურნი და ერთი თვე გატარებულ კუნძულზე, ნამდვილი დასვენება იყო. წყალმა და ლვინომ შეავსო ხომალდების მარაგი და 1 ავგისტოს ექსპედიცია დაიძრა შორი გზისაკენ; იგი გააცილა ცისფერ ნავსაყუდელზე ამფითეატრად ამართულ სტუმარობოყვარე ქალაქის სანაპირო ფორტების სალი-ურმა.

სამდენიმე დღის შემდეგ შორიდან გამოჩნდა კანარის კუნძულები, რომელსაც ძველები „Insulae fortissimatae“-ს უწოდებდენ. ეს კუნძულები დავიწყებული იყო კართაგენელ ვაჭრების შემდეგ XIV საუკუნემდე, სანამ მათ კვლავ აღმოაჩენდნ წარჩინებული ესპანელი მეზოვაურები.

კუკს მიყავდა ხომალდები მწვანე კონტჩისაკენ: წყლის მარაგი არ ეყოფოდათ კეთილ იმედის კონტჩამდე; იქამდე სამი თვის სავაჭი გზა იყო.

გზა ნაცნობია, ერთფეროვანი, მაღლიან ტროპიკულ მყუდროებაში შეცნიურები ეცნობიან და იკვლევენ მფრინავ თევზებს, დელფინებს და ფრინველებს.

„ამ ერთფეროვან დღეებში — წერს ფორსტერი, — რომელიც ჩვენ გავატარეთ ტროპიკებს შორის, სადაც ცა, ქარი და ზღვა ყოველთვის კარგი და სასიამოვნოა, — გონება აკვირდებოდა ყოველ წვრილმან გარემოებას, რაც მას განსჯის და მოფიქრების საბაბს მისცემდა“.

ახალგაზრდა ენთუზიასტი ადარებს ოქეანესა და იმპერიას, სადაც ლონიერი და დიდი თევზები — შეუზღუდავი მმართველები — ნოქავენ პატარა თევზებს — დაჩავრულ ქვეშემრდომებს.

კაპიტანის „აზრები“ არ არის ეგზომ ფილოსოფიური, — თავისუფალ ღროს ის ანდომებს სისველისაგან დანორთიავებულ და უნგით შეჭმულ ლითონის ნაწილების გადარჩენისათვის ზრუნვას, პხრჩოლებს ხომალდში თოფის წამალს და ძმარს, ცდილობს შეადგინოს ბადაგიდან და წყლიდან ლუდის დამზადების ახალი რეცეპტები. დღიურში ქარის მიმართულებისა, ძალისა და ხომალდის კურსის შესახებ შენიშვნების გვერდით გულდასმით იწერება პრაქტიკული რჩევა-დარიგებანი ლუდის საფუარის დუღილის შესახებ. ჩანაწერების სიძუნწე მოწმობს, რომ კუკი ღროს ყაირათიანად იზო-

გუბდა, განუწყვეტლივ მუშაობდა, მკაცრად ეპყრობოდა თავის თავს და თავის საქმეს; იგი უდიდესი ყურადღებით მუშაობდა მთავარი მიზნის მისაღწევად. ღლის აღწერა: გრაფუსების ციფრები, კურსის ლიტერები, ხომალდის სკლა; ბუნების აღწერა: ნაპირების მოხაზულობა, ნაესაყუდელის სილრმე, მოქცევის ძალა, ფსკერის თვისებები.

პორტო ლა-პრაია, — კუნძულ სანტ-იაგოს ნავსადგურია. მწვანე კონცხის არქიპელაგს ფლობს პორტუგალია. ლისაბონელმა ვაჭრებმა ააშენეს ბუდე, სიმაგრით დაცულ მაღალ კლდეზე. მთელ მწვანე კონცხზე ვაჭრობის მონოპოლია მათ ეკუთვნით. ოდგილობრივი მუნისა-რიცხვებანი მოსახლეობა ღარიბი და მშერია. სავაჭრო კომპანია სწუწნის მათ უკანასკნელ წვენს.... „ეს კომპანია მეტად სჩაგრავს მცხოვრებლებს და ჰყიდის მათზე ცუდ საქონელს ძვირ ფასებში“. ხშირი გვალვების გამო, ისინი მუდმივ სიმშილს განიცდიან. „საფიქტობელია, რომ ასეთი გაჭირვება ხელს უშლის კუნძულელებს მიეცენ. ქორწინების სიტკბოებას: ისინი შიშობენ გადასცენ თავიანთ შვილებს სიღარიბე და მონობის საშინელება“.

კუკი მოღუშული უცქერის ნაცრისფერ, კლდოვან ნაპირებს, მზით გადამწვარ ულამაზო გორაკებს. იგი იცავს ტრადიციულ ზრდილობას და სთხოვს გუბერნატორს წყლის მომარაგების ნებართვას. სალიუტს აძლევს მხოლოდ პორტუგალელ ჰელისუფლების დაპირების შემდეგ, რომ საპასუხო სალიუტს მიიღებს. ვაჭართა ცხე-სიმაგრე მას ანტიპატიით უყურებს და თერთმეტ გასროლაზე უპასუხებს ცხრა გასროლით. გუბერნატორი, ბოდიშის მოხდით ირწმუნება, რომ ეს შეცდომით მოხდა. ორივე მხარე დაკმაყოფილებულია.

პორტო პრაიას შემდეგ იმგზავრეს ცხრა კვირას. სამოკუდა სამი დღის განმავლობაში მხოლოდ წყალსა და ცას ხელავდენ. ხომალურებს ხან ქარიშხალი ღაატყდებოდა თავს ძლიერი წვიმით, ხან წყნარი დარი დგებოდა და სულს ხუთავდა აუტანელი სიცხე. თერმომეტი შეუძლისას უჩენებდა $79 - 82^{\circ}$ -ს. იჭერდენ თევზებს, ესროდენ ალბატროსებს და მერცხლის მდევრებს. მეზღვაურებს ართობდენ სანტ-იაგოში ნაყიდი მაიმუნები. ღრო ნელა მიიზღაუნებოდა და აშინებდა თავისი ერთფეროვანებით.

კუკი იცნობდა ამ ტროპიკულ მგზავრობას. იცოდა ხაშმიანი სიცხის ამბავი, რომელიც აფუჭებდა სურსათ, მუსრს ავლებდა ხალხს ციებ-ცხელებით, პგვრიდა მათ სევდას, სამშობლოს ნატერას, სტეხდა მათ ნების-ყოფას და ულევდა მოთმინებას. მას ახსოვდა

„გულმოღინების“ უკანასკნელი გზა. შეხუთული, ტროპიკული წყნარი დარი ასჯერ უფრო საშინელია, ვიდრე უძლიერესი ქარიშხალი.

გამოცდილებაშ ასწავლა ჰუკს ფრთხილად ყოფილიყო, მაგრამ დღიურის სანავიგაციო ჩანაწერებს სწყვეტს საშიში შენიშვნა: „ოცდაშვიდს ჩვენ ველაპარაკეთ კაპიტან ფიურნოს, რომელმაც შეგვარუბინა ერთი მისი უმცროსი ოფიცირის სიკვდილის ამბავი. ჩვენ მაშინ არ გვყოლია არც ერთი ავაღმყოფი, თუმცა წვიმამ, რომელსაც ცხელ ჰავაში მრავალი ავაღმყოფობა მოსდევს, ბევრი საზრუნვი მოგვცა. ჩვენი ჯანმრთელობის დასაცავად, თანახმად იმ ჩემისა, რომელიც მე მომცეს სერ ხიუგ პალისსერმა და კაპიტანმა კემბელლში, — მე მივიღე ყველა საჭირო გამაფრთხილებელი ზომა, ვუძრანე გაეწმინდათ ჰავრი და გაემშრალებინათ ხომალდი, დაენთოთ ცეცხლი ერდოებს შორის და ეხრჩილებინათ შინა საღომებში. შე ვაძისულებდი ეკიპაჟს გამოეტანათ გარეთ ლოგინები, გაერეცხათ და გაეშროთ ტანსაცმელი, როდესაც სამისო შემთხვევა მოგვეცემოდა. თუ არ მიმართე ასეთ ზომებს, ხომალდზე დადგება არასასიამოვნო სუნი, ჰავრი გაფუჭდება და გავრცელდება ბევრნაირი ავაღმყოფობა, განსაკუთრებით ცხელ და ნოტიო ამინდში“.

ინგლისის ფლოტის კაპიტანებს და ქირურგებს არ გამოუტოვებიათ შემთხვევა მასხარად აეგდოთ „ფანტაზიორი“. დელჩიმპლის შომხრენი ყველა მეცნიერულ გზა-ჯვარედინზე დასტინციენ კუკის სამკურნალო აღმოჩენებს და არ აძლევდენ მის ცდებს არაეთამაც პრაქტიკულ მნიშვნელობას. რა შეეძლო გამოეგონა ხეირიანი ამ „უწავლელს“, რომელსაც ჰქონდა ზრეტენზიები სცოდნოდა მეტი, კადრე სწავლულმა მკურნალებმა იციან?

კუკი საჩვებლობდა უდიდესი ავტორიტეტით მეზღვაურთა შორის. არც ერთი ჩანაწერი ექსპედიციის მონაწილისა, ან მისი მოგზაურობის შემსწავლელ პირისა, არაფერს არ ამბობს რაიმე შფოთზე ეკიპაჟის შემადგენლობაში, რასაც ასე ხშირად ჰქონდა ადგილი სხვა ხომალდებზე. ცხოვრებაში გამოწვრთნილი მეზღვაურები პირველ დღეებიდანვე მიუხვდნენ თავის უფროსს და უცებ გაარკვის თავისი დაზოკიდებულება მასთან. რასაკვირველია, მათ შორის იყვნენ სუსტებიც, რომელნიც უფრო აღვილად ემორჩილებოდენ არა ხელსაყრელ გარეშე პირობებს, უარესად იტანდნენ ცურვის სინელეებს, სიცხე-პანანების სიმძიმეს ან მიწის დიდი ხნით უნახობას. მაგრამ კუკი თავის დროზე, მოხერხებულად ჩაერეოდა ხოლმე საქმეში და ბოლოს უღებდა საშიშ სულიერ განწყობილებას.

ოცდა ოთხ ოქტომბერს დაინახეს კეთილი იმედის კონცხის მა-
გილის მთა.

მე-XV საუკუნის დამლევს, პორტუგალელმა ბართლომე დიაქტე
მოსძებნა, ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტელების მიერ აღმოჩენილი, აფ-
რიკის სამხრეთი კონცხი. ვასკო-დე-გამამ შემოუარა მას, როდესაც
იგი ინდოეთისკენ მიემგზავრებოდა.

ასორმოცდაათი წლის განმავლობაში უზარმაზარ მთაგრეხილის
კლდოვანი, დაუსახლებელი კიდე აღმართული იყო მეაცე დარაჯად
ორ უკეანეს მიჯნაზე, ღიღი ინდოეთის გზის ცენტრალურ, მოსახ-
ვევ წერტილში,— ან აღმოსავლეთის სიმდიდრეებისაკენ, აღმოჩენა-
თა დიდებისკენ, ახალ მიწათა დაპყრობისაკენ,— ან მშობლიურ ჭვეუ-
ნისაკენ, ოჯახის კერისკენ,— დასვენებისკენ საშიშროებათა და სნე-
ულებათაგან დასვენების ადგილისაკენ. უკეანის მდინარებათა შეხ-
ცედრის ადგილას, საღაც აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან
მქროლავი ქარები ხვდებიან ერთმანეთს მძაფრ ქარიშხალად, ასე-
ული წლები ხვდებოდა და აცილებდა ბედნიერების შუქურა ვაჭარ-
თა და დამპყრობელთა ხომალდებს, აღელვებით რომ უცქეროდნენ
მის ბნელ, გრანიტის მწვერვალებს. პორტუგალიის მეუემ უწოდ-
მას კეთილი იმედის კონცხი, შეზღვაურებმა კი, — ქარიშხალის კონ-
ცხი.

მე-XVII საუკუნეში პოლანდიელმა ფან-რიებეკმა—ნახევრად
ექიმმა, ნახევრად ვაჭარმა — შექმნა აქ კოლონია; მან გაითვალისწინა
თუ როგორი გამორჩენა შეეძლო მიელო მას და ოსტ-ინდურ კომ-
პანის პლანტაციების ნათესებისგან. მას შემდეგ აქ ვაშენდა კომპა-
ნიის მსვილი ნავსადგური, ქალაჭით, სიმაგრით, ათასხუთას ჯარის-
კაციანი გარნიზონით, ოთხი ათას ადამიანისგან შემდგარ სამილი-
ცო არმიით, გუბერნატორით და სრული აღმინისტრაციული შტა-
ტით: იგი გახდა სავაჭრო ბაზად მაღლელბერგსა და ბატავიას შო-
რის, ხომალდების შესაკეთებელ პუნქტად და მეზღვაურთა აუცი-
ლებელ თანამეზავრებით, — სურავანდით და ციებ-ცხელების სენით
შეპყრობილ მრავალრიცხვობან ავაღმყოფების დასასვენებელ და
სამკურნალო ადგილად.

კუკმა მოიყვანა აქ თავისი ხომალდები თითქმის დაუზიანებ-
ლად და ჯანსაღი ეკიპაჟით. ის სიამაყით წერს თავის დღიურში:

„ოსტ-ინდურ კომპანიის ორი ხომალდი მოვიდა სამი-ოთხი
დღის შემდეგ მაღლელბერგიდან კაპშტადტში. ერთმა შათგანშა თო-
ხი-ხუთი თვის ცურვის განმავლობაში დაკეარგა ას ორმოც-
დათო ჭაცი სურავანდისა და სხვა გადამდებ სნეულებათაგან, მეო-

რევ. — ოჩმოცლერთი. ნაპირზე გადმოსვლისას მათ გაგზავნეს სა-
უადმყოფოში მძიმე ავადმყოფთა დიდი რაოდენობა. უნდა აღინიშ-
ხოს, რომ ერთი ამ ხომალდთაგანი მოვიდა პორტ-პრაიოში ერთი
თვეთ ადრე, ვიდრე ჩვენ იქ შეეჩერდებოდით, მაგრამ, მიუხედავად
ამისა, ჩვენ სამი დღით ადრე მივაღწიეთ კეთილ იმედის კონცხს“.

პირველი დღის გამარჯვებამ აღაფრთოვანა კუკი, დაამტკიცა
ყველა მისი მოსაზრების სისწორე; დაე, იცინონ ინგლისელმა ექი-
მებმა, დაე, ესროლოს ტალახი „პატივცემულმა“ დოქტორმა დელ-
რიაპლიმ! არავინ არ არის საშიში, თუ ცდა წარმატებით ჩატარდა.
როგორი სახის გამომეტყველება ექნებათ მათ, როდესაც გაიგებენ,
რომ ოთხი თვის ცურვის განმავლობაში არც ერთი მეზღვაური ავად
არ გამხდარა!

რუკის გაშლისას კუკი აკვირდებოდა ცარიელ სივრცეს სამხრეთ
პოლუსთან, არადამაჯერებლად გარშემოწერილს მერყევი ხაზით. კარ-
ტოგრაფის ხელი ფანტაზიას მისდევდა, მან მოხაზა სამხრეთი ნახე-
ვარ-სფერო და თავისი ვარაუდით გაავლო უცნობი მიწის საიდუმ-
ლო საზღვარი.

შეიძლება იგი, — ჯემს კუკი, პირველად მოხაზავს უცნობ მიწის
ნაპირებს, უწოდებს თავის ხომალდების სახელს ახლად აღმოჩენილ
ნაესაყვდელებს, აიძულებს ხმა ამოალებინოს გაყინულ მხარის შე-
უშფოთებელ მყუდროებას.

მას აჩქარებდა სხვა გარემოებაც: გუბერნატორმა, ბარონ პლეტ-
ტენბერგმა აცნობა, რომ ეჭვის თვის წინეთ ორმა ფრანგულმა ხო-
მალდმა აღმოაჩინა მიწა სამხრ. განედის 48°-ზე და რომ ხომალდ
„ფორტუნას“ კაპიტანი გაიგზავნა საფრანგეთში რელაციით ამ აღ-
მოჩენის შესახებ¹. მარტშივე ორმა ფრანგულმა ხომალდმა, კაპი-
ტან მარიონის ხელმძღვანელობით, შეიარა კონცხის ნაესაღვურში
და გაეწართა სამხრეთისაკენ, ახალ მიწების საძებნელად.

კუკს აღელვებდა ის აზრი, რომ ფრანგები პირველი მიაღწე-
ვენ სამხრეთის მიწას. მას ელანდებოდა დროშა, მოკაზმული ოქროს
ზამბაზებით და ღუზებით, აღმართული მაღალ კლდეზე. კუკმა
სთხოვა კაპშტადტის მცხოვრებს, ინგლისელ ბრანდტს, რომლის სახლ-
ში იგი გაჩერდა, რომ ეზრუნა პროდუქტების სწრაფად შოვნისა-
თვის. თანამემამულე, რომელიც კაპშტადტის ძველი მცხოვრები იყო,

¹ ივ უოზეფ დე კარგელენმა (1745—1797), — საფრანგეთის ფლოტის ვიცე-
ადმირალმა, იმოგზაურა წყნარ ოკეანეზე და 1772 წ. აღმოაჩინა კუნძული, რომელ-
საც მისი სახელი უწოდეს. კერგელენმა აღწერა თავისი მოგზაურობა წიგნში:
„Voyages dans les mers australes et des Indes“ (1782).

კარგად იცნობდა და საუკეთესო დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, — შეუდგა საჭირო ხალხის გამოძებნას და ყოველ მხრივ ხელი შეუწყო ექსპედიციის მომარავებას, „მას სწრაცად შეასრულა ყოველივე, რაც დაავალა კუქმა, იმ ხნის განმავლობაში, სანამ მეზღვაურები შეაკეთებენ ვემსართავებს და დურგლები ამოაქტორთავდენ ხომალდის გვერდებსა და ურდოებს.“ ახლად შეღებილი ხომალდები გამოიყურებოდენ ისე, როგორც პლი-მუტიდან გამოსვლის დღეს.

ნატურალისტებმა ხარბად დაიწყეს „ნადირობა“. მხარე სავსფიც ცხოველთა და მცენარეთა ახალ, ჯერ კიდევ უნახავ ჯიშებით. გეორგ ფორსტერი სჩივის, რომ დროის სიმურის გამო, მათ ვერ მოასწრეს გამოეკვლიათ მხარის დაშორებული ნაწილები, სადაც ბინადრობს გნუ და ველური ჭამბეტი.

კოლონისტები, — გერმანელები, ჰოლლანდიელები და ფრანგები, — მისდევენ მიწათმოქმედებას, ამ მხარის ბატონ-პატრონის, — ჰოლლანდიის ოსტინდურ კომპანიის დაუღალავ კონტროლის ქვეშ, რომელიც კანონმდებლობს, მმართველობს და ადგენს თავის წესებს: აკრძალვა ურთიერთისავან ახლო შანბილზე დასახლებისა, მძიმე გადასახადების დაკისრება, ყოველგვარი სხვა აკრძალვანი და შეზღუდვანი, ამცირებენ მუსრნეობის პროდუქტიულობას, არ აძლევენ კოლონისტებს შესაძლებლობას გაუმჯობესონ და განავითარონ პურის და ყურძნის დამუშავება. სქელდება გუბერნატორის ჯიბე, რომელიც ყოველ ასეულ გალლონ ლვინოზე ათ დოლარს იღებს, გარდა ჯამაგირისა, სახლის, ბაღის და სხვა დოკუმენტებისა; მდიდრდებიან ვიცე-გუბერნატორი, ჰოლიციის უფროსი, მხარის გამგებელი საბჭოს წევრები და სხვა მაღალი მოხელენი.

გეორგ ფორსტერის აზრით ეს მხარე რომ ეკუთვნოდეს შეერთებულ პროვინციათა რესპუბლიკას, — იგი აყვადებოდა და განვითარდებოდა, რაც არ შეიძლება მოხდეს მის ახლანდელ მდგომარეობაში.

„სავაჭრო კომპანია უფრო მოსაგებად სთვლის თითონ იყოს მიწის ბატონ-პატრონი და მიამაგროს ზედ კოლონისტი, რომ ის არ გახდეს ზედმეტად ძლიერი, ან ზედმეტად მდიდარი“. ადგილობრივი მცხოვრები, — გოტენტოტები, — წავიდნენ ამ ქვეყნის შუაგულში. მათ შესახებ ძალიან ცოტა რამ იციან და არც არავს აინტერესებს მათი ამბავი. ახლო-მახლო მიდამოებში ბოგანოდ მცხოვრებ ბუშმენთა ტომები თავს იჩინენ ნადირობით და ქურდობით. კოლონისტები არ აძლევენ მათ უფლებას იყოლიონ ჯოვი,

რათაც უსვადაა მოუენილი მდიდარი საძოვრები. ისინი არ არიან. აღმიანები, — ეს მხოლოდ მუშაობისთვის გამოსაღევი ნახევრად-პირუტყვებია. მშეერთ ველური მცხოვრები სიხარულით მიღის ფერ-მეტ-კოლონისტთან და ხდება მის მონაც, სასაპალნე ცხოველად. მას ფარების დამცველ ძალად, უფასო მუშა-ხელად, კოლონის მთელი ცხოვრება დამყარებულია ღვინით და პურით ვაჭრობაზე, რომელიც გააქვთ ბატავისა და ევროპაში. პოლლანდიელი ვაჭარი, — კაპშტადტის მეუეა: ის განაგებს საბაზრო ფასებს, — ე. ი. ამ მხარის ჰთელ ცხოვრებას.

მაღაელები, ბენგალელები, ზანგები, გოტენტოტები, ცხელ-კუნძულების და ცივი მთების მცხოვრებნი, უნდა დამორჩილებოდენ „მშვიდობიან“ დამპყრობელს, რომელმაც წაართვა მათ მშობლიური შიწა. „ცივილიზირებულ“ ევროპელთა ზარბაზნების და ოთვების წარაშე უძლურია ადგილობრივი მკვიდრის ხის ფარი. პოლლანდიელმა ვაჭრებმა გადმოიტანეს კაპშტადტში თავისი აგურის სახლები, ხეებით მორგული არხები, გადმოიტანეს აგრეთვე სიძულუილიც სხვის სარწმუნოებისადმი. შემთხვევით, ხომალდებით ჩამოსულ დანიელ და შვედელ მღვდლებს, — ლიუტერანელ პასტორებს, — ეკრძალებათ წირვის წესის შესრულება. მონების სარწმუნოებას და ჩვეულებებს ხომ არავინ არ აქცევს ყურადღებას, ეს წვრილმნაა, რომელზედაც ფიქრიც კი არ ღირს.

ვიდრე ნატურალისტები ათვალიერებენ მიღამოებს, ნაღირობენ ფრინველებზე, იჭირენ გველებსა და ხვლიკებს, ვიდრე ხოჯის ხალავს ქალაჭის და კონცხის მიღამოებს, ოფიცრები შეექცევიან კონსტანტინ ლეინოს და ერთობიან კოლონისტ-ქალებთან, — კუკი დილიდან საღამომდე თვალყურს ადევნებს მუშაობას ნავსაკეთებელში, მკიბაციის კვების, სურსათის დატვირთვის. დასვენების საათებში იგი საღარბაზოდ დაღიოდა ოფიციალურ პირებთან, მდიდარ ვაჭრებთან, რომლებიც ართობდენ უცხოელ კაპიტანს საღამოების მოწყობით, ცეკვით და საკრავებზე დაკვრით, რაშიდაც მათი ცოლები და ქალები დაც ოსტატობას იჩენდენ. უმართავდენ ვახშებს, საღაც კუკს სთავაზობდენ საუცხოვო ღვინოს, დაყენებულს ირნიდან, მაღვირადან ან ბურგუნდიიდან ოდესაც ჩამოტანილ ვაზის მტევნიდან. კუკის ამ ახალ ურთიერთობათა მიზანს შეაღვენდა წასვლის აჩქრება: ყველა ამ პირთავან იყო დამოკიდებული ხომალდის შეკეთებაც და სურსათის მოზიდვაც.

სამმა კვირამ, გატარებულმა ნაპირზე, სტუმართ-მოყვარე ბრანდტის შინაურ ატმოსფეროში, კიდევ უფრო დაახლოება კუჭი თავის

თანამშვიდობიან. განათლებით მასზე შეკრად მაღლა მდგომი მეცნიერები გრძელდებო მისი ნიჭის არა ჩეცულებრივ ძალას, არა ჩვეულებრივ ინტუიციას, მეცნიერულ საკითხებში. იგი ზუსტად, მოკლედ და მკვეთრად გამოსთვამდა თავის აზრს. ნაკითხებით და გამოცდილებით შეძენილი მისი ცოდნა ლრმა და საფუძვლიანი იყო. სოფლის ბიჭი, ნახშირის მზიდავ ხომალდის მურიანი იუნგა — დიდი ადამიანი შეიქა.

კუკი შეეგუა ფორსტერს — მამას და, მიუხედავად პროფესორის „ახირებულობისა“, მათ შორის არც ერთხელ არ მომხდარა რაიმე უთანხმოება. როგორც ჩანს, ორივეს სიციცხემ განსიარაღა ისინი და კუკის ჩქარი დაწყნარების უნარმა და მიმზიდველმა გულკეთლობამ გაიძარვა ჯიუტ მეცნიერზე. მეცნიერების სიყვარული აახლოვებდა და საბოლოოდ ამეცობრებდა მათ. როდესაც ფორსტერი შეხვდა კაპშტადტში დოქტორ სპარმანს, სახელვანთქმულ ლინნეის მოწაფეს, მან დააჯერა კუკი, წაეყვანათ ისიც მოგზაურობაში. სპარმანი შვეციელი იყო და კუკი თავდაპირველად დაუინებულ უარს ამბობდა აეყვანა ხომალდზე უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომი.

„ბატონი ფორსტერი.... ფიქრობდა, რომ სპარმანი შეტად სასარგებლო იქნებოდა მისთვის მოგზაურობის დროს, დაუინებით მთხოვდა და მარტმუნებდა ამეცვანა ხომალდზე უცხოელი. ბოლოს მე დავთანხმდი. სპარმანი წამოგვყვა ჩვენ, რომ მოხმარებოდა ბატონ ფორსტერს მუშაობაში...“

ოცდა ორ წლის შემდეგ, შუალდის სამ საათზე, ხომალდებმა აუშვეს ღუზა. გუგუნით გახმაურდა ნავსადგურში ზარბაზნის სალიუტი. სალამოზე ხომალდები გავიდნენ ღია ზღვაში, რომელიც შეხვდა მათ წვიმით და ქარით (იხ. გვ. 75).

ასეთია, დღიდან დღეზე, გზის ჩვეულებრივი ტრილი. ასე იწერება წიგნი იმ ზღვაზე, სადაც ჯერ არც ერთი ხომალდი არ ყოფილა. შესაძლოა, — ეს ზღვა ჰყოფს ცნობილ ქვეყანას სხვა ახალ, უზარმაზარ, საუცხოო ქვეყნიდან?

ოთხი დღე წყნარად გადის. ალბატროსები მისცურავენ ხომალდის უკან. ხარბად მივარდება თეთრი ფრინველი ანკესზე ავებულ ხორცის ნაჭერს და მთრთოლვარე, მძიმე ბურთად ჩამოეკიდება ანკესის წკნელს.

კუკი წინდაწინვე იღებს საჭირო ზომებს: ის ურიგებს შეზღვაურებს თბილ ტანსაცმელს, კრძალავს პირის დაბანას უმარილო წყლით, აყენებს დარაჯს წყლის სარქველიან აუზთან, უბრძანებს, რომ აამუშავონ ირვინგის საღისტოლაციო მანქანა. ცურვის პირობე-

„სამხრეთის უცნობ მიზისაპვენ“

წელი	სამხ. განვითარების დანართი	აღმისას განვითარების დანართი	განვითარების დანართის უფლება და უფლების უფლება	თემატიკური განვითარების დანართი	განვითარების დანართი	ქარის ცა, შენიშვნები.
1772	0'	0'	0'	0'	P'	
ნოემბერი						
24	35 25	17 54		63 1/2	29 10	დას., -სამხ.-დას. და სამს. აღმ. სუფთა ცა.
25	37 15	16 35		64	30	სამ.-აღმ., აღმ. გრილი და ხელ-საყრელი ქარი.
26	39 4	16 23		69	29 80	ჩრ.-ჩრ.-აღმ., გრილი ბრიზო-ღრუბლიანი ცა.
27	40 4	16 52	18 30	52	30	სამ., -სამ.-აღ. კარგი ბრიზი.

ბი ამ განედში არავისთვის არ არის ცნობილი. ისინი მზად უნდა იყ-ვნენ ყოველგვარ მოულოდნელობისათვის. ცხრილის პირველი, წყნა-რი სტრიქონები ვერ მიაყენებენ გამოცდილ მეზღვაურის სიფხიზ-ლეს. „კარგი ბრიზი“, შეიძლება გადაიქცეს მკვდარ, უქარო ამინდად ან ქარიშხალად.

ერთ დღე-ლამესაც არ გაუვლია, რომ ეს ეჭვები გამართლდა: ატყდა ქარიშხალი, წვიმით და სეტყვით და დაიწყო ხომალდის სა-შინელი რეევა. ედროებზე, კაიუტებში და გემძირედში არაჩვეუ-ლებრივი აჩბავი ტრიალებდა: ზრიალით დაფრინავდენ კასრები და ბოთლები, იმსხვრეოდა ჭურჭელი. ტალღები გააფთრებით ესხმოდენ ხომალდს, ახტუნებდენ, ანარცხებდენ უფსკერულში, ისევ ამოქმნ-დათ ზევით და იტაცებდენ აღმოსავლეთისაკენ, სადღაც შორს დასა-ხულ გზიდან. ქარი კვნესოდა, სტევნდა, ლმუოდა. ხომალდი უძღლუ-რი ნაფოტივით მიჰქმნდა აღვართქაფებულ წყალს. ქარიშხალის გუნდები ყვირილით დაფრინავდენ ჰაერში, თითქოს სისხლიან დავ-ლას ელოდებიან. ამ ხმაურობაში გაისმოდა ბლავილი გემძირედი-დან: ცხვრები, ლორები და ბატები იხოცებოდენ სივიწროვესა და წყველიაღში. აღამიანები ძლივს იდგნენ ფეხზე, ძაგძაგებდნენ სიცივი-საგან წვიმაში და ქარში. ქარი აქრობდა და მეზღვაურებს ხელიდან სტაცებდა მბუუტავ სანათურებს.

ერთ ასეთ ლამეს, შეიპერის მაღაზიას, ხომალდის ცხვირზე, წყა-ლი მოასკდა. „სიბნელეში უცემ ვერ მონახეს ხერელი; მერე დაი-

წყეს წყლის ამოქანება ტუმბოებით. ყველანი შეძრწუნდენ, შიშს აძლიერებდა ლაპის წყვდიადიც”, წერს გეორგ ფორსტერი.

.... „ქართულებრივდა დ. და ს.-დ. — ჩასწერა კუკმა, — 29-ს ქართულებრივდა დ.-ჩ. დ-კენ, გაძლიერდა და გადაქცა ქარიშხლად, რომელიც, ზომიერი ამინდის მცირე ინტერვალებით, გრძელდებოდა 6 დღემბრამდე, როდესაც ჩვენ ვიმყოფებოდით $48^{\circ} 41'$ სამ. განედ. და $18^{\circ} 24'$ ალ. გრძ.“.

საერთო ალიაქოთში კაპიტანი მუდამ დამშვიდებული იყო. გარსმოდა მისი მკაცრი და მტკიცე ბრძანება. გაყინულ მეზღვაურებს ურიგებდენ ლვინის და ლუდის ზედმეტ ულუფას. ყველაზე მეტად კუკს სწყინდა პირუტყვის დაღუპვა: ეს ნიშნავდა ხომალდზე ხორციელი საჭმელის შემცირებას.

შვიდ დეკემბერს დაინახეს პინგვინები, ათში — პირველი ყინულოვანი მთა. ამ ყინულოვან მთების წარმოშობის მიზეზმა გამოიწვია დავა და აზრთა სხვადასხვაობა. „როდესაც ჩვენ შევცვლით ამ პირველ ყინულს, — წერს გეორგ ფორსტერი, — ჩვენ შეგვეძლო მხოლოდ წარმოგვეყენებინა ესა თუ ის მოსაზრება მისი წარმოშობის შესახებ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენ ვიმოგზავრეთ დედამიწის ირგვლივ და ვერ მოვნახეთ სამხრეთის მიწა, რომლის არსებობა სჯეროდათ ეკროპაში, — ჩვენ უფრო კეშმარიტად მიგვაჩინია, რომ ეს ყინული ჩნდება ზღვაში: ეს აზრი მით უფრო გონიერია, რომ მრავალ, სავსებით დამთავრებულ ცდების შემდეგ დამტკიცდა, რომ მარილიანი წყალი იყინება“. ასეთი იყო მეცნიერთა უმრავლესობის აზრი, რომელიც კიდევ მრავალი წლის ვანმავლობაში იყო გაბატონებული.

როდესაც კუკმა დაინახა ეს უზარმაზარი, ოკეანეში მოცურავე ყინულები. — მან პირველმა დარწმუნებით განაცხადა, რომ ისინი წარმოშობილნი იქნებიან მაგარ მიწაზე, რომელიც უნდა იმყოფებოდეს სამხრეთ პოლუსის სიახლოეს, დაფარული თოვლით და ყინულით. ამ მთების დანახვაშ კიდევ უფრო განამტკიცა მისი მოსაზრებები. ასეთი მარტივი, როგორც ჩვენ ახლა გვვინია, შეხედულება, სავსებით გამართლებული ას ორმოცდაათი წლის შემდეგ როალდ ამუნდსენის და კაპიტან სკოტტის მიერ, რომელმაც განამტკიცია თავის სახელვანთქმულ თანამემამულის აზრი, — რატომდაც დიდიანს დაუინებით უარყოფილს იყო მეცნიერთა მიერ. „ნაგზაურობის“ კომენტატორმაც კი საჭიროდ ჩასთვალა გაემტყუნებინა კუკი: „მე უნდა დავუმატო იმას, რასაც აქ აღნიშნავს ბატონი ფორსტერი, რომ კაპიტანი კუკი, თავის მოგზაურობის რამდენიმე აჭა-

ლას ლაპარაკობს დიდ მწაზე, რომელიც უნდა მდებარეობდეს სადღაც სამხრეთის პოლუსის სიახლოვეს, რაღაც მას ჰერია, რომ ყინვა უნდა წარმოიშობოდეს მიმაგრებული რაიმე პირველად ბირთვთან. ასეთი მტკიცება ჩვენ არ მიგვაჩნია სწორად. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ სულ პატარა, სილოვანი თავთხელიც საქმარისი იქნებოდა ამ ყინულების წარმოსაშობად“.

ყინულოვანი მოები იზრდებოდა რაოდენობითაც და ზომითაც. ცურვა დღითი დღე რთულდებოდა, საჭირო იყო ფრთხილი სელა ამ მოძრავ კლდეებს შორის და ხშირად კურსის შეცვლაც. თერმომეტრის ვერცხლის წყალი ხან ზევით იწევდა, ხან ძირს ეცემოდა. ნისლის გამო ხომალდები ერთმანეთის სიახლოვეს იმყოფებოდენ. რომ არ დაკარგულიყვნენ წვიმასა. ქარსა და ბურუსში. იალქნები და გემსართავები ყინულმა დაფარა. სულ უფრო და უფრო ხშირად ხვდებოდა მათ პრეგვინები და ცეშაპები, რაც მიწის სიახლოვეს მოასწავებდა, მაგრამ ლოტი ფსკერს ვერ წვდებოდა. მიუხედავად ამისა, ყველას ელანდებოდა დაწინდვის კონცხი, აღმოჩენილი ბუვეს მიეროცდაცამეტი წლის წინეთ, რომელსაც სთვლიდნენ უცნობ მიწის დაბაწყისად.

კუკი ჯერ აყვა საერთო განწყობილებას, მაგრამ მალე დარწმუნდა შეცდომაში და სხვანაირად შეაფასა მდგომარეობა: იგი მიხედა, რომ ხიფათი მოსალოდნელი იყო და გაუფრთხილებლობა იქნებოდა ხომალდების წაყვანა უფრო შორს, ყინულებისკენ. მან აირჩია მყუდრო ადგილი, გაწვა დრეიფუში და შეატყობინა კაპიტან ფიურნოს, რომ ელის მას: ორი კაპიტნის შეხვედრამ გადაწყვიტა ექსპედიციის შემდგომი ბეჭი. კუკი შეუძლებლად სთვლიდა ყინულებში მოძრაობას, ხომალდების და ადამიანების ხიფათში ჩაგდებას, მოჩევნებითი მირაჟების ძიების მიზნით. უმჯობესია აღმოსავლეთისაკენ წასვლა, ტეხილი ყინულების მიმართულებით და შემდეგ სამხრეთისაკენ გასავლის ძიება. გარდა ამისა, ძალიან ადვილად შესაძლებელია, რომ ხომალდებმა დაკარგონ ერთმანეთი მხედველობის არედან, ბურუსის და კურსის მუდმივი ცვალებადობის გამო. კუქია სოხოვა ფიურნოს, თუ ასეთი შემთხვევა მოხდებოდა, სამი დღე-ღამის განმავლობაში ეცურა მათი განშორების აღვთლის ახლოს. შეძლებენ კი წისულიყო ანალ ზელანდიისაკენ და იქ ეცადნა „გაბედულებისათვის“.

ეს ოთხი თვე მოგზაურობათა ისტორიაში ჯერ არ მომხდარ ცურვისა ანტარქტიდის საზღვრების გასწვრივ, ხომალდების და ეკოპაუების სრული მოუმზადებლობის პირობებში, რუკის ან სხვა რაიმე

მითითებათა გარეშე, — ჭეშმარიტი გმირობა იყო. მეზღვაურებიდან არი თუ სამი ადამიანი იყო უწინ ნამყოფი ჩრდილოეთის ყინულოვან რკეანეში, ოფიცერთა და მეცნიერთაგან ჯერ არავის ენახა ყინულები, კაპიტენები პირველად მუშაობდენ ამდაგვარ პირობებში. ას რსების ურთულესი ცელილებანი, მუდმივი ბურუსი, დაბალი ტემპერატურა, ყინულოვან მთების და მინდვრების მუდმივი მუქარა, ყოველივე ეს წარმოადგენდა ურთულეს სანავიგაციო ამოცანას, რომლის გადაწყვეტა შეიძლებოდა მხოლოდ გონიერებით, სიცხიჭლით, რწმენით საკუთარ თავს და ხელქვეითების ძალონჩები. კუჭი პირველი უკაფავდა გზას მომავალ მეზღვაურ-მკვლევარებს. ერთფეროვანი და მერთალი ობივეტალური დაინტერესების თვალსაზრისით ეს ცურვა იყო კუკის ერთი უმნიშვნელოვანეს მიღწევათაგანი, როგორც სანავიგაციო, ისე სამეცნიერო სფეროში. ასტრონომიულ დაკვირვებათა, მეტეოროლოგიურ ცნობების და ხომალდების განწესის წვრილმან ფაქტების უპრეტენზიო ჩანაწერები ჩვენი დროსათვის თითქოს უმწეოდ და უმნიშვნელოდ სჩანან. მაგრამ საკმარისია გავიხსენოთ, რომ ამ უპრეტენზიო დაკვირვებებსა და ცნობებზე მეცნიერებამ ააგო მთელი თავისი შემდგომი კვლევა-ძიება, რამაც გაუხსნა ნავიგაციას უმნიშვნელოვანესი გზები სამხრეთის პოლუსისაკენ, სამხრეთის პოლარული ზღვის და ანტარკტიკის ზუსტ გაოგრაფიულ შესწავლისაკენ, და ცხოველების ახალ სახეობათა გაცნობით — ზოოლოგის გამდიდრებისაკენ, — მაშინ ცხადი გახდება ამ ნახევრად განათლებულ, თვითნასწავლ კაპიტნის „უმნიშვნელო ჩანაწერების“ მნიშვნელობა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კუკის მიღწევათა საფუძველზე კაცობრიობა მივიღა ახალ მეცნიერულ აღმოჩენამდე, — თავის კვლევა-ძიების დროს მეცნიერებას მუდამ მხედველობაში ჰყავდა ეს პატარა გუნდი გაბედული აღამიანების, რომელთაც მხოლოდ საკუთარი ნუბისყოფით გადალახეს უცოდინარობის ყინულები.

„თერმომეტრი უჩვენებდა 30° -დან 34° -მდე, ამინდი ძლიერ მოლუშული, წვიმიანი და თოვლიანი იყო: სიცივე გვაწუხებდა უფრო ძეტად, ვიდრე ამას გვიჩვენებდა თერმომეტრი და იწვევდა მთელი ეკიპაჟის ჩივილს. მეზღვაურებს რომ უკეთ გადაეტანათ სიცივა, მე ვუბრძანე გაეგრძელებინათ სქელი ქსოვილით მათი ზემო ტანსაცმლის სამაჯურები, — რაც დაუფარავდა მათ ხელებს. გარდა ამისა, მე ვუბრძანე დაერიგებინათ ჭუდები, რამაც მათ ძლიერ უშვილი“.

კუკი ზრუნავდა მეზღვაურებზე, როგორც მისთვის საჭირო ხელქვეითებზე, იმავე დროს იგი აფასებდა მათ მუშაობას და, როგორც პირველი მოვზაურობის დროს, მუდამ აღნიშნავდა მათ გმირულ ყოფა-ქცევას ცურვის უძნელეს პირობებში.

„განსაკუთრებით შემაწუხებელი ის იყო, რომ ყინვა ფარავდა გემსართავებს, იალქებს და კოჭონაქებს ისე, რომ მათთან მიერარება ძლიერ ტკივილს იწვევდა. ეკიპაჟმა სიმტკიცით და დაუინებით გადალახა ეს სიძნელეები, იგი ებრძოდა ამ სასტიკ სიცივეს ბევრად უფრო მარჯვედ, ვიდრე მე ამას მოველოდი“.

კუკი მუდამ იმალება თავისი მოქლე ჩანაწერების უკან, იგი ერიდება ფართე მეცნიერულ და ფილოსოფიურ მსჯელობას; იგი ძალიან ცოტას ლაპარაკობს თავის თავზე, მისი ცხოვრების აღმწერელთა აფექტიური და ბანალური ფრაზები ჯერ კიდევ მისი სიცოცხლის დროს ხოტბას ასხამდენ მას და ხაზს უსვამდენ მისი, როგორც ადამიანის და მეთაურის ხასიათის მაღალ თვისებებს; ქებით აღსავს სიტყვები და ნეკროლოგები მისი სიკვდილის შემდეგ ლაპარაკობენ „გულწრფელი და სიყვარულით აღსავს ნდობაზე“, რომელსაც განიცდიდენ ხელქვეითნი მისდამი, ოფიციების და მეზღვაურების „აღტაცებაზე“ თავისი კაპიტნით. მაგრამ ყოველივე ეს ვერ დაფარავს ხომალდის ნამდვილ ცხოვრებას. იგი არ იყო ისეთი იდეალური, როგორადაც ეჩვენებოდა კუკის მხურვალე თაყვანისძებლებს და ისეთ ხალხს, რომელიც თავისი სოციალური შრგომარების გამო, ვერ მიიჩნევდა ამ ცხოვრებას სხვაგვარად.

რასაკვირველია, კუკი არ ეკუთვნოდა ჩვეულებრივ, სამხედრო კაპიტნების საერთო მასას. მას არ ეშინოდა დაემცირებინა თავისი უფროსობის ღირსება იმითი, რომ ხანდისხან გაუთანასწორდებოდა უბრალო მეზღვაურებს, ანგარიშს გაუწევდა მათ გამოცდილებას და უნარს. მან შესძლო კიდეც შთაენერგა მეზღვაურებისათვის მათი მიზნის ერთობლივობა და მუშაობის შეგნებული დაფასება. კუკი ცდილობდა კიდეც დაეხახლოვებინა ოფიციები მეზღვაურებთან და, საჭირო შემთხვევაში, შეერბილებინა ხარისხების განსხვავება, მაგრამ ყოველივე ეს ატარებდა პრიმიტიულობის და სრული უმწეობის ხასიათს ფესვგაღმულ ტრადიციების წინაშე. ერთხელ და სამუდამოდ დაწესებული, ძვალში და ჩბილში გამჯდარი წესდებანი და კანონები ნებას არ აძლევდენ ოფიციებს, ჩამოსულიყვნენ მათი კლასობრივი სიმაღლიდან მეზღვაურების უბრალო მასამდე და შედუღებოდნენ მას. მწვანე კამზოლი, წითელი, გადაწეული მაჯებით და სამკუთხა ქედი შეუვალად განამტკიცებდა ოფიციის უბირატესობას: მას, რაც შეიძლებოდა, შორს ეჭირა თავი უბრალო მეზღვაურებისაგან,

რომელიც ყოველთვის ოჩებოდა გუმძირედის მცხოვრებად, დამოა-
ჩილებულ სამუშაო ძალად და ვერ ავიდოდა მის დონეზე, სიტლამ-
ჭის და უვიცობის წყვდიაღილან.

მეზღვაურები ცხოვრობდენ საკუთარი, განცალკევებული
ცხოვრებით, მათ ახასიათებდათ უსიტყვო მორჩილება უფრო-
სისადმი და გაროზგვის შიში; წყვდიაღით მოცული შეჯნება
მცირეოდენი გამოთხიზლებისა მუდამ უსასტიკესი ზომებით ჭი-
ბოდა; მათ დამოკიდებულებაში კუკთან აშკარავდებოდა მათი-
დაჩანარები მდგომარეობა. მეზღვაურებს ხანდახან სჯეროდათ კუ-
კის მზრუნველობის გულწრფელობა და ისინი აჯილდოვებდენ მას-
გაუგონარი თვისებებით,; მათზე მოქმედებდა სამშობლოში გაგონი-
ლი ამბებიც სახელგანთქმულ კაპიტნის დამსახურებაზე და მის ბავ-
შობის და ახალგაზრდობის თავგადასავალში ჩატარებიც
ისინი ეძებდენ კუკში თანაბარ წარმოშობის აღამიანს, ე. ი. სხვა-
ნაირს, ვიდრე დანარჩენი უფროსები არიან. როდესაც კუკი სჯილა-
დამნაშავეთ საზღვაო წესდების ყველა წესის მიხედვით, უბრძა-
ნებდა მათ გაროზგვას ან ჩაკეტვას გემძირედში,— ისინი სდუმდენ,
რადგან იცოდნენ, რომ სხვა ხომალდებზე და სხვა კაპიტნებთან ისი-
ნი უარეს სასჯელს მიიღებდენ. ხომალდის ცხოვრების მთელი გან-
წესი ისეთივე იყო, როგორც სამეფო ფლოტის ყველა ხომალდზე-
მეზღვაურებს და კაპიტანს შორის გახსნილი იყო უფსკრული, ამოვ-
სებული ყოველგვარი უფროსების წყებით, დაწყებული ბოცმანით;
ამ სანიმუშო მუშაკით, რომელსაც არ ებრალებოდა არც თავის
მუშტკები და არც მეზღვაურების ყბები და გათავებული უფროს
ლერთენანტით, რომელიც კაპიტანის ზედმეტად ლიბერალურ ბრძა-
ნებებს მუდამ ცხრილავდა საზღვაო სამსახურის წესების ურყევ კა-
ნონთა ცხრილში.

კუკმა ვერ გადალახა ეს უფსკრული; თუმცა ის სხვებზე უფრო-
ლმობიერი იყო, მაგრამ მეზღვაურებს მაინც მათზე განუზომელად
მდგომ უფროსის თვალებით უყურებდა. იჯი აფასებდა მეზღვაუ-
რებს, როგორც ხომალდის მოძრაობისთვის აუცილებლად საჭირო
დალას, რომელსაც მან უნდა გაუწიოს მზრუნველობა და პატრონობა,
დავალებული ამოცანის წარმატებით შესასრულებლად.

„ხუთი დღე ზედი-ზედ კარგი დარი იდგა. გარდა დაკვირვებები-
სა, რომლის მოხდენა ჩენებ მოვახერხეთ, კარგი ამინდი ჩვენთვის მე-
ტად სასარგებლო გამოდგა, იმიტომ, რომ ხომალდზე ბევრი უმარი-
ლო წყალი გვქონდა, ანუ ყინული (რაც ჩვენთვის ერთი და იგივე
იყო). ეკიპაჟმა შესძლო საცვლების და ტანსაცმლის გარეცხვა და

გაშრობა; ეს არის სიფრთხილის ზომა, რომელიც ჩატ შეიძლება ხშირად უნდა იყოს შესრულებული გრძელვადიან მოგზაურობას დროს”.

ჩვიდმეტი იანვარს ხომალდებმა გადალახეს პოლარული წრე 39° 35'-ზე და დღის მაწურულში ისინი იმყოფებოდენ სამხრ. განედის 67° 15'-ზე.

კუკი ავიდა გროტ-ანძაზე და დაინახა სამხრეთით გაწოლილი უზარმაზარი, თვალგადაუწვდენელი ყინულოვანი მინდორი. ზაფხული თავდებოდა, ყინულების გადალახვა შეუძლებელი იყო. აღმოსავლეთიდან ყინულების მჰვლოს შესაძლებლობა საეჭვოდ ჩანდა. კუკმა გადასწყვიტა წასულიყო ჩრდილოეთისაკენ და კიდევ ერთხელ გაეარა უქვე გავლილი ადგილები, მით უმეტეს, რომ ამოვარდა ძლიერი ქარი, განსაკუთრებით საშიში ყინულების სიახლოვის გამო; იალქნები დაუშვეს, ხშირი ნისლი და თოვლი აბრკოლებდა ხომალდების სვლას. ყინვა ძლიერდებოდა. ხომალდზე წყალი იყინებოდა, ქარი გამუდმებით იცვლებოდა, ხან წარიტაცებდა ხომალდებს, ხან სტოვებდა მათ აბობოქრებულ ოკეანეს წიაღში. კუკი ამინდის მდგომარეობის მიხედვით ხან უბრძანებდა „წამოწყებას“ მთახლოვებულიყო, ხან კიდევ დაშორებულიყო. იგი იმედოვნებდა ნათელ დღეში აღმოეჩინა მიწა. ქარი ხევდა იალქნებს, მძვინვარებდა და ეხეობოდოდა ხომალდს ხან ერთი, ხან მეორე მხრიდან. დღითი დღე ქრისტოდა მიწის აღმოჩენის იმედი. პირველ თებერვალს ქარმა დაიწყო ქროლვა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და აიძულა დაეჭირათ კურსი ამ მიმართულებით. „ჩადგან ჩვენ მაშინ ვიმყოფებოდით 48° 30' განედ. და 58° 71' აღმ. გრძედზე, დაახლოვებით კუნძულ მორისის პარალელზე,—მე მოველოდი მიწის დანახვას, რომელიც, როგორც ამბობენ, აღმოაჩინეს ფრანგებმა 1772 წლის იანვარში; მაგრამ მე ვერ მოვნახე მისი ოდნავი ნიშან-წყალიც კი და წავედი აღმოსავლეთისაკენ“.

თოლიების და ქარიშხალა-ფრინველთა გამოჩენა, აგრეთვა ხღვის შეგომარეობა, კაბიტანი ფიურნოს საბაბს აძლევდა ემტკიცებინა, მიწა ახლოს უნდა იყოს, მაგრამ კუქს ეს არ სჯეროდა: მისი დაკვირვებანი არ ეუბნებოდენ ამას და, გარდა ამისა, კიდეც თუ არ სებომდა მიწა, — ეს არ იქნებოდა სამხრეთის მიწის კონცხი, როგორც ამას ამტკიცებდენ ინგლისში და საფრანგეთში. ეს კი საკმარისი იყო იმისთვის, რომ ხომალდები აღარ შეჩერებულიყვნენ ამ ფართედებში. მიუხედავად ამისა, კუკმა დაუთმო ფიურნოს და სამი დღე-ღამის განმავლობაში ხომალდები ვიდოდნენ დასავლეთისაკენ, რის შემდე-

გაც ქვლავ შებრუნდენ აღმოსავლეთისაკენ. ყოველ უნისლო დღეს იყენებდენ ლოგინების გასამზეურებლად, დასალაგებლად და მოსახრა-ჩოლებლად.

ცურვის რვა თვე გავიდა ისე, რომ არ ჰქონია ადგილი ხომალ-დების რაიმე სერიოზულ დაშავებას, ან ვისმეს დაავადმყოფებას. კუკის წინასწარი ზომები და მოსაზრებანი ბრწყინვალედ გამართლდა. თამამად შეიძლებოდა კიდევ ერთხელ გაებეჭდნათ პოლარული წრის გადალახვა, რადგან ამას ხელს უწყობდა მეზღვაურების ჯანსაღობა, მაძლრობა და მხენ განწყობილება. ეს გაუფრთხი-ლებელი და არაჩევეულებრივად თამამი აზრი არ სტოკებდა კუკს. გონიერება ებრძოდა ამ აკვიატებულ აზრს: დრო იყო, წასულიყვნენ პოლარული ზამთრისაგან, რომელიც უქადღა მათ საშინელ სიცივეს, გურუსს, წყვდიაღს და ქარიშხალს, დრო იყო მოშორებოდენ კინუ-ლებში დაზამთრების საშიშროებას, უმაგალითო, უმძიმესი პასუხის-მგებლობის პირობებში. კუკი ამჟღავნებს თავის სურვილს, კვლავ მიმდროს ხომალდები სამხრეთისაკენ, ყინულებისკენ,—უცნობ მი-წისაკენ გასავლის საპოვნელად, მაგრამ გარემოებებმა, რომლებმაც ჩრდილი მოფინეს ამ საკვირველ მოგზაურობას,—შეატრიალა ბე-დის ჩარხი და გადაარჩინა გაბედული და უინიანი აღაშიანი საბედის-წერო გადაწყვეტილებისაგან.

რვა თებერვალს მოღუშული დღე იყო; მძიმე, დაბალი ღრუბ-ლები ფარავდენ ცას, გარშემო ყველაფერი ბურუსით იყო მოცული; ყოველ საათში ერთხელ ისმოდა ზარბაზანი, ყრუდ ვაისმოდა გასრო-ლა, წამსვე შთანთქმული ბურუსით, პასუხი არ იყო. „წამოწყება“ სღუმდა, დაფარული ბნელი ღრუბლებით: დღე გაჭიანურდა. ყველა მოუსვენრად იყო; კუკმა ბრძანა გაესროლათ ყოველ ნახევარ საათში ერთხელ. ბინდი საბედისწეროდ სღუმდა. მეორე დღეს ნათელმა დარ-მა გააშუქა ცარიელი ზღვა. „წამოწყება“ აღარსად ჩანდა. დაწვენ დრეიფში, ისროდენ მოელი ლამე, ანთებდენ მაშხალებს. გავიდა კი-დევ დღე-ღამე. ყველა შეიძყრო მარტოობის, მიუსაფრობის შემაძრ-წუნებელმა გრძნობამ. „მთელს ეკიპაჟს გულზე აწვა ეს განშორება, — ამბობს ფორსტერი, — ჩვენ ვერ გადავხედავდით ოკეანეს ისე, რომ არ გამოვვეთქვა სევდა ჩვენი განმარტოებული ხომალდის დანახვი-სას ამ უცნობ და შორეულ ზღვაში, მეორე ხომალდის სიახლოვე კი გვაწყნარებდა და სიამოვნებას გვვრიდა“.

კუკი დაწყნარებული იყო: მას წინდაწინვე დაშვებული ჰქონდა „წამოწყების“ დაკარგვის შესაძლებლობა. კაპიტან ფიურნოს მზნ მისცა ყველა საჭირო ღირეეტივა, მაგრამ სამხრეთისაკენ წასვლის გადაწყვეტილება შერყეული იყო. კიდევ რამდენიმე დღე მიყავდა

ზომალდი კუკს სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, შემდეგ სამხრეთისაკენ და შემდეგ აღმოსავლეთისაკენ, იგი თითქოს ებრძოდა თავის არსებაში სახიფათო გატაცებებს. კარგი დღეები, ურაცხვი პინგვინები და აღბატრიოსები იზიდავდენ მის გულს მიწის მოჩენებითი სიახლოვით. ყინულოვანი მთების გამოჩენა, ცივი ქარი და ბურუსი აიძულებდა გონს მოსულიყო და შეეცვალა კურსი. პოლარული ბრწყინვა, ცაში გაშლილ, ფანტასტიურ, ცეცხლოვან ზოლებით,—მოუწოდებდა ზლაპრულ ქვეყნისკენ,—ქარისა და ყინულის მიღმა. ზლვასთან ბრძოლაში, ყინულოვან მთებს შორის ცურვით, მიუხედავად ბურუსის, თოვლის და წვიმისა, კუკმა მიიყვანა თავისი ხომალდი სამხრეთ განედის $61^{\circ} 52'$ -მდე. ამაში გამოსჭვივის ჩაღაც დაუდევარი სულისკვეთება, რომელმაც შეიძყრო მანამდე გონიერი ადამიანი. ამ თავ-შეუკავებელ დაქინების ხანმოკლე აფეთქებით კუკმა თითქოს აღნიშნა საწყენი მიუწვდომლობა განზრახულისა. ამ დღეების ჩანაწერები აჭრელებულია უჩვეულო სიტყვებით: „ამ სანახაობის სილამაზე აცხებდა სულ აღტაცებით და განციფრებით“.

„წამოწყების“ დაკარგვამ და სტიქიის ძალამ ბოლოს მოსტენა შეუდრეკელი კაპიტანი, „ამდენმა არა ხელსაყრელმა გარემოებამ, შეერთებულმა წელიწადის ამ გვიანზოროის ბნელ ღმეებთან, შემიშალეს ხელი შემესრულებინა მიღებული გადაწყვეტილება, — კიდევ ერთხელ გადამელახა პოლარული წრე“.

კუკმა უკუაგდო აზრი წასულიყო სამხრეთისაკენ, მაგრამ მაინც რყევაში იყო და რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ სინჯა შეეცვალდა კურსი. ეს იყო დიად ბუნებასთან შეჭიდების უკანასკნელი, სუსტი ცდა.

ორმოცდა-ოთხი დღის ცურჭას პოლარულ წრესთან ჰქონდა უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობა; საბოლოოდ დამტკიცდა, რომ ამ ფართედებში არ იყო მიწა. თეთრმა ლაქამ რუკაზე გაიწია კიდევ უფრო შორს, სამხრეთისაკენ. აქ არ შეიძლებოდა ყოფილიყო არავითარი სამხრეთის მიწის კონცხი. ამას ამტკიცებდენ ზლვის მიმდინარეობანი, სილრმის გაზომვის და მაგნიტურ ისრის გადახრაც.

ჩვიდმეტ მარტს კუკმა საბოლოოდ გადაწყვიტა მობრუნებულიყო ჩრდილოეთისაკენ და წასულიყო ახალ ზელანდიისაკენ „წამოწყების“ საპოვნელად და ხალხის დასასვენებლად. გრძედის ჩა გრძუსის განსხვავებამ უცებ ასწია ჰაერის ტემპერატურა, შესცვალია ამინდი უკეთესობისაკენ და აღადგინა კარგი განწყობილება. ხელ-საყრელი ჭარი სწრაფად მიაქროლებდა ხომალდს და 25 მარტს, დღილით, ჰორიზონტზე გამოჩნდა ახალი ზელანდიის დასავლეთი კონ-

ცხი. მეორე დღეს სამ საათზე „გაბედულებამ“ ჩაუშვა ლუზა „ბნელ“ კონცხთან.

„.... ასჩვიდმეტი დღის მოგზაურობის განმავლობაში ჩვენ გავაკეთეთ სამი ათას ექვსას სამოცი ლიე ისე, რომ არც ერთხელ მიწაარ გვინახავს“.

კუკი კვლავ სიამაყით უცხადებს მკითხველს, რომ ცდება ის, ვინც იფიქრებს, რომ ხომალდზე იყო ერთი სურავანდით დაავადმყოფებული მაინც. ლუდის ბადაგმა, მეავე კომბოსტომ და ბულიონმა გაამართლეს იმედები.

დღიური ისევ იძენს თავის ჩვეულებრივ, წყნარ ფორმას. ახალ ზელანდიის კუნძულებს შორის კუკი ისე გრძნობს თავს, როგორც საკუთარ სახლში. სამეურნეო საქმიანობა სცვლის გაუფრთხილებელ გატაცების წუთებს.

კუკი კვლავ ხელს კიდებს წვრილმან საზრუნავს: ხომალდის შეკეთებას, სურსათით მომარაგებას. იგი ამუშავებს ოფიცრებთან ერთად შემდგომ მაჩშრუტს და „წამოწყების“ ძებნის გეგმას. მიწის მიღწევის და თბილ ფართედებში გადასვლის გამო საერთო სიხარულს ჩაეწინ უსაზღვრო ნდობა კაპიტნისადმი. არავის ფიქრად არ მოსდიოდა, რომ თითონ იგი შესაძლებელია უკმაყოფილო იყო თავისი თავით.

პირველი წრე

არც ერთი ევროპელი არ გადმოსულა ჯერ ამ ნაპირზე. ზღვის ძალები თავისუფლად წამოწოლილან ქვებზე და მზეზე თბებიან. ფრინველებს ჯერ არ ეშინიათ მონადირეების, უშვებენ მათ სულ ხელოს და თოფებზედაც კი ასხდებიან.

თეთრი აღამიანები ომს უცხადებენ ნაპირს. ისინი აწყობენ ბანაკს, აშენებენ ობსერვატორიას, შლიან კარვებს დურგლებისთვის და მუკასარებისთვის, ანთებენ ცუცხლს, სჭრიან ხეებს და იწყებენ ფრინველების ხოცვას. ზღვის ჩვეულებრივ, საუკუნო ხმაურს, გაუვალი ტყის ამრერებულ სიწყნარეს უერთდება უჩვეულო ხმები, — გასროლა, აღამიანთა სიმღერა.

მთელი თავისუფალი დრო ნადირობას უნდება. მეცნიერები და ოფიცრები, კუკის მეთაურობით, ნადირობენ იხვებზე, ზღვის ძალებზე, ან თევზაობენ კუკს მოსწყინდა ერთფეროვანი კვება და ცვლილებას მოითხოვს. საუზმეები ნაპირის კლდეებზე მრავალფეროვნდება ახალი საჭმელებით „cancer omarus“-ით და თევზის. რაღაც

ახალი სახით, ზღვის ძალის გულ-ღვიძლით, ნანადირევით. მეზღვაურები მაღიანად შეექცევიან უჩვეულო საჭმელებს.

კუკმა მიმართა თავის ცდებს: ლუდს ადუღებდენ კანადურ ფიჭვის შენაერთით და იღებდენ მშვენიერ სასმელს, რომელიც იცავდა ხალხს ნაპირზე გავრცელებულ მავნე სინესტისაგან. ფორსტერები და სპარმანი მიისწრაფვიან ტყისაკენ და ბრუნდებიან მცენარეებით, ყვავილებით და ქვებით დატვირთულნი. ხოჯსი ხატავს ჩანჩქერის პეიზაჟს. მიწაზე ყოფნით და დასვენებით გამოწვეული სიხარული ხალხს ავიწყებინებს განვლილ დღეთა სიმძიმეს. ცხოვრება ხომალდზე ისევ ჩვეულებრივი ხდება, კაიუტები და ერდოები დილიდანვე ცარიელდება; ყველაფერი გადატანილია ნაპირზე. ხომალდის კატაც კი, რომელმაც ასე მოხდენილად იმოგზაურა ქვეყნის ირგვლივ, მიღის სანადიროდ გულუბრყვილო ჩიტებზე, რომლებიც გაკვირვებით კვდებიან მის ბრჭყალებში.

ადგილობრივი მცხოვრებლები უცებ არ ჩნდებიან: ისინი გამოშტერებული უცქერიან ნაჯახებს და ლურსმნებს, რომელიც მოსულებმა დასტოვეს ჯოხებიდან და ხის ქერქიდან აშენებულ მათ ჭოხებთან და მიტოვებულ ნავებთან.

კუკი მიმართავს თავის ჩვეულებრივ წესს ველურებთან დასახლოვებლად; მას უჭირავს ხელში მწვანე ტოტი ან ქალალდის ოქთრი ფურცელი, მიუახლოვდება, ზოეხვევა ადგილობრივ მცხოვრებს და აძლევს საჩუქრად რამე იაფფასიან ნივთს. ადგილობრივი მცხოვრები წააგავენ ტაიტელებს: იგივე მუქი სხეულები, შავი, წვრილად დახვეული თმები, ტანზე წასმული საძაგელი სუნის მქონე ზეთი. კუკი წარმოსოქვამს ტაიტურ მისალმებას, შესაძლოა იგი გაიგეს. თანდათან მყარდება ნაცნობობა. ადგილობრივი მკვიდრი — ქალი მეტად ყბედია, ის ჩქარ-ჩქარა წარმოსოქვამს გაუგებარ სიტყვებს. ერთი მეზღვაურთაგანი ოხუნჯობს: „ქალების ენა ერთნაირად კარგია ქვეყნის ყველა კუთხეში“. კუკო ლმობიერად უყურებს მეზღვაურების სატრაფიალო გართობას, რაღაც ეს შედის მის ჰიგიენურ გეგმებში“.

„ახალგაზრდა ზელანდიელი ქალი იჩენდა საქვირველ სინაზეს ვანსაკუთრებით ერთ მეზღვაურისადმი, იქამდე, ვიდრე მან არ გემოამუღავნა თავისი სქესი. ამის შემდეგ ქალმა არ მოისურვა მისი სიახლოვე- მე არ ვიცი, სჯიდა იგი მეზღვაურს ამ თავდაჭერილობით იმისთვის, რომ მან მისცა თავის თავს ერთგვარი კანიკერების ჩება, თუ ეს ქალის მორცეობის შედეგი იყო“.

როდესაც, რამდენიმე დღის შემდეგ, აღვილობრივი მცხოვრები გამოცხადდენ ნაპირზე ოჯახებით, კუქმა წამოიდვა ბეჭებზე, მოსახამის სახით, ქსოვილის ნაჟერი, მიეგება მათ, მიესალმა წინ მომავალ ახალ-ზელანდიელს, მოიძრო „წამოსასხამი“ და ჩააცვა იგი სტუმარს. ეს საქციელი მოეწონათ მკვიდრებს. ახალი ზელანდიელები ბავშური ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდენ ხომალდს, უველაფერს ხელს ჰკიდებდენ, თხოულობდენ სხვადასხვა ნივთებს და უკვირდათ ჯერ არ ნახული მქნავანა ცხოველის ფაფუკი ბეწვი. სრული მეგობრობის ნიშნად, ისინი იღებდნენ უბიდან მყრალი ზეთით სავსე ტყავის ტომსიკებს და უსვამდენ თეთრებს ზეთს კისერზე და თმებზე. მათ ძლიერ მოსწონდათ ნაჯახები და ლურსმნები, რითაც მათ ასაჩუქრებდენ უცხოელები.

აღვილობრივ მცხოვრებლებთან დამოკიდებულების საკითხი კუკს ყოველთვის მიაჩნდა ერთ-ერთ უძნელეს და რთულ საკითხად. სათონ, ადამიანური დამოკიდებულება ხშირად არ იძლეოდა კარგ შედეგებს: განსაკუთრებით, ახალ ზელანდიელების მტრულმა დამოკიდებულებამ მისი და მის თანამგზავრებისადმი ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა მასში ქველმოქმედებით გეგმები. კუკს გული მოსდიოდა, როდესაც ვერ ნახულობდა საერთო ენას აღვილობრივ მკვიდრებთან.

პირველი მოგზაურობის დროს თითქოს წარმატებით ჩატარებული ცდები ახლა, მათი განმეორებისას არ იძლეოდა სასურველ შედეგებს. ძეველმა ჰუმანური იდეებით გატაცებამ კუნძულელთა აღზრდის შესახებ აღვილი დაუთმო კოლონიზატორთა ჩვეულებრივ შეხედულებას აღვილობრივ მკვიდრებზე ინგლისელ მეზღვაურების მიერ ნაცად ზომებს. ამ მხრივ კუკი ვერ ასცილდა მისი აღმზრდელი კლასის დონეს, რომლის მიზნებს ის ასრულებდა. ბოლოსდაბოლოს, ერთად გროვით ნამდვილი იარაღი მის ხელში იყო ძალის ხმარება, ჯოხი ან თოფი. სხვა, რაღაც არა ჩვეულებრივ შესაძლებლობათა ილუზია თანდათან გაქარწყლდა.

შართლაც, ის გრძნობდა თავის უმწეობას და უჩიოდა მას. იგი სასტიკად ამტყუნებდა თავის წინამორბედებს, მაგრამ თვითონ სწალიოდა მათ შეცდომებს. მას ებადებოდა რაღაც გაურქვეველი, პრიმიტიული აზრები, მაგრამ ისინი ვერ იღებდნენ გარკვეულ სახეს, რომ ზუსტად გადაეწყვიტათ ეს მეტად რთული ამოცანა. დღიურის ჩანაწერებში გამოსკვივის ეს გაუბედაობა, მოსაზრებათა უმწეობა, აზრის დაუმთავრებლობა.

„ძნელი მოსახვდომია, რამ აიძულა სამი ან ოთხი ოჯახი (კონადან მე ფლიქრობ, რომ ისინი ამ რიცხვს არ აღემატებოდნენ) ასვა

დაშორებოდნენ საზოგადოებას და სხვა აღამიანებს.... ვინაიდან.... თუ მათ გონება აქვთ, — მაშინ რად არ შეერთდებიან საზოგადოებად, თუ ასეთი შეერთება ბუნებრივია აღამიანისთვის და ცხოვლისთვისაც“?.....

კუკი ყოველმხრივ ცდილობდა მიემაგრებინა ადგილობრივი მცხოვრებნი მიწასთან, — ის უჩვენებდა მათ, როგორ უნდა ნაჯახის ხმარება; გააჩეხინა ტყეების დიდი ფართობი და განთავისუფლებულ აღგილებში დაათესინა ყოველგვარი ბოსტნეული, უხსნიდა მათ კართოფილის, სტაფილოს და სხვ. მოყვანის წესებს. სტოკებდა კუნძულზე ლორებს და ცხვრებს, მაგრამ არასდროს არ იყო დარწმუნებული; რომ მისი სურვილები გაიგეს და დაათასეს.

კუკი განმარტოებული იყო თავის გატაცებაში. თანამგზავრები მას ხელს არ უწყობდენ. ისინი სკეპტიკურად უყურებდენ ამდაგვარ კეთილ განზრახვებს, ვერ ბედავდენ მის აშკარა კრიტიკას და კმაყოფილდებოდენ ორი-სამი ფრაზით, სადაც გაკვრით იხსენიებდენ კაპიტნის საქველმოქმედო განზრახვებს. თავის მეცნიერულ მინაღ-ტევართა აღნიშვნისას, ისინი ამბობენ, რომ არ სჯერათ, თითქოს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შესძლონ მიწაზე მობინადრე ცხოვრების და მოწყობილ, ცივილიზირებულ მეურნეობათა ჩვევების შეთვისება. „ჯინჭარი მალე დაახმობს ჩვენი ხელით აღმოცენებულ სასარგებლო მცენარეებს: მალე ვერავინ ვერ მოსქენის ჩვენი ნამუშევრის ნიშან-წყალსაც კი და ნაპირი დაუბრუნდება თავის პირველყოფილ ქაოსს“.

მაგრამ კუკს სწამდა, უნდოდა, რომ ეწამებიშა ცივილიზაციის გამარჯვება კუნძულელთა ველურობაზე: იგი დაუინებით ანხორციელებდა თავის კულტურულ ჩვეულებათა დანერგვის სისტემას და უსაყველურებდა თავის თავს, რომ არ ქონდა საკმარისად გავორნილი და ლრმად შესწავლილი ადგილობრივ მცხოვრებთა ზნე-ჩვეულება და ყოფა-ცხოვრება. სწორედ ამ უცოდინარობას მიყავს, მისი აზრით, აჩქარებულ დასკვნებისკენ და საწყენ შეცდომებისკენ“:რამდენად განწყობილი ვართ ჩვენ შევცდეთ ამ ხალხთა განზრახვებში და მივაწეროთ მათ ისეთი ზნე-ჩვეულებანი, რაზედაც არას დროს. არ უფიქრიათ“.

კუნძულების დათვალიერებაშ მისცა მათ ახალი, მდიდარი მასალა რუკის შესადგენად. კუკმა უწოდა ნავსადგურებს და კუნძულებს თანამგზავრთა სახელები ან იმ ცხოველთა სახელწოდებანი, რომელიც მათ დიდი რაოდენობით ხვდებოდათ. ზამთარი იწყებოდა. ნაპირი უფროდაუფრო ხშირად იყო ბურუსით მოცული. ცივი

წვიმა ხალხს აკავებდა ხომალდზე. ნაპირზე ხეებს ჩამოცვივდათ გა-
ყვითლებული ფოთლები. მუდმივ სინესტეს შეეძლო დასნეულება გა-
მოეწვია. საჭირო იყო სასწრაფოდ წასვლა ამ აღვილებიდან.

მაისის პირველ რიცხვებში კუკი ავად გახდა. მას აციებდა და
ფეხზე სიშივნე გაუჩნდა; გარდა ამისა, ძლიერი ტკივილი ლაჯში
უშლიდა მოძრაობას. როგორც ყოველთვის, ამის შესახებ გვაუწყებს
ფორსტერი, თვითონ კუკი კი კმაყოფილდება ხუთიოდე სიტყვით:
„ავადმყოფობამ დამაკავა ხომალდზე“. და როგორც მაშინ, ბატა-
ვიაში, — აქც იგი ცდილობდა ჩქარა დაევიწყებინა ავადმყოფობა,
დაეძლია იგი, კიდევ უფრო დაეტვირთა დრო, რომ ნაკლებად ეფიქ-
რა თავის თავზე და, რაც მთავარია, არ ეჩვენებინა თავის ხელქვეი-
თებისთვის სისუსტის აჩრდილიც კი, იგი რჩება ხომალდზე, მაგრამ
გზავნის ლეიტუნანტებს ბუხტიდან მოხერხებულ გასავალის დასა-
ზერავად და უბრძანებს მეზღვაურებს გაწმინდონ, ახრჩოლონ და გა-
ანიგონ გემდირედი და ერდოები; საღამოს ქარიშხალი ამოვარდა და
მოელი ღამე კაპიტანი ფეხზე იდგა წვიმაში და ქარში, ავადმყოფო-
ბაზე ფიქრის დრო აღარ იყო. თავის ხანგრძლივ მოგზაურობათა გან-
მავლობაში კუკს არც ერთხელ არავისთვის არ გადაუცია ხომალდის
ხელმძღვანელობა, არც ერთხელ მეზღვაურებს არ უნახავთ, რომ კა-
პიტანი ვისმეს შეეცვალოს.

კუკმა წაიყვანა ხომალდი დედოფალ შარლოტას სრუტისაკენ,
სადაც იმედოვნებდა „წამოწყების“ პოვნას. გზაში „გაბედულება“
მოხვდა კუდიანი ქარების რკალში. ჩვენი მდგომარეობა ბუნების ამ
მოვლენის. დროს მეტად საშიში იყო, — ამბობს ფორსტერი, — ეს
კუდიანი ქარები აერთებენ ზღვას და ღრუბლებს, ისინი იწვევენ
შიშს და აღტაცებას. ყველაზე გამოცდილ მეზღვაურებმაც კი არ
ცოდნენ, რა ექნათ. უმეტეს მათვანს მხოლოდ შორიდან დაენახა
მსგავსი მოვლენა, მაგრამ არასროოს არ ყოფილია ამდენად გარშე-
მოცული ყოველის მხრივ, ჩვენ კი წაკითხული გვქონდა საშინელი
აღწერები დამლუპველ შედეგებისა, იმ შემთხვევაში, თუ ეს კუდია-
ნი ქარები ხომალდს თავს დაატყდებოდნენ. საბედნიეროდ, საშინელ-
მა ბოძებმა გვერდი აუარეს ხომალდს. კუკმა გაიხსენა ფალკონეს
სახლვაო ლექსიკონში დაწერილი: „ეს ახსნა-განმარტება აღებულია,
უმთავრესად, სახელგანთქმულ დოქტორ ფრანკლინის ფილოსოფიურ
ნაშრომებიდან“. კაპიტნის ნაკითხობა არ ჩამოუვარდებოდა სწავ-
ლულთა ცოდნას. ფორსტერებმაც ვერ ახსნეს კუდიან ქარების წარ-
მოშობა და ისინიც ფრანკლინს იმეორებდენ.

თვრამეტ მაისს, ადრე დილით გაისმა სასიხარულო სროლა ზარბაზნებიდან: „წამოწყებამ“ პირველმა დაინახა „გაბედულება“. ჩვენი სიხარულის გასაგებად საჭიროა ჩვენი მდგომარეობაში ყოფნა: თვენახევარი „წამოწყება“ ელოდა თავის ამხანაგს. ორ თვე ნახევარმა განვლო განშორების დღიდან. კაპიტენების გულითადი შეხვედრა მოხდა იმავე საღამოს; „გაბედულებამ“ ისარგებლა მსუბუქი ნიავით და მოქცევით, გაგზავნა ლუზიანი ნავები და მიუახლოვდა „წამოწყებას“. ისევ დაიწყო ორი ხომალდის მეგობრული ცხოვრება, რამაც ყველა გაამხნევა.

კუკის პირველი აზრი იყო, დაუყონებლივ წასულიყო თრი მხრივ საქმაოდ შესწავლილ ახალ ზელანდიის ნაპირებიდან. დასავლეთით მდებარე ვანდიემენის მიწა¹, რომელიც აინტერესებრივი კუკის, გამოიკვლია კაპიტანმა ფიურნომ და თითქმის დამტკიცა მისი კუნძულებრივი მდგომარეობა, ე. ის, რასაც გულისხმობდა კუკი, წინააღმდეგ სხვების აზრისა, რომლებიც აკუთვნებდენ მას ახალ პოლანდის. მაშასადამე, საჭირო იყო აღმოსავლეთისაკენ წასულა და გამოკვლევა სივრცისა თრმოცდამერთე და ორმოცდამეექსე პარალელებს შორის. კუკმა შეატყობინა თავისი განზრახვა ფიურნოს და მისცა წინადადება, დაუყოვნებლივ შესდგომოდა სამზადის.

საქმე ეხებოდა იმავე სამხრეთის მიწას, რომლის არსებობას გულისხმობდენ ახალ ზელანდიასა და ამერიკა შორის. ჯერ კიდევ არც ერთ ხომალდს არ ევლო წყნარ ოკეანეს საშუალო განედებში. აქლი კუკმა დაისახა მიზნად, დაემტკიცებინა დაუბრკოლებელი ცურვის შესაძლებლობა საშუალო განედებში, რასაც უკვე სუპრანახებდა მას. „გაბედულებით“ გავლილი გზა.

„... ჩემს ცდებს რომ კიდეც არ შეეტანა ნაყოფი, სულ ერთია შთავომავლობას ეცოდინებოდა მაინც, რომ ოკეანეს ამ ნაწილებში შეიძლება ცურვა და აღმოჩენათა მოხდენა მთელი ზამთრის განმაფლობაში.

სრუტეში შეჩერდენ ოცი დღით. კუკმა მიჰყო ხელი ბოსტნეულის დარგვას. ბოსტნები უკვე მოეწყო კაპიტან ფიურნოს. „მე ვინახულე ბოსტნები, სადაც კაპიტანმა ფიურნომ უბრძანა დაერგათ სხვადასხვავარი ბოსტნეული, — ყველა ისინი კარგ მდგომარეობაში არიან და ძლიერ სასარგებლო იქნებიან აღილობრივ მცხოვრებთათვის, თუ კი ისინი მოუვლიან ბოსტნებს.

¹ კუნძული ტასმანია, აღმოჩენილი ტასმანის მიერ 1624 წ., რომელსაც მან უწოდა ვან-დიემენის მიწა, ბატავიის გუბერნატორის პატივსაცემლად. ტასმანის კუნძულებრივი მდგომარეობა საბოლოოდ დამტკიცა ბასმა 1758 წ.

შემდეგ მან უბრძანა წაეყვანათ ტყეში ყოჩი, ცხვარი, ლორქები, გარეული ლორქები და თხები. მას იმედი ჰქონდა, რომ ეს ცხოველები გამრავლდებიან და გამოადგებათ ადგილობრივ მკვიდრებს, როგორც კარგი საჭმელი და აგრეთვე წესიერი მეურნეობის მოსაწყობი საშუალება.

„ოცდა ათმა ადგილობრივმა მცხოვრებმა გვინახულა და მოგვიტანა ბევრი თევზი. რაც მათ გადაგვიცვალეს ლურსმნებზე და სხვა ნივთებზე. მე წავიყვანე ერთი ახალ-ზელანდიელთაგანი მოტუარაზე და ვუჩვენე მას რამდენიმე კართოფილი, რომელიც იქ დაოცა ბატონმა ფანჯრება, — „წამოწყები“-ს ბოკქანმა. ისინი უკვე მწიფობოდენ და ინდოელი იმდენად აღტაცებული იყო; რომ თავისი ნებით დაიწყო მიწის გაფხვიერება მცენარეების ირგვლივ. შემდეგ მას დაათვალიერებინეს სხვა ბოსტნები და უჩვენეს თალღამურა, კოგრა, სტაფილო, ოხრახუში და ძირნაყოფები, რაც კართოფილთან ერთად, მისთვის უფრო სასარგებლო იქნებოდა, ვიდრე ყოველივე ის, რაც ჩვენ დავრგეთ; ჩვენთვის აღვილი იყო გვეჩვენებინა ამ ძირნაყოფთა განსხვავება მათთვის ცნობილი ძირნაყოფებისაგან.

გაჩაღდა ვაჭრობა. მეზღვაურები ისე გაიტაცა გაცვლა-გამოცვლამ, რომ მათ დაიწყეს თავისი ტანსაცმლის მიცემა და სამაგიეროდ ყოველგვარ უბრალო ნივთების აღება. კუკი იძულებული იყო ჩასულიყო და ეთხოვა სტუმრებისათვის დაეტოვებინათ ხომალდი. გამოთხოვებისას კუკმა შეასრულა სააღმირალო სამშართველოს ბრძანება და დაურიგა ადგილობრივ მცხოვრებლებს სპილენძის მოოქროვილი მედალები, — ამ მედალების ერთ მხარეზე გამოსახული იყო მეფის პროფილი, წარწერით: „გეორგ III, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და ირლანდიის მეფე“, მეორე მხარეზე კი გამოსახული იყო ორი სამხედრო ხომალდი, წარწერებით: „გაბედულება“ და „წამოწყება“. გამოვიდნენ ინგლისიდან მარტში 1772 წელს².

ადგილობრივი მცხოვრებლები ვაჭრობდენ არა მარტო უბრალო ნივთებით და ნანადირევით, არამედ ქალებითაც. ლურსმნის ან ნაჯახის სანაცვლოდ მეზღვაური იღებდა ქალის სიყვარულს, ამასთანავე ქალი ნებდებოდა ზიზლით, ქმრის ან ძმის ძალდატანებით. „... მამაკაცების ნებართვის და მუქარის გარეშე ისინი არ დააკმაყოფილებდენ უცხოელების სურვილს, რომლებიც აულელვებლად უცქროდნენ მათ ცრემლებს და გულგრილად უსმენდენ მათ ჩივილს“.

² სომალდების გამომგზავრება განშრახული იყო მარტში.

გეორგ ფორსტერი აღელვებით ლაპარაკობს ამ აღმაშფოთებელ ფაქტზე. „ნაშუადღევს მეზღვაურების უმრავლესობას ნება დართეს ნაპირზე ჩამოსულიყვნენ. ისინი ყიდულობდნენ იქ ადგილობრივ იშვიათ ნივთებს და ზელანდიელ ქალების სიყვარულს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალების უსუფთაობა მათ ზიზღს გვროდა: უანგმიწით და ზეთით დაფარული ლოყები საკმარისი იყო, რომ მგრძნობიარე აღამიანს მათვან პირი ებრუნებინა, მაგრამ, თუმცა მყრალი სუნი უკვე შორიდანვე აგებინებდა ყველას მათ მოახლოებას, თუმცა მათი თმები და ტანსაცმელი სავსე იყო ტილებით, რომლებსაც ისინი დრო გამოშვებით სქამდენ, — ცხოველური ვნების ძალა ისეთია, რომ ცივილიზირებული ევროპელები მაინც ეძიებდენ მათთან სიყვარულით დატკბობას“. ახალგაზრდა მეცნიერი გულწრფელადაა აღმფოთებული „თეთრ დამცყრობელთა“ ყოფა-ქცევით და აღთარებს ევროპელთა დამამცირებელ, სამარცხვინო საქციელს. „ძლიერ უდია, რომ აღმოჩენები უსპობენ სიცოცხლეს უდანაშაულო ხალხს, მაგრამ კიდევ უფრო დიდი უბედურება მდგომარეობს მთელი ხალხის ზნეობის და პატიოსნების შერყვნაში. ისე მაინც ხდებოდეს, რომ ეს ქვეყნები იღებდენ ჩვენი ექსპედიციებისავან რაიმე გამოჩინებას, რომ ისპობოდეს რაიმე დამღუპველი ზნე-ჩვეულებანი — მაშინ ჩვენ შეგვეძლო რაიმეთი თავი გვენუგეშებინა, მაგრამ ევროპელთა ვაჭრობა მხოლოდ მავნებელია სამხრეთის ზღვის კუნძულელთათვის და ყველაზე ჰკვიანი ის არის, ვინც ნაკლებად იჭრს ურთიერთობას მოგზაურებთან და უფრთხილდება ხასიათის სიმჩარეს და გარყვნილებას“. „ამას უერთდება აღმფოთება აღგილობრივ ქალების დაავადების გამო ვენერიული სენით“. ვერაფერი ვერ გამოისყიდის ზელანდიელებისადმი მიყენებულ ზიანს, რადგან ის ფასი, რომლითაც მეზღვაურები ყიდულობენ ქალების კეთილგანწყობილებას, რყვნის როგორც ვთქვით, აგრეთვე კუნძულელთა გონებას და ზნეობას. საწყენია, რომ ამ ხალხისთვის, რომელსაც ველური სიტლანჯის, მკაცრი ხასიათის და სასტიკ ზნე-ჩვეულებათა გვერდით ახასიათებს სიმხნევე, დიდულოვნება, სტუმართმოყვარეობა და გულმართლობა, — უნაზესი გრძნობის წყარო, — სიყვარული, — იქცევა სიცოცხლის ყველაზე საშინელ სასჯელად.

ეს მომხიბლავი სიტყვები გვიხატავენ გულშემზარავ სურათს: აი როგორი იყო ერთერთი სავალალო შედეგი ახალ მიწების „მშვიდობაინი“ დაპყრობისა ევროპელ სახელმწიფოების მიერ. ეს გარემოება ეხამუშებოდა კუკსაც, რომელიც საერთოდ, ლმობიერად უყურებდა თავისი მეზღვაურების სააზიანო გართობას. იგი არ ვთანხმებო-

და ფოსტერს, რომელიც ანზოგადოებდა ბრალდებას და ამტკიცებდა, რომ პირველად ვენერიული ავაღმყოფობა შემოიტანა ტაიტზე ბუგანვილლის ფრანგულმა ექსპედიციამ¹. მას გული მოსდიოდა ადგილობრივ მცხოვრებლებზე, რომლებიც სიფილისს „ინგლისურ ავაღმყოფობას“ უწოდებდენ. ზომები, რომლებსაც იღებდენ თვითონ მეზღვაურები ავაღმყოფობის გავრცელების თავიდან ასაცდებად, მას სავსებით საკმარისად მიაჩნდა. როდესაც ხომალდის ქირურგი ადასტურებდა რომელიმე მეზღვაურის ვენერიულ დაავადებას, — კუკი უკრძალავდა ამ მეზღვაურს ნაპირზე გაღმოსვლას სრულ გამოჯანსაღებამდე. შესაძლოა, რომ ამაში მდგომარეობდა ძირითადი შეცდომა, განა შეიძლებოდა ასეთი დანდობა ეჭიმის დასკვნაზე ანდა როგორ შეიძლებოდა რაიმე დასკვნის გამოტანა ადგილობრივ ქალების ჯანსაღობის მდგომარეობის შესახებ. როდესაც კუკი ლაპარაკობს ტაიტელ ქალების პროსტიტუციაზე და ვენერიულ დაავადებაზე, — იგი ამავე დროს არ უკრძალავს მეზღვაურებს იყიდონ მათი სიყვარული. ყოველივე ეს არ ეგუება იმ ზრუნვას ხელქვეითების ჯანმრთელობაზე, რომელმაც ასე გაუთქვა სახელი კაპიტანს. არც ერთი მისი ცხოვრების აღმწერელი არ შეხებია ამ საკითხს. ფორსტერის საკმარისად ნათელმა და გაბედულმა სიტყვებმა არ მიიქციეს არავის ყურადღება. კუკის მტრებსაც კი არ გამოუყენებიათ ასეთი მოხერხებული შემთხვევა, რომ შეემცირებინათ მისი სახელი, როგორც მეზღვაურთა ჯანმრთელობის თავგამოდებულ დამცველისა.

გამოცდილებით ჰკუა-ნასწავლმა კუკმა გადაწყვიტა მიეცა კაპიტან ფიურნოსთვის შემდგომი გზის წერილობითი მარშრუტი.

შვიდ ივნისს ორივე ხომალდი დაიძრა ახალ ზელანდიის ნაპირებიდან და დაიკირა კურსი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. როდესაც კუკი შივიდა აღმ. გრძ. 33° 7'-დე, — მან წაიყვნა ხომალდები ჩრდილოეთისაკენ, რადგან განზრახული ჰქონდა მალე შესულიყო პირველ მოგზაურობის დროს გაცნობილ კუნძულების არეში. აჩქარებას ააშულებდა სურავინდის ნიშნების გაძლიერება. (განსაკუთრებით „წამოწყებაზე“), გამოწვეული ტროპიკებთან დაახლოვების გამო ჰავის შეცვლით.

¹ ლუი ანტუან დე ბუგანვილ, ფრანგი მეზღვაური, პირველი ფრანგი, რომელმაც იმოგზაურა დედამიწის ირველივ. თავისი მოგზაურობა მან აღწერა წიგნში: „Relation du voyage autour du monde“, რამაც მოუხვეჭა მას მეზღვაურის და მეცნიერის დიდი სახელი. ამერიკასთან ომის დროს ბუგანვილლი მეთაურობდა ერთ-ერთ ფრანგულ ესკადრას.

ორმა თვეებ გაიარა ერთფეროვან მოგზაურობაში, მაგრამ ეს
აძლევიცებდა მხოლოდ კუკის აზრის სისწორეს: აჩავითარი ხმელეთი
უ განედებში არ არსებობდა.

ავადმყოფები რომ არ ყოლოდა, კუკი, რასაკვირველია, ისევ
შობრუნდებოდა სამხრეთისაკენ, მიწის საძიებლად. „ეს საკითხი მე-
ტად მნიშვნელოვანი იყო იმისათვის, რომ შესაძლო ყოფილიყო მი-
სი გამოუტევევლად დატოვება“.

როდესაც კუკი მიღიოდა ჩრდილოეთისაკენ, ტაიტში, — მან
უკვე შეადგინა პოლარულ წრისაკენ წასასვლელი ახალი გზის გეგმა:
შემდგვ ზაფხულისათვის ეს გეგმა, რადაც არ უნდა დამჯდარიყო,
უნდა ყოფილიყო მოყვანილი სისრულეში.

ავეისტოს დასაწყისში შევიძნენ პასატურ ქარების ზოლში,
რომელიც სწრაფად მიაქანებდა ხომალდებს ტროპიკისაკენ. ტემპე-
რატურა აღწევდა 80° -სს, ისევ გაქრა ჭუდები და თბილი ტანსაცმე-
ლი, ისევ მზე თენთავდა ხალხს სიცხით. მწვანე კუნძულები, მფრი-
ნავი თევზები, თოლიები და ზღვის ღორები, — ეს კუკისათვის პირ-
ველ მოგზაურობიდან უკვე ნაცნობი სურათი იყო. ბევრი კუნძული
გამოუკვლეველი დარჩა და რუკაზედაც არ იყო სწორედ აღნიშნუ-
ლი. მაგრამ დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. „მე უფრო კ. ტაიტშე
მინდოდა მისვლა, ვიდრე აღმოჩენათა მოხდენა“.

15 ავეისტოს, სალამო-ხანს თვალი მოჰკრეს დიდი ხნის ნანატრ-
ნაპირებს. მოსაწყენი ცურვა თავდებოდა. „ჩვენ გავატარეთ ბეღნიე-
რი დამე, — წერს ფორსტერი, — დილის მოლოდინში: ჩვენ გადაუ-
წყვიტეთ დაგვევიწყებინა დაღლილობა და სამხრეთის ჰავის სიმწვა-
ვე; სევდა რომლითაც შეპყრობილი ვიყავით, გათვანტა. ავადმყო-
ფობის და სიკვდილის აჩრდილი უკვე თავზარს აღარ გვცემდა“. მეო-
რე დღის ნათელი დღელა და ტაიტის მთა-გორაკების უხვი მცენარეუ-
ლობა აიძულებს ახალგაზრდა მეცნიერს დღიური თითქმის ლექსად
დასწეროს. მეზღვაურების ბრძოლა გამორბის ზემო ერდოზე და სიხა-
რულით უყურებს მოახლოვებულ ნაპირს. პალმის ტყეებში მოჩანს
ადგილობრივ მკვიდრთა ქსემახები. რამდენიმე ნავი მოჰკრის „გაბე-
დულების“ შესახვედრად, შიგ დგას შიშველი ხალხი, ხელში უჭი-
რავთ ფართე ფოთლები და გაუგებარ სიტყვებს იძახიან, ნაპირზე
გროვდება ადგილობრივ მცხოვრებთა ბრძოლა. ნავებით მოსული-
მცხოვრებლები სთავაზობენ კუკს ფოთლებს, როგორც მშვიდობია-
ნობის სიმბოლოს. სამავიეროდ მათ აძლევენ ლურსმნებს, შუშის მძი-
ვებს, მედალებს. მათ იცნეს კუკი და ეკითხებიან პირველი მოგზაუ-
რობის თანამგზავრთა ამზადს, როდესაც მშვიდობიანობის ფოთლებ-

მა დაამშვენეს გროტ-ანძის მწვერვალი, — ნაპირიდან ხომალდისაკენ გამოსურეს კუნძულელებით სავსე ნავებმა. ნახევარი საათის შემდეგ ერდო სავსე იყო კოკოსის კაკლებით, ბანანებით, ბრინჯის ხის ნაყოფით, ქსოვილებით, ქვის ნაჯახებით, თეუზებით და მრავალი სხვა ნივთით. ზღვის მთელი სივრცე ხომალდიდან ნაპირამდე მოფენილი იყო ნავებით, „რაც წარმოადგენდა უჩვეულო ბაზრობის სურათს“. ორმხრივ სიხარულს მოწმობდა აღვილობრივ მცხოვრებთა მხიარული ყვირილი, მეზღვაურების სიცილი და ყიუინი, სირბილი ერდოზე და ნიჩბების ჩქაფუნი.

მაგრამ ხომალდი ვერ მივიდა ნაპირთან: უეცრად ქარი ჩადგა, დადგა წყნარი დარი, ტალღების ძლიერი მოხეთქება ნაპირთან ემუჭრებოდა ხომალდს გარიყვას ბრაგებზე ან თავთხელებზე. სინჯეს ღუზის ჩამოშვება, მაგრამ ტალღები საშინელი ძალით აწყდებოდა ხომალდის ცხვირს, რის გამოც გემის წინა ნაწილი ეხათქუნებოდა ფსკერს. მაშინ კუკმა გასცა განკარგულება ჩამოეშვათ ყველა პატარა ნავი და წაეყვანათ ხომალდი ბუქსირით ზღვაში. საბეღნიეროდ, ნაპირიდან მობერა ქარმა და დაეხმარა ლონე-მიხდილ მენიჩევებს. ასე რომ ბეღმიერად დაწყებული დღე კინაღამ საშინელი ავარიით დამთვრდა. მდგომარეობა იხსნა ისევ კაპიტნის სიფხიზლემ და საღმავონებამ.

მზე უწყალოდ აცხუნებდა (იყო 90° ჩრდილში). ლამე ჰექა-ჭუნილი ატყდა, ხომალდებს ისევ დალუპვის საფრთხე მოელოდა.

მეორე დილით „გაბეღულებამ“ და „წამოწყებამ“ ჩამოუშვეს ლუზა ნავსადგურში.

მეორე ჭრა

„... მე იმდენად აღმაშფოთა მისმა საქციელმა, რომ, როდესაც იგი ცოტათი დაგვშორდა, ორჯერ გავისროლე ჰაერში. მაშინ ის გადმოხტა ნავიდან და ცურვით გაემართა ნაპირისაკენ. მე ჩამოუშვი ნავი მის დასაჭერად, მაგრამ ჩვენები მიუახლოვდნენ თუ არა ნაპირს, — კუნძულელებმა ქვები დაუშინეს“...

აღვილობრივი მცხოვრები ესტუმრა კუქს, მოცარა ჩაღაც ნივთი და შეეცადა შეუმჩნევლად გაპარულიყო კუკი „აღმფოთდა“. ასეთ შემთხვევებში მან არ იკოდა თავის დაჭერა. იგი ქადაგებს რბილ მოპყრობას და სიტრთხილეს, მაგრამ წინააღმდეგობაში ვარდება, როდესაც ხანდახან აღვილობრივ მცხოვრებლებს სროლას აუტეხავს. ამის შედეგია, — მტრული დამოკიდებულება ინგლისელებისადმი.

ცოვილიზრებული ევროპელების თვალსაზრისით კუნძულელები ბოლომექედნი იყვნენ, — მაშინ, როდესაც უკანასკნელნი არ სთვლილნენ ქურდობად რაიმე ნივთის მითვისებას, რომელიც მათ მოეწონათ მისი მბზინავი, ან ჯერ არ ნახული გარევნობის გამო უკულა აღმოცენებული კონფლიქტის მთავარი მიზეზი იყო, რასაკვირველია, ინგლისელების განზრახი უნდობლობა და ანგარიშის გაუწევლობა კუნძულელთა აზროვნების პრიმიტიულობისაფრის, მათი სოციალური წესწყობილების პირველყოფილ, საგვარეულო წყობისათვის, ევროპელებისაგან, განსხვავებულ ყოფა-ცხოვრებისათვის; არც კუკი და, მით უმეტეს არც მისი ოფიციალი არ იტყოდნენ უარს მათვის ჩვეულ შეხედულებებზე. რასაკვირველია, ყველა აღვილობრივი მცხოვრები არ იყო უაუგოთ პატიოსანი, მაგრამ არ შეიძლებოდა განზოგადოება და უკელას ქურდად დასახვა, როგორც ამას სჩადიოდენ მოგზაურები თავიანთ დღიურებში. მით უმეტეს არ შეიძლებოდა ასეთი მკაცრი ზომების მიღება, არსებითად უდანაშაულო ხალხის მიმართ. სიძულვილი, რომელსაც იწვევდენ ინგლისელები, გასაგები იყო. თავდაპირველად გულმინდობილი კუნძულელები, შეძლევ მტრებად გადაიკცნენ, როდესაც ისინი მიუხვდენ „თეთრი აღამიანების“ კეშმარიტ ბუნებას, მათს ქურდულ, დაპყრობით მიზნებს.

იგივე დღიურები მოწმობენ, რომ იმავე დღეს, როდესაც კუკის მოუხდა ეს უსიამოვნება „ინდოელებთან“, — მეცნიერები და მხატვარი ხოჯის დახეტიალებდენ უიარალოდ კუნძულზე, მაგრამ არც ერთ მცხოვრებს აზრად არ მოსელია მოეპარა მათვის რაიმე. წინა-აღმდეგ, კუნძულელები უწევდენ მათ ყოველგვარ სამსახურს, გულწრფელი ყურადღებით და კეთილი გულით.

სამხრეთის პოლარული წრის მიღმა მიწის აღმოჩენის ფიქრი ერთი წუთითაც არ სტოკებდა კუკის კუნძულებზე ოთხი თვით შეჩერება შხოლოდ დროებით დასევნება იყო. გაჭრობის გამოსაცხოველებლად საჭირო იყო აღვილობრივი მეფეების ნახვა, მათი დასაჩუქრება, საღილების მოწყობა, თავისებური ეტიკეტის არა ყოველთვის სასიამოვნო რიტუალის შესრულება:

კაპიტანი ფიურნოსთან ერთად, კუკი მოთმინებით იტანდა ყოველგვარ საპატიჟსაცემო რიტუალს: სტუმრების მიღებას, ტანისამოსის გაცელას აღვილობრივ შეფეებთან, სახელების შენაცვლებას და სხვ. იგი სასტიკად აღქვენებდა თვალყურს მეზღვაურთა დამოქიდებულებას აღვილობრივ მცველეობადმი და უმცირესი დანაშაულისათვის აშერად სჯიდა თავის ხელჭვეთებს. გემმირედში ჩაჭერვა და გამათრისება იმდენად მძიმე სახულელი იყო, რომ მისი შესრულებისას აღვილობრივი მცხოვრებლები დაშინდენ და სასოწარკვეთილნი გა-

იქცნენ თავის შინებიდან. ასეთ სისასტიკეს ამართლებდენ იგივე ცოვილიზაციის ჩანერგვის და ფლოტის ღისციპლინის დაცვის საჭიროებით. მეზღვაურები იტანდენ სასჯელს, როგორც ჩვეულებრივ ამბავს, მცხოვრებლები კი ხედავდენ ამაში თეთრი აღამიანების ულმობელობას და ეს მათ არსებას ბუნებრივი შიშით ავსებდა.

ვაჭრობა მოწევსრიგდა. კაპიტანმა დაგზავნა ლეიტენანტები შეიარაღებული მეზღვაურებით კუნძულის სხვადასხვა ნაწილში. ისინი სცვლიდენ შუშის მძივებს და ლურსმნებს ღორებზე, ნანაღირევზე და ხილეულზე. „ისინი გვაძლევდენ ღორს ან რაიმე ნანაღირევს ყოველგვარ წვრილმან ნივთის სანაცვლოდ“: ასეთია კუკის გულწრფელი აზრი, ხომალდები ივსებოდა ხორავით. კუნძულიდან გამგზავრების დროს ჭუკი აუცილებლად აძლევდა ადგილობრივ მთავარს სპილენძის პატარა დაფებს და მედალებს, ხომალდების სახელწოდებით და თავისი იქ ყოფნის თარიღით.

კუნძულ გაუქნეს კაპიტანმა ფიურნომ აიყვანა ხომალდზე ახალგაზრდა კუნძულები, რომელმაც მოისურვა გაყოლოდა ინგლისელებს. მას უწოდებდენ ო-მაის. ტანადი, ლამაზი ყმაწვილი შეძლებული ოჯახის შვილი იყო, ფლობდა დიდალ მიწებს და თუ მშართველ კლასს არა, — იმ წრეს ეკუთვნოდა, რომელიც უსაქმოდ ატარებს დროს, სარგებლობს მსახურთა შრომით, საუკეთესო ბინით და კვებით.

ო-მაის მოკლე თავგადასავალი მეტად საგულისხმოა. ერთის მხრივ, იგი ურთხელ კიდევ გვაცნობს კუკის ზოგიერთ შეხეძულებას, მეორე მხრივ, იგი გვაძლევს წარმოდგენას ლონდონის საზოგადოების დამოკიდებულებაზე ან უნახავ „ინდოელისადმი“ და იმ კულტურულ შემოქმედებაზე, რომელიც იქნია ამ საზოგადოებამ პრიმიტიულ ვალუტზე. კუკი ძლიერ ეშინოდა, რომ ო-მაი არ არის საკმარის ტიპიური, რათა შექმნას ლონდონში სწორი წარმოდგენა კუნძულებზე. მისი აზრით, ახალგაზრდა ვაჟი არ იყო საკმარისად გვაროვანი და ლამაზი. მაგრამ მისმა ყოფა-ქცევამ მალე დამშვიდა კაპიტანი: „თავის დაჭერის უნარი სასიამოვნოდ ხდიდა მას საუკეთესო საზოგადოებაში და სიამაყის კეთილშობილი გრძნობა მას უკარნახებდა მორიდებოდა მასზე დაბლა მდგომ ხალხს... ო-მაიმ ბეჯითად შეასწავლა იმ წარჩინებულ პიროვნებათა მიხერა-მოხერა, გემოვნებადა ყოფა-ქცევა, რომელთაც მას დასდევს პატივი თავისი მფარველობით. იგი თავმდაბალი და თავდაჭერილი იყო“. ლონდონში გრაფ სენდვიჩმა უცხოველესი მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა ტაიტელის მოწყობაში: მან წაიყვანა და წარულგინა იგი მეფეს. ამის შემ-

დევ ო-მაისთვის ფართედ გაიღო წარჩინებულის სალინების ბჭე-
ლები და ლორდები განუწყვეტილად პატიკულმდებ „ინდოელს“ სადი-
ლად და ვახშმად, იწვევდენ სტუმრებს ამ ზღვის იქითელი საოცრე-
ბის საცემოლად. მგრძნობიარე მანდილოსმებმა, რომელნიც გატაცე-
ბით კითხულობდენ ფანტასტიურ რომანებს, მოგზაურობებს, შინა-
ურულ მაგიის სახელმძღვანელოებს და გრძნობლენ მიღრეკილებას
სხვადასხვავებურ მისტიურ მოძღვრებისადმი,— გახადეს ო-მაი თავის
ჭურუმად, დაადგეს მის პიროვნებას ნომაფრენის შარავანდელი და
დასახეს თავის თავი ამ შემთხვევისათვის გამოვონილ კულტის მიმ-
დევრებად. ო-მაი გარშემორტყმული იყო თაყვანისმცემლებით, ისი-
ნი დაატარებდენ მას სალონებში, იზეპირებდენ მის გაუგებარ სიტ-
კებს, რომელიც მიაჩნდათ იდუმალ წინასწარმეტყველებად.

ორი წლის განმავლობაში შავერქმანი „ველური“ აფორიაქებდა
წარჩინებულ მანდილოსნების ფანტაზიას. ოგი წარმოადგენდა ძვირ-
ფის სათამას, რომელიც ართობდა ერთფეროვანი მოწყენილობაში
მთვლემარე მაღალ წრებს. ბოლოს, ო-მაის თვათონ მობეზრდა ქს-
ერთფეროვანი ზეიმები. მას კვლავ მოენატრა ტავისი სამშობლოს
ლალი ცხოვრება, განთავისუფლება თეთრი ადამიანების აბეზარი-
პირმოთნეობისაგან, მით უმეტეს, რომ ამ თეთრში ადამიანებმა მას
ვერაფერი სასარგებლო ვერ შეასწავლეს. მან შინობოვა დაებრუნე-
ბინათ იგი უქან, სამშობლოში. დატვირთული საჩუქრებით, სადაც
სევათა შორის იყო შესიკალური ყუთი და პატარა ელექტრიზ-მან-
ქანა. ო-მაი გაემგზავრა კაპიტან კუკითან ერთად ტაიტისაკენ. ასც
სააღმირალო, სამმართველოს პირველ ლორდს, ასც ბენჯეს, ასც
ცოქტორ სოლანდეტს, რომელიც მონაწილეობას იღებდა ო-მაის მე-
ურვეობაში. ას გაეკეთებიათ ოსუფრი, რომ ტაიტელის გულისყუ-
რი მიემართოთ კერძოულ კულტურის ისეთ დარგებისადმი, რაც კუნ-
ძულებითა ცხოვრებისათვის საჭირო და გამოსადევი იქნებოდა. „შეიძ-
ლება მეითველებმა იფიქრონ, — სწერს გეორგ ფორსუფრი, — რომ
ხომალდით მან თან წაიღო თანამემამულებთათვის საჭირო ნივთები.
შეც იმის იშედი მქონდა, მაგრამ მოკეტულ „ ყოველივე აშაში დამ-
ნაშავე იყო თვეთ კუკი. მან ჩამოაშროა ო-მაი მეზღვაურთა წრებს.
რომელებსაც ის მშევნივრად შეეთვის მოგზაურობის დროს, გადაბუ-
კვ მას ეკროპული განსაცმელი დანწყო მისი ვამოცვანა მაღალ სა-
ზოგადოებაში და წარუდგინა იგი სავიზრო კომპანიის უმაღლეს ზა-
ნაძღებობის პირებს და მდიდარ კავშებს. კუკიანი და უდირდელი
ტარტელი უცებ მიხვდა ასეთი მდგომარეობის გამოსადევერობას.—
იგი წარმატებით ბაძავდა შალალი წრის მიხვრა-მოხვრას, გამოაცხად

თავისი თავი თითქმის მეფის გვარის შთამომავლად და გატაცებით შესცურა ლონდონის გარევნილ საზოგადოების თავშეუკავებელი გართობის და განსაცდელით აღსავსე სიამოვნების მორევში. კუკი ამაში უსათუოდ დამნაშავე იყო, მაგრამ რად მოიქცა იგი ამგვარად? ამის ახსნა-განმარტება უნდა ვეძებოთ, როგორც ჩანს, ისევ კუკის გატაცებაში, მის თავისებურ „პატრიოტიზმში“. ვისგან, თუ არა არისტოკრატიისაგან და მდიდარ ბურჟუაზიისაგან იყო მაშინ დამკიდებული საზოგადოებრივი აზრი? სხვას ვის შეეძლო სათანადოდ შეფასებინა ტაიტელის თვისებანი? რა აზრი ჰქონდა ო-მაის მიჩქმალებს მეზღვაურებსა და ხელოსნებს შორის, საღაც ის უცნობი დარჩებოდა და ვერ შექმნიდა წარმოდგენას თავის თანამემამულებზე, რომლებიც, კუკის აზრით, საჭიროებდენ სწორედ მაღალი საზოგადოების უზრადღებას, რაღვან ეს საზოგადოება გზავნიდა. ექსპედიციებს უცნობ კუნძულებისაკენ. რაღაც არ უნდა დამჯდარიყო, მას უნდა დაემტკიცებინა ამ პირებისათვის, რომ კუნძულელები ისე-თვე აღამიანები არიან, როგორც ისინი, უნდა გაენადგურებია აზრი „მხეცების მსგავს ველურებზე“, რომელთაც არა აქვთ ევროპულ ცივილიზაციის შეთვისების უნარი. სრულებით შევნებულად მისცა კუკმა ო-მაის ინგლისური ელფერი, ჩააცვა ევროპული ტანსაცმელი და შეასწავლა კარგი მიხერა-მოხერა. მას გულწრფელად სჯეროდა ყველა ამ ზომის სარგებლიანობა, თავისთვის ჩვეული ტემპერამენტით აზევიადებდა მათ შედეგებს და ამაყობდა მიღებული წარმატებით.

„... მე არ ვიცი, შესძლებდა თუ არა სხვა კუნძულელი საზოგადოების მეტი კეთილ-განწყობილების მოპოებას. მე არ გამიგონია, რომ ორი წლის განმავლობაში, რაც ის ინგლისში იყო... მას გამოეთქვას ოდესმე ოდნავი სურვილი თავმდაბლობის უმკაცრესი საზღვრების გადალახვისა“. ეს შეცდომა ისევე, როგორც ყველა სხვა შეცდომა აიხსნება იმ გარემოების ატმოსფერით, რომელშიდაც აღიზარდა და ცხოვრობდა კუკი.

სწორედ ო-მაისგან გაიგო პირველად კუკმა, რომ ამხანაგობის კუნძულის მცხოვრები ადამიანებს მსხვერპლად სწირავდენ და რომ მსხვერპლის არჩევანი დამოკიდებული იყო მთავარ ქურუმებისაგან; ქურუმი წავიდოდა ტაძრის სილრმეში და იქ ესაუბრებოდა ღვთაებას, რომელიც მიუთითებდა, თუ რომელს, იქ სალოცავად მოსულთავანს, გასწირავდა იგი სასკვდილოდ. შემდეგ ქურუმი წარსდგებოდა მლოცველების წინაშე და ატყობინებდა მათ ღვთაების ნებას. ო-მაი გულუბრყევილოდ უმატებდა, რომ საჭიროა კარგ დამოკიდებულება-

ში ყოფნა ქურუმთან, რაღგან მისმა სიძულვილმა შეიძლება მოქ-
ცოს ღვთაების რისხვა იმ ადამიანზე, რომელმაც ვერ ასიამოვნა ქუ-
რუმს. ცხადია, თუ რა მიზანი ჰქონდა ქურუმების ასეთ გაიძვერო-
ბას, რომლებსაც შიში ყავდათ თავისი სულიერი სამწყსო. კუკა არ
უნდოდა დაეჯერებინა ეს ამბავი ისევე, როგორც არ სჯეროდა მას
აღამიანის ხორცის ჭამა, ვიდრე შემთხვევამ არ დაუმტკიცა მას სა-
შინელი სიმართლე. ახალ ზელანდიაში, ნაპირზე მოსეირნე ოფიც-
რებმა დაინახეს ამდღნიმე ხნის წინ მოკლული ახალგაზრდა კაცის
თავი, შიგნეული და გული, დაცმული ჯოხზე და მიმაგრებული
ნავის ცხვირზე. ლეიტენანტ პიკერსეილმა იყიდა თავი ერთ ლურსმ-
ნად და მოიტანა ხომალდზე. იქ, მისგან მოკრეს ხორცის ნაკერი, შე-
წვეს და, საცდელად მიუტანეს ერთ ახალ-ზელანდიელს, რომელმაც
იგი სიამოვნებით შეკამა. როდესაც ყოველივე ეს კუკა უამბეს, მას
თავისი ყურების არ სჯეროდა. „ამ დასისხლიანებულ თავის შეხედ-
ვაშ და ეხლახან მომხდარ, საზიზლარ სცენის დეტალებმა გულშემზა-
რავი შთაბეჭდილება მოახდინეს და აავსეს იგი ზიზლით ამ აღამია-
ნის მკამელებისადმი. მაგრამ მე ამ ბოროტებას განუკურნებლად
ვსთვლიდი. ცნობისმოყვარეობამ გადააჭარბა ჩემში რისხვის, — მე
მსურდა თეთო ვყოფილიყავი ამ ფაქტის მოწმე, რომელსაც ბევრი სიეჭ-
ვოდ სთვლის და ამიტომ ვუბრძანე, — შეეწვათ კიდევ ხორცის ნაკე-
რი და აეტანათ ედროზე. ვერ მოასწრეს ამ საძაგლო საჭმლის მიწო-
დება, რომ ერთმა ამ ანტროპოთეგთავანმა შეკამა იგი განსაკუითრე-
ბელი სიხარბით“. კუკი კატეგორიულად უარყოფს იმ მოსაზრებას,
რომ ადამიანთა ჭამა სიმშილობის შედევე იყოს. ახალი ზელან-
დის ნაპირები მღიდარია თევზით, ფრინველით და ძალლებით, იქ
იშვება საკმარისი საკეები, — ხილი და ბოსტნეულიც რომ არ მი-
ვიღოთ შედეველობაში. არა, ამ ბოროტების მიზეზს ის ხედავს ძველ
ჩვეულებაში, — შეიკამოს მოკლული მტერი. ახალ-ზელანდიელები
მოკლებული არიან ურთიერთობას სხვა ხალხთან, ისინი იცავენ თა-
ვის ძველებურ ტრადიციას და ამაში არაფერს დასაწუნარის არ ხე-
დავენ: მტერიც ასე მოიქცეოდა. კუკმა გაისხენა უნდობლობა, რომ-
ლითაც შეხვდენ მის მოსაზრებებს აღამიანთა ჭამაზე, გამოთქმულს
პირველი მოგზაურობის აღწერაში. ახლა ეჭვი აღარ იყო. „როგო-
რი მიზეზიც არ უნდა ჰქონდეს ამ მოვლენას, მე ვთიქრობ, აშენაა,
რომ ისინი სიამოვნებით სპამენ აღამიანის ხორცი“. პიკერსეილმა ჩა-
მოიტანა თავი ლონდონში, სადაც იჯი მოხვდა სამეცნ საზოგადოე-
ბის წევრის, სერ ჯონ ჰუნტერის იშვიათ ნივთების კოლექციაში.
გამხმარება და ჩამუქებულმა თავმა დაკარგა თავისი შიშის მომგვრელი

შეხედულება და გაღიაჭა უბრალო სამუზეიმო ექსპონატად, რომელსაც ნატურალისტები უნდობელი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდენ.

ეს მოხდა 1773 წლის ნოემბერში, როდესაც კუქმა მოიარა მევნობრობის და ტატის კუნძულები, იყო მიღელბურგის და ამსტერდამის კუნძულებზე, უწოდა ახლად აღმოჩენილ კუნძულს ბრისტოლის გრაფის, — ჰარვეის¹ სახელი, შეკრიბა დიდი რაოდენობით სანავიგაციო, ასტრონომიული და სხვ. ცნობები და დაკვირვებანი, შეისწავლა მრავალტომიან კუნძულელთა ზე - ჩვეულება და ყოფა - ცხოვრება, — ამით დასრულა პირველი წრე წყნარ ოქეანებზე და ჩაუშვა ლუზა დელფიალ შარლოტის სრუტეში.

როდესაც ხომალდები უახლოვდებოდენ ახალ ზელანდიის ნაპირებს. — ატეზილმა ქრიშხალმა დახია იალქნები. კიდევ ცოტა, — და ის მიახეთქებდა ხომალდებს კლდეებზე. ქარჩა ღამეში და ნისლში გაიტაცა „წამოწყება“, „გაბედულება“ კვლავ მარტო დარჩა. ამჯერად ხომალდებმა ვეღარ მონახეს ერთმანეთი. კუქს არ დაუნიშნავს ფიურნოსთვის შეხვედრის ადგილი. ნაპირების გამოკვლევამ და ზარბაზნებიდან სროლამ ნაყოფი არ გამოიღო. კუქმა დაკარგა თანამგზავრების ნახვის იმედი და გადასწყვიტა წასულიყო მარტო სამხრეთი, ისეც პოლარულ წრისაკენ. ის ამჩნევდა მეზღვაურების სიმხევეებს. რომელნიც მზად იყვნენ ახალ სიძნელეთა გადასალახავად. „ეკიპაჟი ისეთი გაბედულებით მიცურავდა. სამხრეთ პოლუსისაკენ. თათქმას მასთან ერთად მთელი ფლოტი ყოფილიყოს“. მეცნიერი თანამგზავრები არ იშიარებდენ კუკის აბტიმისტურ იმედებს და უკვე უჩიოდენ მოგზაურობის ერთფეროვანებას და სიძნელეებს. გვორგ ფორსტერის ნაწერებში აშკარავდება უმრავლესობის ნამდვილი განწყობილება. იგი უჩივის სისუსტეს, რომელსაც ყველა ვრძნობს, მუდმივ დაღლილობის და ცუდი კვების გამო. აქვე მას წამოცდება, რომ რჩეულ პროდუქტების მარავის მცირე რაოდენობა, რომელიც ეძლეოდა ოფიციებს, ჩვენთვის აღარ იყო საქმარისი და გვევებავდენ ისევ, როგორც უბრალო მეზღვაურებს“, რომ „ახალ მიწების შეხვეძრის იმედი გაითანტა“ და ბოლოს, რომ „საუბრის ჩვეულებრივი თეშები ამოწურული იყო. წინ იყო მხოლოდ ახალი ფათვრაკები და მოსწყენი ერთფეროვნება“. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მხოლოდ კუქი იყო მომხიბლავი. ოცნებით გატაცებული მიუხედავად ყოველავე. სიძნელისა. დაუ, იბუზლუნონ მისმა თანამგზავრებმა! თვა-

¹ გრ. ბრისტოლი - სააღმიშალო სამმართველოს ერთ-ერთი წევრი.

ორნ ის და მისი მეზღვაურები აიტანენ კოდევ მრავალ ქარიშხალი და ლელვას, სიცივეს და სიმშილს, და, თუ მათში არის მხხეობის ნატამალი, ისინი ბოლომდე შეასრულებენ თავის მოვალეობას! რა მსხვერპლადაც არ უნდა დაჯდეს, დასახული ამოცანა უნდა შესრულდეს!

მაგრამ სინამდვილეში კუკის სულიერი განწყობილება გაორმაგუბული იყო და სრულებითაც არ იყო ისეთი წყნარი და დამშევიდებული, როგორც გარეგნულად მოჩანდა. თავშეეკვებული და გულჩათხობილი, ის თავს ნებას არ აძლევდა, ფორსტერის მსგავსად, გაემელავნებია უკაყოფილება და ჩივილი. როგორც ყოველთვის, ის არავის აჩვენებდა, რომ გულის სილრმეში თანაუგრძნობდა საერთო განწყობილებას, ყოველ შემთხვევაში იგი მიუხვდა იმ გრძნობებს, რომლებსაც განიცდიდენ მისი თანამეზავრები, შევრამ მასში ყოჭელივეს სძლევდა მოვალეობის გრძნობა ხელქვეითებისადმი, რომელთაც არ უნდა დაენახათ მისი სისუსტე. საქმე არ უნდა დაზიანდეს პირადი განცდების გამო, რომელიც არავის არ შეეხება. ექვს დეკემბერს „გაბედულება“ იმყოფებოდა სამხრ. განედ 51° -ზე. ე. ი. სწორედ ლონდონის ანტიპოდებში, ამიტომ ყველას ფიქრი წარიმართა საშობლოსაკენ. ფორსტერმა თავი ვერ შეიკავა და გამოსთვა თავისი გრძნობები სანტიმენტალური ფრაზით. „მოგონებამ ჩვენს ოჯახებზე და საზოგადოებრივ სიამოვნებაზე აღმოახდინა ოხვა იმათ გულიდან; ვინც განიცდიდა შვილისა და მამობრივ გრძნობებს“. იმავე აზრს, მაგრამ სასტიკად თავშეეკვებულს, დამალულად გამოთქმულს, ვხვდებით კუკის ნაწერებშიდაც. „მეორე დღეს, საღამოს ცხრის ნახევარზე. ჩვენ ვიყავით ჩვენი ლონდონელი მეგობრების ანტიპოდებში, ე. ი. ყველაზე უშორეს შესაძლებელ მანძილზე მათგან“.

ხომალდი კელავ ნისლში მისურავდა. იგი გვერდს უვლიდა მოცურავე ყინულოვან მთებს. წარამარა იცვლიდა კურსს, ხან ჩრდილოეთისაკენ, ხან აღმოსავლეთისაკენ, ხან კი სამხრეთისაკენ. მზე თითქმის არ ჩადიოდა და ეს ხელს უწყობდა კაპიტანს. მაგრამ განუწყვეტელი, ინტენსიური მუშაობა, სიცივე და სინესტე ასუსტებდა ჯანმრთელობას, ძალლონე დღითიდღე ელეოდა მას, ახლოვდებოდა ავადმყოფობა, კუკი თავს ძალას ატანდა და უმალავდა ყველას თავის ფიზიკურ მდგომარეობას. შობა ღამეს მან მოაწყო ტრადიციული სადილი ოფიცირებისათვის. მეზღვაურებს დაურიგეს არაყის და პუდინგის ორმაგი ულუფა. კუკი ხუმრობდა, იცინდა, ყოველნაირად ცდილობდა გაემხიარულებინა ყველანი. მან ჩანერგა თავის ხელქვეი-

თებში ჩწმენა და სიმხნევე. უკმაყოფილო, რევმატიზმით და სურა-
ვანდის ნიშნებით დატანჯული ფორსტერი უჩიგის მეზღვაურთა.
უდარდელ მხიარულებას, საშიშროებათა არაფრად ჩაგდებას, „მაღალ
მისწრაფებათა“ უქონლობას. ის ცბიერად ოხუნჯობს მათ შესახებ:
„რადგან მეზღვაურებს არაყი დაურიგეს, — ისინი შესვდენ შობას,
როგორც კეთილი ქრისტიანები“.

სამხრ. განედ. 66°-ზე თეთრმა ყინულოვანმა მინდვრებმა შეაჩე-
რეს ხომალდი. კუქმა გადასწყვიტა წასულიყო ჩრდილოეთისაკენ.
50°-მდე და შემდეგ კვლავ ეცადნა ბედი სამხრეთისაკენ გადასასვლე-
ლად. ამგვარად ის ანგარიშობდა, რომ, თუ ვერ შესძლებდა უფრო
შორს, სამხრეთისაკენ შეჭრას, ყოველ შემთხვევაში ის გაიცლიდა.
ოკეანის ამ გამოუკვლეველ ნაწილს გარდიგარდმო და თუ იქ არსე-
ბობდა რაიმე მიწა, — იგი მას უთუოდ აღმოაჩენდა. იანერის დამ-
ლევს წაეკიდენ ისევ სამხრეთისაკენ და იმავე სიძნელეებით მიაღწიეს
განედის 70° 10'-ს. მათ წინ იშლებოდა განუსაზღვრელი ყინულოვა-
ნი მინდორი, როგორც ყველა შესაძლებლობათა უძრავი და მრავალ-
ნე საზღვარი. კუქმა თავისი გაიტანა: კიდეც თუ არსებობს სამხრე-
თის მიწა, — იგი შორსაა, დაფარულია ყინულებით და მიუვარია.
ხომალდებისათვის. „მე მივისწრაფოდი წავსულიყავი ყველა უწინ-
დელ მეზღვაურზე უფრო შორს, ისე, რომ უფრო შორს ვეღარ წა-
სულიყო ვერც ერთი აღამიანი, — ამიტომ მე არ ვნანობ, რომ ჩემ
წინაშე აღიმართა ეს დაბრკოლება, რაც ამცირებდა საშიშროებას და
დალლილობას, აუცილებელს, სამხრეთ პოლარულ სფეროებში ცურ-
ვის დროს.

ექსპედიციის მთავარი ამოცანა გადაწყვეტილი იყო. მაგრამ კუ-
კი სთვლიდა, რომ ის ვერ გამოიყენებს ბოლომდე ყველა შესაძლებ-
ლობას. თუ, მიუხედავად სურსათის არსებული მარაგისა, ეკიპაჟის
და ხომალდის კარგი მდგომარეობისა, — არ გამოიკვლევს წყნარი
ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილს. აქ, მის მოსვლამდე, იყვნენ სხვა მეზ-
ღვაურებიც, მაგრამ მათ შეცდომებით და გაურკვევლად აღნიშნეს
მათ მიერ აღმოჩენილი მიწების ადგილმდებარეობა. კუკი საჭიროდ
სთვლიდა, შეესწორებინა ეს შეცდომები და „წინ წაეწია ნავიგაცი-
ის, გეოგრაფიის და ბუნებისმეტყველების მეცნიერება“. ამ მიზნით
მან გადაწყვიტა ჩრდილოეთისაკენ მეასე მერიდიანით წასვლა; —
უან ფერნანდეცის, დევისის, კვირკვისის და ბუგანვილის მიერ აღმო-
ჩენილ მიწების საძებნელად.

კუკი ასწორებს რუკებზე მის წინამორბედთა მიერ დაშვებულ
შეცდომებს, მაგრამ, ამავე დროს, იგი სრულს მიუდგომლობას იჩენს:

შათი შუშაობის შეფასებაში. თავის დღიურში იგი ამდენიმეჯერ მიუთითებს მკითხველს დელრიმპლის მიერ გამოცემულ კრებულზე, სადაც აწერილია წყნარ ოქეანეზე მოგზაურობა. ხშირად ეყრდნობა იგი თავისი არაეთოლისმსურველის მეცნიერულ გამოკვლევებს. იგი ჭეშ-მარიტად სამართლიანია და არასრუოს არ ურევს ერთმანეთში მეცნიერულ მსჯელობას და თავის პირად საჭმეებს, რომლებიც მხოლოდ მას შეეხება. იგი სკრინის დელრიმპლის სახე, როგორც ყოველი სხვა მეცნიერის ავტორიტეტს ზოგ საკითხში. მეცნიერებაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი პირად ანგარიშებს! ამ წესს, იგი მუდამ ასრულებს და სწორედ ეს განასხვავებს მის რელაციებს და მოხსენებებს სხვა მეცნიერთა მსგავს ნაწარმოებებისაგან და ხდის მათ უძვირფასებს მეცნიერულ განძად.

სწრაფმა გადასვლამ სიცხისაკენ საბოლოოდ გასტება კუკის ორგანიზმი, რომელიც ასე დაუინებით ებრძოდა ავადმყოფობას. დაწყებულმა სურავანდმა მიიღო ნაღველის ავადმყოფობის ფორმა. რასაკვირველია, კუკს სურდა დაემალა ყველასაგან თავისი სისუსტე და ლამობდა უწინდებურად დაეძლია ავადმყოფობა. იმის მაგიერ, რომ მიეღო აუცილებელი ზომები, მას თავი ჯანსაღად მოჰქმდა და განაგრძობდა იმ საჭმლის მიღებას, რითაც იკვებებოდენ სხვები. მარილიანმა, ძველმა ხორცმა, ნადგომმა წყალმა და სამთვე-ნახევრის შეუჩერებელმა მუშაობამ მოსტეხეს იგი. საჭირო გახდა ლოგინში ჩაწოლა და წამლების მიღება, რაც იწვევდა გულის ჩე-ვას, და კუკს უფრო ასუსტებდა. ყველა დაფაცურდა. „მალე მას აუტყდა სლოკინი, — სწერს ფორსტერი, — რომელიც გაგრძელდა ოც-და-ოთხ საათზე მეტ ხანს. ჩვენ ყველანი ვშიშობდით მისი სიცოცხლისათვის. სინჯეს ყოველნაირი წამალი, მაგრამ ამაოდ, მან გაატარა მთელი კვირა უკიდურეს მდგომარეობაში“. ამ ჯერად კუკიც იმეტებს რამდენიმე სტრიქონს თავის ავადმყოფობის აღწერისათვის, თუმცა აქაც ის ლაპარაკობს ხომალდის ჭირურგ პატტენის სამკურნალო ნიჭებს, უფროს ლეიტენანტ კუპერის კარგ მუშაობაზე, რომელიც ამ დროს მეთაურობდა ხომალდს და, ბოლოს, ოხუნჯობს ფორსტერის საყვარელი ძალის გამო, რომელიც დაკლეს და მოხარშეს მისთვის. „ამ საჭმელმა, რომლისგანაც ავად გახდება ევროპელთა უმრავლე-სობა, მომიმატა ძალონე და დააჩქარა ჩემი გამოჯანსაღება.. ამგვა-რად მართალია, რომ გაჭირვება ხანდახან არღვევს კანონს“. მხოლოდ მარტის დასაწყისში, როდესაც „გაბედულება“ მიუახლოვდა. აღდგო-მის კუნძულის ნაპირებს, კუკმა და მის თანამგზავრებმა დაიჭირეს თევზი და დაიწყეს თავისი ძალონის აღდგენა. მიწის დანახვამ და-

ახალ სურქოთის მომარიგების იმედშა, როგორც ყოველთვის, ასწიგა
სულიერი განწყობილება. ასი დღის უსაშიშროესი ცურვა ღია ზღვა-
ში, სიცივეში და ბურუსში, ახალი საჭმლის უქონლობით, — ყველა-
ფერი ეს უკვე დავწყებული იყო.

„ჩენ შევამჩნიეთ იგი ქრისტეს აღდგომის დღეს, ამიტომ და-
ვარქვით მას პასხ-ეილანდ ანუ აღდგომის კუნძული. კუკა ახსოვდა
ბერენსის ეს სიტყვები მის „გამოცდილ სამხრეთელში“, ახსოვდა არა
ერთხელ გადაკითხული ჰოლანდიელ აღმირალ რიგგევენის სახომალ-
დო ურნალი, რომელიც კუკისვე მსგავსად 1772 წ. ეძებდა სამხრე-
თის მიწას და მხოლოდ ერთი დღე გაატარა ამ კუნძულზე”.

აღწერილობა სიმართლეს შეეფერებოდა: შიშველი, მუჭი კლდე-
ები, პირქუში, უხეო და უბუჩქნარო ნაპირი, არავითარი ნიშან-წყა-
ლი ბინადრობისა. ეს კუნძული ვულკანიურ ცეცხლის საზარელი ქმნი-
ლებაა, ვულკანური ქალა მიწის გულიდან ამონახეთქ ქვებისა. ში-
შის მომგვრელი იყო ქანდაკებათა მსგავს ბოძების დიდი რაოდენობა:
ამ ბოძებს უზარმაზარი, მოგრძო „სახეებიანი“, ჩაზნექილ „ცვირე-
ბიანი“, უცნაური ცილინდრული ქვები ეხურა თავზე. საშინელი გო-
ლიათები შეზრდოდენ ფართო კვარცლბეკების ფიქალს. მკვდარი,
ცარიელი თვალის ლრუები სევდიანბდ და ბრძნულად გასცეკროდენ
ზღვას. წვრილი, მოუშმული „ტუჩები“ სამულამო ლიმილში ინახავ-
დნენ წარღვნის წინადროინდელ საუკუნეთა საიდუმლოების, თავისი
გამოსახულების გამოუცნობ აზრს, ათასეულ წლების წყვდიადში
დავიწყებულ სახელებს. დურბინიდით ათვალიერებს კუკი ამ უცნაურ
ქანდაკებებს და ადგილობრივ მცხოვრებთა რამდენიმე ფიგურის; —
ეს უცნობი ადამიანები მოქრანებენ ქანდაკებათა უზარმაზარ ჩრდილ-
ში. ამაოდ ექებს თვალი მოხერხებულ ზავსაყუდელს. კლდოვანი
ნაპირი სწორი კედელივით გარს ევლება კუნძულს. დამის წყვდიადში
ფანტაზის ცეცხლი, დანთებული ქანდაკებათა საფეხურებთან. მსხვერპლს სწირავენ ადგილობრივი მკვიდრნი. თავიანთ ღვთაებებს
თუ, მხოლოდ საჭმელს ამზადებენ? საიდუმლო კუნძულს არ სურ-

* ვარ ლ-ფრიდრიხ ბერენსიმა, როგორებენის თანამგზავრმა, აღწერა თა-
ვისი მოგზაურობა წიგნში: „Der Wohlversuchter Südländer“ (Leipzig, 1738).
იაკობ როგერ ენ (1669)—ჰოლანდიელი მეზღვაური, 1731 წ. გაემგზავრა
ახალ მიწების აღმოსაჩენად სამხრეთ ნახევარ-სფეროში. მიაღწია სამს: განედ. 62°-ს.
აღმოჩინა აღდგომის კუნძულები და პოლინეზიის და აგსტრალიის კუნძულების
მოელი რიგი. ახალ მიწების ადგილ-მდებარეობის არა სწორი გამორჩევევა ამცი-
რებს მის აღმოჩენათა მნიშვნელობას; მის მიერვე აღწერილი მოგზაურობანდ გამო-
ცემულია ჰოლანდიურ ენაზე დოტრექტში.

შოუშვის, ახლოს, უცხოელები. ის ოდნავ ისახება ბინდში და მხოლოდ ქვის გოლიათების ალით განათებული საშინელი სახეები სდარაჯოზე მეშინავ ოკეანეს.

აღდგომის კუნძულის შევიდრნი სრულებით არ აღმოჩნდნენ ასე-თი გამოუცნობნი. ეს ზალხი მომცრო ტანისა და სუსტი აგებულობისა ყო. ისინი სახით და ლაპარაკით ტაიტელებს გვანდენ, იმ განსხვა-ფებით, რომ ყურის ბიბილოები მხრებამდე ქონდათ გადაწეული. ამა-ში ისინი ცდილობდენ მიებაძათ ქვის გოლიათებისათვის, ალბათ მოკრძალებული შიშის გამო უცხო, არა მათ მიერ გამოქანდაკებულ ლვთაებათა წინაშე. გამოუცნობი იყო ისიც, თუ როგორ მოხვდა ამ მორეულ კუნძულზე ტაიტელთა მონათესავე ტომი. - ვულკანიურ ძვრათა რომელი ძალა აღმართავს და სპობს წყნარ ოკეანეს კუნ-ძულებს. ნოქავს მიწებს, ანგრევს სასელმწიფოებს და გადარჩენილ ხმელეთის ნაჭრებზე, ზღვის შუაგულში, ინდობს და სტოვებს კაცობ-რიობის საცოდავ ნაშთებს, გადაგვარებულს, მწირსა და ნახევრად პი-რუტყვულ მდგომარეობაში?

კუკის თანამგზავრები ჩამოვიდენ ნაპირზე (თვითონ კუკი სუს-ტად იყო და ერ გაყვა მათ) და გაემგზავრენ წყლის, შეშის და ნანა-დირევის საძებნელად. მაგრამ მევდარმა კუნძულმა მათ ვერაფერი ჰერ მისცა, გარდა ბინძურ, დამპალ, ჭაში მდგარ, ნახევრად მარილი-ან და აყროლებულ წყლისა და ბოსტნეულის სულ მცირე რაოდენო-ბისა. „არაფერმა არ უნდა მიიზიდოს ხომალდები ამ კუნძულებთა-ნო, — სწერს კუკი, — გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი გა-ნიცლიან უკიდურეს გაჭირვებას“.

ტატუირობით დადალული აღგილობრივი მევიდრნი ბუტბუტებ-ჭენ რაღაცას ნახევრად ტაიტურ ენაზე, სცელიდნენ ბოსტნეულს და ხეებიდან გამოჭრილ ფიგურებს, ქსოვილებსა და შუშის. მძივებზე-იპარავდენ ინგლისელების ქუდებს და ცხვირსახოცებს. როგორც ჩანს, მათ დამალეს ქალების უმრავლესობა და მიუგზავნეს დანარ-ჩენები ინგლისელებს თავისი სხეულის გასაყიდად. ამ აღგილობრივ კურტიზან ქალთა სითამამეებ აალელვა ტაიტელი ოდიდეიც კი, რო-მელიც კუქს გამოყვა ტაიტიდან. ახალგაზრდა ფორსტერი ალელევ-შულია მეზღვაურების და აღგილობრივ როსკიპების ყოფა-ქცევით. „იყო მათ შორის ქალი, რომელიც ცურვით მოგვიახლოვდა და დი-დი ურცხვობით ვაჭრობდა თავისი მშვენებით. მან მიმართა ჯერ რამდენიმე უმცროს რფიცეს, შემდეგ მეზღვაურებს: იგი ჭეშმარი-ტად გაუთანაბრდა თავისი ყოფა-ქცევით სახელგანთქმულ მესსა-ლინას“.

კუკმა კუნძულის ნამდვილი სახელის გაგებაც კი ვერ მოახვრება. ოდიდეი ამტკიცებდა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი მას „ტეა-პის“ უწოდებენ. რუკაზე დასტოვეს ისევ ჰოლლანდიელ აღმირალის მიერ მიცემული სახელწოდება და შეასწორეს ადგილმდებარების მცდარი გამოანგარიშება. კუკმა გადასწყვიტა სასწრაფოდ დაეტოვებინა ეს პირქუში ნაპირი, რომელმაც ასე ძუნწად დააჯილდოვა ყველანი გამონაცად სიძნელებისათვის და წასულიყო მარკიზის კუნძულებისაკენ, თუ გზაში სხვა მიწა არ შეხვდებოდა.

მან არავის არ გადააბარა ხელმძღვანელობა, განაგრძობდა მუშაობას ხომალდის შეკეთებაზე და აწარმოებდა ასტრონომიულ დაკვირვებებს. ესპანელ მენდანის რუკის შეცდომები (მენდანმა 1595 წ. კვირისთან ერთად აღმოაჩინა მარკიზის კუნძულები), — აიძულებდა კუკს ხელახლა მოეძებნა უმოკლესი გზა და აღენიშნა ახალი ციფრები¹. კაპიტანის კაიუტაში მაგიდა მოფენილი იყო წიგნებით და რუკებით. დილიდან საღამომდე წარმოებდა მეცნიერთა კამათი იმის შესახებ, თუ რა გზით სჯობდა ხომალდის წარმართვა. ხდებოდა განედების და სიგრძედების შემოწმება. ძველი რუკის ყოველდღიურმა შესწრებამ გასწია კუნძულები მათი ნამდვილი ადგილმდებარეობისაკენ, „ჩვენ ხუთი დღის განმავლობაში დავცურავდით იმ ადგილებში, რომლებიც გეოგრაფებმა განუკუთვნეს ამ კუნძულებს“. ბოლოს, 6 აპრილს, მოხალისე გუდი პირველმა დაინახა კუნძული. ეს იყო მენდანასაგან შეუმჩნევლად დარჩენილი მიწის ნაჭერი, რომელსაც კუკმა უწოდა გუდის სახელი.

კუკმა ვერ გაითვალისწინა თავისი ძალონე: იგი არ ერიდებოდა მზეს და გაართულა თავისი ავადმყოფობა: მთელი ექვსი დღე, მარკიზის კუნძულების მოვლის დროს, იგი თავს ცუდად გრძნობდა—გარდა ამისა, კვება ჯერ კიდევ არ იყო მოწესრიგებული. საბოლოო მიზანი ისევ კ. ტაიტი იყო — დასცენების და სურსათის მომარაგების ნაცადი ბაზა. მარკიზის კუნძულებზე ისევე, როგორც შემდეგ დაბლობ კუნძულებზე, შეჩერდენ მხოლოდ გავლით, რუკების შესამოწმებლად, ნაპირების მოხაზულობის გასაცნობად. ავადმყოფობა კუკმა

¹ ალვარო მენდანა დენეირა—ესპანელი. მეზღვაური, რომელმაც იმოგზაურა წყნარ ოკეანეზე 1568 წ., გამრვიდა პერუდან. მან აღმოაჩინა სოლომონის კუნძულები. მისი 1594 წ. მეორე მოგზაურობის შედეგი, კვირისთან ერთად, იყო კუნძულების ჯგუფის აღმოჩენა 1594 წ., რომელთაც უწირდეს ჯერ მისი სახელი, შეძლევ კი მარკიზის კუნძულების სახელი, ამ ჯგუფში შედის ხუთი კუნძული: მაგდალენა, სანპედრო, დომინიკა, სანტა კრისტინა და კუნძული გუდი, აღმოჩენილი კუკის მიერ.

სიკოცხლეს უმწარებდა, იგი არ აცლიდა მუშაობას, თანდათან ძლიერდებოდა და თვალსაჩინო ხდებოდა. პირველ შეჩერებაზევე კუნძულის მკვიდრნი მოვიდენ ნავებით და აავსეს ერდო. ნერვებ-აშლილი კუკი უკმაყოფილო უსმენდა მათ მოსაბეჭრებელ ყაყანს. ნაპირზე ჩამოსვლისას, მან გააფრთხილა ოფიცრები: „თქვენ მათ კარგად უნდა ადევნოთ თვალყური. თუ სიფრთხილის ზომები არ მივიღეთ,— ისინი ქურდობას დაიწყებენ“. კუკმა ძლიერ მოასწრო ამის თქმა, რომ მოახსენეს, — ერთმა კუნძულებმა რკინის ზოდი მოიპარა და ნავით ნაპირისაკენ მიურავსო. კუკი გაცეცხლდა. მან გასცა განკარგულება აეტეხათ სროლა. „ქურდი“ მოკლეს. დღიურში ნათქვამია, რომ ბრძოლის ხმაურობამ არ მისცა საშუალება ოფიცერს კარგად გაეგონს ბრძანება, რომელიც მას მოკვლას უკრძალავდა, მაგრამ ფორსტერის დღიური თითქოს ამ ჯერადაც ამხილებს ამ საქციელის წინასწარ განზრახვას. იგი გვიამბობს, რომ ოდიდეიამ იტირა, როდესაც დაინახა, რომ „ადამიანი ჰქონავს მეორე ადამიანს ასეთი წვრილმანისათვის“. „მისმა ლმობიერებამ,— უმატებს იგი,— უნდა გააწითლოს ცივილიზირებული მეზღვაურები, ასე ხშირად რომ ლაპარაკობენ ადამიანობაზე, სინამდვილეში კი გულშემატკიცრობა აკლიათ.

კაპიტნის სიფრიცხე იქმბამდე მივიდა, რომ ერთხელ მან შემოკრის მეზღვაურს, რომელიც ცუდად ასრულებდა რაღაც სამუშაოს. ამან იქ დამსწრე კუნძულის მკვიდრთა დიდი გაკვირვება გამოიწვია. ისინი მიუთითებდენ კუკზე და ყვიროდენ: „ის სცემს თავის ძმას“. როგორც ჩანს, „ველური“ ადამიანები არც თუ ისე სულელები იყვნენ და, ალბათ, კუკი ვერ შეიქნა კარგ გუნებაზე, როდესაც ტაიტელმა უთარგმნა მას ეს სიტყვები. ფორსტერი ყოველივე ამას წსნის მარკიზის კუნძულების მცხოვრებთა პოლიტიკურ და სოციალურ მოუმწიფებლობით. „მათ ჯერ ვერ მიუღწევიათ ცივილიზაციის იმ დონემდე, რომლითაც სარგებლობენ ტაიტელები. მათ სრულებით არ იციან თანამდებობათ განსხვავება და აქ პოლიტიკურ კონსტიტუციას არ მიუღია საბოლოოდ მონარქიული ფორმა“.

კუკი არაფერს არ ამბობს: ანდა რა უნდა ეთქვა, როდესაც იმ დღეებში ის თვითონ სოვლიდა თავის თავს მეკობრეთა წესების შიმდევარ ფლიბუსტირებზე უარესად, ანდა ინდოელების სოფლების გადამწვევლ ესპანელ კონკვისტადორებზე ულმობელად. საძაგელი ავადმყოფობა არ აძლევდა თავშეკავების შესაძლებლობას, აბნელებდა მის გონებას, უკვეთავდა ფეხებს და უხშობდა თვალის სინათლეს, ყვითელი ლაქებით. კუკი იქრებდა უკანასკნელ ძალონებს, არ ნებდებოდა ავადმყოფობას.. იგი, ყოველგვარი საშუალებით. ებრძოდა

სნეულებას, გულს აყოლებდა გაძლიერებულ მუშაობას. მისი თანა-
მგზავრები მასში ხელახლა სცნობდენ უწინდელ აქტიურ, წყნარ,
მკაცრ კაპიტანს, დილიდან საღამომდე გართულს ხომალდის მეურ-
ნებით და მეცნირული დაკვირვებებით.

ფლორა, ფაუნა და ბდგილობრივ მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრება
თითქმის არ განსხვავდებოდა ტაიტისაგან. ამიტომ კუკისათვის და
მის სწავლულ თანამგზავრებისათვის არ ქონდა აზრი ამ კუნძულებ-
ზე შეჩერებას. უკანასკნელ კუნძულის, — წმინდა-ქრისტინეს ნავ-
საყუდელს კუკმა უწოდა „გაბედულების“ სახელი და წაიყვანა ხო-
მალდი დაბლობ კუნძულებისაკენ, — ისევ რუკის შესწორების მიზ-
ნით.

„გამბედაობაშ“ გაიარა დაბლობ კუნძულების არქიპელაგი,
გარშემოვლებული მარჯნის პრაგებით და დაცული კოკოსის პალმე-
ბის ტყეებით. შემდეგ აიღო კურსი ტაიტზე და 22 აპრილს ჩაუშ-
ვა ღუზა მატავას ნავსაყუდელში.

ტაიტელის „მოშინაურების“ ცდა კუკს მხოლოდ ნახევრად გაუ-
მართლდა. ოდიდები ხომალდზე ყოფნის დროს შეითვისა ცივილი-
ზირებული ყოფა-ქცევის რამდენიმე წესი და თავი ისე ზრდილობია-
ნად ეჭირა. რომ კარგ ევროპელს არ ჩამოუგარდებოდა. გარდა ამისა,
შან გამოიჩინა ინგლისური ენის და ანგარიშის ნიჭი და დიდი ცოდ-
ნის მოყვარეობით აკვირდებოდა ყველაფერს, რაც კი ხომალდზე
ხდებოდა, — ასტრონომიულ ხელსაწყოებს და რუკებსაც კი. მასში
ცხოველ ინტერესს იწვევდა ბუნების ჯერ უნახავი მოვლენები, პი-
რუტყვები. ადამიანები. თვითონ კუკს იგი ეპყრობოდა დიდი მო-
წიწებით. რადგან შეგნებული ჰქონდა მისი მდგომარეობა როგორც
უფროსისა და ხომალდის წამყვანის. თავისი მახვილი ჰქონით და
კეთილი ხსიათით მან დაიმსახურა ყველას სიმპატია და თითქოს თი-
თონაც შეუთვისდა კაპიტანს და მის თანამგზავრებს. მაგრამ ბუნებამ
მაინც თავისი გაიტანა: გაჩერდა თუ არა „გაბედულება“ ტაიტის ნა-
პირებთან, ოდიდები მაშინვე წავიდა ხომალდიდან თავის ნათესავებ-
თან და მეგობრებთან. უცხოელების ვერავითარმა საცადელმა ვერ
გასჭრა, — ის არ მობრუნდა მათთან მოგზაურობის გასაგრძელებ-
ლად. თუმცა მართალი უნდა ითქვას, რომ ეს კუნძულები მოხვდა
მოგზაურობის არა ხელსაყრელ პერიოდში, სწრაფმა გადასვლამ მა-
ლალ. სამხრეთის ფართედებისკენ მეტის-მეტად იმოქმედა მასზე. სი-
ცივეს, პირქუშ ბუნებას, საშინელ, ყინულოვან მთებს — ყოველივე
ამას შეეძლო მოეხდინა ტაიტელის სულზე უსიხარულო შთაბეჭი-
ლება. — იგი ხომ ბავშვობიდანვე მიჩვეული იყო მაღლიან ბუნებას?

ტაიტელი გულთბილად გამოეთხოვა. ინგლისელებს. განშორების ჟამს, — ის დარბოლა კაიუტიდან კაიუტაში, რომ ყველა გულში ჩაეკრა „როდესაც „გაბეღულება“ მოიხსნა ლუზიდან მან ტირილი დაიწყო. „ჩვენ დავშორდით მარჯნის ბრაგებს და დილხანს კიდევ ვხედავდით ჩვენსკენ ხელებ-გამოწვდილ ოდიდეს“.

კუქმა გააბა კავშირი ადგილობრივ მთავართან ხა შემდეგ. შეუდგა ხომალდის ამოჩურთვას, იალქნების ამოკემსვას და სხვაგვარ შესაკეთებელ სამუშაოს. ახალი საჭმელი და არც თუ მაინც და მაინც ცხელი ჰავა ხელს უწყობდა მისი ჯანმრთელობის სწრაფ აღდგენას. ადგილობრივი მცხოვრებნი ამ ჯერად იჩენდენ სრულ ნდობას, მოქონდათ ყოველგვარი საჭირო მარაგი და ახარებდენ კუქს დარიგების. შესრულებით, — ბოსტნეულის და შინსურ ცხოველთა მოშენებით. ერთი წლის წინად დატოვებული თხბი მშვენიერ მდგომარეობაში იყვნენ. კუქმა გადასწყვიტა ებოძებინა ტაიტელებისთვის კიდევ ერთი უცხო საჩუქარი: მან გაგზავნა ნაპირზე კატების მთელი ნამატი, — ოცი ცალი. კუქი გრძნობდა თავის გამარჯვებას ადგილობრივი ყოფა-ცხოვრების. სიბნელეზე, რომლის დაძლევა ასეთი გაჭირვებით ხდებოდა, მაგრამ მაინც ფხიზლად იყო. ის უფრო მკაცრად მოითხოვდა მეზოვაურთა მიერ დისციპლინის წესების შესრულებას, ოფიცირებს კი უბრძანებდა, ლმობიერად მოპყრობოდენ ტაიტელებს. მან აკრძალა ყოველგვარი სასჯელი, მისი ნებართვის გარეშე. ის ყოველთვის ცდილობდა დაემტკიცებინა ადგილობრივ მთავრისათვის ცეცხლის-მსროლელ იარაღის უპირატესობა, ისროდა უყუმბაროდ გატენილ ზარბაზნებიდან, უშვებდა მაშხალებს. ყოველივე ეს ხდებოდა იმიტომ, რომ წინასწარ გაეფრთხილებინათ ადგილობრივი მცხოვრებნი რაიმე აგრძესიული გამოსვლების ცდისაგან. „ისინი მშვენიერად გრძნობდენ თავის რიცხვობრივ უპირატესობას და არავის არშეუძლები იცოდეს განრისსხებულ მასების ძალა“, მართლაც ამ ჯერად ტაიტელებმა უჩვენეს ინგლისელებს თავიანთი ძალა, მაგრამ მშვიდობიანი გზით. ისინი არ შეშინდენ და გამოფინეს კუქის წინაშე მთელი თავისი ფლოტი, რითაც კუკი დიდად განცვითებულ მცხოვრების იცოდეს მაგრად შეკრული დიდი ნავები, საზღაპროდ მოქაზმული, ჩუქურთმებით მორთული ცხირებით, და ქსოვილის აფრებით. მხედრებს წითელი და თეთრი სამოსელი ეცვათ, თავზე ეხურათ მუზარადები, შემკული ცისფერი და მწვანე ფრთხებით. ასეთი ნავების დიდი რაოდენობა, აჯაგარავებული შუბებით საფსე, დამაფიქრებელ სანახაობას წარმოადგენდა. კუქის ანგარიშით; მსს წინ იყო სამოცდა-ათამდე ნავი, შვიდი ათას. შვიდას სამოცი შეიარაღებული მხედრით.

ადგილობრივმა მთავარმა დაამშვიდა კუკი და აუხსნა, რომ ეს ფლოტი მიმართულია არა მის წინააღმდეგ, არამედ ემზადება გასალაშქრებლად მეორე კუნძულის მცხოვრებლებზე. კუკმა მოისურვა ესარგებლა შემთხვევით და დასწრებოდა ამ უცხო საზღვაო შეტაკებას. ამით მას სურდა უფრო სწორედ გამოერკვია კუნძულელთა ძალა და შეესწავლა მათი სამხედრო ხერხები. მაგრამ ტაიტელები კუკზე უფრო გაიძერები გამოდგენ. ისინი არ დაიძრენ ადგილიდან, ვიდრე „გაბედულება“ არ წავიდა კუნძულიდან და იჩრმუნებოდენ, რომ ჯერ მხოლოდ სამზადისში არიან და ლაშქრობა ჩქარა არ დაიწყება. ცხადი იყო, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს არ უნდოდათ უცხოელთა დასწრება მათი შინაური საქმეების მორიგების დროს. ვინ იცის, ვის მხარეს მიიღებს ეს მწვანე ტანსაცმელითა და სამკუთხი ჭურით გამოწყობილი უფროსი და რომელ მხარეზე ამოტყორუნის ცეცხლსა და კვამლს თავის ფრთოსანი ნავიდან. ამ თავის ზღვის მიღმური „მეგობრის“ შეფასებაში ტაიტელები ბრძნულად მოიქცენ საერთოდ, კუკმა ვერ მოახერხა კუნძულელთა სოციალურ და პოლიტიკურ წესწყობილების გაგება და სავსებით შესწავლა. „საწყენიაო, — წერს იგი, — რომ ჩვენ ასე ზერელედ ვიცნობთ ამ ხალხის სახელმწიფო წყობილებას, ჩვენ არ ვიცით, რა კავშირის და რა ურთიერთ დამოკიდებულების ძალით შეადგენენ ერთ მთლიანობას ამდენი კლასები, ხარისხები, მოვალეობანი და თანამდებობანი. მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ეს არის ფეოდალური მმართველობის შეგავსი რამ და, თუ ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ მსჯელობა იმის მიზედვით, რაც ვნახეთ, — ეს მმართველობა მტკიცეა და მის ფორმაში არ არის არაფერი მანკიერი“.

შემდეგი ოთხი თვე, შეიცავდა ცურვის მეორე წერეს წყნარ აკეანეზე. ექსპედიცია მივიდა კვლავ ახალ ზელანდიის ნაპირებთან, ეს ხანა კუკის ცხოვრებაში ერთერთ უბედინიერეს პერიოდს წარმოადგენდა. ამ მოკლე ხნის განმავლობაში მან აღმოაჩინა ახალი კუნძული, ახალი ხალხი, აწარმოვა დაკვირვება ბუნების იშვიათ მოვლენებზე და შეკრიბა მეცნიერებისათვის მეტად ძვირფასი მასალა. მან მოიარა უკვე ნაცნობი გუაენის და ულიტეეს კუნძულები, მოხვდა აქედან მეგობრობის კუნძულებზე და ტასმანისგან აღმოჩენილ კუნძულ როტტერდამზე. ამ კუნძულის მახლობლად, ინგლისიდან გამჯზავრების მეორე წლის თავის შესრულების დღეს, მან აღმოაჩინა კუნძულების, დიდი არქიპელაგი და უწოდა მათ „ახალი გებრიდები“. ცხრამეტი აყვავებული კუნძული, მოფენილი მშვენიერი მცენარეულობით, აკისკიასებული ულამაზესი ჩანჩქერებით, სავსე მრავალ-

ნაირი, მხატვრული ფერადებით შექული ფრინველით, მოფენილი შაქრის ლერწამის პლანტაციებით და კოკოსის პალმების ტყეებით, — დასახლებული იყო უცმობი ტომებით; ეს ტომები განსხვავდებოდენ ტაიტელებისაგან უფრო მუქი კანით და მომცრო აგებულობით. ეს იყო ადამიანების ახალი სახე, იგი ჯერ არ ენახათ ოკეანეს სხვა მიწებზე. მხიარული და ოლელვებული გადმოვიდა კუკი ამ უცხო ნაპირზე, ამ ახალ ხალხთან, მწვანე ტოტით ხელში. ასეთ წუთებში კუკი საესე, გულწრფელი გრძნობით ეხვეოდა შავტრუხა კუნძულელს და ცრემლებს ვერ იკავებდა. კუნძულ მალიკოლოს მრუდე-ფეხებიან-მა და მომცრო ტანის მკვიდრმა გაიკაწრა თავისი ტატუირობით მონატული სახე კაპიტნის ჟილეტის სპილენძის ფოლაქებზე და მთელი ეს ცერემონია თავისებურად გაიგო. თეთრი უფროსი არავის არ მოჰკლავს და შესაძლებელი იქნება სარფიანად გაცვალონ. ჩვეულებრივი ხილეული და წყალი ბრწყინვალე მძივებზე და მხიარულ ფერის ქსოვილებზე.

ძლიერ მფარველებისადმი მაღლობის გრძნობით აღვსილი კუკი ნავსაყუდლებს, ზღვის ყურეებს და კუნძულებს საადმირალო სამართველოს ლორდების და კემბრიჯის მეცნიერთა სახელებს არ ქმევდა. მალიკოლოს ნავსაყუდლელმა და ერთმა კუნძულმა შეიძინა გრაფ სენდვიჩის საპატიო სახელი. კუკი მეტად დავალებული იყო ამ აღამიანისაგან. არა ერთხელ უწოდა მან ეს სახელი ახლად აღმოჩენილ მიწას. უცნაურმა ბედმა ისურვა საბედისწერო კვანძით დაეკავშირებინა წარჩინებული არისტოკრატის გვარი იორქშირის მოჯამავირის შვილის სიცოცხლესთან და სიკვდილთან.

კუკმა წყენის დამახსოვრება არ იცოდა, რითაც არ წააგავდა სხვა ევროპელებს; იგი კუნძულელებს სამაგიეროს არ უხდიდა. მტრული გამოსვლებისათვის. ერთხელ, როდესაც კუნძულზე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დასჭრეს იგი კისერში, პროფესორი ფორსტერი კი ფეხში, — მან ამჯობინა ხმის გაუცემლად დაეტოვებინა კუნძული. თუმცა მართალი უნდა ითქვას, უშეტეს შემთხვევაში, შეტაკების გამომწვევ მიზეზს ინგლისელები იძლეოდენ. გეორგ ფორსტერი არ არს შებოჭვილი ოფიციალური მდგომარეობით და მას არ ეშინია. ვანაცხადოს: „მკითხველმა უნდა შეამჩნიოს, რომ ამ ინდოელებს პქონდათ საკმაო საფუძველი ეჩივლათ ჩვენი ხალხის უკანონო და უსამართლო საქციელზე, ისინი გაბოროტებულნი იყვნენ და გამსჭვალულნი შურისძიების გრძნობით“. აღმოჩენების მიერ გამოწვეულმა სიხარულმა დაფარა ყოველივე. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ წუთას მოსალოდნელი იყო დაღუპვა, კუკი დაუინებით და სიფრთხი-

ლით დასცურავდა ბრაგებს შორის და არ გამოყავდა ხომალდი ან-
ჟიპელაგიდან. რამდენიმე ლამეს ზედიზედ ის არ წასულა დასაძინებ-
ლად და პირადად ხელმძღვანელობდა ამ მეტად სახიფათო ცურვას:
კურძულმა ტანნამ მისცა უქსპედიციას მდიდარი მასალა ვულკანური
შოქმედების შესასწავლად. მთა აფრქვევდა ცეცხლს, ტალახს, ნაცარს
და ქვებს. ნიადაგის და წყლის ტემპერატურა აღემატებოდა ორას გრა-
დუსს. ადულებულ ჭყაროში ჩაგდებული ვერცხლის ფული ბრწყინვა-
და, როგორც ახლად მოჭრილი. ფორსტერები აციცლენ ვულკანზე-
კრეფდენ მცენარებს და იწერდენ სიტყვებს კუნძულელთა ენაზე.
გაცნობა ტანნას მცხოვრებლებთან არც თუ მთლად ჩვეულებრივად
შოხდა. კუნძულელებმა უცებ გამოაჩინეს. მტრული განწყობილება...
ისინი ზურგს აქცევდენ პატარა ნავებით ნაპირთან მომდგარ უცხოე-
ლებს და ქუსლებს იცემდენ საჯღომზე, რაც ნიშნავდა ტრადიციულ
გამოწვევას ბრძოლაში. ამ ჯერად კუკი მეტად მოხერხებულად მოიქ-
ცა. მან ჯერ ასტეხა სროლა ყველა ზარბაზნიდან დაუტენავი ყუმბარე-
ბით, რამაც გაფანტა ბრძო. შემდეგ მან გაავლო მიწაზე მიჯნა და
გააგებინა კუნძულელებს, რომ უკრძალავს ამ მიჯნის გადმოლახეას.
ამ თავისებურმა სადემარკაციო ხაზმა მისცა საშუალება ინგლისე-
ლებს ჩამოსულიყვნენ ნაპირზე და თანდათან შესდგომიდენ შშვი-
ლობით ვაჭრობს მცხოვრებლებთან. კაპიტანის მოხერხებული გა-
მოგონება მოიწონეს და ლეიტენანტები დიდი წარმატებით სარგებ-
ლობდენ მაგიური რკალით, როდესაც უნდოლათ კუნძულელთა აგ-
რესიულობის წინააღმდეგ ზომები მიეღოთ. მაგრამ კუნძულელებმა
აჯობეს ევროპელებს ეშმაკობაში: ერთი ლეიტენანტი სთხოვდა კუნ-
ძულელს კოკოსის კაკლებს, უკანასკნელი კი უარს ეუბნებოდა.
ოფიცერმა შემოხაზა მიჯნა და დაუინებით მოითხოვა გაცვლა, მა-
შინ კუნძულელი დაჯდა მიწაზე, შემოხაზა გარშემო რკალი და უჩ-
ვნა, რომ აკრძალულია რკალის გადალახვა. დარწვენილი ევრო-
პელი იძულებული იყო თავი დაენებებინა მისთვის.

როდესაც კუკმა დასტოვა ახალ გებრიდების არქიპელაგი და წი-
ვიდა პირდაპირ ახალ ზელანდიისაკენ, — სრულებით მოულოდნე-
ლად მან დაინახა ახალი მიწა. მისმა გარეგნობამ გაახსენა კუკს შოტ-
ლანდიის პირქუში ნაპირები. მან უწოდა ამ მიწას ჩრდილო ინგლი-
სის ძველი სახელი — კალედონია. უზარმაზარი, შიშველი მთის ქე-
დი გაწოლილიყო მთელი მხარის გასწვრივ. ჩაუშეს ღუზა და ექს-
პედიცია მოემზადა მზის დაბნელებაზე დაკვირვების ჩასატარებლად.
კუკი ხელმძღვანელობდა ობსერვატორიის დადგმას, ადგილობრივი
მცხოვრებნი თავაზიანი და სტუმართმოყვარე ხალხი გამოდგა. მაგ-

რამ წელიწადის დრო არ იყო ხელსაყრელი გაცვლა-გამოცვლისათვის და ისინი ძუნწად იძლეოდენ ხილეულს. კუკი მოიწამლა თევზით და ისევ ავად გახდა. თევზის შხამა გამოიწვია შეხების გრძნობის ატროფია და ციებ-ცხელება. საბედნიეროდ, ავადმყოფობა ხანმოკლე გამოდგა. ასტრონომიულმა დაკვირვებები შესანიშნავი შედეგები მოიტანა. როდესაც კუკმა წაიყვანა ხომალდი ნაპირის გასწვრივ, რათა დაწვრილებით შეესწავლა ახალი მხარე; — მრავალმა წვრილმა კუნძულმა მოამწყვდიეს „გაბედულება“ ბრაგების საშიშ და დაკლაკნილ ლაბირინტში. კაპიტანს დასჭირდა მთელი თავისი ძალონის მოკრეფა, უარის თქმა ძილზე, რომ მშვიდობიანად გამოეყვანა ხომალდი ბრაგებიდან, მისი სურვილი ორმაგდებოდა: ერთის მხრივ მას სურდა რაც შეიძლება დეტალურად გამოეკვლია ახალი კალედონიის ნაპირები, რამაც ასე მოულოდნელად გაამდიდრა მისი მეცნიერული მარაგი, ამავე დროს საჭირო იყო საჩქაროდ მისვლა ახალ ზელანდიაში, სურსათის შესავსებათ და მომავალ ზაფხულისთვის დასახულ ამოცანის შესასრულებლად. ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევაში კუკი შიმართავდა ხოლმე საერთო აზრს და ხმის უმრავლესობით სწყვეტდა საკითხებს. ოფიცირებს სურდათ სასწრაფოდ წასულიყვნენ ახალი ზელანდიისაკენ. გულში კუკს ენანებოდა უცნობ ნაპირის შიტოვება, კუნძულის შუაგულში შეუსვლელად, ახალ ტომების ყოფა-ცხოვრების შეუსწავლელად, მაგრამ გონების ხმა უკარნახებდა და ეჯერებინა უმრავლესობის რჩევისათვის. მას აწუხებდა, რომ მთავარი შიზანი ჯერ კიდევ მიუღწეველი რჩებოდა. ოკეანეს უზარმაზარი სიცრცე ამერიკის სამხრეთ კონტხამდე და იქედან კეთილ იმედის კონტხამდე ჯერ კიდევ გამოუკვლეველი იყო. სამხრეთის მიწის საიდუმლოება ჯერ კიდევ იტაცებდა ფანტაზიას. თუ ამ მიწის ჩრდილო კიდურები მართლაც ვერ აღწევენ საშუალო განედებს, — საჭირო იყო ამაში დარწმუნება, რათა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოღებოდა ამ ფანტასტიურ ზღაპარს და რუკის შეცდომებს; „გაბედულება“ გამოვიდა საშიშ ლაბირინტიდან და აიღო კურსი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

თითქმის ერთი თვე მოუნდენ ხომალდის შეკეთებას და სურსათის დატვირთვას დედოფალ შარლოტას სრუტის ნავსაყუდელში. ახალ-ზელანდიელების აბნეულ ჩვენებიდან გაიგეს, რომ რომელი-დაც „წამოწყების“ მსგავსი ხომალდი მოვიდა წარსული წლის დეკემბერში და შემდეგი კი, თითქოს დაეტაკა კლდეებს და დაიღუპა. ძნელი იყო ამ მოთხრობებით სიმართლის აღდგენა: კუკის მიერ მიწაში ჩაფლული ბოთლი გაქრა, მაგრამ შეიძლება ის თვით აღგი-

ლობრივმა მცხოვრებლებმა წაიღეს. გადმოვიდა კაპიტანი ფიურნო ახალ ზელანდიის ნაპირზე, დაიღუპა მისი ხომალდი, თუ მშვიდობიანი წავიდა ინგლისში? იქნებ ეს სულ სხვა ხომალდი იყო? როგორ შეიძლება სიმართლის გაგება კუნძულელთა აბნეულ და ძალების ცნობებიდან? კუკი შეშფოთებული იყო, მას არ სურდა და-ეჯურებინა ამხანავების დაღუპვა. მის წინ ისახებოდა მოგზაურობის უკანასკნელი ეტაპი. ხომალდზე ყველანი თავს ჯანსაღად გრძნობდენ, ნუ თუ „წამოწყების“ საშინელი ბედი დაჩრდილავს გამარჯვების სიხარულს? კუკი ცდილობდა უკუეგდო ეს აზრები და დაცრწმუნებინა ყველა, რომ მალე, კეთილ იმედის კონცხთან მის-ვლისთანავე, ისინი დანამდვილებით გაიგებენ, რომ „წამოწყება“ მშვიდობიანად გაემგზავრა ინგლისისაკენ, — ფიურნო შეტად გა-შოცდილი კაპიტანია. ასეთი ლაპარაკი საჭირო იყო თანამგზავრებისთვის და მეზღვაურებისთვის. გარეგნულად დამშვიდებული კუკი სრულებითაც არ იყო დარწმუნებული „წამოწყების“ უვნებლობაში.

შემდეგი გზა ყველას ესახებოდა, როგორც მოგზაურობის და-სასრული. დალლილობა და მოუთმენელი მოლოდინი ჯერ სამ-ხრეთ ამერიკის ნაპირებისა, შემდეგ კეთილ იმედის კონცხისა! ეს კონცხი შორს იყო სამშობლოსაგან, მაგრამ იქმისვლა მუდა ნიშნავდა მობრუნებას ინგლისისაკენ და, რაც მთავარია, ნიშნავდა შეხვედრას სხვა ხომალდებთან, რომელთაგანაც შეიძლებოდა სამშობლოს უკანასკნელი ამბების გაგება. სასიამოვნო თუ სავალალო იქნება ეს ამბები, — სულ ერთია, ისინი კვლავ დააბრუნებენ ყველას ნამ-დვილი ცხოვრებისაკენ და მისცემენ ძალას დარჩენილი გზის გა-სავლელად. ყველას ელანდებოდა ბრანდტის სტუმართმოყვარებული, სახლი, სადაც შენახულია წერილები ნათესავების და მეგობრები-საგან. ევროპელის დანახვა, მშობლიურ ენის გაგონება, ყველას უკვე ბედნიერების მწვერვალად მიაჩნდა.

აი ამიტომ, როდესაც ორმოცი დღის ცურვის შემდეგ „გაბე-ლულებიზან“ დაინახეს ცეცხლოვანი მიწის პირქუში, გრანიტიანი ნაპირი და დათოვლილი მთები, — მოგზაურებმა გაიხარეს ამ სა-ნახაობით უფრო, ვიდრე ტაიტის იყვავებული ნაპირებით. წითელ-კანიანი, ჩუმი, ზღვის ძალლის ტყავში გახვეული და ცუდი სუნით გაულენთილი ადგილობრივი მცხოვრებნი მათ მშიარულ ტაიტე-ლებზე უფრო ძეირფასად ეჩვენებოდათ. შეჩერება ცეცხლოვან მი-წასთან მოხდა შობის დღესასწაულში და სიხარული შინ დაბრუნების. მოახლოვებით — გამოიხატა ქეიფით და დათრობით, რა-

მაც გაანადგურა ღვინის და არაყის უკანასკნელი ნაშთები. ნადირობამ იხვებზე დააკმაყოფილა გაღვიძებული მაღა. კუკის გადაწყვეტილებას, რომ წასულიყვნენ ლემერის სრუტით (შტატების შიწასა და ცეცხლის მიწას შორის) და ეძებნათ „წამოწყება“, — თანაგრძნობით შეხვდენ. იმედი ამხანაგების პოვნისა ძალონეს მატებდა ხალხს.

მაგრამ ძებნა უშედეგო გამოდგა და სულიერი განწყობილება ქვლავ დაეცა. კუკი ხვდებოდა ოფიცრების და მეზღვაურების ფიქრებს და იცოდა, რომ მხოლოდ მას ძალუბს განაგრძოს მოგზაურობა ერთი ან ორი წლით. მის წინ გაშლილი იყო ზღვის უზარმაზარი, უცნობი სივრცე. იგი იზიდავდა კუკს თავისი საიდუმლოებრთ: მან იცოდა რომ კიდევ ერთხელ შეუძლია მობრუნდეს სამხრეთისაკენ, კიდევ ერთხელ შეუძლია ეკვეთოს გამოუცნობ სივრცეებს. ცეცხლის მიწაზე შეკრებილი მარაგი და მეზღვაურების ჯანმრთელობა აძლევდენ მას ამ ნაბიჯის გადადგმის საშუალებას. ვინ კიცის, როდის მიეცემა კიდევ შესაძლებლობა, გააჩნდეს ამ განედებში, ასეთ ხელსაყრელ პირობებში. მოგზაურობის დასაწყისი შლიდა მის წინ ყველა შესაძლებლობას ხომალდი კარგად გადაიტანდა კიდევ შრავალი თვის ცურვას, მაგრამ კუკი ხედავდა ეკიპაჟის სულიერ განწყობილებას და გონივრულად იშორებდა თავიდან აბეზან ფიქრებს. შესვენებამ ცეცხლის მიწაზე, „წამოწყების“ ძებნამ და მშვიდობიანად მოსვლამ ჯატლანტიურ ოკეანეში, მიიზიდეს საერთო ყურადღება. მეზღვაურები სდუმდენ, მათ სურდათ აფრიკისაკენ წასვლა. კუკმა ისარგებლა ამ სულიერი მდგომარეობით და შტატების მიწიდან მობრუნდა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და უკანასკნელად სცადა. დაახლოვებოდა პოლარულ წრეს. თავის სწავლულ თანამგზავრებსაც კი არ გაუმხილა თავისი იღუმალი ფიქრი და გამოაცხადა, რომ სურს ისარგებლოს შემთხვევით და გზა-გავლით შეამოწმოს დელრიმპლის რუკაზე 53° -ზე აღნიშნულ მიწების არსებობა.

ამ ჯერად ბედმა გაულიმა შეუპოვარ მეზღვაურს. რამდენიმე დღის შემდეგ, ოკეანეს შორეულ დანისლულ სივრცეში გამოჩნდა ყინულოვანი ნაპირი. პირველ საათებში ამ თეთრი მოულოდნელმა გამოჩენამ ყველა მხიარული მღელვარებით აღავსონუ თუ მოგზაურობის ზოლო პერიოდში, დიდი ხნის ნაცნობი გზის მიჯნასთან, აღმოჩნდება ამდენი ხნის ძებნის საგანი, უცნობი სამხრეთის მიწის ჩრდილოეთი კიდური? კუკი გადმოვიდა პირქუშ ნაპირზე, აღმართა ბრიტანეთის ბაირალი და უწოდა მიწას სამხრეთი

ვეორგია. რუკა იცვლებოდა: მიწები, აღნიშნული რუკაზე დელ-რიმპლის მიერ ვერ იქნა ნაპოვნი. მათ მაგიერ მიიმართებოდა ახა-ლი მთაგორიანი ნაპირი, რომელიც სამხრეთით, ნისლში იკარგებო-და და შეიძლება გრძელდებოდა პოლარული წრის მიღმა, თვით პოლუსამდე. აქ ფიქრი ზედმეტი იყო, გადაწყვეტილება მხოლოდ ერთი შეიძლებოდა ყოფილიყო: ხომალდი უნდა წასულიყო სამ-ტრეთით, ამ მიწის გასწვრივ.

ცივ ბურუსში ისინი ხვდებოდენ კონცხებსა და უბებს. ცხადი გახდა, რომ ეს მიწა დიდი კუნძულია. მესამოცე პარალელთან მათ შემოხვდათ მცურავი ყინულები. წარსული, მძიმე დღების ჩვენე-ბის მსგავსად მოდიოდნენ ყინულის მთები და გადაულახველ საზ-ლვრად დგებოდენ ფრთა-შესხმულ იმედის წინაშე. ბუნებამ დას-ძლია აღამიანის დაუინებულ ნებისყოფას. კუკი დაემორჩილა ბერს პირნათლად და არა დარცხვენით, შესრულებული მოვალეობის და თავის შეხედულებათა გამართლების სრული შეგნებით. იგი საბო-ლობოდ მობრუნდა ჩრდილოეთისაკენ, შეუჩერებლად აუარა გვერ-დი რამდენიმე პატარა კუნძულს, რომელთაც კვლავ უწოდა სენ-დვიჩის სახელი და სიამოვნებით წაშალა რუკაზე აღნიშნული-თეთრი ნაპირი ამერიკიდან აფრიკამდე, აღნიშნული იქ ოცნებებში გადავარდნილ დელტიმპლის მიერ: ამოცანა გადაწყვეტილია: სამ-ხრეთის მიწა არსებობს, მავრამ მასთან მისასვლელი გზა შეკრუ-ლია ყინულებით.

თოთხმეტ თებერვალს „გაბედულებამ“ გაიარა გრინვიჩის მე-რიდიანი და შემორკალა თავისი გზა დედამიწის ირგვლივ.

დაიწყო ჩვეულებრივი ცხოვრება. კუკმა მიჰყო ხელი ჟაადმი-რალო სამმართველოს საიდუმლო ბრძანებათა შესრულებას: მან ჩამოართვა ოფიციელს მათი დღიურები, ასტრონომებს მათი დაკ-ვირვებათა ჩანაწერები და, ხომალდის უურნალთან ერთად, დაბეჭ-და ყოველივე ინგლისში სასწრაფოდ გასაგზავნად. ფორსტერებს და დოქტორ სპარმანს აეკრძალათ. ეთქვათ ან დაეწერათ რაიმე მომხდარ აღმოჩენებზე, სააღმირალო სამმართველოს განსაკუთრე-ბულ ნებართვამდე. კაპიტანი გადაიქცა ჩვეულებრივ სახელმწიფო მოქალედ. მოგზაურობა მოსაწყენი ხდებოდა. აფრიკის მაპირებ-თან შემოხვდათ ბენგალიიდან მომავალი პოლლანდიური, ოსტ-ინ-დური კომპანიის ხომალდი. ინგლისელმა მეზღვაურებმა აცნობეს კუკს, რომ მათ ნახეს „წამოწყება“ გასულ წელს კეთილ იმედის კონცხის ნავსაყუდელში, რომ კაპიტან ფიურნოს აკლდა რამდენი-

მე ადამიანი, ძოკლული და შეჭმული ადამიანთა-მწამელ ველურების მიერ ახალ ზელანდიაში.

კუკს გაახსენდა კუნძულელთა აბნეული ჩვენები. ჰოლლანდიურ ხომალდს დაშორდენ სუსტი იმედით, რომ ეს პირველი ცნობები ყალბი გამოდგებოდა. შემდეგი შემხვედრი ხომალდი იყო ინვლისური „ტრიუ-ბრაიტონი“, მისი კაპიტანი ბროდლი ავიღა „გაბედულების“ ერთოზე და დაადასტურა სამწუხარო ამბავი. მან უამბო კუკს, რომ „წამოწყება“ ავადმყოფი ადამიანებით და წყლის მცირე მარაგით მივიღა დედოფალ შარლოტტას სრუტეში, ხუთი დღის დაგვიანებით, მას შემდეგ, რაც იქედან წავიდა „გაბედულება“. კაპიტანმა ფიურნომ მონახა ბოთლი კუკის წერილით და გაგზავნა ბოკმანი როუ რამდენიმე კაცით ტყეში, — წყლის და სურსალის, მოსატანად. ბოკმანი აღარ დაბრუნებულა. მის მოსახერნაც გაგზავნილმა შეიარაღებულმა ააზმა აღმოაჩინა მეზღვაურთა ფეხსაცმელები და ოცი კალათი ადამიანების ხორცით. ერთ-ერთ კალათაში იცნეს მეზღვაურ ტომას გილლის ხელი, ზედ ტატურებულ ასოებით. შემდეგ ნახეს ათი ადამიანის თავი და გული; აპრილში „წამოწყებამ“ გაუარა ცეცხლის მიწას და წავიდა ინგლისისაკენ.

ჩუმად მოისმინა კუკმა ეს საზარელი ამბავი. „განა მეზღვაურმა იცის, სად დაიმარხება მისი ძვლები?“. კაპიტან ბროდლის მან გადასცა პაკეტი საადმირალო სამმართველოსთვის გადასაცემი რელაციით და დღიურებით: „ტრიუ-ბრაიტონი“ პირდაპირ. ინგლისში მიღიოდა.

ბროდლის მიერ მოტანილ გაზეთებს, ხარბად, ხმა-მაღლა კითხულობდენ. ამ გაზეთებიდან თითქოს წარმოდინდა ლონდონის წვრილმანი ინტერესები, პოლიტიკურ ინტრიგების გაგრძელება, დავიწყებული ნისლი და ძვლებურ, ბუხრების სითბო. კეთილ იმედზის კონცხის მთის დანახვამ კუკს გაახსენა ბრანდტის არსებობა, რომელთანაც წერილები იქნებოდა შენახული. „წამოწყების“ სავალალო ბედზე ფიქრს მასში ჩრდილავდა საკუთარი გამარჯვების შექი და პირადი, მეშჩანური ბედნიერების შესახებ სანტიმენტალური ოცნება. ოცდა ერთ მარტს დღიურით და ოცს კალენდრით ჩაუშვეს ღუზა კაც-შტადტის ნავსაღურები. დრომ აჩუქა ერთი დღე-ღამე ბედნიერ მეზღვაურებს: „გაბედულება“ მიღიოდა მზის შემხვედრი მიმართულებით.

კეთილი ბრანდტი შეხვდა კუკს რამდენიმე პაკეტით: წერილები ამცნობდენ. მას ცოლის სიყვარულსა და მზრუნველობას,

ბავშვების ჯანმრთელობას, მეგობრების სიყვარულს. ერთმა თვემ კაპშტადტში შეუმჩნევლად განვლო ხომალდის შეკეთებასა და სურსათის შეძენაში.

ექსპედიციამ დასტოვა დოქტორი სპარმანი აფრიკის ნაპირზე და დაიძრა ინგლისისაკენ. ინგლისურ ხომალდ „დიუტონთან“ ერთად მივიღნენ წმ. ელენეს კუნძულამდე, სადაც ერთმა კვირამ გაიარა წვეულებების, სადილების და ვახშმების უჩვეულო პირობებში.

კუკი მხნედ და მშვიდად იყო. ყველაფერი მშვიდობიანად მთავრდებოდა, ოჯახის ამბებიც კარგი მოდიოდა. თვითონ ის და მისი ხელქვეითები ჯანსაღად იყვნენ, საკმაოდ გაცვეთილ ხომალდს შეეძლო კიდევ არა ერთი ქარიშხალის გადატანა. რად უნდა იჩქაროდეს, თუ შესაძლოა დროის გამოყენება? ზედმეტ დაკავირვება-გამოკვლევის საწარმოებლად მან გაღაწყვიტა ინგლისისა-კენ გზად ყოფნისას გაევლო ამაღლების კუნძულებზე და იქედან ფერნანდო ნორონისას კუნძულზე. რუკა ზედმიშვენით უნდა შესწორებულიყო. ვინ იქნება ამის წინააღმდეგი?

არავინ არ შეუშალა ხელი. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა. ოფუციალურ რელაციაში ნათქეამია, რომ ხომალდმა გაიარა აშ კუნძულებზე და კიდევ ფიალის კუნძულზე, აზორის კუნძულთა არქიპელაგში. მხოლოდ უქარო, წყნარმა დარმა ეკვატორზე ექვსი დღით შეაჩერა ხომალდი. მაგრამ ფორსტერის „ვერაგ“ ნაწერებში შემოპარულია ოდნავ შესამჩნევი ცნობა იმის შესახებ, რომ უკმაყოფილებამ მოიცვა დაღლილი, სამი წლის ცურვით. ტატანჯული მეზღვაურები. ისინი ბუზღუნებდენ კაპიტანზე, რომელიც აჭიანუ-რებდა მოგზაურობას. ასტრონომიულ დაკვირვებათა საჭიროება და ზღვის წყლის გამტკნარების ცდები ველარ ამართლებდა მას ხელქვეითების თვალში. თვითონ კუკი კრინტს არ ძრავს ამ ამბებზე, მაგრამ მეტად ხან-მოკლე შეჩერება აზორის კუნძულებზე უკვე საეჭვოა. ასე თუ ისე, 1775 წლის 30 ივლისს კუკი, როგორც გამარჯვებული და გმირი, გაღმოვიდა ნაპირზე პორტსმუტში.

მოგზაურობის უდიდესი წარმატება და კუკის დამსახურება უაჭველი იყო. იგი თავმდაბლად აღნიშნავს ამას თავის რელაციაში სამეფო საზოგადოებისადმი: „როგორიც არ უნდა იყოს საზოგადოების აზრი ჩვენს მუშაობაზე და წარმატებაზე, — მე ვამთავრებ ამ რელაციას და ჭეშმარიტი კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ ვიქონიე უპირატესობა და შესაძლებელი გავხადე დიდი დროის განმავლობაში შემენახა მრავალრიცხვან ეკიპაჟის ჯანმრთელო-

ბა, მიუხედავად ჰავის ცელებადობისა, დაღლილობისა და მრავალი ხიფათისა. ამგვარად, მხოლოდ ეს ერთი გარემოებაც გახდის ჩემს მოგზაურობას ლირსეულად მოწყალე საზოგადოების თვალში, ამავე დროს დავა სამხრეთის მატერიკის შესახებ ამიერიდან ალარ იქნება საერთო ყურადღების საგანი და ალარ გასთიშავს ფილოსოფოსებს“.

ორჩოს ხომალდი

ინგლისში ყველაფერი ძველებურად იყო: მეფე გეორგ III-ის არ სურდა „ეხელმწიფა ბორკილებში“, იგი სულ მეტი და მეტი გაბეჭულებით არღვევდა კონსტიტუციურ ტრადიციებს. კონტრ-რევოლუციურ არჩიების მომავალი ბელადი, იმ არვიებისა, რომლებიც იბრძოლებენ ფრანგულ მონარქიის აღდგენისათვის, რევოლუციის პირველი მტერი, — იგი დაუწენებით ერეოდა კონტინენტის პოლიტიკურ ცხოვრებაში და აბამდა თავის სახელმწიფოს უგნიურ ავანტიურების ქსელში. ლორდ ნორტი ეხმარებოდა თავის მფარველს: იგი ებრძოდა გაძლიერებულ ოპოზიციას, ყოველგვარი საშუალებებით სპობდა აჯანყებებს, იარაღით აქრობდა ხალხის რასხვის ნაპერშეკლებს. იგი ემჟარებოდა პარლამენტის უმრავლესობას, — მიწის არისტოკრატიას. „მეფის მეგობრები“ სასტიკად უსწორდებოდნენ უკმაყოფილო ინტელიგენციას და დიდის სიძირაციით მმართავდნენ ბეგარითა და მემამულეთა ბატონობით ილაჯგაწყვეტილ, დაბეჩავებულ ინგლისის ხალხს.

ინგლისური საფაჭრო კაპიტალი, გაძლიერებული კოლონიების დაპყრობით, იზრდებოდა და წლითი-წლობით აფართოვებდა თავის გავლენის სფეროს აფრიკაში, ინდოეთში, ამერიკაში და ახლად აღმოჩენილ კუნძულებზე. მრეწველები მდიდრდებოდნენ იაფი მუშა-ხელის წყალობით, კაპიტალისტებმა ფართე გასავალი მისცეს მონებით გაჭრობას, რაც მათ დიდ გამორჩენას აძლევდა. ინგლისელ ვაჭრების სააღებ-მიცემო პერაციებში შედიოდა ზანგების შესყიდვა აფრიკაში ან მალაველებისა მაღავასკარზე, მათი გაცვლა ამერიკაში ვერცხლზე, ამ ვერცხლით ინდოეთში ქსოვილების შეყიდვა და მათი გაცვლა მოლუკის კუნძულების სურნელებზე: ოსტ-ინდური კომპანია, მთელი ინგლისური ვაჭრობის ფაქტიური ბატონ-პატრონი, — განუსაზღვრელად ბატონობდა ბენგალიაში და 1765. წლიდან მიიღო გადასახადების მოკრეფის უფლებაც. მეტროპოლიის მაღალი მფარველობით იგი აშენებდა ინდოეთის ახალ

სამეფოს. 1773 წელს გამოიცა კანონი, რომლის თანახმად დაარსდა გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა და ინდოეთის საქმეების საბჭო. ამ საბჭოს წევრები უნდა დაემტკიცებინა ინგლისის მეფეს:

სულ სხვა მდგომარეობა იყო ამერიკაში. კოლონისტები გაიზარდენ მსხვილ მრეწველებად და ფერმერებად. მათ არ სურდათ შერიგებოდენ ინგლისელ კაპიტალისტების მონოპოლისტურ პოლიტიკას. ახალი ალბიონი სულ უფრო და უფრო ხშირად აცხადებდა თავის უკმაყოფილებას მთავრობის ზომების გამო. რკინის მრეწველობის და გემთა მშენებლობის ახლად დაბადებული მეფეები ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდენ ნორტის სამინისტროს კანონებს, რომელიც აწარმოებდა მათ სავაჭრო და საფინანსო ექსპლოატაციას. ადგილობრივ კაპიტალს სურდა დამოუკიდებელი გამხდარიყო. პენსილვანიის ვაჭრები დრტვინავდენ და ერთი მეორის მომდევნო კანონები, ბაჟების და გადასახადების გაძლიერების შესახებ, იწვევდენ აღშფოთებას.

საუკუნის დამლევს მოხდა ამერიკელ კოლონისტების აჯანყება და სახელგანთქმული ომი შეერთებული შტატების დამოუკიდებლობისათვის. შვიდი წლის განმავლობაში ინგლისი განუწყვეტლად ებრძოდა ამერიკელებს, შეითრია მთელი ევროპა ახალ კონფლიქტის ბოლოს და ბოლოს მან დაკარგა ამერიკული კოლონიები. კუნძულები ტაბაგო, სენ-პეირ და მიგელლონ საფრანგეთს დაუთმო, ფლორიდა და მინორქა ესპანეთის ხელში გადავიდა. ვერსალის ზავმა 1783 წელს დააგვირგვინა გარეშე პოლიტიკის უხეორობა, აჯანყებებმა ირლანდიაში 1779 წელს და ლონდონში 1778 წელს ცხად ჰყვეს შინაგანი პოლიტიკური განწყობილება. მეფე ეძებდა გამოსახვალს ფოქსის და ნორტის კოალიციურ სამინისტროში. მან დაინიშნა პრემიერად ვილლიამ პიტტ უმცროსი, რომელმაც თავი გამოიჩინა, როგორც ინდოეთის ცნობილი „ბილლის“ ავტორმა და სამთა შეთანხმების შემქნელმა რევოლუციურ საფრანგეთის წინააღმდევ. მან გააღატაკა ინგლისის ხალხი ევროპულ ომისათვის საჭირო ხარჯების გაღებით და მიიყვანა სახელმწიფო საშინელ კრიზისამდე.

ყველა ამ ამბებამდე ლონდონის საზოგადოება ათასგვარ გართობა-თავიშექცევაში იყო გართული. ლედი და ჯენტლმენები, საფინანსო ტუზები და ახალმოდის კოპწიები, არისტოკრატები და პოლიტიკოს-კარიერისტები, ჩარჩები და პუბლიცისტები, პარლამენტის წევრები და წვრილი ბურჟუები, ავანტურისტები და ბნელი საქმის კაცები, რომლებიც მღვრიე წყალში თევზს იჭერდენ,

— განაგრძობდენ უდარდელად ყოფნას და არ გრძნობდენ მოახლოვებულ ქარტეხილს. მშეიღობიანი ცხოვრება ლონდონის ბალიერდა და ამშვანებულ გარე-უბნებში, ოჯახური ცხოვრების სითბო მხოლოდ დროგაშოუებით თუ დაირღვეოდა ხოლმე რაიმე პოლიტიკური ჭორით — ან მოჩიგი სკანდალით პარლამენტში. ამ ცხოვრებასავით მყუდრო ფილდინგის რომანები ავსებენ მთვლემარე შოცლილობას. ჯერ კიდევ ბრწყინვადა დიდეროს საყვარელი ავტორის — სამეულ რიჩარდსონის — ლიტერატურული დიდება და სანიმუშო ჯენტლმენი გრაფ ჩესტერფილდი, ყოფილი ელჩი, მეფის მოადგილე, მონტესკიეს და ვოლტერის მეგობარი, წერილებში ასწავლიდა თავის ვაჟს კარგი ყოფაქცევის წესებს. ძველი ლონდონი მხიარულობდა, როგორც ყმაწვილი კაცი, როდესაც ხედავდა სცენაზე „დრიური-ლენას“, სადაც ბრინდს-ლეის თეატრის ნიჭიერი დირექტორი შერიდანი, ირლანდიური იუმორის მთელი სიმწვავით დასცინოდა ლონდონელებს თავის კომედიებში. მაგრამ ლონდონის არ შერცხვენიათ ამ დაცინვისა, ისევე, როგორც შემდეგ მათ არ შერცხვენიათ ტეპკერების რომანების, ოსკარ უაილდის და შოუს კომედიების. შინაურ ფილოსოფოსების დაპუდრული პარიკები ლრმა-აზროვნულად დახრილიყვნენ დავიდ იუმეს „ინგლისის ისტორიის“ ყდის კანზე, რომელმაც შემოიტანა უან-უაკ რუსსო მათ შინაურ წიგნსაცავებში, ის უან-უაკ რუსსო, რომელიც გაუქცა შვეიცარიაში თავის თანაბეჭამულებს და რომლის ფილოსოფიური რომანი საჯაროდ დასწვეს; ჩხალ მოდის სალონების კლავესინებზე ჯერ კიდევ ეგდო „ინგლისელ რაბლეს“ წიგნაკები, ლილიპუტების მხარეთა ალწერილობით და თავხედი ყასაბის შვილი, რომელმაც ოდესლაც გაბედა ანგლიკანურ ეკლესიის მასხარად აგდება, ჯერ კიდევ ატყვევებდა გულშემატკივარ მანდილოსნების გონებას რობინზონის და პარასკევას ტკბილი მეგობრობით.

ინგლისში ყველაფერი ძველებურად მიმდინარეობდა. თურმე „პატივცემულ“ დოქტორ დელრიმპლსაც არ შეუჩერებია ომა ხაუკსვორტთან. ის დაუინებით განაგრძობდა სამხრეთის მატერიალის არსებობის მტკიცებას და იჩრმუნებოდა, რომ იქ შესაძლოა სახელმწიფოს მოწყობა. დელრიმპლი ამტყუნებდა კუკს დაკვირვებათა არა ზედმიწევნით ჩატარებაში და ხომალდის ცუდ წაყვანაში. ასწავლული წრე განაგრძობდა ბზუილს სამეფო საზოგადოების პარტამენტებში. იგი ამაყობდა მშობლიური ენციკლოპედიის შექმნით და ბრიტანეთის მუზეუმის ბრწყინვალე კოლექციებით, ამ საიდუმლო სალაროთი, სადაც ინახებოდა მხოლოდ მეცნიერების

და ხელოვნების მცოლნეთათვის მისაწვდომი საუნჯენი. ლიბერა-
ლები არტყამდენ მუშტებს გაიღაზე. და ისე იცავდენ პარლამენ-
ტის კონსტიტუციონალურ პრეროგატივებს. იმათ მოყავდათ ცი-
ტრატები ფრანგ განმანათლებლებისგან, ომდღებმაც მთელი საუკუ-
ნით წინ გაუსწრეს ინგლისის კოჭლ თავისუფლებას. კეთილბუნე-
ბოვანი პოლიტიკანები სვამდენ ლუდს, აბოლებდენ ყალიონებს,
ბუზღუნებდენ სიძვირეზე და საქმიანი სახით აშრიალებდენ გაზე-
თებს გარეუბნის სამიკიტნოებში.

შხოლოდ აღარ იყო ნისლი: იგი გაფანტა ზაფხულის მზემ,
ალერსიანმა ინგლისის მზემ. ამ მზეს არაფერი საერთო არ ქონდა
ბოროტ, ტროპიკულ, საშინელ პაპანებასთან, ომშელიც სპობდა-
ხალხს თავისი სხივებით და უგზავნიდა მათ გულის შემხუთველ
ხვატს და ავადმყოფობას. მცენარეთა ბუჩქები და ვარდები ისევე,
როგორც სამი. წლის წინ, შემოხვეოდენ სკამს ბალის სიღრმეში.
ყველაფერს ეტყობოდა ალერსიანი ცოლის ფრთხილი, მზრუნველი
ხელი, იგი, როგორც ერთგული პენელოპა წლების განმავლობაში
მოთმინებით მოელოდა მჯულის დაბრუნებას.

პირველმა დღეებმა განვლო, როგორც ჩვეულებრივ, ოჯახის
ვიწრო წრეში; ბინა რაღაც უცნაურად, განახლებულად გამოიყურე-
ბოდა. ოთახები, ნივთები, მოწყობილობის წვრილმანები უფრო
ლამაზად და მოხდენილად ჩანდენ, ვიდრე უწინ. ძველი წიგნი,
რვეული, ჩრუკა, კამზოლი, სპილენძის პირსაბანი საქვიშე, ბატის-
ფრთხების შეკვრა, მაკრატლები სანთლისთვის, — ყველა დიდი ხნის-
ნაცნობი ნივთი, სასიმოვნოდ განამტკიცებდენ შინაურული
მუჯდროების მუდმივობას. დილაობით კუკი გადიოდა ბაღში,
სჭრიდა გამხმარ ტოტებს, ახვევდა ვარდის რტოებს, აფევიერებდა მი-
წას ხეების ირგვლივ, თოხნიდა, სთხრიდა სარეველა ბალახებს ბოსტნის-
კვალებიდან, მუშაობდა ფარცხით, ნიჩბით, დადიოდა სარწყავით
კასრისაკენ, რომელიც ჩამალული იყო სუროთი დაფარულ აგურის
კედელთან. ბავშვები იცინოდენ და დახტოდენ მის ირგვლივ. კუკი
მათ მხარზე ისვამდა, დაარბენინებდა ბალის ბილიკებზე, ხან ფრუ-
ტუნებდა ცხენივით და ხან კი ყვიროდა, როგორც ფოსტის მედი-
ლიურე. ყოველ სალამოს მასთან იქრიბებოდენ მეგობრები, საუბა-
რი ეხებოდა დიდი ხნის ნაცნობ ადამიანებსა და ნივთებს. ჩხაკუ-
ნობდენ სათუთუნები, წყარუნობდენ ჭიქები, შრიალებდენ დიასახ-
ლის-ქალების აბრეშუმის კაბები. ასე შეუმჩნევლად და ნელა გა-
დიოდა ვერაგი დრო.

ამ ჯერად შთავრობა უფრო მოწყალედ შეხვდა კუკს. გრაფი სენდვიჩი, რომლისგანაც, ბოლოს და ბოლოს გამოდიოდა მეტას სახელით ბოძებული ყველა ჯილდო, აღტაცებული იყო. კუკმა ყველა ზღვაზე მოატარა მისი პატივცემული სახელი, იგი ახლა აშვენებდა რუკებს, წიგნებს და ხმა-მაღლა ისმოდა ყველა ენაზე, სწავლულ საზოგადოებათა დარბაზებში, სასახლეებში და ევროპის სალონებში. დიდი ბრიტანეთის დიდება, რომელმაც დაჩრდილა დიდება სხვა სახელმწიფოებისა, დაუჯდა სააღმირალო სამმართველოს სულ ოცდა ხუთი ათასი გირგანქა სტერლინგი, ეს კი ამტკიცებდა პირველი ლორდის მოხერხებას და სამეურნეო ნიჭი. როდესაც გრაფი გახსნა პაკეტი კუკის რელაციით, დაათვალიერა რუკები, სურათები და დღიურები, მან მაშინვე გაუკეთა მოხსენება მეფეს და მიიღო აღტაცებულ ხელმწიფიდან ნებართვა არ ეძუნწა და უნვად დაეჯილდოვებინა გაბედული მეზღვაური. 9 აპრილს კუკი გახადეს სამეფო ფლოტის კაპიტანად, 12-ს კი მან მიიღო აღგილი გრინვიჩის სამხედრო ჰოსპიტალის აღმინისტრაციაში. ლორდი არ სცილდებოდა კანონიერების მკაცრ ჩარჩოებსა და ბიურო-კრატიულ ტრადიციების ფარგლებს. „რაც მის ძალონეში იყო“, — ყველაფერს აკეთებდა იგი კუკისთვის და ტყუილად არ იყო ცნობილი მას კეთილისმყოფელად და მეცნიერებათა მფარ-ველად.

სამეფო საზოგადოება გულწრფელი ყურადღებით შეხვდა შოგზაურს. პრეზიდენტი ჯონ პრინცელი მეგობრულად ეპყრობოდა კუკს და ხელი შეუწყო მის ჩარიცხვას საზოგადოების წევრად. საზოგადოებაში წყვითხულმა მოხსენებამ და პრინცელის შუამდგომლობამ ერთხმად მიანიჭა კუკს საზოგადოების წევრობა. საზეიმო ჩარიცხვა მოხდა 1776 წლის 7 მარტს, როდესაც კუკმა წარადგინა წერილი ხომალდის ეკიპაჟის ჯანმრთელობის დაცვის შეთვალების შესახებ. აპრილშივე პრინცელმა მისცა წინადადება კუკს წარედგინა წერილი სამხრეთ ზღვის მიმოქცევაზე იმ დაკვირვებათა მიხედვით, რომელიც მან ჩატარა ახალ ჰოლლანდიის ნაპირებზე. საზოგადოების საბჭომ დაჯილდოვა ნაშრომი ოქროს ჯერათ, რომელიც, თანახმად ტრადიციებსა, გადაეცა კუკს წმინდა ანდრიას დღეს. ეს იყო უკვე მაშინ, როდესაც კუკმა კვლავ დასტოვა ინგლისი. სამეფო საზოგადოების საზეიმო სხდომა, კუკის ნაცეკლად მიესალმა მისტრისს კუკს, რომელიც ცრემლ-მორეული უსმენოა პრეზიდენტის სიტყვას: „ჩვენ აქ არ გხედავთ, — ამბობდა პრინცელი — ცრუ ძალას, რომლითაც თავს იქებს ემპირიზმი, არ ვხედავთ სისტემის მოხერხებულ და მცდარ თეორიებს, არამედ ვხე-

დაუთ მოკლედ გამოცემულ უდავო დეტალიზაციას იმ საშუალებათა, რომელიც კაპიტანმა კუქმა, წმინდა განვების დახმარებით, გამოიყენა თავის მოგზაურობის დროს. ეს მოგზაურობა გრძელდებოდა სამი წელიწადი და რვა დღე, ყველა კლიმატურ სარტყელში, დაწყებული ჩრდილო ფართედის ორმოცდა მეთორმეტე გრადუსით და დამთავრებული სამხრეთ განედის სამოცდა მეთორმეტე გრადუსით. ამასთანავე, მას გარდაცვალა მხოლოდ ერთი მეზღვაური, ხორცალდჲჲ მყოფ ასთვრამეტ აღამიანიდან“.

კუქის ძველი მეგობარი ხიუგ პალისსერი შუამდგომლობდა სააღმირალო სამმართველოში, სადაც დასთანხმდენ დაებეჭდათ სახელმწიფო ხარჯით პროფესიონალ ფორმსტერის მოგზაურობის აღწერილობა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ცენტრული გადაათვალიერებდა ნაწერებს და შეამოკლებდა იმას, რასაც საჭიროდ სთვლიდა. შემოსავალი წიგნის გამოცემიდან, თანახმად ხელშეკრულებისა, უნდა აანაბრად განაწილებულიყო კუქსა და ფორმსტერს შორის. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს კუქმა და ფორმსტერმა, გრაფ სენდგიჩის თანდასწრებით. მდიდრული გამოცემა, ხოჯსის მიერ დასურათებული, სადაც მარტო გრაფიურების გაკეთება ორი ათას გირვანჭა სტერლინგამდე დაჯდა, რუკებით და ცხრილებით, ხელმეორედ მთლიანად გამოიცა ფრანგულ ენაზე 1778 წელს¹.

მოხერხებულმა მწერლებმა, ლიტერატურულ სპეციულანტების წრიდან, მოასწრეს მანამდე გამოეშვათ მოგზაურობის ორი ანონიმური დღიური, შედგენილი აბნეულად და უმეცრად. გეორგ ფორმსტერი აღშევოთებული იყო იმ შემზღუდვები პირობებით, რომელშიცაც ჩააყენეს მამა შისი. ამავე დროს მან იცოდა გამოგონილ დღიურების ფასიც („ევროპა მეტად ნასწავლია, რომ გაუწიოს ანგარიში ამ საზიზლარ დომხალს.“), ამიტომ მან გადაწყვიტა გამოეცა თავისი დღიური, სადაც მას არ ეშინოდა მოურიდვებლად ეთქვა სიმართლე, რაც არ შეეძლოთ არც მის მამას, არც კუქს მათი ოფიციალური მდგომარეობის გამო. წინასიტყვაობაში გეორგ ფორმსტერი სწერს, რომ კუქის პირველი მოგზაურობის აღწერაში არაფერია ნათქვაში ტმის შესახებ, რომ „გულმოღვინებამ“, მაღეირაზე ბრიტანეთის იარაღის შეურაცყოფისათვის, ზარბაზნები დაუშინა პორტუგალელთა ფორტს, — და სიჩუმითაა გვერდი ავლილი კიდევ ბევრი რამისათვის, რაც არასასურველი იყო სააღმირალო სამმართველოსთვის. „მე-

¹ ამ გამოცემის ერთი ეგზემპლარი ინახება ლენინის სახელობის საჯარო ფიგნაცაცაში, მოსკოვში.

მივეცი ჩემს შენიშვნებს, — ამთავრებს იგი, — უფრო მორალური,
მციცე მიზანი“.

საფრანგეთში, სადაც არ ვრცელდებოდა სააღმირალო სამმართ-
ველოს ცენტურა, ზედიზედ გამოდიოდა პირველი და მეორე მოგ-
ზაურობის გამოცემები, იბეჭდებოდა ნახატები, რუკები, იწერებოდა
ვრცელი წინასიტყვაობანი და შენიშვნები. ინტერესი კუკის მოგზა-
ურობისადმი აიხსნებოდა ბუნებისმეტყველებისადმი მიღრეკილე-
ბით, რაც გამეფებული იყო იმ დროის განთლებულ საზოგადო-
ებაში. გალანტურ მოთხოვების დახვეწილ ამორალობასთან ერთად,
რაც წარმოადგენდა არისტოკრატიის საყვარელ ლიტერატურას და
ბურუუაზეული ყოფა-ცხოვრებითი რომანის გაჩენისთანავე, მრავლ-
დება აგრეთვე გეოგრაფიულ, ბოტანიკურ და სხვა გამოქვლევა-
თა გამოცემა, რომლებშიდაც ჩართულია ახლად აღმოჩენილ ქვეყნე-
ბის და მათ მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრების დაწვრილებითი აღწე-
რილობანი და ადგილობრივ ნაწარმოებთა და პროდუქტების მაზან-
დის ნუსხები. ამერიკას, იაპონიას, ჩინეთს, ინდოეთს და აფრიკას,
რუსეთს და სკანდინავიას, — ყველას ჰყავდა თავისი მკვლევარები
და ყოფა-ცხოვრების აღმწერლები. არსებობდენ გამომცემლობანი,
რომლებიც მუშაობდენ ლიტერატურის მხოლოდ ამ დარგში და
აღწევდენ სრულყოფილობას გრავიურების ხელოვნებაში, რუკების,
ბოტანიკურ და ზოოლოგიურ ცხრილების დაბეჭდვაში.

რომანი, რომელიც მგრძნობიარე მარკიზას დააღვრევინებდა
ცრემლს, წიგნში ნახატ ყვავილის გამო, გალანტური მოთხოვა,
რომელიც ურცხვი გრავიურით ციებ-ცხელებაში აგდებდა უდროოდ
დამჭინარ არისტოკრატს და „მოზაურობათა“ დიდრონი in-quarto,
შემოსვალ-გასავლის დავთრების მსგავსი გვერდებით, რომლებიც
ახარებდენ ახალ, თავბრუდამხვევ თპერაციებზე შეოცნებე ვაჭარს, —
ყოველივე ეს ნაღდი საჭონელი იყო, სასიამოვნო როგორც მკითხვე-
ლის გემოვნებისათვის, ისე წიგნის გამყიდველთა ჯიბისთვისაც.

კუკს არ მოსწონდა ეს ალიაქოთი, ამტყდარი მისი დღიურების
გამოცემის ირგვლივ. მას აღშფოთებდა ზერელე, ყალბი დღიურების
გამოკვეყნება, რაც ამცირებდა მისი მუშაობის სერიოზულ, მეცნიე-
რულ მნიშვნელობას. იგი ცხარობდა, კატეგორიული უარით ისტუმ-
რებდა აბეზარ გამომცემლებს და მხოლოდ თავის ახლობელ მე-
გობრებს, — დოქტორ ხაუკსვორტს და დოქტორ დუგლასს ანდობდა
თავის ნაწერების რედაქციას.

ჯერ კადეც არ გაშავებულიყო ჯვრები, რომლებიც ქრისტია-
ნული სარწმუნოების საღიღებლად აღმართა ფილლიბეს კუნძულებზე

ძაგელლანმა, მის მიერ გადამწვარ სოფლების ნაშთებზე. ჯერ კიდევ ცერ. მოესწროთ ესპანურ და პორტუგალურ კარაველლებს მათგან აღმოჩენილ წყნარ ოკეანეს კუნძულების კვლავ გამონახვა, ჯერ კიდევ არ დაემთავრებინათ სავაჭრო კომპანიებს თავისი კაპიტორების აშენება ბატავიაში და მალაბარის ნაპირზე, — რომ სავაჭრო კაპიტანის კლანჭები ხარბად ჩაებლაუჭა ჩრდილოეთის ქვეყანას. საჭირო იყო ინდოეთის და ჩინეთისაკენ მიმავალ უმოკლესი გზის გამოძებნა. XVII საუკუნის მეორე ნახევარი არის აღმოჩენათა პერიოდი თეთრი, კარის და ბარენცის ზღვებზე. ჩენსლერი, ბარენცი და ბერტოუ ერთი მეორეზე ირკვევენ ევრაზის ჩრდილო ნაპირების გასწვრივ გავლის შესაძლებლობას, მათ სურთ ჩრდილო-აღმოსავლეთის გასავალით შეაერთონ ევროპა ანერიკასთან. თავისი ცდების წარმოების დროს ბარენციმა აღმოაჩინა შპიცებურგენი და ახალი მიწა, მაგრამ ყინულებისგან შეშინებული იგი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. სხვა მოგზაურები მიღიან ჩრდილო-დასავლეთისაკენ გასავალის საძიებლად, ჩრდილო-ამერიკის ნაპირების გასწვრივ. ფრობიშერი და დევისი საუკუნის დამლევს, ბაფფინი და ჰუდზონი შემდეგი საუკუნის დასაწყისში, — უნაყოფოდ ცდილობდენ აღმოაჩინონ სრუტე, რომელიც თითქოს სჭრის ჩრდილო ამერიკას: XVII საუკუნის განმავლობაში ჰოლლანდიელი და ინგლისელი კაპიტნები ამაოდ ცდილობენ აღმოაჩინონ ეს მოჩვენებითი სრუტე და იკვლევენ ამიტომ ჩრდილო ამცრიყი. დასავლეთ ნაპირს.

1676 წელს ვუდმა დააბოლოვა უშედეგო მოგზაურობათა გრძელი რიგი და საკითხი ჩრდილო-დასავლეთის. გასავალის შესახებ რამდენიმე ათეული წლით დავიწყებას მიეცა. XVIII საუკუნის შუაწლებში დობსსმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ სრუტე შეიძლება გამონახულ იქნეს ჰუდზონის უბეში, — აიძულა ინგლისის მთავრობა ჩაფიქრებულიყო და ეცადა ამ საკითხის სასწრაფოდ გადაწყვეტა, რაც ინგლისს დიდ გამორჩენას და სარგებლობას უქადა. 1741 წელს გაგზავნეს კაპიტანი მიდლტონი, რომელსაც წილად ტცდა მის წინამორბედთა ბედი. ამოძრავდა სავაჭრო კომპანიებიც: პარლამენტის აქტი პირდებოდა ფულად ჯილდოს იმ კერძო ხომალის, რომელიც სრუტეს აღმოაჩენდა. კამპანიებმა 1746 წელს ჰიანკვეს ექსპედიცია კაპიტან სმიტის და მურის მეთაურობით, მაგრამ ესენიც ვერაფერს გახდნენ.

გზორგ III-მ, წაქეზებულმა გრაფ სენდევიჩის მიერ და გათამაშებულმა ბრიტანეთის ბაირალის გამარჯვებით წყნარ ოკეანეზე; გააგზავნა კუკი სამხრეთის მიწის საძებნელად, მაგრამ, ამავე დროს,

განდასწყვიტა განეახლებინა ჩრდილო გასავალის ძიება ატლანტიურ ოკეანედან წყნარ ოკეანეში. მან გასცა ექსპედიციის მოწყობის შეძლებები, „რათა გამოირკვეს, რა შიჯნამდეა შესაძლო ნავიგაცია ე. ი. გემთა წაყვანა ჩრდილოეთის პოლუსის მხრისაკენ“. კაპიტანმა ფიდასმა მიიყვანა ორი ხომალდი ჩრდილო განედის რთხმოც გრალუსის ყინულამდე და უშედევოდ დაბრუნდა. სააღმირალო სამართველო არ ცხრებოდა და 1776 წლის დასაწყისში გაატარა პარლამენტში აქტი, რომელიც აფართოვებდა და ავსებდა ორმოცდა მეტრა: წლის აქტს.

„...ვინაიდგან იმედი გვაქვს, რომ ვაჭრობას და მეცნიერებას დიდ სარგებლობას მოუტანს ჩრდილო საზღვაო გასავლის აღმოჩენა წყნარსა და ატლანტიურ ოკეანეთა შორის, — ამიტომ გადაწყვეტილია შემდეგი: თუ რომელიმე ხომალდი, რომელიც ეკუთვნის მის უდიდებულესობის ქვეშევრდომს, ან მის უდიდებულესობას, აღმოაჩენს საზღვაო გზას და გაივლის ამ გზით ატლანტიურ ოკეანეში, ჩრდილო ნახევარ სფეროს რომელი შიმართულებითაც არ უნდა იყოს, — ჩრდილო განედის ორმოცდა მეთორმეტე გრალუსის ჩრდილოეთით, — ამ ხომალდების მფლობელები, თუ ისინი ეკუთვნიან მის უდიდებულესობის რომელიმე ქვეშევრდომს ანდა ამ ხომალდების მეთაური, ოფიცრები და მეზღვაურები, თუ ხომალდები ეკუთვნიან მის უდიდებულესობას, — მიიღებენ ჯილდოდ ოცი ათას გირვანქა სტერლინგს“...

საკითხი სრუტის არსებობის შესახებ ამერიკასა და აზიას შორის ისეთივე ბურუსით იყო მოცული, როგორც საკითხი სამხრეთის მატერიკის არსებობისა, კუკის მოგზაურობამდე. ბევრი გამოჩენილი შეცნიერი უარყოფდა სრუტის არსებობას და უნდობლად უყურებდა ბერინგის აღმოჩენებს. როგორც სახელგანთქმული გეომეტრია მოპერტუ არწმუნებდა ფრიდრიხ II-ს, რომ არსებობს მთლიანი კვადრატიული ლიეს შემცველი სამხრეთის მატერიკი, დასახლებული დამიანებით და ცხოველებით, ისე დოქტორი კემბელლი, ბერინგის 1741 წ. მოგზაურობათა აღწერისას, ამტკიცებდა შემდეგს: ...უკველია, ბერინგის აღმოჩენა არ გვაძლევს შესაძლებლობას ვითიქროთ, რომ ნაპირი, რომელსაც მან მიაღწია, იყოს თითქმის ამერიკის დასავლეთი ნაწილი“.

მაგრამ XVIII საუკუნის დამლევისათვის ევროპელ მეცნიერებს ჰქონდათ სწორი ცნობები რუსების მოგზაურობაზე და მათ ვაჭრობაზე ციმბირში, ამურზე და კამჩატკაზე. ამ საკითხის შესახებ მრავალი წიგნი გამოიცა ამსტერდამში, პარიზში და ლონდონში. კოქსის

წიგნი: „რუსების ახალი აღმოჩენანი აზიასა და ამერიკას შორის“ დაწვრილებით აღნუსხავს რუს მონადირეთა, მხედართა და ვაჭართა სახელებს, რომლებიც დადიოდნენ. კამჩატკაზე, დასცურავდენ ბერინგის სრუტეში და აღმოჩინეს ალეუტის კუნძულები ჩვენგან დავიწყებული სახელები ნევოდჩიკოვის, სერებრიაკოვის, ტრაპეზნიკოვის, გლოტოვის, სოლოვიოვის, კრინიცინის, ლევაშოვის და სხვათა მრავალთა, მოსკოვებულია ლეუნიოვის, ბერნიგის და ჩირკოვის გვერდით. კოკის სპეციალურ თავში ამტკიცებს, რომ ბერინგი მართლაც იყო ამერიკის ნაპირზე. ავტორის ავტორიტეტი, ნაშრომის სერიოზული, მეცნიერული ხასიათი და გამომცემლის სახელი აშ მტკიცების საქართვებლოდ ლაპარაკობდენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაუინებით გაისმოდა ხმები, რომლებიც არ იზიარებდენ ამ შეხედულებას. ზოგი ამბობდა, რომ აზია შეერთებულია ამერიკასთან, სხვები კი ამტკიცებდენ, რომ მათ ყოფს უზარმაზარი, რვაასი ლიკს მანძილის წყლის სივრცე.

რუსულ გამოცემებში მოყვანილი იყო ჩვენი მოგზაურების საკმაოდ ნათელი აღწერილობანი რუსეთის პირდაპირ მდებარე ამერიკის ნაპირის შესახებ:

„....ჩუკოტის ცხვირის პირდაპირ, ორივე მხრით, კოლიმის დაანადირის ზღვიდან, შემჩეულია მიწა, რომელსაც ჩუქჩები უწოდებენ დიდ მიწას. ისინი ამბობენ; რომ იქ ცხოვრობს ხალხი, განსხვავებული მათგან, ჩუქჩებისაგან, ზნე-ჩვეულებით, ყოფა-ჰცევით და ენითაც. ძველი დროიდანვე ჩუქჩები არ არიან მშვიდობიან განწყობილებაში ამ დიდ მიწაზე მცხოვრებ ხალხთან. ისინი ებრძვიან ერთმანეთს. ის ხალხი იბრძვის ისრებით და შუბებით; შუბების და ისრების წვერი მათ ბროლისა აქვთ, რაზედაც აცხებენ შეხმიან ბალახის წვენს. თუ მათი ისრით დაიჭრება ვინმე და სისხლს მაშინვე არ ამოწოდენ, — დაჭრილი ერთ დღე-ღამეზე მეტს ვერ იცოცხლებს ზა მოკვდება“.

„ჩუკოტის ცხვირიდან იმ დიდ მიწაზე ზაფხულში ერთი დღის განმავლობაში მისისვლება ნიჩბიან ნავებით ე. წ. ბაიდარებით. ჩუკოტის ცხვირზე არ მოიძებნება მხეცი, გარდა მგლების და წითელი მელიებისა, ისიც ძალიან მცირე რაოდენობით, რაღვან იქ ტყე არ არის. დიდ მიწაზე კი ბლომადაა ყოველგვარი მხეცი: დათვები დაზღვის თაგვები, სიასამურები, კვერნები, თეთრი და ცისფერი მელიები და როსსომახები. იქაურ მცხოვრებლებს ყავთ ირმის დიდი ჯოგები, მცხოვრებლები იკვებებიან ზღვის ცხოველებით და მიწის ნაყოფით. იქ არის მრავალი ჯიშიანი ტყე: ლიბანის ნაძვი, ფიჭვი,

ნაძვი, სოჭი და ფოთლოვანი ტყე. დიდი მიწის ტყეები მოჩანს ჩუქ-
ჩების იურტებიდან ე. ი. ქოხებიდან და ნავებიდან; ამ მიწიდან
ზღვაში დიდი მდინარეები ჩადის. იქაურ ხალხს აქვს თხრილებით
გამაგრებული საცხოვრებელი ბინები, კოშკებზე კი დაყენებული
ჰყავთ გუშაგები, აღჭურვილი მათი იარაღით ე. ი. შუბებით. ამ სი-
მაგრებით ისინი თავს იცავენ მტრებისაგან“.

შავრამ რას ნიშნავდა „განათლებულ“ ევროპელისთვის ცნო-
ბები, ნაამბობი თითქმის წერა-კითხვის უცოდინარ, ნახევრად აზიელ
ბარბაროსების მიერ, რომელთაც მხოლოდ ახლახან დაიწყეს ადამია-
ნური სახის მიღება. თუ რჩეული ევროპელი მეცნიერები კითხუ-
ლობდენ „სანკტ-პეტერბურგის უწყებებს“, ჩვენს მეცნიერთა და
მოგზაურთა შრომებს და რელაციებს, უწევდენ ანგარიშს პეტე-
ბურგის აკადემიას, — ინგლისელ მეცნიერთა უმეტესობისთვის სა-
კითხი სრუტის სინამდვილეზე და ბერინგის ცნობის სერიოზულ ხა-
სიათზე ღიად რჩებოდა და უმეტეს შემთხვევაში, სადაც იყო. ასე-
თი იყო უმრავლესობის თვალსაზრისი, მთავრობის ინტერესები კი
მოითხოვდა სწორ გადაწყვეტილებას. სწორედ ამან გამოიწვია პარ-
ლამენტის აქტის გამოქვეყნება და გრაფ სენდვიჩის მიერ გადაღ-
გმული ნაბიჯები, ახალ ექსპელიციის მოსაწყობად, ამ ჯერად დასა-
ვლეთ ამერიკის ნაპირების გასწვრივ.

ზამთრის პატარა დღეები ნისლმა კიდევ უფრო შეამოკლა. სვე-
ლი თოვლი მძიმედ ეფინებოდა სახურავებს, ბარდნიდა ხეებს და
გზა-ტკეცილზე ნაცრისფერ, აზელილ ტალახად იქცეოდა. ხანდახან
ვამოჩნდებოდა წითელი, უმწეო მზე, რომელიც მიიპარებოდა დაბლა.
ცის კაბაღონზე და იმალებოდა სახლების სახურავებს იქით. ოთახებ-
ში აღრჩე ანთებდენ სანთლებს. ბუხარი გუზგუზებდა დილიდან სა-
ლომომდე, ავრცელებდა სითბოს, ძილს გვრიდა თავის მერყევი სი-
ნათლით.

კუკი იჯდა სავარძელში, ფეხები ბუხრისთვის მიეშვირა, ხელი
ჩამოეშვა, წიგნი მუხლზე დაედო და ცეცხლს თვალს ადევნებდა. ცოლმა
წაიყვანა ბავშვები დასაძინებლად, სიჩუმე იყო. ისმოდა მხო-
ლოდ საათის და ჭრივინას ხმა; ერთიც და მეორეც თავისებურად
ზომავდა დროს. კედელზე ირხეოდა ფრთებით აჯაგრული ტაიტუ-
რი შუბის ჩრდილი, უცნაურად გამომყურე ამ ოთახში. შორეულ
კუნძულების სახეები იხატებოდა მთვლემარე გონებაში. ჩრდილები
ირხეოდა, როგორც ტაიტელ ჭალების რიტუალური ცეკვა. ცეკვის
ტაქტზე სევდიანად მოისმოდა სიმღერა: „მთვარეზე ნისლია. ეს ნი-
სლი მე მიყვარს“... წიგნი ჩამოცხადა მუხლებიდან, მძიმედ დაცა

იატაკზე და გამოაღვიძა კუკი. იგი გაწყრა, ადგა, დაიწყო სიარული ოთახში, დაუძახა ცოლს და უთხრა, რომ მიღის ხაუკსვორტთან ან პლისერთან.

ქმრის სულიერი განწყობილება აშინებდა კეთილ მისტრის კუკს. ის გრძნობდა საბეჭისწერო დღის მოახლოვებას. კუკი ჩუმი და ფიცხი ხდებოდა, მასში იწყებოდა შინაგანი ბრძოლა, მეზღვაურის სწყინდებოდა ოჯახის ერთფეროვანი მყუდროება, თუმცა შორეულ ზღვებში მუშაობით მოღალულს, მას ხშირად ენატრებოდა ეს მყუდროება. მოუსვენარი აზრი დასტრიალებდა უკვე ახალ შოგზაურობათა გეგმებს. წიგნები და რუკები თანდათან გადმოცოცდენ თაროებიდან მაგიდებზე და სკამებზე და შექმნეს ოთახში არეულ-დარეულობა. მეზღვაური კატეგორიულად მოითხოვდა მუშაობას, იგი კუკის არსებაში ებრძოდა მგრძნობიარე და ზარმაც მეოჯახეს, დასადგურებულს სულის ბნელ კუნჭულში, შეშინებულს თავისი მრისხანე მეტოქით, რომელიც ყოველთვის სჯობნიდა მას ამ არათანასწორ ბრძოლაში.

როდესაც სააღმირალო სამმართველოში კვლავ დაიწყეს ლაპარაკი ჩრდილოეთის ექსპედიციაზე და პალისერმა, საუბრის დროს, უამბო სენდვიჩის კუკის სულიერი განწყობილების შესახებ, გაიძვერა არისტოკრატი მაშინვე ჩაეჭიდა აზრს, რომელიც დიდი ხანია. აწუხებდა მას და ვერ პოულობდა საჭირო გამართლებას. რასაკვირველია, მას შეეძლო ეთხოვა კუკისთვის, მიეღო უფროსობა ექსპედიციაზე, მაგრამ უარის მიღების ეშინოდა. მას ეგონა, რომ მეფისაგან ზომაზე მეტად დაჯილდოვებული და უმაღლეს საზოგადოებისაგან განებივრებული „ბნელი წარმოშობის“ ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, წინ წამოწეული არა იმდენად თავისი, ნიჭით, რამდენადაც გარემოებათა ბეღნიერი შეხვედრით, აღმირალების, მეცნიერების და თვით მისი, — სააღმირალო სამმართველოს პირველი ლორდის, მოწყალებით, ადამიანი, რომელმაც მიაღწია ყოველ ჯენტლემენისთვის სახარბიელო. წყნარ, ხელსაყრელ და საპატიო თანამდებობას, — ვერ შესძლებს ყველაფრის მიტოვებას და მტკიცე, კანონიერ კეთილდღეობის გაცვლას ბუნდოვან, მერყევ ბეჭის ჩარხის ტრიალზე. გარდა ამისა, მას ეშინოდა საზოგადოებრივი აზრისაც.. კუკის უარის თქმას შეეძლო გამოეწვია არა საჭირო ჭორები და ინტრიგები პირველი ლორდის წინააღმდეგ, ხელსაყრელი მისი პოლიტიკური მტრებისათვის, რომლებიც შესძლებდენ პატრიოტიული გრძნობების ბოროტად გამოყენებას მის წინააღმდეგ, და ისედაც უკანასკნელ ხანში დაუდეგარი საზოგადოებრივი აზრის შებრუნებას. იყო კიდევ

ერთი გზა — მეფის ბრძანება, მაგრამ სასაცილო იყო სირაჭლეშას როლის თამაში და თავის დამალვა საკუთარ ფრთხების ქვეშ. შეიძლება მხოლოდ მდაბიო ხალხის მოტყუილება. ყველამ იცის, თუ როგორ იწერება მეფის ბრძანებები. აი, რისთვის მოეჭიდა იგი ასე შაგრად პალისერის სიტყვებს, გაიხსენა დიპლომატის გამოცდილი ხერხები და ოსტატურად გააბა ქსელი.

უკვე ძეველ დროიდანვე ცნობილი იყო, რომ დიპლომატიურ განზრახვის სისრულეში მოყვანა ან სავაჭრო გარიგების წარმატებით დამთავრება საუზეებზე და სადილებზე უფრო ხერხდებოდა, ვიდრე კონგრესის სხდომებზე. კარგი დიპლომატი არ ინდობდა თავის კუჭს და არღვევს კვების განაწესს; თუ ამას საქმე მოითხოვს. ტყუილად კი არ ამბობენ ფრანგები: „ის სჭამს, როგორც დიპლომატი“.

სენდვიჩმა ჩამოართვა სიტყვა თავის თანაშემწეს, რომ ის არ გასცემდა საიდუმლო განზრახვას და დაავალა მას იმ დღეებში შისი სახელით, დაეპატიუებინა კუკი სადილად და თან მოეყვანა იგი. პალისერი სიხარულით დასთანხმდა. თუ სენდვიჩს ეშინოდა ეწყენინებინა კუკისთვის თავისი წინადადებით, — პალისერის, წინააღმდეგ, ეშინოდა, რომ მისი მეგობარი სასტიკად შეურაცყოფილი იქნებოდა სხვა კაპიტანის დანიშნვით. მას ახსოვდა ჯემსის სახე, როდესაც, ამ დღეებში, ის იგონებდა თავის უკანასკნელ მოგზაურობას, ახსოვდა, როგორ ცეცხლივით აენთო ამ უზარმაზარ ვაჟყაცს /თვალები, როგორი გატაცებით ისმენდა ამბავს და ფართო ნაბიჯებით ზომავდა ოთახს კუთხიდან კუთხამდე; როგორც ვიწრო გალიაში დამწყვდეული ნადირი.

რამდენიმე დღის შემდეგ კუკი, პალისერი და სტეფენსი, — საადმირალო სამმართველოს მდივანი, უსხდენ გრაფ სენდვიჩის სუფრას. მასპინძელი მეტად თავაზიანი და პურადი იყო. ის სთავაზობდა სტუმრებს რჩეულ საჭმელებს, მოხდენილად ხუმრობდა და უამბობდა მათ სამეფო კარის უკანასკნელ ჭორებს. საზეიმოდ მოკაზმული მსახურნი, დაპუდრულ პარიკებით და წითელ, მოოქროვილ კამზოლებში გამოწყობილნი, ჩუმად მიდი-მოდიოდნენ პარკეტის იატაზე, სადღაც შორს, იკარგებოდა ოქროთი და აბრეშუმით მორთული ოთახების მწკრივი. კედელთან, უზარმაზარი გობელენის ფონზე, სადაც გამოხატული იყო. ანტიურ გმირთა ფიგურები, მფრინავი ამურები და მოცეკვავე გრაციები, — შუშის საფარს ქვეშ სადაფის დალქნების ნაირ-ნაირ ფერებით ბზინავდა და ბრჭყვიალებდა ოქროსაგან გაკეთებული პატარა ხომალდი. პირდაპირ, უზარმაზარ ჩარ-

ჩოებში მუქად მოჩანდა კრომველის მახლობელ პირის, სენდვიჩის პაპის, ადმირალის სურათი.

კუკი ყოველთვის უხერხულად გრძნობდა თავს ასეთ მაგიჭა-
სთან, თითქოს ეს მდიდრული მოწყობილობა ბორკავდა მის მოძრა-
ობას, უშლიდა ზურგით მიყრდნობოდა სავარძელს, აძულებდა
უფიქრა, თუ როგორ დაეჭირა ხელები და ვისკენ მიბრუნებულიყო.

საუბარი, როგორც მოსალოდნელი იყო, შეეხო, საადმირალო
სამმართველოს საქმეებს და გემთა მშენებლობას. გრაფი უჩიოდა
მოიჯარადორეთა უწესობას, ვაჭრების გაუმაძლრობას, რომლებიც
ძოკლებული არიან, ყოველგვარ პატრიოტულ გრძნობას. გაკვრით
ეგი შეეხო ჩრდილოეთის ექსპედიციების უშედეგობას და როდესაც
მას სტეფენსმა სიტყვა ჩმოართვა და დაიწყო აზრის განვითარება.
ახალ ექსპედიციის სასწრაფოდ მოწყობის შესახებ, — სენდვიჩმა
ოსტატურად გადაიტანა საუბარი სხვა თემაზე. დიპლომატი მოელო-
და მოხერხებულ მომენტს. როდესაც საღილი თავდებოდა, მაგიდაზე
გაჩნდა ხილით სავსე ვაზა და ფიალების ბროლში დამღნარ ზურმუხ-
ტად გამოანათა სურნელოვანმა ტკბილმა სასმელმა. როდესაც
სტუმრებს საგრძნობლად შეუწითლდათ სახეები და შეზარხოშდენ,
სენდვიჩმა, თითქოს უცაბედად, გაიხსენა სტეფენსის სიტყვები და
მიმართა კუკის თხოვნით, შეიცა რჩევა ექსპედიციის საუკეთესო მიმა-
რთულებისა. ვინ უნდა იცოდეს ყველაზე უკეთესად, თუ არა მან,
ესოდენ გამოცდილმა ხომალდების წამყვანმა, მსოფლიოში განთ-
ქმულმა მეზღვაურმა და მკვლევარმა, თუ როგორ შეიძლება მაღალ,
ჩრდილოეთის განედების მიღწევა, როგორაა შესაძლო არეულ-და-
რეულ ცნობების შემოწმება აზიასა და ამერიკას შორის სრუტის-
არსებობის შესახებ. გრაფმა ფრთხილად მოიხსენა პარლამენტის
აქტით შეპირებული ჯილდო და დაიწყო ლაპარაკი იმ უდიდეს
მეცნიერულ მნიშვნელობაზე, რომელიც ექნება ამ აღმოჩენას და
იმ ფართე შესაძლებლობებზე, რომელთაც გაპსნიდა იგი სამხედრო
და სავაჭრო ნავიგაციის წინაშე. ამ ჯერად პალისერმა და სტეფენს-
მა თავგამოდებით დაიწყეს ექსპედიციის აუცილებლობის მტკიცე-
ბა. კუკი თანდათან ჩაება საუბარში, იგი თანდათან აღელდა. ბო-
ლოს, მას დაავიწყდა მაღალი წრის ეტიკეტის წესები, წამოხტა სავარ-
ძლიდან, დაიწყო სიარული ოთახში და ხელების ქნევით ამტკიცებ-
და თავისი აზრის სისწორეს, თუმცა მას არავინ არ ეკამათებოდა,
გათავდა იმითი, რომ მან თვით შესთავაზა გრაფს. თავისი სამსახური,
როგორც ექსპედიციის უფროსის. დიპლომატი განაგრძობდა თავის
ხაზს; — მას თითქოს გაუკვირდა: „რასა ბრძანებთ! კაპიტანი ეს-ეს-

მას დაბრუნდა ასეთ დამღლელ მოგზაურობიდან”。 კუკი თავისას არ იშლიდა, სტეფენსმა მისი მხარე დაიჭირა. პალისერმა ოქვა, რომ სხვისი გავზავნა საერთოდ ექსპედიციის ჩაშლას ნიშნავსო. გრაფი დასთანხმდა.

იმ საღამოს კუკი მშევნიერ გუნებაზე დაბრუნდა შინ. მან უქმოლს პირველი ლორდის მზარეული, და მის კითხვაზე, თუ რა მიზანი ჰქონდა მიპატიუებას, უპასუხა, რომ გრაფს აინტერესებდა გრინვიჩის ჰოსპიტლის საქმეები.

მისტრის კუკმა არ დაუჯერა ქმარს.

სენდვიჩი მეორე დღესვე გაემართა სენ-ჯემის სასახლეში და შოახსენა მეფეს, რომ კუკი თანახმა იყისროს ექსპედიციის უფროსობა. ბრძანება წინდაწინვე იყო დაწერილი და გორგ III-მ დაუფიქრებლად მოაწერა თავისი სახელი მოხერხებულად მიწოდებულ ქალალდზე. სენდვიჩმა გააშრო „ლვთაებრივი“ ასოები მოოქროვილი ქვიშით, და გაქანდა თავისი ეტლით სააღმირალო სამმართველოში. აქ მან დააგდო ქალალდი მდივინის მაგიდაზე და უბრძანა სასწრავოდ შეესრულებინა ყველა ფორმალობა. 1776 წლის ათ თებერვალს კუკი დაინიშნა სამეფო ხომალდის „გაბედულების“ კაპიტნად და ჩრდილოეთის ექსპედიციის უფროსად.

სააღმირალო სამმართველომ გადასწყვიტა ამ ჯერად საუკეთესოდ მოეწყო ექსპედიცია, გაეთვალისწინებინა ყველა შესაძლებლობანი. მასში მან გავზავნა დევისის სრუტეში სამეფო ხომალდი „ლომი“ ლეიტენანტ პიკერსგილის მეთაურობით, ვითომდა ინგლისურ სარეწაო ხომალდების დასაცავად. საიდუმლო ბრძანებაში კი ნათევამი იყო, რომ ხომალდი რაც შეიძლებოდა წინ წასულიყო ბათუმინის უბეში, დაეზვერა ნაპირები და დაბრუნებულიყო წლის დამლევისათვის. ამგვარად, ამერიკის მეორე მხრიდან მომავალი კუკი შესძლებს ერთდროულად დასავლეთის ნაპირის გამოკვლევას, ავა ჩრდილოეთისაკენ და შეაერთებს ამ ორ გზას.

ექსპედიციაში მიღიოდა ორი ხომალდი: „გაბედულება“ და სამას ტონიანი „აღმოჩენა“, რომელიც სააღმირალო სამმართველომ ამ მიზნისთვის შეისყიდა დეპტფორდის სემო-საშენში. „აღმოჩენას“ კაპიტანად დაინიშნა კლერკი, კუკის მეორე ლეიტენანტი, რომელიც მას ახლდა სამხედრო პოლუსისაკენ მოგზაურობის დროს.

შოსამზადებელი. მუშაობა ხუთ თვეს გრძელდებოდა. კუკი ცხოვრობდა ხან ლონდონში, ხან კი დეპტფორდში, ხომალდზე. ახალგაზრდური გატაცებით მოკიდა მან ხელი მუშაობას. სახლში, საღაც კვლავ ჩამოვარდა განშორების მძიმე მოლოდინი, — მას თავი მხია-

რულად ეჭირა. იგი ყოველნაირად ცდილობდა დაემშვიდებინა „ცალი“, არწმუნებდა მას რა მოგზაურობა ხანმოკლე იქნებათ. აღწერდა ხომალდების სიმაგრეს, ოფიცრების და შეზღვაურების გამოცდილებას, საუკეთესო და უხვ სურსათს. მარტის დასაწყისში „გაბედულებაშ“ შემოსცურა ტემზაში და დაიწყო დატვირთვა.

შინაური ცხოვრების უკანასკნელი დღეები გასხვისნდა ვაჯის დაბადებით. კუკმა ბავშს, პალისერის საპატივცემოდ, ხიუგი დაარქვა: საამო მაისი იდგა, ბალი ყვაოდა. მზე იტყუებდა ყველას ჭილაქ გარეთ, ზღვიდან ქროდა მსუბუქი ნიავი, პაერი გაუღენთილო იყო მიწის, ხეებისა და წყალმცენარეთა შერეული სუნით.

თვის დამლევს, „გაბედულება“ გადავიდა ლონგ-რიჩში, სადაც დაიტვირთა. ტაიტისთვის მიჰყავდათ ხარი, ორი ძროხა, ხბოები და ცხვრები, მიჰქონდათ აგრეთვე ბოსტნეულის თესლი, სასოფლო-სამეურნეო იარაღები. დატვირთუს აგრეთვე გადასაცვლელი იაუ-ფასიანი ნივთები, მეზღვაურები უზრუნველყოფილი იყვნენ თბილი ტანსაცმელებით. საადმირალო სამმართველო შეეცადა და იშვიათ ხომალდებისთვის საუკეთესო ასტრონომიული და სანავიგაციო ხელსაწყოები. ამასთანავე, უარი სთქვეს სპეციალისტ-აგრონომის გაგზავნაზე, დაკვირვებათა წარმოება დაავალეს კუქს და მის თანა-შემწე კინგს. „ალმოჩენაზე“ ეს საქმე დაავალეს უილიამ ბეილის, რომელსაც ემოგზაურა უწინ. „გაბედულებაზე“. სამუშაოს წარმოება ბოტანიკაში, მინერალოგიაში და ზოოლოგიაში დაევალა „გაბედულების“ ქირურგს ანდერსენს, რომელიც მეორე მოგზაურობის დროს შეუდგა ტაიტურ ლექსიკონის შედგენას. „გაბედულებით“ მიემგზავრბოდა კიდევ მხატვარი ვებერი. კუქს დაევალა აგრეთვე ტაიტელი ო-მაის წაყვანა საშშობლოში.

ლონგ-რიჩი გადაიჭია ლონდონის საზოგადოების სასურველ გასართობ ადგილად. ლედი და ჯენტლმენები მთელი კომპანიებით მოღილდენ „გაბედულების“ სანახავად, ეცნობოდენ კუქს, ათვალიერებდენ ხომალდს, აძლევდენ მეზღვაურებს სულელურ კითხვებს და ხელს უშლიდენ მუშაობაში. გრაფ სენდვიჩი აქეზებდა ამ სამხიარულო მოგზაურობებს, იგი ამაყობდა „თავისი“ ხომალდით და „თავისი“ კაპიტინით. თვითონ ის ჩამოღილდა ლონგ-რიჩში, ლორდების, საადმირალო სამმართველოს არისტოკრატების და მათი ცოლშვილის თანხლებით. კუკი იძულებული იყო გაემართა საღილი თავის მფარველთა პატივსაცემად და მორთულ-მოკაზმული ბრბო საღამოდე ფუსფუსებდა ხომალდის ერდოზე. კაიუტ-კომპანია თითქოს მაღალი წრის სალონად გადაიჭია. სტუმართმოყვარეობა დ ზრდი-

ლობა, — მეზღვაურის პირველი კანონია. კუკი გაუმასპინძლდა მხიარულ არისტოკრატებს და გააცილა ისინი ზარბაზნების ჩვიდმეტი გასროლით. მეზღვაურებს მან უბრძანა „ვაშა“ ეყვირათ. სენდვიჩმა, მეტად კმაყოფილმა თავისი თავით, ხელი ჩამოართვა კუკს და მხიარულად გაემართა ნაპირისაკენ.

დაიტეირთა თუ არა „გაბედულება“, — უკანასკნელად — ზედ აიტანეს ზარბაზნები, ყუმბარები და თოფის წამალი, — იგი, „აღმოჩენასთან“ ერთად გაემართა პლიმუტში. კუკი მაშინ ერთი კვარით ლონდონში გაემგზავრა. თითქოს ჩვეულებრივი სიწყნარით გადოოდა უკანასკნელი დღეები ოჯახურ და მეგობრულ წრეში. ხომალი და კაპიტანი მზად იყვნენ შორეული გზისთვის. მოკლე ხნით კუკი კვლავ მიეცა ოჯახს, მთელი დღე ის ეთამაშებოდა ბავშვებს, აშენებდა ხომალდებს პატარა ჯონებიდან და ფიცრებიდან, შლიდა მით წინ რუკას და ცდილობდა გასაგები ენით აეხსნა გეოგრაფიულ ნიშნების აზრი. წყნარი საუბარი ცოლთან და მეგობრებთან, უკანასკნელი დასვენება, როდესაც ნაძალადევად ცდილობ ილაპარაკო სხვადასხვა წყრილმანზე და, ამავე დროს, გამუდმებით ფიქრობ მომავალ განშორებაზე, ბედის უცნაურ ჩარხის ტრიალზე, და იცი, რომ სხვებიც ამასვე ფიქრობენ და მხოლოდ თვალთმაჯუბობ, თითქოს გჯეროდეს მათი სიტყვების გულწრფელობა. ეს მდგომარეობა თავდება ყოველთვის იმით, რომ ვინმე აუცილებლად დაარღვევს ამ რიტუალს. შორეულ და საშიშ მოგზაურობაში მიმავალის შესახებ სესტში არ ლაპარაკობენ, ისევე, როგორც მიცვალებულზე, მაგრამ უცემ ვისმეს წამოსკდება შეუჩერებელი ქვითინი და აშკარავდება საერთო თავშეკავება. კუკს არ უყვარდა, როდესაც მისი ცოლი ტიროდა. ამ კეთილ არსებასაც მტკიცედ ეჭირა თავი უკანასკნელ წერობაში.

ამ ქალის ბედი სავალალოა. რუტინის, რელიგიის და კლასიურ ერადაციების ბოქტომმა ჩაჰეტა იგი სახლის ოთხ ვიწრი კედელში, გარდა შემოარტყა მას საოჯახო წრის. გარდაუგალი ზღუდე, და მანაც, თავდავიწყებამდე ერთგულმა დედამ და მეულლემ მთელი თავისი ახალგაზრდობა და სიცოცხლე ოჯახს შესწირა. წლების განმავლობაში, შიშით და გულის კრთომით ელლოდა ივი ქმარს, მისოთვის, რომ ისევ გაეცილებინა იგი და ისევ ეცადა ბედნიერებისთვის და მერქ ისევ ატირებულიყო ცარიელ ოთახში, თავის თავისთვის შეეჩივლა თავის ბედზე და ისევ დაეწყო ცდა, მოლოდინი, ახლაც, ამ უკანასკნელ ნათელ ზაფხულის დილას, იგი გადაეხვია თავის დიდ ჯემსს, თვალცრემლიანი ულემოდა მას და არ იკოდა რა ეოჭა.

კუკმა ო-მაის თანხლებით დასტოვა ლონდონი. ნორში იგი ავი-და „გაბედულების“ ერდოზე და გაიყვანა ხომალდი სრუტით დიუ-ნებისაკენ. რამდენიმე დღის შემდეგ კუკმა ჩაუშვა ლუზა პლიმუტში, სადაც მას „აღმოჩენა“ ელოდა. არხის თავთან შეგროვდენ სამხედრო ხომალდები: „ოკეანე“, რომელზედაც ფრიალებდა აღმირალის ბაირალი, „ბრილიანტი“, „საფარი“, „მარტორქა“ და სამოცდა ორი ტრანსპორტი კავალერიით და ჰესენის ქვეითა ჯარებით. ჩრდილო-დასავლეთის ძლიერი ქარის გამო ისინი ვერ გასულიყვნენ ზღვაში, უწესრიგოდ დაგროვილიყვნენ და გაეჭიდათ ნავსადგური.

შშობლიურ მიწას მოწყვეტილი ინგლისელი გლეხები; — ცხვრის ფარის მსაგვსად დაგროვილიყვნენ სამხედრო ხომალდების წყვდიად-სა და სიმყრალეში. ამ ხომალდებს უნდა წაეყვანათ ისინი სადღაც უცხო მხარეებში, ოკეანეს მიღმა, უკნობი ხალხის დასახოცად, ვინ რცის რისთვის. „გუუმარჯოს ბრიტანეთს“, „გაუმარჯოს მეფეს“, — ყვიროდენ ხრინწიანი ხმით ჯარის შემკრებნი შარა გზების პირად მდებარე სამიკიტნებში. აქ ისინი ათრობდენ გულუბრყვილო გლე-ხებს, პირდებოდენ მათ ზღაპრულ ჯამაგირებსა და ჯილდოებს და მოტყუებით ითანხმებდენ ჯარში წასვლაზე. „გაუმარჯოს“! ყვი-როდნენ დამთვრალი ახალი ჯარისკაცებიც, ვიდრე მათ არ წარეკავ-დენ ყაზარმებში.

„იმ დროს, როდესაც ჩვენ ვიწყებდით მოგზაურობას, რომელ-საც მიზნად ჰქონდა აზალ აღმოჩენათა მოხდენა ჩრდილო აშერიკის დასავლეთ ნაპირებზე, — ინგლისი, სამწუხაროდ, იძულებული შეიქ-ნა გაეგზავნა თავისი ფლოტი და მრავალრიცხვანი ხმელეთის ჯა-რი ამ ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც წარ-შულ საუკუნეში აღმოაჩინეს და დაასახლეს ჩვენმა თანამემამულე-ებმა. ამ საკმაოდ უცნაურმა გარემოებამ გამოიწვია ჩემში მქმე-ფიქრები“.

ჩვენთვის გასაგებია ის ფიქრები, რომელიც აწუხებდა კუკს აჯანყებულ ამერიკულთა „დასამშევიღებლად“ გასაგზავნ სამხედრო ტრანსპორტის დანახვაზე. მაგრამ მისთვის XVIII საუკუნის აღამია-ნისათვის, პატრიოტიზმით გაუღენითილ ინგლისელ ოფიცირისთვის, რომელმაც ამდენჯერ აღმართა სამეფო მაირალი ახლად აღმოჩენილ მიწებზე: — ასეთი აზრები უკვე წარმოადგენდენ ამბოხებას, პრო-ტესტს არსებული წყობილების წინააღმდეგ.

ეს იყო 6 ივლისს, 4-ში კი ამერიკელმა კოლონისტებმა დაიწ-ყეს აჯანყება და გაინთავისუფლეს თავი ინგლისელ მეფეთა უღ-ლისაგან. ინგლისში ამის შესახებ ცოტა რამ იცოდენ. მთავრობა და-

ჭინებით მალავდა მიღებულ ცნობებს: თვით მეტროპოლიაშიც მდგრმარეობა მეტად საშიში იყო: ირლანდიაში მწიფდებოდა ამბოხება, ლონდონში დაძრწოდა ავი ხმები და ემუქრებოდა კათოლიკეებს. გაძლიერებული რუსეთი ვერაგულად აგებდა ჩრდილო სახელმწიფოების კავშირის ხაფანგს. საფრანგეთი შეუქრებლად მიღიოდა რევოლუციისაკენ. ჯარის გაზავნა ოკეანეს გაღმა ასუსტებდა ძალებს. ინგლისი იდგა სერიოზულ მომენტის წინაშე. ნახვერად შეშლილი უმწეო მეფე ამაოდ ცდილობდა პარტიების შერიგებას და კოალიციურ სამინისტროს შექმნას, ხან უშესობესად სთვლიდა ისეთ ადამიანის დანიშვნას, რომელიც შესძლებდა მის ზურგს უკან სახელმწიფოს განუსაზღვრელ მართვა-გამეობას.

კოლონიების მტაცებლურ ექსპლოატაციას თავისი მოსალოდნელი შედეგი მოჰყვა. ჯარჯ ვაშინგტონი ამარცხებდა თავისი მილიციონ ბრიტანეთის დაქირავებულ ჯარებს. ინგლისური საქონლის ბოიკოტმა დასცა ინგლისურ ფირმების სავაჭრო ბალანსი. ახალშეც. წ. შტემპელის გადასახადმა, შემოლებულმა პარლამენტის აქტით სამოცდა ხუთ წელში, კიდევ უფრო გააღრმავა უკმაყოფილება და გახდა აჯანყების მთავარ საბაბად. ამერიკული პრესა ყვიროდა „კოლონისტების უფლებებზე“. საკანონმდებლო კრებებსა და კონგრესებზე ხდებოდა კოლონიების უფლებათა დეკლარაცია: ერთი წლის შემდეგ გააუქმეს „შტემპელის გადასახადის აქტი“. მაგრამ ამან საქმეს ვერ უშეველა, მით უმეტეს, რომ ინგლისის პარლამენტმა დაიტოვა უფლება თავისი შეხედულებისამებრ მოეწესრიგებინა კოლონიების ცხოვრება. სამოცდა თხუთმეტ წლიდან დაიწყო შეიარაღებული შეტაკებები ლევინსგტონში, ბოსტონში და კვებეკში. ერთი წლის შემდეგ, საკანონმდებლო კრებამ ვირგინიაში გამოიმუშავა „უფლებათა ბილი“, ვირგინიის დელეგატებმა წინადადებით მიმართეს კონგრესს, რათა გამოქვეყნებულიყო ამერიკის შეერთებულ შტატების ღამოჟეკიდებლობის დეკლარაცია. სამხრეთის მონათმფლობელების, — ლოიალისტების და ინგლისის მიმდევრების, — სუსტი ცდა დამარცხებით დამთავრდა. ამერიკამ საბოლოოდ გასწყვიტა კავშირი დიდ ბრიტანეთთან.

კუკმა საადმირალო სამმართველოდან მიიღო პაკეტი ინსტრუქციებით და ამასთანავე ბრძანებაც, ღამოჟებლივ გასულიყო ზღვაზე: კაპიტანი კლერკი ცოტა ხნით შექრედა ლონდონში. „გაბედულების“ ეკიპაჟი შეიისა საზღვაო ქვეითი ჯარისკაცებით; მისი შემადგენლობა ას თორმეტ კაცამდე ავიდა („აღმოჩენაზე“ იყო ოთხმოცდა რვა კაცი): კომისარმა და მოლარემ დაარიგეს ჯამაგირები და

წინდაწინ გადუხადეს მეზღვაურებს ორი თვის ხელფასი. კუქმა უბრძანდა კაპიტან კლერკს, დაუყონებლივ გასულიყო ზღვაში და გაყოლოდა მას. ასლი გადაეცა ფლოტის სარდალს პლიმუტში.

თორმეტს სალამოთი გამოვიდნენ სრუტიდან და სალიუტით გამოემშვიდობენ ადმირალის ბაირალს. როდესაც ედისტონის შუქურს მიიმალა ჰორიზონტს იქით, „გაბედულებამ“ გაშალა. ყველა იალჭანი და გავიდა ღია ზღვაზე. კუკი წავიდა თავის კაუტაში, დაანთრ სანათი, მიუჯდა მაგიდას და გახსნა საადმირალო პაკეტის დალუჭული ბეჭდები:

„დიდი ბრიტანეთის, ირლანდიის და სხვ. საადმირალო სამშართველოს ლორდ კომისრების სახელით: საიდუმლო ინსტრუქციები კაპიტან ჯემს კუკს, მისი უდიდებულესობის ხომალდის „გაბედულების“ კაპიტანს:

მას შემდეგ, რაც გრაფმა სენდვიჩმა გვაუწყა მისი უდიდებულესობის გადაწყვეტილება, რომელიც გვიბრძანებს, გაგზავნილ იქნეს ჩრდილოეთისაკენ საზღვაო ექსპედიცია, წყნარ ოკეანედან ატლანტიურ ოკეანეში გასავალის საძებნელად, — ჩვენ, ამ ბრძანების შესრულებისათვის, შევაიარალეთ და სათანადოდ მოვამზადეთ ხომალდები „გაბედულება“ და „აღმოჩენა“. ვინაიდან ჩვენ გავიგეოთ თქვენი უკანასკნელი მოგზაურობიდან თქვენი ნიჭი და კარგი ყოფა-ქცევა, ჩვენ, საჭიროდ ვსცანით ეს ექსპედიციაც თქვენთვის მოგვენდო.

როდესაც თქვენ მიაღწევთ კ. ტაბტს ან ამხანაგობის კუნძულებს, — თქვენ გადმოსვამთ ო-მაის ერთ-ერთ იმ კუნძულზე. რომელსაც ის აირჩევს და დასტოურებთ მას იქ.

თქვენ გეძლევათ მკაცრი ბრძანება ახალ ალბიონის ნაპირებისათ კენ მვზავრობის დროს არ მიადგეთ ესპანეთის სამფლობელოთა არც ერთ პუნქტს, რომელიც მდებარეობს ამერიკის აღმოსავლეთ ნაწილში, თუ კი არ იქნებით იძულებული რაიმე გარდაუგალი საჭიროების გამო. ასეთ შემთხვევაში თქვენ არ გაჩერდეთ იქ საჭირო დროზე მეტი და გაფრთხილდეთ, რომ არ გამოიწვიოთ საყვედურის აჩრდილიც კი, ან მისი საბაბი, ამ მხარის მცხოვრებთაგან, ან მათი კათოლიკური უდიდებულესობის ქვეშევრდომთაგან. თუ თქვენ ჩრდილოეთისაკენ შემდგომი მოგზაურობის დროს, რომელსაც ქვემოთ აღინიშნავთ, შეხვდებით იმ ნაპირებზე, საღაც შეჩერდებით, რომელიმე ევროპულ სახელმწიფოს ან ხელმწიფის ქვეშევრდომებს, — თქვენ არ უნდა შეაწუხოთ ისინი და არ უნდა გამოიწვიოთ რაი-

მე ჩივილის საბაბი. წინააღმდეგ, თქვენ უნდა მოგეყრათ მათ ზრდა-
ლობიანად და მეგობრულად.

თუ თქვენ დარწმუნდებით, რომ შეუძლებელია წყლით ჰუდ-
ზონის ან ბათფინის უბემდე მიღწევა, ან ეს გასავალი არ არის საკ-
მარისი ნავიგაციისათვის, თქვენ წახვალთ ხელსაყრელ დროს წმ.
პეტრეს ან წმ. პავლეს პორტში, კამჩატკაზე, ან რომელიმე სხვა აღ-
გრლას, რომელსაც საუკეთესოდ იცნობთ ეკიპაჟის ნედლი საჭმელით
მოსამარაგებლად და დასაზამთრებლად. იქიდან თქვენ წახვალთ 1778
წლის გაზაფხულზე და გაიწევთ ჩრდილოეთისაკენ იმ სიშორეზე,
რამდენსაც გიკარნახებთ თქვენი კეთილგონიერება, რომ კვლავ ეძ-
იოთ ჩრდილოეთიდან დასავლეთისაკენ ან ჩრდილოეთიდან აღმოსავ-
ლეთისაკენ გასავალი წყნარი ოკეანედან ატლანტიურ ოკეანეში ან
ჩრდილოეთის ზღვაში და თუ თქვენ, თანახმად პირადი დაკვირვებუ-
ბისა, ან იმ ცნობებისა, რის მიღებას შესძლებთ, — გაითვალისწინებთ
ასეთ გასავალის შესაჭრებლობას, — მაშინ თქვენ უნდა მისდიოთ
წინა პარაგრაფის ინსტრუქციებს. სულ ერთია, აღმოაჩენთ გასავალს,
თუ თქვენი ცდა ამ მხრივ უშედეგო დარჩება, — თქვენ სასწრაფოდ
დაბრუნდებით ინგლისში იმ გზით, რომელსაც უფრო სასარგებლოდ
ჩასთვლით ნავიგაციის და გეოგრაფიის წარმატებისათვის და მიყ-
ვანთ უკან ორივე ხომალდს სპინგედში, სადაც ისინი დაუცდიან შემ-
დგომ ბრძანებებს....

„ყველა იმ ადგილში, სადაც გამოკვლევის შესაძლებლობა მო-
გეცემათ მოგზაურობის დროს, და სადაც იმდაგვარი დაკვირვებები,
რომლებსაც თქვენგან მოვითხოვთ, ჯერ არ ჩატარებულა, — თქვენ
დაბეჯითებით შეისწავლით, რამდენადაც დრო ნებას მოგცემთ, ამ
ადგილების ნამდვილ განედს და გრძელს, მაგნიტური ისრის გადახ-
რას, კონცების მდებარეობას და მიმართულებას, ზღვის მიმოქცევას
და ზღვის მდინარებათა ძალას; სიმაღლეს და მიმართულებას, ზღვის
სიღრმეს, მეჩეჩებს და კლდეებს. თქვენ გადაიტანთ და აღნიშნავთ:
რუკებზე უბეების, ნავსაყუდლების და ნაპირების სხვადასხვა ნაწი-
ლის მდებარეობას და გარეგნულ სახეს და გააკეთებთ ამასთანა-
ვე ყველა შენიშვნას, რაც შეიძლება სასარგებლო იქნეს ნავიგაციის ან
ვაჭრობისათვის. თქვენ ზედმიწევნით დააკვირდებით ბუნებას
და მიწის ნაწარმოებთ, ოთხფეხებს, მწერებს ან ფრინველებს, რომ-
ლებიც ცხოვრობენ, ან რომლებიც ჩნდებიან ხოლმე ამ ნაპირზე;
თევზებს, რომლებიც მოიპოვება მდინარეებში ან ნაპირებთან: მიუ-
თითებთ, მრავალრიცხოვანია თუ არა აქ ეს ცხოველები, და თუ აღ-
მოაჩენთ განსაკუთრებულ ცხოველებს, რაც შეიძლება ზედმიწევნით

აღწერით და დახატავთ მათ. თუ თქვენ მონახავთ ლითონებს, მინერალებს ან ახალ მიწაში დამალულ სხვა სიმდიდრეებს — წამოიღებთ ყველა ამ ნივთიერების ნიმუშს, ისევე როგორც ხეების და ბუჩქების შტოებს და ნერგებს, მცენარეთა თესლებს და ნაყოფებს და გადასცემთ ყოველივე ამას ჩვენს მდივანს, რათა მოხდეს მათი ყოველმხრივი გასინჯვა და ცდები, რაც საჭიროდ იქნება ცნობილი. თქვენ აწარმოებთ აგრეთვე დაკვირვებას ადგილობრივ მკვიდრთა ნიჭა, სხეულის წყობასა, ხასიათსა და დასახლებულ ხალხის რაოდენობაზე და ეცდებით ყველა ნებაღართული საშუალებით შეინსრჩუნოთ მათი ჟუგობრობა: თქვენ აჩუქებთ მათ იაფთასიან ნივთებს, რაც ხომალდზე მოგეპოებათ. ამასთანავე შეარჩევთ ისეთებს, რაც უფრო შეესაბამება მათ გემოვნებას, მისცემთ წინადადებას საჭონლის გაცვლა-გამოცვლის წარმოებაზე თქვენ ხელქვეითებთან! და მოეპყრობით მათ დიდი ზრდილობით და ყურადღებით. ამასთანავე ერთად თქვენ თვალყურს ადევნებთ, იმათ რათა უეცრად თავს არ დაგესხან და ფხრილად იქნებით ყოველგვარ უთანხმოების შემთხვევაში.

თქვენ დაეუფლებით აგრეთვე, ადგილობრივ მცხოვრებთა თანხმობით, დიდი ბრიტანეთის შეფის სახელით, რამდენიმე ხელსაყრელოლქს იმ მხარეებში, რომლებიც ჯერ არ არიან ნახული და აღმოჩენილი სხვა ევროპულ სახელმწიფოთა მიერ და დაუტოვებთ მცხოვრებლებს ნივთებს, რაც დაამოწმებს თქვენს იქ ყოფნას. მაგრამ, თუ აღმოაჩენთ დაუსახლებელ მიწას, თქვენ დაეუფლებით ამ მიწას. მასი უდიდებულესობის სახელით და დასდგამთ ძეგლებს წარწერებით იმის შესახებ, რომ ჩვენ პირველმა აღმოვაჩინეთ და დავეუფლეთ ამ აღვილებს.

რადგან ამდაგვარ წამოწყებებში ხშირად ადგილი აქვს გაუთვალისწინებელ გარემოებებს, რის შესახებაც შეუძლებელია განსაკუთრებულ ინსტრუქციების მოცემა, — თქვენ მოიქცევით მაშინ ისე, როგორც სცნობთ საუკეთესოდ, თქვენზე დაკისრებულ სამსახურის შესრულებისათვის:

თქვენ ისარგებლებთ ყოველი შემთხვევით, რომელიც მოგეცემათ. რათა ჩვენი მდივნის მეშვეობით მოგვაწოდოთ ყველა თქვენი ობერაციის დაწვრილებითი აღწერილობა, თქვენ მიერ შესრულებული რუკებისა და სურათების ასლები. ინგლისში დაბრუნებისას თქვენ დაუყონებლივ გამოცხადდებით სამმართველოში, რათა წარმოგვიდგინოთ ჭანსახილველად თქვენი მოგზაურობის დაწვრილებითი დღიური. ვიდრე ხომალდს დასტოვებდეთ, თქვენ ჩამოართმევთ ოფიციებს და უნტერ-ოფიციებს ხომალდის უურნალებს და დღიურებს,

რომელთაც ისინი აწარმოებენ, თქვენ უბრძანებთ მათ, ისევე, ოთვორუც მთელს ეკიპაჟს, — არაფერი არ ილაპარაკონ იმის შესახებ, თუ სად იყვნენ მანამდე, ვიღრე ამის ნებართვა არ მიეცემათ, თქვენ უბრძანეთ კაპიტან კლერკს, გასცეს ასეთივე ბრძანება „განკარგულების“ ოფიცირებისა, უნტერ-ოფიცირებისა და მთელს ეკიპაჟისადიმი.

თუ „გაბედულებას“ მოგზაურობის დროს შეემთხვა რაიმე უბრდულება, რომელიც მას შესაძლებლობას მოუსპობს გზა გააგრძელოს, თქვენ თქვენის ეკიპაჟით გადახვალთ „აღმოჩენაზე“ და განაგრძობთ ბეჭავრობას ამ ხომალდზე, ჩვენ ამით ვუბრძანებთ „აღმოჩენის“ მეთაურს მიგიღოთ ხომალდზე და დაემორჩილოს თქვენს ბრძანებებს ისე, თითქოს თქვენ ისევ „გაბედულებაზე“ იყოთ. იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფობა ან რაიმე სხვა მიზეზი ათ მოგცემთ საშუალებას შეასრულოთ ეს ინსტრუქციები, თქვენ დაავალებთ მათ ოფიცერს, რომელიც თქვენს შემდეგ მეთაურობს და რომელსაც ჩვენ უბრძანეთ შეასრულოს ინსტრუქციები, რამდენადაც ეს უკეთ იქნება მისთვის შესაძლებელი.

ხელმოწერილია ჩვენგან 6 ივლისს 1776 წელს.

სენდვიჩ.

სპენსერ.

ნ. პალისერ.

მათ მოწყალებათა ბრძანებით ფ. სტეფენს.

მასამა მოგზაურობა

„1776 წლის დასაწყისში დიდი ბრიტანეთის მეფემ ბრძანა მომზადებულიყო ორი სამხედრო ხომალდი, ახალ აღმოჩენათა მოსახდენად. ეს ხომალდები, მოკლე დროის განმავლობაში იქნა მომზადებული: ერთ მათგანს ეწოდებოდა „რეზოლუშენ“ ანუ „გაბედულება“, იგი თექვსმეტ ზარბაზნიანი იყო. მეორე, თორმეტ ზარბაზნიანი ხომალდს, ეწოდა „დისკვოვერი“ ანუ „აღმოჩენა“. პირველზე, სადაც იყო ასთორმეტი სული მოსამსახურე, საადმირალო სამმართველოს მიერ დაინიშნა მეთაურად სახელგანთქმული მეზღვაური, კაპიტან ჯემს კუკი, მეორეზე კი, სადაც იმყოფებოდა სამოცდა თორმეტი კაცი — კარლ კლერკი.

„თორმეტ მაისს ორივე ხომალდი გავიდა ზღვაში დეპტფორდიდან, ვოლვიჩში მომარაგდა სამხედრო მოწყობილობით, პლიმუტში

სურათ-სანოვაგით და შემდეგ მშვიდობისად შეუდგა აღნიშნულ გზას. ხომალდი „რეზოლუშენ“ მალე შიგიდა კეთილ იმედის კონცხამდე, „დისკოვერი“-მ, სადაც მე ვმსახურობდი, ამ კონცხს 1-ლ აგვისტომდე ვერ მიაღწია. ამ მოგზაურობის მთავარი მიზანი იმაში შდგომარეობდა, რომ აღმოჩენილი ყოფილიყო გასავალი ამერიკასა და აზიას შორის ჩრდილო-აღმოსავლეთის, ან ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან. ამისთვის ჩვენ დაგვპირდენ ჯილდოს 1.000 გირვანქა სტერლინგს და 5.000 სტერლინგს ზედმეტად ამისა, თუ ჩვენ ხუთი ხარისხით დავუახლოვდებოდით არქტიკულ პოლუსს. ამასთანავე, ჩვენ უნდა დაგვეძრუნებინა ინდოელი ო-მაი თავის სამშობლოში.

ასე იწყება წიგნი: „კაპიტან კუკის უკანასკნელი მოგზაურობა დედამიწის გარშემო, მისი სიცოცხლის და სიკვდილის გარემოებათა მოთხრობით, გამოცემული სანკტ-პეტერბურგში, ცენტრის ნებართვით, 1778 წელს“.

ინტერესმა კუკის მოგზაურობისადმი მიაღწია რუს მკითხველებამდიც და წიგნების მოხერხებულმა „გამკეთებლებმა“ მსგავსივე მოკლე, არასწორი, ფრანგული გამოცემებიდან შესთხზეს და გამოუშვეს ახალი „აღწერილობანი“. ამ აღწერილობაში საიდუმლო, უცნობი პირი, ვითომცდა კუკის ხომალდზე ნამსახურნი, ძლიერდენ აბნეულ ცნობებს სახელგანთქმულ კაპიტანზე, რაც სრულებით არ უწყობდა ხელს „მისი სიცოცხლისა და სიკვდილის“ გარემოებათა ჭეშმარიტ გარკვევას. ამდაგვარი „აღწერილობანი“ ჭვეყნდებოდა ხოლმე კუკის სიცოცხლის დროსაც. ეს მეტად სწყინდა ამ კათილსინდისიერ მოგზაურს, რომელიც ასეთი სიმკაცრით და სიფრთხილით აწარმოებდა თავის დღიურებს, ამ ზედმიწევნით მართალ ნაწარმოებს მისი ცხოვრების შესახებ. ეს ნაწერები და დღიურები მან უძღვნა მეცნიერებას და მეზღვაურებს, რომელთაც შემდეგ წაიყვანეს ხომალდები „გულმოდგინების“ და „გაბედულების“ გზით.

მესამე მოგზაურობის დიდი დღიური ასევე დაწვრილებით, საათიდან საათამდე, აღწერს ხომალდის მსვლელობას, მეცნიერულ დაკვირვებებს, ზღვას და მიწას, ცხოველებს და ადამიანებს, ოფიცერების და მეზღვაურების ცხოვრებას. იგი ივსება განედების და ტემპერატურების გრადუსებით, ასტრონომიულ ცხრილებით და აღვილობრივ დიალექტების ლექსიკონით.

ფორსტერები შესცვალა ჭირურგმა ანდერსონმა. ყოველმხრივ განათლებული ადამიანი, იგი აწარმოებს ბოტანიკურ და სხვაგვარ დაკვირვებებს და ადგენს ლექსიკონებს. კუკა სარგებლობს მისი მიოთებებით და ათავსებს მისი ნაწერების ნაწილს თავის დღიურში.

პირველ შეჩერებაზედვე, დენერიფში, ანდერსონი მიღის ექსკურ-
სიაზე და, ვიდრე კუკი ზრუნავს საქონლის საკვების და აგრეთვე
ლვინის შოვნისათვის, მეცადინეობს მეზღვაურებთან და ქვეშთა ჯარ-
თან და აწარმოებს სასწავლო სროლას, — იგი კრეფს დაწვრილებით
ცნობებს კუნძულის ფლორასა და ფაუნაზე.

კუკი წავიდა პორტ-პრაიოში. შეიძლება, იქ უკვე მივიდა „აღმო-
ჩენა“, მაგრამ ხომალდი იქ არ აღმოჩნდა და „გაბედულება“ წავიდა ეპ-
გატორისაკენ. წვიმებმა და სიციხემ გაუღინთა ხომალდი მავნებელი სი-
ნესტით. კუკის ბრძანებით ყოველდღე წმბნდავდენ ჰაერს და ახრ-
ჩოლებდენ ყველა სადგომში. ეკვატორის გავლას თან მოყვა ტრა-
დიციული რიტუალები: მეზღვაურების გადაცმა ნეპტუნად და სხვა
შითიურ არსებებად, ახალ მეზღვაურთა წყალში ჩაყურყუმალავება,
„თავის გამოსყიდვა“ არაყით, — ეს უაზრო წესი, შენარჩუნებული
ვასკო დე ჰამას დროიდან. კუკი გულგრილად უყურებდა ამდაგვარ
ცრუმორწმუნეობას და უთქმელად აძლევდა მეზღვაურებს ასეთი
უწყინარი გართობის უფლებას. მან არც კი სცნო საჭიროდ აღენიშ-
ნა ეს ამბავი ხომალდის უურნალში.

კაპშტადტში მათ დაუხვდა იგივე სტუმართმოყვარული და
შოხერხებული ბრანდტი, რომელმაც მაშინვე მიჰყო ხელი სურსათ-
სანვაგის დაგროვებას ორივე ხომალდისათვის. „აღმოჩენაც“ მო-
ვიდა კაპშტადტში. ფრანგულმა ხომალდმა წაიღო წერილები ინგ-
ლისში. კუკი სადარბაზოდ ეწვია ოფიციალურ პირებს და შემდეგ
შეუდგა ხომალდის მეურნეობის მოწესრიგებას. მან გადმოიყვანა ნა-
პირზე ძროხები და ცხვრები. ბრანდტის შემწეობით, იყიდა ცხენები,
ყოჩები და თხები, კურდღლები და ქათმები. ცხვრების გამო მოხდა
ტრაგიკომიკური შემთხვევა, ტიპიური „ბედნიერ“ კოლონისთვის.
ძაღლებმა ღამით გამოდენეს ცხვრები მოღობილ საძოვრიდან. მთე-
ლი ცხვარი, რაც მათ კბილებს გადაუჩა, გაიფანტა სხვადასხვა მხა-
რებს. კუკმა მიმართა პოლიციის უფროსს. უკანასკნელი ირწმუნებო-
და, რომ მისი ხელქვეითები სულ მაღლ მოსებნიან ცხვრებს, რომ
არც ერთ გაიძვეერას და გაქცეულ მონას, რომელმაც იცის ყველა
გზა, არ ძალუძს დაემალოს პოლიციის გამოცდილ თვალს. მაგრამ
ცხვრები ვერ მოსძებნეს. ისინი მონებზე ან პოლიციის ოფიციელზე
უფრო ცბიერები აღმოჩნდენ. კუკმა მიმართა სხვა საშუალებას: მან
დაავალა ნაძირალებს, ქალაქის ქუჩებში მოხეტიალე მათხოვრებს,
ქურდების და დაქირავებულ მკვლელების ხროვას, „კალონიის სა-
ზიზლარ ნალექს“, — გამოექებნათ ცხვრები. რამდენიმე ღლის შემ-
დეგ ცხვრები მართლაც იპოვეს და შერცხვენილი ვიც-გუბერნატო-
რი იძულებული შეიქნა ბოდიში. მოქადა.

კუქმა გადასცა კლერქს სააღმირალო სამმართველოს საიდუმლო
ინსტრუქციების ასლი და 3 დეკემბერს ორივე ხომალდი წავიდა ქვე-
თილ იმედის კონცეიდან.

ცივი ქარიშხალი შეხვდა მათ წვიმით და ღმუილით. საქონელი
წყდებოდა სიცივისა და ნჯლრევისაგან. სამხრ. განედ. 48° მივიღენ
ფრანგ კერაველინისაგან აღმოჩენილ კუნძულებთან. კუკი გადმოვი-
და ნაპირზე, რომელიც მოფენილი იყო ალბატროსებით, პინგვინებით
და სხვადასხვა ფრინველით. დაიწყო ნაღირობა ზღვის ძალლებზე.
მათ ქონს იყენებდენ სანათების ზეთად. შობა დღეს კუქმა გაანთავი-
სუფლა მეზღვაურები და ისინი გაიფანტენ ნაპირზე. ერთმა მათგან-
მა, დაბრუნებისას, მოიტანა ბოთლი, რომელიც მავთულით ყოფი-
ლიყო მიმაგრებული კლდეზე. კუქმა გახსნა ბოთლი და ამოილო
პერგამენტის ხვეული, გაშალა და წაიკითხა:

„Ludovico XV Gallorum Rege et D. de Boynes, Regia se-
cretis ad Res Maritimas annis 1772 et 1773“¹.

ასეთ შემთხვევაში კუკი არასდროს ვალში არ რჩებოდა, მას უკ-
ვარდა მეზღვაურების ამ ტრადიციულ მიწერ-მოწერის წარმოება.

პერგამენტის მეორე მხარეზე კუქმა დაწერა: „Naves „Resolu-
tion“ et „Discovery“ de Rege Magnae Britanniae, Decembbris 1776“².

მან უკანვე ჩასდო პერგამენტი, ჩაგდო ბოთლში აგრეთვე ვერც-
ხლის ფული და ბრძანა აეშენებინათ თხემზე ქვებისაგან პატარა გო-
რაკი და შიგ ჩაეფლათ ბოთლი. ვორაკოთან მან აღმართა ბრიტანე-
თის დროშა და უწოდა ამ ადგილს შობის ნავსაყუდელი.

ჩვეულებრივი სიზუსტით შეისწავლა კუქმა ნაპირების მოხა-
ზულობა, შეასწორა რუკა და აღნიშნა ახალი ნავსაყუდელები. მან
მოიარა კუნძული, შეამოწმა კაპიტან ფიურნოს ხომალდის უურნა-
ლის სისწორე, რომელმაც აქ გაიარა სამოცდა ცამეტ წელს და მისცა-
ნაპირს ახალი სახელწოდებები: ერთს ნავსაყუდელს მან უწოდა პა-
ლისერის სახელი. ფრანგები, რომლებმაც აღმოაჩინეს მიწა, ფიქრობ-
დენ, რომ ეს არის სამხრეთის მატერიკის ერთერთი კიდე, მაგრამ:
კუკს არ სურდა წაერთმია მათთვის პირველობის უფლება: „მე შე-
მეძლო, მისი უნაყოფობის გამო, მიმეცა მისთვის მეტად შესაფერი
სახელი სიპარტახის კუნძულისა, მაგრამ რომ არ ჩამოვართვა ბატონ

¹ ლიუდოვიკ XV-ის, ფრანგთა მეფის და ხელმწიფის მეფობაში, დე-ბურ, მეფის მდივანი საზღვაო საქმეებში, 1772 და 1773 წ.წ.

² ხომალდი „გაბედულება“ და „აღმოჩენა“, დიდი ბრიტანეთის მეფისა, 1776 წ. დეკემბერი.

კურგელენს მისი აღმოჩენის დიდება, მე ვუწოდე მას კურგელენის
მიწა".

კურგელის სიცალიერე აჩალ ზელანდიისაკენ წასკუ-
ლას. უნდოდათ ჩერა გასულიყვნენ ხშირი ნისლიდან, რომელიც
ხოცავდა საქონელს სინესტესა და წყვდიაღში. მაგრამ ამიტომა მათ
არ მისცა საშუალება მიეღწიათ ახალ ზელანდიამდე: ქარიშხალმა
გასტეხა მარსი და ბრამსტენგა. სათადარიგო ანძები არ მოეპიებო-
დათ და ამიტომ დასჭირდათ ლუზის ჩაშვება ვან-დიემენის მიწასთან.
კუკი გადმოდიოდა ნაპირზე და თვალყურს აღევნებდა დურგლების
მუშაობას.

იძულებითი შეჩერება ვან-დიემენის მიწაზე ხანმოკლე იყო:
ახალ ანძების აღმართვა და ბალახის მარაგის დაგროვება საქონლი-
სათვის, — აი რა უნდა გაკეთებულიყო, რომ გზა განეგრძოთ. კუკი
არ შორდებოდა დურგლებს და ფურაჟირებს და აჩერებდა მუშაო-
ბას. თავისუფალ დროს ის ადგენდა კოორდინატების ცხრილს. ვან-
დიემენის მიწის ხუთმა წერტილმა მიიღო თავისი დაზუსტებული ად-
გილი რუკაზე. აღნიშნული იქნა მოქცევის სიმაღლეც.

კერგელენის მიწის შემდეგ, მოგზაურობის მეორე მიზანი იყო
ქ. ტაიტი. ახალი ზელანდია კი იყო ერთერთი ხანმოკლე ეტაპი ამ
გრძელ და მძიმე გზისა. აღამიანები და საქონელი, მოკლებულნი
ახალ საჭმელს, სნეულდებოდნენ, კუკი გულახდილად იღიარებს,
რომ სწორედ მას „გაბედულებაზე“ ჰყავდა ორი ავადმყოფი, მესამე
კი მან ჯერ კიდევ კაპშტადტიდან გაგზავნა უკან ინგლისში.

ახალ ზელანდიაში მოეწყვნენ, როგორც საკუთარ სახლში. ჩვე-
ული შეჩერება დედოფალ შარლოტას სრუტეში ნაცნობი იყო ისე-
ვე, როგორც პლიმუტის პორტი. მაშინვე გადმოიტანეს ნაპირზე იბ-
სერვატორიის კარვები, გადმოიყვანეს საქონელი და გაშალეს ბანაკი
რაღვენების შესაკეთებლად და სხვა სამუშაოთა საწარმოებლად.

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იცნეს ო-მაი. ისინი დაშინებუ-
ლი იყვნენ და შორიდან იცქირებოდნენ. მათ ეშინოდათ შურისძიე-
ბისა „წამოწყების“ მეზღვაურთა მკვლელობისათვის. კუკმა თავი
სხვანაირად დაიჭირა. ის ყოველნაირად ცდილობდა გაეგებინებინა
ადგილობრივ მცხოვრებთათვის თავისი მშვიდობიანი განწყობილება
და, ჰოდესაც რამდენიმე კუნძულელმა გაბედა მოახლოვება, მან
ფრთხილად დაიწყო გამოკითხვა მკვლელობისა და დამნაშავეთა შე-
სახებ. ახალზელანდიელები მიხვდენ, რომ მათ სასჯელი არ მოელის-
და კველაფერი დაწვრილებით უამბეჭ კუკს. მათ დაასახელეს მთა-
ვარი მკვლელი და დაუინებით მოითხოვდენ მის სიკვდილით დასჯას.

კუქმა შეამოწმდ მათი ჩვენებები და დარწმუნდა, რომ საშინელი შემთხვევა გამოწვეული იყო ფიურნოს ხელქვეითების თავშეუკავებულობით. როგორც ყოველთვის, უვროპელებს ძვირად დაუჯდათ მათი დაუდევრობა. ბოკმანს უადგილოდ აეტენა დავა, რომელიც სიცოცხლის ფასად დაუჯდა მას და მის ამხანაგებს. დამშვიდებულმა კუნძულელებმა მიიღეს შუშეულობა და ნაჯახები, ერთს წუთში მოთხარეს ბუჩქები, ააშენეს ფაცხები და მთელი სოფელი გამოვიდა და მოთავსდა ნაპირის მახლობლად. დაიწყო ჩვეულებრივი გაცვლა-გამოცვლა და ნაპირი გადაიჭცა საბაზრო ადგილად. ყიდდენ თევზს, ხილს, ყოველგვარ ნაწარმოებებს და ქალებს. კუკი აღტაცებული იყო იმით, რომ მეზღვაურები თავს იკავებდენ ამ უკანასკნელ „მაცდურ“ საქონლის ყიდვისაგან. ისინი თავაუღებლივ მუშაობდენ და ვერ ბედავდენ ჩაეგდოთ საფრთხეში თავიანთი ჯანმრთელობა.

მაგრამ „თეთრი მეთაური“ შორსმჭვრეტელი იყო და თავისებულად აფასებდა ახალ ზელანდიელების განწყობილებას. ის ჩამოდიოდა ნაპირზე ყოველთვის რამდენიმე ჯარისკაცის თანხლებით და სხვა ოფიციებსაც უბრძანა ასევე მოქცეულიყვნენ. როგორც ჩანს, ადგილობრივი მცხოვრებნი ძალიან ნელა ითვისებდენ ცივილიზაციას. კუკის შეირ მოშენებული ბოსტნები მოუცვლელობის გამო გაველურებულიყო. სამი წლის წინად დატოვებული საქონელი გამჭრიალიყო, ალბათ მთლად დაეკლათ. კუნძულელები დაუინებით მისდევდნენ ძველ ზნეჩვეულებებს და არ ითვისებდენ ევროპელთა გაკვეთილებს. კუკის დღიური სავსეა მსჯელობით ადამიანთა ხორცის ჭამის ჩვეულებაზე, მის მიზეზებზე, ახალ ზელანდიელთა სუსტ გონებრივ განვითარებაზე, რადგან ისინი მოკლებულნი არიან ცოდნის. სიყვარულს და „თავისი ცოდნის გაფართოვების სურვილს“, „თანახმად მათი რელიგიური სისტემისა. იმ ადამიანის სული, რომლის სხეული მტრებმა შესჭამეს, მუდმივ ცეცხლზე დაიტანჯება. იმათი სული კი, ვინც ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, ან ვისი სხეულიც მტრებს გამოსტაცეს, მიემგზავრება ღმერთებთან მარადიულ სიცოცხლისათვის. მე ვკითხე მათ, სჭამენ თუ არა ისინი თავის ომში მოკლულ ამხანაგებს, რომლებიც მტერს ხელში არ ჩაუვარდენ? ჩანს, მათ არ გაუკვირდათ ჩემი კითხვა და მიპასუხეს, რომ არ სჭამენ და ერთგვარი ზიზლიც გამოხატეს ასეთ შესაძლებლობის გამო. ჩვეულებრივად, ისინი მარხავენ თავიანთ მიცვალებულებს, მაგრამ თუ მოკლული მტერი იმდენია, რომ ვერ ერევიან შესაჭმელად, მაშინ მათ ზღვაში ჰყრიან“. ხომალდზე ამოსული ადგილობრივი მკვიდრნი არაფრით არ განსხვავდებოდენ ძველ ნაცნობებისაგან და ისევე პრი-

მიტიულად ეჭირათ თავი, როგორც საში წლის წინეთ. ისინი იპა-
რევდენ ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდათ, სვამინენ სანა-
თებიდან ზღვის ძალლების ქონს და სიამოვნებით ატანდენ მას პატ-
რუქებსაც.

ახალ ზელანდიაში გატარებულ ორ კვირას ტყუილად არ ჩა-
უვლია: ასტრონომიული და სანავიგაციო ნაწერები გამდიდრდა ას-
ზე მეტი დაკვირვებით. ანდერსონმა და მხატვარმა ვებერმა გაათვე-
ცეს თავიანთი „ნადავლი“.

ანდერსონი უფრო თავშეკავებულია, ვიდრე ფორსტერი, მაგ-
რამ უფრო ზუსტია. მისი სტილი არ ბრწყინავს ლირიული გადასვ-
ლებით, მას არ მოჰყავს ციტატები ანტიურ პოეტებიდან, იგი არ
კისრულობს სოციალურ პრობლემების გადაწყვეტას ან კუკის მოქმე-
დების კრიტიკას, არამედ ხშირად მძიმე, მაგრამ მარტივი და გასაგე-
ბი ენით, სიფრთხილით და დაწვრილებით აღწერს ბუნებას და ადა-
მიანებს.

მუდმივი ზრუნვა ახალ საჭმლისათვის აიძულებდა მეზოგაურებს
ზშირად შეჩერებულიყვნენ სხვადასხვა კუნძულონ, მარჯვედ ეცუ-
რათ კლდეებსა და მარჯნის ბრაგებს შორის. ხან უქარო, წყნარი
დარი, ხან კი საწინააღმდეგო მიმართულების ქარი აყარგვინებდა
მათ ღროს და გზა ტაიტისაკენ ჭიანურდებოდა. კუკი მიხედა, რომ
ამ წელიწადში იგი ვერ მიაღწევს მოგზაურობის მთავარ მიზანს. უაზ-
რო იყო ხალხის ჯანმრთელობის ხიფათში ჩაგდება და, გარდა ამთ-
სა, რაც არ უნდა მომხდარიყო, საჭირო იყო ინსტრუქციების შეს-
რულება და კ. კიოტზე მისვლა. ამიტომ ექსპედიცია მივიღა მეგობ-
რობის კუნძულების არქიპელაგამდე და დარჩა იქ სამი თვე. კუკი
მოგზაურობდა ერთი კუნძულიდან მეორისაკენ და სარგებლობდა
ყოველი შემთხვევით, რათა მომარაგებულიყო შეშით, წყლით, სურ-
სათით და თან შეეკრიბა ახალი ცნობები ამ მიწების შესახებ.

კუკი სარგებლობდა ო-მაის სამსახურით, არა მარტო, როგორც
თარჯიმანით. ტაიტელმა მონახა აქ თავისი თანამემამულები, —
ქარიშხალს მიერიყა ისინი ამ კუნძულებთან, სადაც სამუდამოდ და-
სახლებულიყვნენ. მათ იცოდნენ აღვილობრივი ყოფა-ცხოვრება და
ზნე-ჩვეულებანი და ასწავლიდენ ო-მაის, სად და როგორ შეიძლება
წყლის და სურსათის შოვნა. რომელი კუნძულელთაგანი არის ბე-
ლადი, ან ყველაზე უფრო პატივცემული პირი თავის თანაბემაშუ-
ლებში. კუნძულელნიც, თავის მხრივ, უფრო შეტი ნდობით უყუ-
რებდენ ო-მაის, ეკითხებოდენ ინგლისელთა ამბავს და, რაც მთავა-
რია, სჯეროდათ ყოველივე ის სისულელე, რასაც რომავდა თავისი

ბეჭით ამაყი ტატელი- კუკი აფასებდა ამ მოხერხებულ ტყუბლს, რომელიც კარგიდ ითვალისწინებდა ველურთა პრიმიტიულ ათვისების ნიჭს. ძლევამოსილი უცხოელები იზრდებოდნენ მათ თვალში და ღმერთების სიმაღლეს აღწევდენ. „ის, მაგალითად, ეუბნებოდა მათ, რომ ჩვენს სამშობლოში არის მათი კუნძულების ოდენია ხომალდები, ამ ხომალდებზე არის ისეთი დიდი იარაღები (მას სურდა ეთქვა, — ზარბაზნები), რომ შიგ რამდენიმე ადამიანი ჩაეტევა: ერთი ასეთი იარაღი საკმარისია, რომ მათი კუნძული ფერფლად აქციოს. თანახმად ამ შთამგონებელი აღწერისა, მათ მოისურვეს გაეგოთ, როგორი ზარბაზნები გვქონდა ჩვენ ხომალდის ქიმზე. ო-მაიმ უპასუხა, რომ ესენი პატარები არიან, შედარებით იმ ზარბაზნებთან, რომლებზედაც ახლახან უძმბო, შაგრამ, მიუხედავად ამისა, მხოლოდ ჩვენს სურვილზეა დამოკიდებული კუნძულის მოსპობა და ყოველი მცხოვრების მოკვლა იმ მანძილიდან, რომელზედაც იყოფებიან ეს ხომალდები. შემდეგ მათ იკითხეს, — რა საშუალებებით ახდენენ თეთრები ასეთ გამანადგურებელ მოქმედებას. იგი შეეცადა აეხსნა ეს მათთვის. მას, საბედნიეროდ, ჯიბეში ქონდა ცოტა თოფის წამალი და რომ უფრო განეცვიფრებინა ისინი, — გადაწყვიტა მათ წინ აფეთქება მოქედინა... მან შემოალაგა მიწაზე და წრის ცენტრში თოფის წამლის უმნიშვნელო რაოდენობა და მოუკიდა მას ცეცხლი მუკუზლით, რომელიც სამზარეულოს ლუმელიდან გამოიტანა. მოქმედების სისწრაფემ, მაღალმა ხმამ, აღმა და კვამლმა განცვიფრებაში მოიყვანა ყველა მაყურებელი. იმათ უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდათ ჩვენი იარაღის ძალაში და ირწმუნეს ყოველივე, რაც კი უამბოო-მაიმ“.

ძნელი არ იყო გულუბრყვილო კუნძულელთა მოტყუილება; რადგან მათ თხები და ცხვრებიც კი ჯერ უნახავი ფრინველები ეგონათ. როგორც ჩანს, საბოლოოდ გულგატებილმა კუქმა, ამ ჯერად მიატოვა თავისი ფილანტროპიული ცდები. ყოველი ახალი მოგზაურობა არწმუნებდა მას, რომ ცივილიზაციის შუქის შეტანა ამ ხალხთან არ არის ადვილი ამოცანა, რომ მათი განათლებისათვის საჭიროა სულ სხვაგვარი, ეპროპელებისათვის ჯერ უცნობი ხერხები. ყველაზე დიდი ბოროტება, რომელიც იწვევდა კუკის გულისწყრო-მას, იყო კუნძულელების მიღრეკილება ქურდობისაკენ. მან სინჯა გაროზგვა, სროლა უტყვიოდ გატენილი თოფებიდან, გემძირედში დამწყვდევა, მაგრამ არავითარი ზომა ჰა სჭრიდა. მხოლოდ გაპიტანმა კლერკმა გამოიგონა მოხერხებული საშუალება და რამდენი-მედ მაინც შეამცირა ქურდების თარეში: იგი თავს პარსავდა იმას,

ვისაც ქურდობაში დაიკურდენ. ეს, კუნძულელთა თვალსაზრისით
სახით ცხოვდ თავგაშიშელებული ხალხი, შესამჩნევი ხდებოდა ბრიბო-
ში და ამიტომ ამ ხერხმა უფრო გასჭრა, ვიდრე კუკის სხვა ზომები.

მეგობრობის არქიპელაგი, რომელიც შეიცავდა ასამდე კუნ-
ძულს, მეტად საშიში სავალი იყო მარჯნის ბრაგების, კლდეების და
სილოვან თავთხელების გამო. ხან წყნარი, უქარო დარი დგებოდა,
ხან ქარიშხალი ატყდებოდა, — ეს კი აძლიერებდა ცურვის სინე-
ლეს. კუნძულ მანგეას შემდეგ ხომალდებმა ჩაუშვეს ღუზა აპაეს
დიდ კუნძულთან, სადაც დაიწყეს წყლის და ბალახის მომარაგება და
ჩამოიყვანეს ნაპირზე ავადყოფები და ცხენები.

კუკი მოთმინებით ემორჩილებოდა მოსაწყენ ეტიკეტს და იღებ-
და ხომალდზე ადგილობრივ მთავრებს, რომელებიც გამოსთქვამდენ
ჰისი ნახვის სურვილს და პატიუობდენ მას სადილად ან რაიმე ზე-
იმზე დასასწრებად. კუნძულელების მთელ რეპერტუარს ამოსწუ-
რავდა ჭიდაობა და ცეკვა, რომელსაც თან აყოლებდენ რაღაც სიმ-
ლერის მსგავს ხმას. მართალია, ლონდონის თეატრებსაც კი შეშურ-
დებოდათ მოჭიდავე ქალების და კაცების მოქნილობა და თავისე-
ბურ ბალეტების მშვენიერად დაცული რიტმი, — საუცხოვო შესა-
ხელავი ზღვის პირის, მთვარის და ჩირალდნების სინათლეზე, მაგრამ
ასეთი წარმოდგენები საათობით გრძელდებოდა და თითქმის ყოველ-
დღე მეორდებოდა, — ამიტომ მოსაწყენი ხდებოდა და იქცეოდა სა-
ვალდებულო ბეგარად, რომელიც უნდა აეტანა კუკს დიპლომატუ-
რი მოსაზრებით.

კუკიც ვალში არ რჩებოდა: ის უჩვენებდა მთავრებს ჯარისკა-
ცების ვარჯიშობას, სროლას თოფიდან და ზარბაზნებიდან, ანთებ-
და მაშხალებს. ყოველივე ამას განციფრებაში მოჰყავდა კუნძუ-
ლელნი. იგი ასაჩუქრებდა მთავრებსა და და მის მახლობლებს შუშის
ნივთებით, ნაჯახებით და ქსოვილებით. კუკმა გარდა ამისა დასტო-
ვა კ. ანნამოუზე ხარი, ძროხა, კვიცა, ყოჩი და ცხვარი.

მსუქანი მთავარი სთვლემდა, გარშემორტყმული თავისი მსახუ-
რებით, რომლებიც მას ბანანის ფოთლებით უნიავებდეს ჰაერს, —
ო-მაი-კი ცდილობდა აქსნა მისთვის, თუ რაში არის გამოსადეგი ეს
ცხოველები და როგორ უნდა მათი მოვლა-პატრონობა.

მეცნიერული მუშაობა დიდი წარმატებით მიღიოდა. მეგობრო-
ბის კუნძულების შესახებ შეიკრიბა მეტად დაწვრილებით და ზედ-
შიწევნითი ცნობები. გარდა ამისა, ხომალდები იცვლ მარაგით, ადა-
შიანებმა და ცხოველებმა კი კარგად დაისვენეს. კუკი კმაყოფილი
იყო იმით, რომ ეს იძულებითი შეჩერება გამართლდა რაღაც წარმა-

ტებით და იძლეოდა შესაძლებლობას მეტის გაბედულობით წასულიყვნენ წინ... „ერთი სიტყვით, ჩვენ დიდად მოვიგეთ მეგობრობის კუნძულებზე შეჩერებით“.

ამხანაგობის პუნქტები

აგვისტოს პირველ რიცხვებში ამხანაგობის კუნძულებს მიაღწიეს და ლურა ჩატავის ნაცვაყუდელში კ. ტაიტზე.

აქ კუკს დაუხვდა ესპანელთა მთერ აშენებული სახლი. მის მანლობლად იდგა ხის ჯვარი, რაზედაც გასწვრივ ეწერა: „Cristus vineit“¹, სიგრძეზე კი „Carolus III, Imperator, 1774“². კუკმა მეორე გვერდზე დაწერა „Georgius tertius, Rex, annis 1767, 1769, 1774, 1777“³.

ორმა ესპანელმა მღვდელმა, მათმა მსახურმა და კიდევ ერთმა აღამიანმა დაჰყვეს აქ ათი თვე. შემდეგ მოვიდა ხომალდი და წაიყვანა ისინი. აღვილობრივ მცხოვრებთა სიტყვებიდან ჩანდა, რომ მღვდლებს არ მოუხდენიათ ცდა, გადაეყვანათ ისინი თავიანთ სარწმუნოებაში. ერთმა კაცმა კი მოიარა კუნძული და უამბო მათ, რომ პრეტანე (ასე უწოდებდენ ტაიტელები ბრიტანეთს) პატარა კუნძულია, დაპყრობილი ესპანელების მიერ, რომ მას აღარ აქვს არავითარო დამოუკიდებელი მართველობა, კუკის ხომალდი კი, ყველა მოსამსახურით დაიღუპა, დაძირული ესპანელთა. ზარბაზნებისაგან. წასვლისას მან დაიბარა, რომ მალე დაბრუნდებოდა თავისი თანამემამულებით, მათი ცოლშვილით, სხვადასხვა საქონლით, რომ ისინი ააშენებენ სახლებს კუნძულზე და მუდმივად აქ იცხოვრებენ.

კუკს არ სჯეროდა კოლონიის შექმნის შესაძლებლობა ტაიტზე. მან ძალიან კარგად იციდა, რაითი ბელმძღვანელობენ ეკროპული სახელმწიფოები კოლონიების მოწყობის დროს და ამიტომ ესპანელის სიტყვებს თხვიდან ბოლომდე მოჩინახულ ამბად სოფლიდა „მე ვერ დავიჯერებდი, რომ ევროპის ნაციები სერიოზულად აპირებენ აქ კოლონიების მოწყობას, რაღაც კ. ტაიტი არაფერს მიმზიდველს არ შეიცავს სახელმწიფოთა პატივთმოყვარეობისათვის და არც სხვა კერძო პირთა ანგარებისათვის. მე კი ვტედავ ვიფიქრო, რომ ამ მოსაზრებათა გარეშე ისინი არ მიჰყოფენ ხელს კოლონიის,

¹ „ქრისტემ გაიმარჯვა“.

² „კარლო მე-III, იმპერატორი, 1774“.

³ „გვერდ მესამე, მეოუ, წლები 1767, 1769 და სხვ.“

ჭუქმნას". მან არ იცოდა, რა სურდათ ესპანელებს, მაგრამ სტკლიდა, რომ ყოველგვარი კოლონიზაცია დამღუპველი იქნება კუნძულულ-თათვის. „ჩვენმა ხანგამოშვებითმა შეჩერებებმა შეიძლება, რომელი-მე მხრით, გააუმჯობესეს მათი მდგომარეობა, მაგრამ კოლონიის მო-წყობა მათ კუნძულზე, წარმართული იმ გეგმით, რომელსაც, სამწუ-ხაროდ მისდევენ უმეტესად ევროპული დაწესებულებანი, ძალიან შალე ანანებინებდა მათ, რომ ჩვენ გაგვიცნეს". კუკი ვერ შეტიკე-ბოდა „მშევიღობიანი დაპყრობის" ბარბაროსულ ხერხებს და ინგლი-სის სავაჭრო კომპანიების კოლონიზატორულ პოლიტიკას. იგი მეტად დიდი იდეალისტი იყო და ვერ შეეგნო, რომ სწორედ თვითონ უკაფავდა გზას ამ პოლიტიკას, რომ მისი მეცნიერული და ლიბერა-ლური იდეები დროთა განმავლობაში განხორციელდება სავაჭრო კანტორებად და სამხედრო ბაზებად, რომლებიც აღმოჩენილ ხალ-ხთა თავისუფლებას საშინელი სისასტიკით ჩააღრჩობენ მათსავე სა-კუთარ სისხლში.

ახალი პროდუქტების და კოქოსის კაკლის წვენის უხემა რაო-დონებამ, აფიქრებინა კუკი შეემცირებინა ჩვეულებრივი სახომალ-დო რაციონი, რომ ამით ეკონომია გაეწია დამარილებული ხროცისა და მაგარი სასმელების, რაც მას უფრო დასჭირდებოდა ჩრდილო-ეთისაკენ ზღვით მოგზაურობის დროს. მაგრამ ასეთი ზომა ფრთხი-ლად უნდა გატარებულიყო: მეზღვაურებისთვის მათი საყვარელი გროვის ჩვეულებრივი პორციის მოკლება საერთო უსიამოენებას გა-შოაწევდა. ამიტომ კუკი საჭიროდ სთვლიდა არ გადაეწყვიტა ერთ-პიროვნულად ასეთი საკითხი. მან შეკრიბა მეზღვაურები, გაახსენა მათ მომავალი მოგზაურობა, აუხსნა მათ მოგზაურობის მიზანი, მისი ხანგრძლივობა და ჩრდილოეთის ფართედების ჰავის პირობები. მას არ დაავიწყდა გაეხსენებინა პარლამენტისაგან დაპირებული ჯილ-დო, თუ აღმოჩენილი იქნება ჩრდილო გასავალი ან თუ მიღწეული იქნება ჩრდ. განედის 98°. აღნიშნა, რომ მას ეჭვი არ ეპარება, რომ მათ სურთ ორივე ჯილდოს დამსახურება, ამისთვის კი საჭირო სურ-სათის და ყოველივე სხვა მარაგის გამოზოგვა, რადგან ამხანაგობის კუნძულების შემდეგ აღარსად აღარ იქნება შესაძლებელი მარაგის შევსება. არ სჯობია აღრევე გაფრთხილება, ვიღრე მაგარი სასტელის ნეკლებობა მაშინ, როცა ის მართლაც საჭირო იქნება? მან სოხოეა შეზღვაურებს კარგად მოეთიქრათ ყოველივე და გამოეთქვათ თდვი-სი აზრი, რადგან ის აძლევს მათ სრულს უფლებას გადაწყვიტონ სა-კითხი ისე, როგორც მოისურვებენ.

როგორც ჩანს, მეზღვაურების არ სქირობათ ამდენი დარიგება, თკოთონ ასინ შვენივრად გრძნობდენ ასეთი ზომის სამართლიან აუცილებლობას და ერთხმად დაეთანხმნენ კაპიტანს. საერთოდ კი მათ არ ქონდათ ჩივილის საბაბი, კუკის ხომალდებზე ცურვა ბევრად უფრო სასიამოვნო იყო, ვიდრე სამხედრო ან სავაჭრო ხომალდებზე. სამსახური, სადაც ვინ იცის, როდის მოსპობდა მათ მტრის ყუმბარა, ან ხარები პატრონი დაუკავებდა ჯამაგირს და სიმშილით მოკლავდა ლაზათიანი გაროზგვის შემდეგ.

კუკის ახარებდა თანხმობა მოზღვაურებს შორის: ეს გარემოება აკმაყოფილებდა მისი, როგორც ხომალდის კაპიტნის, თავმოყვარება-ბას.... „მათ ერთხმად მოიწონეს ჩემი გეგმა და არც ერთი მის წინა-აღმდეგ არ წასულა. გროვის გაცემა დაიწყეს მარტო შაბათობით.

ტაიტზე დაიწყო ჩვეულებრივი ცხოვრება: ხომსალდების შეკე-თება, ვაჟრობა, სტუმრად მისელა-მოსვლა, მთავრების დასაჩუქრება ცხენებით, ძროხებით და ცხვრებით, ბოსტნების მოშენება, და ხეხი-ლის დარგვა. ფარშავანგმა „მოწყალედ ნაბოძებმა მილორდ ბესტ-როუს მიერ“ დამშვენა ადგილობრივი მთავრის კარ-მიდამო.

შეორე ამოცანა, დავალებული საადმირალო სამმართველოსა-გან, შესრულებული იქნებოდა, მაგრამ ო-მაის არ უნდოდა ასე მალე დაშორებოდა ინგლისელებს და კუკი ვერ ახერხებდა დაერჩმუნები-ნა იგი, დარჩენილიყო ტაიტზე. როგორც ჩანს ო-მაის მოსწონდა უდარდელი ცხოვრება „გაბედულებაზე“, საიდანაც იგი ჩამოდიოდა ნაბირზე, როგორც კუკის წარმომადგენელი, კუკის სახელი იცავდა მას ჭურდი თანამემამულეებისაგან, რომლებიც, წინააღმდეგ შემთ-ხვევაში, თავს ვერ შეიიცავდენ და მიითვისებდენ მის მიერ უცხო-ეთიდან ჩამოტანილ აურაცხელ სიმდიდრეს. ხუჭრობა ხომ არ იყო მარტო სათამაშოებით სავსე სკივრი ან მუსიკალური ყუთი შეიძლე-ბოდა გამხდარიყო მისი სიევდილის მიზეზი. ზედმეტი იყო ლაპარაკი ფრინველის წითელ ფრთებზე, რომლებიც მან ახალ ზელანდიაში შეიძინა: ეს ისეთი სიმდიდრე იყო, რომელზედაც ვერც კი იოცნე-ბებდა ო-ტუ, — ტაიტის მეფე.

აქვე გაჩნდა ოდიდეი, რომელსაც ჯერ კიდევ არ დავიწყნოდა „Jes sir“ და „you plise sii“¹-ის თქმა და ფეხზე წამოდგომა ლაპარაკის ღროს. დაბარჩენში ის არაფრით არ განსხვავდებოდა თავის მოძ-მეთაგან, ევროპულ ტანსაცმელზე ლაპარაკი ხომ ზედმეტიც იყო.

კუკი და კლურკი შესხდენ ცხენებზე და გაიჯირითეს აღტაცე-ბულ ბრბოს წინ. ტაიტელებს ფიჭრადაც არ მოუვიდოდათ შემჯდა-

¹ „დიალ, ბატონო“... „გოგოვთ, ბატონო“.

არყვნენ ამ საკვირველ ცხოველებზე: „ამ სანახაობაშ მისურ მათ უფრო შეღალი გაგება სხვა ეროვნებათა დოდებაზე, ვიდრე უკელა სხვა ახალმა ამბავმა ერთად, რასაც აწვდიდენ მათ მხედველობას ეპროცესი მეზღვაურები“.

ეს შშვიდობიანი ცხოვრება დაარღვია მღელვარებამ თვით კუნძულელთა შორის, რამაც კუკი არც თუ მთლად ადვილად გადასაწყვეტი ამოცანის წინაშე დააყენა. ამ ამოცანის გადაწყვეტასთან ყო მჭიდროდ იყო დაკავშირებული კუნძულელთა დამოუკიდებულება კუკისადმი და მის ხელქვეითებისადმი და, სერიოდ, მისი შემდგომი კოფა ტაიტზე. საქმე იმაშია, რომ ტაიტელები ეომებოდნენ კ. ეიმერს. მცხოვრებლებს. ეს ომი დაიწყო ჯერ კიდევ კუკის წინა მოგზაურობის დროს. ეიმერს ჯარი სჯობნიდა და ემუქრებოდა ტაიტელების ფლოტს და თვით კუნძულს. ბელადების საბჭო შეიკრიბა მთავართან. მიიპატიუეს კუკიც. ცხადია, ტაიტელმა ბელადებმა იმიტომ მიიპატიუეს იგი, რომ სურდათ მისი მეგობრობის გამოყენება, და მისი ხომალდების დასმარება ომში. ასეთმა ამბავმა კუკი მეტად უხერხელ მდგომარეობაში ჩააყენა: მას სრულებითაც არ უნდოდა ჩარეულიყო კუნძულელთა პოლიტიკურ საქმეებში, მაგრამ ამავე დროს არ სურდა გაეფუჭებინა ასეთი სიძნელით მიღწეული კეთილ-განწყობილება. იგი პირველად უნდა გამოსულიყო დიპლომატის როულ როლში.

საბჭომ მართლაც მოსთხოვა მას დახმარება. „სრულ უფლებოვანი მინისტრი, — ო-მაი — სადღაც გაქრა და კუკს დასჭირდა უთარჯიმანოდ ასენა-განმარტების მიცემა. მან უთხრა საბჭოს, რომ არ იცის კარგად ოშის მიზეზები და არ შეუძლია იმოქმედოს ეიშეოს მცხოვრებთა წინააღმდეგ, რომელთაც მისთვის არაფერი არ დაუშავებიათ. საბჭოს წევრები თითქოს დაქმაყოფილდნენ ასეთი ახ-სნა-განმარტებით, მაგრამ ო-ტუმ მეორე დღეს ისევ მოიწვია კუკი და სთხოვა, თან მოეყანა ო-მაიც, აქ კუკმა მეორედ მოისმინა მეფის დაკინებული თხოვნა, დასმარებოდა მას მტრის მოგერიებაში. კუკმა კვლავ უარი განაცხადა.“

კუკის ასეთმა სიმტკიცემ არ გააფუჭა კარგი დამოკიდებულება ტაიტელებთან. წინააღმდეგ, პოლიტიკაში გამოუცდელ ტაიტელებისათვის გასაგები იყო ასეთი გულახდილი უარი, გამართლებული უბრალო და გასაგები მიზეზით. როდესაც, ერთი თვის შემდეგ, ტაიტელებმა მოამზადეს ფლოტი, მათ მოიწვიეს კუკი აღლუმის საცემერლად. მან მეფესთან ერთად ნავზე განიცადა მტრის ნავის სანიმუშო შეტევა. როდესაც ეიმერს ბელადმა შემოთვალა, რომ სურს

დორებითი ზავის ჩამოგდება, კუქმა დიდის ამბით გამოუცხადა ელჩს, რომ იგი იცავს თავის მეგობრის ო-ტუს ინტერესებს, და ეხმარება მას თავდასხმის შემთხვევაში, გარდა ამისა ისევ დაბრუნდება მომავალში ამ კუნძულზე და ულმობელად შურს იძიებს ყველაზე ვინც გაბერავს და მიიღებს მონაწილეობას ასეთ თავდასხმაში. ასეთმა განცხადებამ დიდი გავლენა იქონია. ყოველ შემთხვევაში, ვიდრე კუჭი ამხანაგობის კუნძულებზე იყო, მას აღარაფერი გაუგონია ომის შესახებ. ო-ტუ და მისი ქვეშევრდომები კი სამაღლობელო ლოცვებს უხდიდნენ თავის ღმერთებს, მშვიდობიანობის დამყარებისთვის.

საომარ მზადების პერიოდში კუქმა გაივო, რომ ერთ ტაძარში მზადდება აღამიანის მსხვერპლად შეწირვა, ღვთაებისაგან მოწყალების მისაღებად და ესომზე გასამარჯვებლად. მან გადაწყვიტა, პირადად დარწმუნებულიყო ამ საშინელ ზე-ჩვეულების არსებობის სინამდვილეში და „ყველა ეჭვის გასაფანტავად“ ო-ტუს, ანდერსონის და ვებერის თანხლებით, წავიდა მსხვერპლის შეწირვის ადგილას.

თურმე ყველაფერი სინამდვილეში უფრო საზიზლარი იყო, ვიდრე ეს მას უამბეს. მთავარ ბელადის მითითებით მოკლული აღამიანის ცხედარი ევლო ზღვის ნაპირას, დაფარული ბანანის ფოთლებით. მას გარშემო მოსხდომოდა ოთხი ქურუმი. ისინი ლოცვებს ბუტყუტებდენ. ირგვლივ იდგა კუნძულელ-მამაკაცების ბრძოლ და გულგრილად უცქეროდა ამ სურათს. შემდეგ ქურუმებმა შეწყვიტეს ლოცვა, ამოგლიჯეს მოკლულს თავიდან ერთი ბლუჯა თმა და მარცხენა თვალი, შეახვიეს ბანანის ფოთოლში და მიართვეს ო-ტუს: მთავარმა ქურუმა აიღო მარცხენა თვალი და მიიტანა მეფის დალებულ პირთან. „ცერემონიის ამ ნაწილს ისინი უწოდებენ „აღამიანის შეჭმას“ ან „ბელადის გამასპინძლებას“. ეს, აღბათ იმ დროის ჩვეულების ნაშთია, როდესაც მეფე ნამდვილად სჭამდა მსხვერპლის სხეულს“. ამის შემდეგ დაიწყო დაუბოლოვებელი გადატანა ცხედრისა ერთი აღვილიდან მეორეზე, სხვადასხვა ქსოვილების გაშლა და დაკეცა. ამ ქსოვილებში მოთავსებული იყო ველური კულტის, რაღაც უცნობი ნივთები. ბოლოს, რადენიმეჯერ თმების ამოგლეჯის შემდეგ, ცხედარი შეათრიეს ტაძარში, ჩააგდეს იქ ორმოში და ჩაქოლეს ქვებით, საქმე ამითი არ გათავებულა. შასხურებმა გააღვივეს ცეცხლი, დაახრჩეს ძალლი, მოტრუსეს მისი ბეწვი, ამოუგლიოჯეს შიგნეული, ჩაგდეს ცეცხლში, შესწვეს გული, ჭაჭები და ღვიძლი ცხელ ქვებზე, გაბანეს ძალლი კოკოსის კაფლის ნაცუჭში ჩახმულ სისხლით და დაალაგეს ყველაფერი ეს ქურუმების წინაშე, რომლებიც განავრძობდნენ ლოცვას. მათ გვერდით იდგა ბიჭი და

ტრო, გამოშვებით ყვიროდა: ის სთხოვდა ღმერთს, ეგემა: ახლაც ჭამზადებული საჭმელი. შემდეგ ძალლის ლეში შედვეს მაღალ კვარცლბეკზე. აქვე იდგა წინა შეწირვიდან მორჩენილი ღორების და გოჭების ლეში, რაც საშინელ სუნს ავრცელებდა. ცერემონია დამთავრდა ქურუმების შეერთებული ღალადით. მეორე დღეს გრძელდებოდა დაუბოლოვებელი ლოცვები და ღორებისა და გოჭების მსხვერპლად შეწირვა.

კუკი აღშფოთებული იყო. იგი ჯერ ცდილობდა თავი შეექცებინა და დაერწმუნებინა კუნძულელნი მათი აწმენის უგნურებაში: ის ეუბნებოდა მათ, რომ ღმერთები არ სჭაშენ ზვარაკის ხორცი, რომელის ხორცი აყროლდება ასე გდებით. ქურუმებმა უპასუხეს, რომ ღმერთი უხილავდ მოდის ღამ-ღამობით და იკვებება შენახული ზვარაკის სულით, ვიდრე ლეში სავსებით არ გაიხრწინება. მაგრამ, როდესაც ბელადებმა სთხოვეს კუკს, გაეწია მათვის დახმარება ომში და კითხეს მას, უშველის თუ არა მათ მსხვერპლის შეწირვა მტრებზე გამარჯვების საქმეში; — კუკმა ველარ მოითმინა, აღკლდა და სთქვა ყოველივე რასაც ფიქრობდა მათ საზიზლარ ჩვეულებაზე. იგი უყვიროდა ო-ტუს და მის კარის კაცებს, ბრალს სდებდა მათ ველურობაში და სიმხეცეში და ეუბნებოდა, რომ ლოცვის ასეთ წესს სრულებით საწინააღმდეგო მოქმედება ექნება, რომ ის გამოიწვევს ღმერთის შურისძიებას. და მათ საბოლოო დამარცხებას, ო-მაი ემხრობოდა კუკს და გულდასმით სთარგმნიდა მის მხურვალე სიტყვებს. „უთხარი მას, — ყვიროდა კუკი და თან უთითებდა უფროს ბელადზე — მას რომ ინგლისში ეგრე მოკლა ადამიანი, მდგომარეობის სიმაღლე ვერ გადაარჩენდა მას სახრჩობელას“. შეურცხყოფილმა ბელადმა ხელები თავზე წაივლო და წყევლა-კრულვით გაეცალა კუკს, რადგან არ სურდა ასეთი. „ღვთის მგმობელი საყველურების“ მოსმენა. კუკიც აღელვებული და გამწყრალი წაგიდა. „სრულ უფლებიანი მინისტრი“, გატაცებული, თავისი მჭერმეტყველებით, უყვიროდა, ბელადის მსახურებს და მხლებლებს, ის ყვიროდა, რომ ინგლისში სახრჩობელაზე აპყავთ უწარჩინებულების და მაღალი წარმოშობის პირები, თუ კი ისინი მოკლავენ თავის უკანასკნელ მსახურსაც კი. ბრძო უურადღებით უსმენდა ო-მაის, და ჩანდა, რომ ეს სიტყვები ეთანხმებოდა მათ გულის თქმას. „....მგონი, ამ საგანზე ისინი სხვა აზრის იყვნენ, ვიდრე მათი ბატონები“. მაგრამ ამ შემთხვევას არ დაურღვევია კეთილი განწყობილება აღგილობრივ მცხოვრებლებთან. კუკის ყვირილი იმდენად წაგავდა მათ ჩვეულებრივი ლაპარაკის წესს, რომ ეს ბუნებრივ ამბად ჩა-

ჭალებს და, თავის პრიმიტიულობაში, არაფრად არ მიიჩნიეს. ამავე წილის, მათ სრულებითაც არ აუღიათ ხელი თავის საჩრდილოებრივ შეხედულებაზე.

ამავე სალამოს კუკი მშვიდობიანად იჯდა ო-ტუსთან სტუმრად. ო-ტუმ გაუმართა მას წარმოდგენა თავისი ქალიშვილების მონაწილეობით. ქალები ცეკვავდენ. მათ ეცვათ ჭრელ ქსოვილებიდან და ფრთხებიდან შეგერილი ტანსაცმელი. ტაიტელ ქალების ეს ცეკვა პანტომიმის ხასიათს ატარებდა, სადაც მოძრაობა და მიმიკა დაუფარავი უსირცხვობით გამოხატავდა სასიყვარულო ვნებას. მაგრამ ეს არ არაშევდა ამ „ბალეტ-პანტომიმას“ თავისებურ პლასტიურ სილამაზეს და რიტმის სიმწყობრეს.

მეგობრობა ტაიტელებთან არაფრით ან დარღვეულა და გრძელდებოდა უკანასკნელ დღემდე, როდესაც სექტემბრის დამლევს კუკი ავად გახდა ნებრალგით და, ძლიერი ფეხის ტკივილის გამო, ვეღარ ჩამოდიოდა ხომალდოდან, ო-ტუს დედამ, მისმა სამშა დამ და კიდევ რვა ქალშა გამოაკედეს, რომ დარჩებიან ღამით ხომალდზე და განკურნავენ მას. „ისინი გარს შემომერტყენ და დამიწყეს სხეულის ტელა, ორივე ხელებით თავიდან ფეხებამდე, უფრო კი იქ, სადაც მტკიოდა. ისინი ისე მზელდენ, რომ ძვლები ტკაცუნებდა. ისე მოძანცეს, თითქოს ნაცემი ვყოფილიყავი. თხუთმეტი წუთი გრძელდებოდა ეს წამება და, როდესაც გაათავეს და გადავურჩი, — ძალიან გამეხარდა. მაგრამ ამ ოპერაციამ უცებ შეამსუბუქა ტკივილები და მე გადავწყვიტე ნება დამერთო განემეორებინათ იგი ძილის წინ. „მეორები მან ისეთი კარგი შედეგი იქონია, რომ მე მშვენივრად გავატარე ღამე“. მეორე დოლას ამ თორმეტმა მასაუისტმა ქალმა განაგრძო თავისი მეურნალობა, — მათ განიმეორეს იგი სალამოსაც და ერთი დღის შემდეგ კუკი სრულებით გამოჯანსაღდრა. ასეთი მკურნალობა, გავრცელებული ამხანაგობის კუნძულებზე, კუკის აზრით, ბერიად სჯობდა ევროპელ ექიმების ყოველგვარ წამალსა და მალამს.

ტაიტიმ გაამართლა იმედები. მეზღვაურებმა დაისვენეს, ხომალდების შექეთება დამთავრდა და აუცილებელი სურსათის მარაგი შეივსო. მერძნობიარე გამოთხოვების შემდეგ, როდესაც „გაბედულება“ მოშორდა კუნძულს, კუკმა ბრძანა შვიდჯერ გაესროლათ ზარბაზნებიდან ო-ტუს პატივსაცემად. მეფეს სურდა დაენახა ხომალდის სვლა. კუკმაც შეასრულა მისი თხოვნა. იგი გავიდა ზღვაში, დაბრუნდა. შემოტრიალდა და წაიყვანა ხომალდი კუნძულ ეიმეოსენ, სადაც იყო კარგი ნავსაყუდელი და შეიძლებოდა უშუალოდ

ნაპირთან მიღუომა. კუნძულზე ფრეთვე ბლობიდ იყო სუფთა წყლის
ჩაკადულები.

ადგილობრივი მცხოვრებლები ჯერ უნდობლად უყურებდენ თნ-
გლისელებს, როგორც ტაიტელების მეგობრებს, მაგრამ ადგილობ-
რივმა მეფემ მაინც გაბედა და ავიდა „გაბედულებაზე“. კუკის მო-
ურობამ უცებ დაამშვიდა იგი და ვაჭრობა გაჩაღდა. ხომალდებმა,
მოიმარავეს წყალი და შეშა. ნაპირზე ჩამოუშევს თხები.

კუკის კეთილი სულიერი განწყობილება სრულებით მოულოდ-
ნელად გაუსიამოენდა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მოახერხეს
მოქარათ რამდენიმე თხა, რომელსაც უდარაჯებდენ „გაბედულების“
მოსამსახურენი. კუკმა დასაჯა მეზღვაურები. მერე იგი შეუ-
დგა დაკარგულ თხების ძებნას. საუბედუროდ, მცხოვრებნი მიიმ-
ლენ კუნძულის სილრმეში, ყოველნაირად სტყოდენ, ამბობდენ,
რომ არსად არ უნახავთ თხები, გამოგზავნილ ხალხს მოტყუილებით
სულ სხვა გზას უჩევნებდენ, ბოლოს ჯარისკაცებს მათ ქვებიც კი
დაუშინეს. ასეთ შემთხვევაში კუკი თავს ველარ იჭერდა. ის თვითონ
გაყვა შეიარაღებულ რაზმს სანაბირო მთა-გორაკების ძეით, დარ-
წმუნდა, რომ მცხოვრებლებს არ სურთ ქურდების გაცემა და მოპა-
რულ თხების დაბრუნება, დარწმუნდა, რომ მას უსირცხვილოდ ატ-
ყუილებდენ და გადასწევა რამდენიმე სოფელი და ადგილობრივ
მკვიდრთა რამდენიმე ნავი.

„ასე გათავდა ეს მძიმე და არა სასიამოენო ამბავი. შისმა შედე-
გებმა მე დამალონეს არა ნაკლებ, ვიდრე კუნძულელები. მე არ დავუ-
ჯერე ტაიტელ მეგობრებს, რომლებიც მოხვდენ, ხელი შემეწყო
მათთვის კ. ეიმერზე თავდასხმის დროს და ძლიერ მწყინდა, რომ
ასე მალე იძულებული გავხდი გამომეცხადებინა ამ კუნძულის
მცხოვრებთათვის რაღაც ომის მსგავსი, რამაც მიაყენა მათ შეიძლე-
ბა მეტი ზიანი, ვიდრე ტაიტელების ლაშქრობამ“.

ერთი დღის შემდეგ ხომალდები მიეიღნენ კ. გუაენსისთან, სა-
დაც კუკს, ბოლოს, უნდა დაებინავებინა ო-მაი. კუკმა ბრძანა აეშე-
ნებინათ სახლი, მოევლოთ ლობეთი და მოეშენებინათ ბალი და ბოსტ-
ტანი. შემდეგ მან დაბასაჩუქრა ო-მაი თოფებით და დამბაჩებით, დაუ-
ტოვა მას ცხენები, თხა და ლორები. სახლის ბჭეზე მან დააწერა: *Georgius tertius, Rex, 2 Novembris — 1777.*

Naves | „Resolution“, Iac Cook, pr.
Naves | „Discovery“, Car. Clerke, pr.¹

¹ გეორგ III, მეფე, 2 ნოემბერი, 1777.

ხომალდები | „გაბედულება“ ჯ. კუკი, მეთაური.
„აღმოჩენა“ კ. კლერკი, მეთაური.

ო-მაიმ შოიწვია სტუმრები და გამართა საზეიმო სადილები ახალ ბინაზე. რამდენიმე დღის შემდეგ ის ტირილით ეხვეოდა წა-სასვლელად მომზადებულ კუკს. და მის თანამგზავრებს, კუკს ესმოდა ის ყალბი მდგომარეობა, რომელშიდაც რჩებოდა ო-მაი თავის თანამოძმეთა შორის მისი წასვლის შემდეგ ურიცხვ სიმდიდრის და-გროვებას შედარებით დაბალი კლასის წარმომადგენლის ხელში ად-გილობრივი მცხოვრებლები მიიჩნევენ არა ჩვეულებრივ და არა სამართლის მოვლენად. ადგილობრივ საგვარეულო წყობილების წესი სასტიკად იქნება დარღვეული. ეს შეარყევს მეფეთა ოჯახების ძველ პრეროგატივებსაც. ასეა თუ ისე, — ო-მაის ბეჭდ გამოიწვევს ად-გილობრივ მცხოვრებთა შურს და მას ბევრ უსიამოვნებას მიაყენებს. მთელი ეს ამბავი, — კუნძულელის ინგლისში წაყვანა და უკან დაბ-რუნება, — თავიდან ბოლომდე შეცმდარი ნაბიჯი იყო.

კუკი თავს ინუგეშებდა იმით, რომ ო-მაი მოაშენებდა ცხენებს და სხვა ცხოველებს და ამით, უთუოდ, გააუშვობესებდა კუნძულის კეთილდღეობას და გაამართლებდა თავის მოგზაურობას ინგლისში.

შემდეგი შეჩერება იყო კ. კლიტეაზე, სადაც კუკს შეხვდა ძე-ლი ნაცნობი ო-რეო, რომელმაც მაშინვე გააგზავნა მის შესახვედრად რამდენიმე ნავი, დატვირთული სურსათით. როგორც ყოველთვის, ნაპირზე გადმოიტანეს ასტრონომიული ხელსაწყოები და ლამით, რვიდან ცხრა ნოემბერს, კუკმა და მისმა თანამგზავრებმა ჩაატარეს დაკვირვება, თუ როგორ გაიარა მოვარის იქით თხის რქას ჯგუფის ერთ-ერთმა ვარსკვლავმა. უელიტაზე გატარებული ერთი თვე რამ-დენიმედ გააფუჭა დეზერტირობის ორმა შემთხვევამ. ჯერ გაიქცა ჯარისკაცი „გაბედულებიდან“. კუკი თვითონ გაყვა შეიარაღებულ რაზმს კუნძულის სილრმეში და მოსძებნა იგი. ჯარისკაცმა ბრალი დასდო ორ ქალს. რომლებმაც თითქოს შეაცდინეს იგი. კუკმა დაუ-ჯერა მას. შემდეგ გაიქცა მიჩმანი და ერთი მეზღვაური „გაბედუ-ლებიდან“. საქმე იმაშია, რომ ეს მიჩმანი კუკის მეგობრის ვაჟი იყო. მათ გამოუდგენ, მაგრამ ვერაფერს გახდენ. კუკს დასჭირდა უკიდუ-რები ზომების მიღება. მან ჩაკეტა „გაბედულებაზე“ მეფის, ო-ტუს ვაჟი, ქალიშვილი და ქალის ქმარი და გამოაცხადა, რომ ორ გამოუშ-ვებდა მათ, ვიდრე დეზერტირებს არ აღმოაჩენდნ. „ჩვენი ეკიპაჟის ეს ორი ადამიანი გამონაკლისს არ შეადგენდენ, სხვებსაც სურდათ დაბინავებულიყვნენ ამ ბედნიერ კუნძულზე. ამიტომ, ამდავვარ დე-ზერტირობის აღმოსაფხვრელად, მე დამჭირდა მიმეშართა ყოველ-ვვართ საშუალებისთვის“.

ასეთმა მკაცრმა ზომამ კინაღამ არ გამოიწვია ახალი გაუგებრობა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს მოეწყოთ შეთქმულება ინგლისელების წინააღმდეგ. მათ დაკავეს კლერკი და „გაბედულებას“ უფროსი ლეიტენანტი გორა. მაგრამ გაფრთხილებულმა კუკმა გაგზავნა ლეიტენანტი კინგი ძლიერი რაზმით. კლერკმა თვითონ გაისროლა დამბაჩიდან, რის შემდეგაც ადგილობრივი მცხოვრებნი დაიფანტენ, შეთქმულება მიმართული იყო კუკის წინააღმდეგაც. მას უდარაჯებდენ მდინარესთან, საღაც ის ყოველთვის დადიოდა საბანაოდ მარტო და უიარაღოდ. ყოველივე ეს უამბო ინგლისელებს ახალგაზრდა ქალმა, რომელიც მოიყვანა გუარნიდან ერთმა ოფიცერმა და შეთქმულება, საბედნეროდ, გამომულავნდა. ამის შემდეგ ორეთ თვითონ გაემგზავრა დეზერტირების მოსახებნად. რომლებიც მეორე კუნძულზე გადასულიყვნენ და მოგვარა ისინი კუკს. გაურკვეველი რჩება, თუ როგორ მოექცა კუკი დამნაშავეთ, დღიურის ჩანაწერებში არაფერისა ნათქვამი ამის შესახებ. როგორი უნდა ყოფილიყო სამსახურის პირობები სამეფო ფლოტში, თუ მიჩანსაც კი, ინგლისის ცივილიზირებულ ცხოვრებას ველურ კუნძულებთან, ცხოვრება ერჩივნა? მეზღვაურების დეზერტირობა იმ დროს ჩვეულებრივი მოვლენა იყო ევროპელ სახელმწიფოთა ყველა სამხედრო და სავაჭრო ფლოტში. სამსახურის არაჩვეულებრივად მძიმე პირობები, სასტიკი ფიზიკური სასჯელი, ცუდი კვება და მეტად მცირე ჯამაგირი, — ყოველივე ეს აიძულებდა მეზღვაურებს გაქცეულიყვნენ. დამალულიყვნენ უღრან ტყეებსა და მთებში, უცნობ კუნძულებზე, ათასეულ კილომეტრების დაშორებით ევროპის ნაპირებისგან. საღაც მათ, ვინ იცის, როგორი ბედი მოელოდა, — ოლონდ კი არ დარჩენილიყვნენ ხომალდის სამსახურის საძაგელ პირობებში, არ დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში ლარიბ; მათხოვრულ არსებობის გასაგრძელებლად.

ამხანაგობის კუნძულების მოვლა ბოლოვდებოდა. კუჭი ფიჭრობდა უკვე მომავალ მოვზებურობაზე ჩრდილოეთისაკენ და ზამთარში ცურვის სიძნელეებზე. ქარიშხალს და ნისლს შეუძლიათ დააცილონ ერთმანეთს ხომალდები, როგორც მაშინ, სამხრეთის პოლარულ წრესთან. მან დაუწერა დაწვრილებითი ინსტრუქცია, კაპიტან კლერკს, საღაც აღნიშნა მოსაცდელი წერტი, ვადები და განედების გრადუსები და ყოველივე ის, რაც უნდა გაეკეთებინა ხომალდ „აღმოჩენას“, თუ ის დაკარგავდა ხომალდ „გაბედულებას“, როგორ უნდა წასულიყო იგი „წმ. პეტრე-პავლეს ნაცხადგურამდე“ ქამჩატკაზე და ეცადნა იქ 1779 წლის გაზაფხულამდე.

ცხრის დეკამებების „გაბეღულებამ“ და „აღმოჩენამ“ აიღეს კურ-
სი ჩრდილოეთისაკენ. მზით გაბრწყინებულ ოკეანეში ნელა იმაღლ-
ბოდა მარჯნის ბრაგები, მწვანე ბრინჯის და კოკოსის ხეები, ნელა
იძალებოდა უკანასკნელი „ბეღნიერი“ კუნძული, ორი რქიანი მთის
შვერვალით, ნაცნობი მიწის უკანასკნელი ნაჭერი. იწყებოდა ახა-
ლი, ყველასთვის უცნობი და გრძელი გზა წყლის უდაბნოში.

კუკი გულწრფელი სინანულით სტოვებდა ამხანაგობის კუნძუ-
ლებს.

ბერინგის კვალი

„... ჩვენ გადავჭერით ეკვატორი დას. განედ. 203° 15' ლატით-
22-დან 23-ზე“....

ჩვიდმეტი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ხომალდები მოშორდენ
ინგლისის ნაპირებს, ექსპედიციის მთავარი მიზანი კი ჯერაც მიუღ-
წეველი იყო. მოგზაურობის ყველაზე მძიმე და ძნელი პერიოდი
მხოლოდ ახლა იწყებოდა: „მე ჩემს მოვალეობად ვცანი გამეორებუ-
ლებინა ძალონება და ყურადღება მიმექცია ყველაფრისთვის, რასაც
კი შეეძლო უზრუნველეყო ჩვენი უშიშროება და ჩვენი წამოწყების
გამარჯვება“.... კუკმა გულდასმით შეამოწმა მარაგის მდგომარე-
ობა, ხომულდის ინვენტარი და მოითხოვა თვითეული მოსამსახური-
სავან მომჭირნეობა და პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისთვის.

დაბლობ კუნძულებზე შეკრიბეს თევზისა და კუს მარაგი. კუკმა
თვითონ ნადირობდა კუებზე და მიემგზავრებოდა ხოლმე ნაპირისა-
კენ. იქვე, ლეიტენანტ ცინგთან და ასტრონომ ბეილისთან ერთად
მან ჩატარა მზის დაბნელების დაკვირვება. აუტანელი სიცხვ და
ღრუებლიანობა ხელს უშლიდა მკვლევარებს, მათ მოახერხეს მხო-
ლოდ მზის დაბნელების უკანასკნელი პერიოდის აღწერა. ამ პატარა,
ცარიელ, დაუსახლებელ კუნძულზე კუკმა დასთესა კოკოსის პალმის
და ნესვის ზესალი. მან დასტოვა აქ ბოთლი ჩვეულებრივი წარწერით,
სადაც, აღნიშნული იყო მეფის, ხომალდების და კაპიტნების სა-
ხელო და რიცხვი; 1777 წლის, 31 დეკემბერი მოიმარაგეს სამასამდე
კუთხ და ბევრი თევზით, იდლესასწაულეს შობა-ახალწელიწადი. და
გაუდგენ გზას. კუკმა აღნიშნა ჩეკაზე ეს პატარა მიწის ნაჭერი და
უწოდა მას შობის კუნძული.

დღიურის ჩანაწერები წყდება ჩვიდმეტი დღით. დღეთა ერთ-
უეროვნებაში უფრო მწვავედ იგრძნობა მოწყვეტილობა დანარჩენი
ქვეყნისგან, უფრო მაღე ხდება მოსაწყენი ერთი და იგივე საუბრის-
ვანმფლორება ერთსაღამავე პირებთან. მეზღვაურები ამ დროს მუ-

დამ იწყებენ ბუზღუნს, მოგზაურობა მათი აზრით, ძალზე ჭიანურ-დება, სულ უფროდაუფრო ხშირად იხსენებენ ისინი მშობლიურ ნაპირებს და უგუნებოდ გამოღიან სამუშაოზე; გემძირედში შეხუ-თული და შმორიანი ჰაერია. იქ ვირთაგვები წრიპინით, მოურიდებ-ლად დასეირნობენ კასრებსა და ბარღანებს შორის. მზისგან გავარ-ვარებულ კედლებში შრიალობენ ხოჭოები. თამბაქოს ბოლით, ზე-თის სანათურების ჭვარტლით და ჭუჭყიან საცვლის მეავე სუნით გაუღენითილ, დახშულ ჰაერიდან მეზღვაურები აღიან ერდოზე, აუტანელ და დამაბრმავებელ მზის თონეში, საღაც ცხელი ქარი სწვავს სხეულს და აბნელებს გონებას.

კუს ეშინოდა ამ ერთფეროვანი ცხელი და წყნარი დღეების-მას ვერაფრით ვერ გაერთო მეზღვაურები. მათი სიცხით მოქანული სახეები, მოდუნებული სიარული, ჩამჭრალი თვალები ლაპარაკობ-დენ დაღლილობაზე, ძალლონის ზედმეტ დახარჯვაზე, იმ ძალლო-ნის, რომელიც კუკისთვის ასე საჭირო იყო. ამ ხალხისგან იყო დამო-კიდებული მისი მოგზაურობის წარმატება. რითი გაართოს, როგორ გააღვიძოს ეს ნახევრად მთვლემარე ბრბო, რომელიც უსაქმოდ და ხეტიალობს ხომალდის ერთი კიდიდან მეორე კიდემდე? იგი ისევ უბრძანებდა, გამოეტანათ ლოგინები ერდოზე, გაენიავებინათ ბინები და თავი მხნედ ეჭირა, თითქოს ყველაფერი რიგზე, იყო.

მაგრამ როგორი იყო მისი სიხარული, როდესაც შორის, ამ უი-მედო დიდ, გავარვარებულ ოკეანეში, გამოჩნდა ოდნავ შესამჩნევი მუქი ზოლი, ეს ზოლი საათობით იზრდებოდა, შემდეგ თანდათან გაიჭიმა, მომრგვალდა მთა გორაკებით, შეიმოსა სიმწვანით, გადმო-აგდო ზღვაში სილოვანი თავთხელები და კლდოვანი ნაპირები და, ბოლოს, გაიშალა კუნძულებად. „....ეს მიწა, საერთო შეხედულებით სრულებით არ წააგავს კუნძულებს, რაც ჩვენ ვნახეთ ტროპიკებში, ეკვატორის სამხრეთით, თუმცა კუნძულების მოხაზულობა წააგავდა ტაიტს, მაგრამ ნაპირები უფრო კლდოვანი იყო, ნაკლები იყო ბრინჯის ხეები და კოკოსის პალმებიც, ეგზომ ტიპური ამხანაგო-ბის კუნძულებისთვის.

ხომალდებმა ჩაუშვეს ღუზა ერთ-ერთ კუნძულთან, მათ მაშინ-ვე გარს შემოერტყენ აღვილობრივ მცხოვრებთა ნავები, რომლებიც ცნობის მოყვარეობით ათვალიერებდენ ჯერ უნახავ ხომალდებს. „....მე არც ერთ ჩემს მოგზაურობის დროს არ მინახავს ხალხი, ამდენად განცვითრებული ხოშალდის დანახვით. მათი თვალები განუწყვეტ-ლივ გადარბოდენ ერთი საგნიდან მეორეზე“ამ პირველმა შთა-ბეჭდილებამ გაახარა კუკი; სასიამოვნო იყო აღმოჩენის პირველო-

შის გახცდა, პირველსავე ბრძანებაში კუქმა აუკრძალა მეზოვაუ-
რებს ნაპირზე ჩასვლა და ქალებს-კი, — ამოსვლა ხომალდზე. ამ
ღონისძიებით მას უნდოდა დაეცვა აღმოჩენილი მიწა ვენერიულ
სნეულებათვან. კუნძულ ატუას მცხოვრებლები წააგავდენ ტაიტე-
ლებს და ახალზელანდიელებს. მათი ენა ემსგავსებოდა ამხანაგობის
კუნძულების მცხოვრებთა ენას.

ხომალდები აქ ორი კვირით შეჩერდენ და მოიმარავეს წყალი,
ღონის ხორცი და სხვა სურსათი. კუკი ყოველ დღე ჩამოდიოდა ნა-
პირზე, ხელმძღვანელობას უწევდა მუშაობას, შეისწავლა მხარე,
ათვალიერებდა ადგილობრივ სოფლებს და სასაფლაოს, აწარმოებდა
დაკვირვებას ზღვის მიმოქცევაზე.

კუქმა აღნიშნა რუკაზე აღმოჩენილი მიწები და წააწერა: „სენდ-
ვიჩის კუნძულები“. ამ ჯერად საბედისწერო ცვანძმა სამუდამოდ
დაკავშირს კუკის და საადმირალო სამმართველოს პირველი ლორ-
დის სახელები.

გზა სენდვიჩის კუნძულებიდან ამერიკამდე ერთ თვეზე მეტ
წანს გაგრძელდა. იშვიათმა, თბილმა ზამთარმა შეუმჩნეველი გახდა
ჰითბოლან სიცივეში გადასვლა. შვიდ მარტს, ჩრდილო-აღმოსავლე-
ზით გამოჩნდა ახალი ალბიონის ტყით მოსილი გორაკები. ორი
კვირის განმავლობაში ხომალდებს წერდა ქარიშხალი, თოვლი და წვი-
მა და არ აძლევდა საშუალებას მიახლოვებოდნენ ნაპირს. ხომალდები
წელა მიიმართებოდნენ ჩრდილოეთისკენ. კუკი მუშაობდა რუკაზე,
დაწვრილებით აღნიშნავდა ყველა ნავსაყუდს და კონცხს, აძლევდა
მათ სახელებს და ასწორებდა თავის წინამორბედთა მრავალრიცხო-
ვან შეცდომას. მხოლოდ 29 მარტს ქარიშხალი ჩადგა და შესაძლო
გახდა გამოეძებნათ შესაფერი ნავსაყუდელი და ჩამოეშვათ ღუზა.

ნაპირი დასახლებული იყო. „ახალი ქვეყნის“ ადამიანები
სრულებით არ გავდენ წყნარ ოკეანეს კუნძულთა მცხოვრებლებს
ეს იყო მაღალი ტანის ხალხი, სახის სწორი ნაკვეთებით, შელებილი,
წითელი. შავი და თეთრი სალებავებით, თმაში ჩაწნული ფრთებით.
შუქი, მოწითანო სხეული ბეწვებით ჰქონდათ დაფარული. მათ არ
შეშინებიათ უცხოელების, მაშინვე დაიწყეს მოლაპარაკება და გაა-
სალეს გაცვლა-გამოცვლა. მოჰქონდათ დათვის, მგლის, ირმის, მე-
ლის და კურდღლის ტყავები და სცვლიდენ მათ რკინაზე და სპი-
ლენძზე. რომლებიც ყველაფერს ურჩევნოდათ, მაგრამ ამ ლითონე-
ბის მარაგი ხომალდებზე მცირე იყო. ამიტომ იძულებული გახდნენ
მიეცათ მათთვის ფორმის ტანსაცმლის ფოლაქები, მაგიდის სამკაუ-

ლები, ტაფები, ჩაიდნები და შანდლები. დაჭრილ სარდინების დიდ რაოდენობას ისინი სიამოვნებით ცვლიდენ ერთ სპილენძის ნივთზე. „....იმ ნივთებს შორის, რომლებიც მათ გასაცვლელად მოპქონდათ, ჩვენ ყველაზე უფრო გვანცვიფრებდა თავის ქალები და ადამიანის ხელები, ჯერ კიდევ ჩამოუქნელი ხორცით. მათ აშკარად გაგვაგებინეს, რომ შეჭამეს ეს ადამიანები და ჩვენც ნამდვილად დავრჩმულით, რომ თავის ქალები და ხელები ყეცხლზეა გარუჯული. საუბედუროდ, მრავალი მიზეზი გვიფიქრებინებს, რომ ეს ტომებიც უჭამენ თავის მტრებს, ახალზელანდის და სამხრეთის ზღვის კუნძულების მცხოვრებთა შესაფასად.

კუკმა ბრძანა, რომ ჩამოეტანათ ნაპირზე დაზიანებული ანძები და სამჭედლო, გაშალა კარავი ასტრონომიული ხელსაწყოებით და გააგზავნა კაცები ახალ ანძებისთვის ხეების მოსაჭრელად, წყლის, შეშის და ბალახის მარაგის დასამზადებლად.

აღგილობრივ მცხოვრებთა ყოფაცხოვრების შესწავლისას, კუკი უდგებოდა მათ არა მარტო ბუნების-მეტყველის თვალსაზრისით. იგი უფრო ღრმად წვდებოდა საგანს, ცდოლობდა გამოერკვია ამ ზალხის ყოფაცხოვრების სოციალური სტრუქტურა, დაბალ და მაღალ კლასების რთული ურთიერთ-დამოკიდებულება, ცდილობდა გაეგო ტომების იერარქიული სისტემა და გავლენა, მოხდენილი მათზე ევროპული ცივილიზაციისაგან. დღიურში ხშირად გვხდება მსჯელობა პოლიტიკურ თემებზე, აღნიშნულია პირველყოფილ სოციალურ ფორმების განვითარების ნიშნები. „შე უნდა აღვნიშნო, რომ კველა ამ ნაკლებად ცივილიზირებულ ხალხსა და ტომს შორის, რომლებთანც მე შევჩერებულვარ ჩემს მოგზაურობათა დროს, — ამ ქვეყნის მცხოვრებლებს, ჩემის გაგებით, ყველაზე უფრო ზედმიწევნითი და მკაცრი შეხერცულება აქვთ გამომუშავებული საკუთრების უფლებაზე, მათი ქვეყნის ყოველგვარ ნაწარმოებთა მიმართ...“

იგი იჩქაროდა მოგზაურობის მთავარ მიზნისკენ და ხშირად ყურადღებას არ აქცევდა აშკარა სშიშროებას.

„ბარომეტრი ძლიერ დაეცა და, გარდა ამისა, ყველაფერი შოასწავებდა ქარიშხლის დასაწყისს, რომელიც, თითქოს, სამხრეთით გროვდებოდა. რაღაც დაღამდა, მე ერთი წუთით შევჩერდი და განკუაჯე, გავძელო იალქნების აშეება, თუ მოუცადო მეორე, დღეს. მოგზაურობის გაგრძელების მოუთმენელმა სურვილმა და ზღვის უბრიდან გასვლის შემთხვევის დაკარგვის შიშმა შოახდინეს ჩემზე მეტი გავლენა, ვიდრე მოსალოდნელმა საშიშროებამ და მე გადავწყვიტე, რაც არ უნდა მომხდარიყო, გავსულიყავი ზღვაში“.

საშინელი ღამე დაუდგათ მგზავრებს. ამოვარდნილი ქარიშხალი წეტავდა ხომალდებს, რომლებიც განაგრძობდენ სკლას გრგვინვაში, ტალღების ზრიალში, ქარის ზუზუნში და სრულ წყვდიალში. ქაპიტანი ვერ ხედავდა მთელს ხომალდს და ბრმად მიყავდა იგი ზღვაში. მეორე დღეს მისცურავდენ ნისლში. კვლავ გრძელდებოდა ბრძოლა, დროგამოშვებით ხომალდს კვლავ დაეძგერებოდა ხოლმე ქარიშხალი. „გაბედულებაში“ გაჩნდა ნახვრელი და ამოვიდა წყალი. გვიან ღამეშდე მოუნდენ ტუმბოთი წყლის ამოქაჩას და ნახვრელის ამოჩურთვას. კუჭს სწყინდა, რომ ვერ მივიდა გამოჩენილ ნაპირთან და ვერ დააზუსტა რუკა: „...ჩვენ გავიარეთ მაშინ ის ადგილი, საღაც გეოგრაფებმა მოათავსეს არსებული სრუტე აღმირალ დეფანტები...“

ჩრდ. განედ. 57°-ზე კვლავ დაუახლოვდენ მიწას. მაღალი მთები და გორები თოვლით იყო დაფარული, ნაპირთან კი ტყეები ამწვანებულიყო.

კუჭმა იკნო ამ ნაპირების მოხაზულობა: მას ენახა ისინი რუსი მეზღვაურის რუკაზე, კოორდინატების გამოანგარიშებაც იგივე იყო. არავითარი ეჭვი აღარ იყო იმაში, რომ ეს ის ადგილია, საღაც გადმოვიდა ბერინგი. კუჭმა აღნიშნა ეს უბე თავის რუკაზე და უწოდა მას ბერინგის სახელი; ხომალდების მოძრაობასთან ერთად, კუჭი აქტორებდა რუკას და აძლევდა ახალ სახელწოდებებს კონცხებს, მაღლობებს და ნაესაყუდლებს, იგი მივიდა ერთ კუნძულთან, ჩამოვიდა ნაპირზე და დასტოვა იქ ბოთლი, ტრადიციული ბარათით და ორი ფულით, რომლებიც მიიღო მეფის ვაპელლან დოქტორ კოდსაგან. კუჭმა მისი სახელი უწოდა კუნძულსაც.

ჩრდილოეთისაკენ ცურვის დროს ჰუკი ხელმძღვანელობდა ბერინგის რუკებით, რადგან ეს რუკები სხვებზე უფრო ზუსტი გამოდგა. ნაპირების და ადგილობრივ მცხოვრებთა აღწერაც თითქმის ხელებოდა ერთმანეთს, მაგრამ მიულლერის¹ წიგნის ლონდონის გამოცემა იმდენად შემოკლებული იყო, რუკებიც ისე უხეშად იყო შესრულებული, რომ კუჭი ვერ ენდობოდა მათ მთლიანად და მას ხშირად ვარაუდით უხდებოდა წინსვლა. ყველაფერი მოწმობდა მისი დროის გეოგრაფების სრულ უვიცობას, უხეშ შეცდომებს და სრულებით ყალბ წარმოდგენას ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირების მდებარეობის შესახებ.

¹ მიულლერი — გერმანელი მეცნიერი, რუსი. მეზღვაურების აღმოჩენათა აღწერილობის პირველი შემდგენელი (1741).

„....ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჩრდილო-ამერიკის მატერიკი მიიმართება უფრო შორს დასჯვლეთისკენ, ვიდრე ამას მიუთითებ-დენ ყველაზე უფრო გავრცელებული თანამედროვე რუკები. ყოვე-ლივე ეს აშცირებდა შესაძლებლობას გასავლის არსებობისა ბათფი-ნის ან ჰუდზონის უბისაკენ“.

კური იკვლევს აღმოჩენილ მდინარეს¹ და იხსენიებს ევროპელ მეცნიერებს, რომლებიც ასე აღვილად აშენებენ თავის „მეცნიე-რულ“ თეორიებს შეუმოწმებელ ფაქტებზე.

„მე მაინც სიამოვნებით ვფიქრობდი, — რომ არ გამომექვლია ეს მნიშვნელოვანი მდინარის „შესავალი“, — გეოგრაფიის დარგში მომუშავე მწერლები ჰქონდათ ამბად გამოაცხადებდენ, თითქოს იგი ჩრდილოეთით უერთდება ჩრდილოეთის ზღვას ან აღმოსავლეთით ბათფინის ან ჰუდზონის უბეს. შეიძლება აღნიშნათ იგი რუკაზე შეტი ზედმიწევნით და, უფრო სწორი მითითებებით, ვიდრე დეფუ-კას და დეფონტეს უხილავი სრუტები, უხილავი იმიტომ, რომ ისინი გამოგონილი არიან. ამ მდინარის აღმოჩენა აღნიშნეს ბრიტა-ნეთის ბაირალით: ხომალდები წავიდენ წინ და მალე მოხვდენ. კუნ-ძულების არქიპელაგში. მათ ისარგებლეს სრუტით, რომელმაც გა-მოიყვანა ხომალდები საშიშ აღგილებიდან, გაიარეს ამერიკის და კუნძულ კოდიავს შორის და მიადგენ აღიასკას ნახევარ კუნძულს.

კუნძულებს შორის გავლის დროს „აღმოჩენამ“ სამჯერ დას-ცალა ზარბაზანი, გაწვა დრეიფუში და სიგნალებით გამოაცხადა მო-ლაპარაკების საჭიროება. კუკმა გაგზავნა ნავი. მას ეშინოდა უბე-დური შემთხვევის ან ხომალდის დაზიანების. მოვიდა კაპიტანი კლერკი და გაფანტა ყოველგვარი შიში. თურმე აღგილობრივი მცხოვრებლები მივიდნენ ნავით „აღმოჩენასთან“ და ვადასცეს კლერკს კოლოფი, სადაც იდგა სუფთად შენახული, დაგეცილი ქა-ლალდის ფურცელი; გავსებული გაუგებარი ასოებით. თავში აღნიშ-ნული იყო ციფრი 1778, მეორე გვერდზე კი 1776. კუკმა და კლერკ-მა გადაწყვიტეს, რომ ქალალდი დაწერილია რუსულად და რომ ისინი მალე შეხვდებიან რუს მრეწველებს, რომლებიც მოგიან აქ ბეწვეულობის შესასყიდათ. ყოველივე ამას მოწმობდა. ის, რომ ადა გილობრივი მცხოვრები, რომელმაც მოიტანა კოლოფი, კუდი იხ-დიდა და სალამს იძლეოდა ევროპულ წესზე: როგორც ჩანს, რუ-სებთან ურთიერთობის დროს; აღგილობრივმა მცხოვრებლებმა შეით-ვისეს, ეს მათი მიხვრა-მოხვრა. შეიძლება რუს მეზღვაურებს კა

¹ ამ მდინარეს შემდეგ ეწოდა კუკმის მდინარე.

ტასტროფა შეემთხვათ და დახმარებას თხოულობენ? კლერკმა გაუშვა ადგილობრივი მცხოვრები ისე, რომ კარგად არ გამოკითხა მას ყოველივე: აი ამიტომ, კაპიტანმა გადაწყვიტა, მიეცა სიგნალი კუქისთვის და მოეთხოვა მისგან რჩევა. კუქს არ სჯეროდა ხომალდის დაღუპვის შესაძლებლობა; მაშინ რუსები ვინმე თავისიანს გამოგზავნიდენ. წერილი, ალბათ, დასტოვეს მრეწველებმა; სხვა რუსებისთვის გადასაცემად, ადგილობრივ მცხოვრებლებს ინგლისური ხომალდები რუსული ეგონათ და დავალება შეცდომით შეასრულეს. შეჩერება არ იყო საჭირო. კაცი, რომელიც შემდეგ შეჩერებაზე მათ შეტყვათ, აგრეთვე იხდიდა ქუდი და იძლეოდა სალამს. გარდა ამისა, მას ეცვა მწვანე მაუდის შარვალი. ყველაფერი მოწმობდა, რომ რუსები აქ ხშირად ყოფილან. ადგილობრივი მცხოვრებლები დაცურავდენ პატარა ნავებით და სარგებლობდენ, ორფრთიან ნიჩბით. მათი ბრიტყვლი, ვიწრო თვალებიანი სახე და გამოშვერილი ყბები არ იყო შეღებილი, როგორც დასავლეთ ამერიკის მცხოვრებთა სახე და მათ არ ესმოდათ ამერიკელ მცხოვრებთა ენაზე წარმოთქმული სიტყვები: კუქს ეშინოდა აქარებული დასკვნის გამოყვანა: „....შეიძლება, ეს უნდა მივაწეროთ ჩვენს ცუდ გამოთქმას, და არა მათ მიერ ენის უცოდინარობას“.

ერთმა კვირამ გაიარა: ხომალდები ნელა მისცურავდენ ხშირ ნისლში. ბოლოს სიბნეულე გაიფანტა და გამოჩნდა ახალი კუნძულები. და მთა-გრეხილები. ადგილობრივი მცხოვრებლები მიათრევდენ მოკლულ ვეშაპს. კუნძულებს შორის მოჩანდა: გასავალი ჩრდილოეთისაკენ. ხომალდებმა ჩაუშვეს ლუზა კუნძულ უნალაშკასთან. ადგილობრივმა მცხოვრებმა ისევ მოიტანა წერილი, როგორც ჩანს, ისიც რუსულად იყო დაწერილი. ცუქმა წერილი უკან დაუბრუნა.

ხომალდებმა გაიარეს ალეუტის კუნძულების არქიპელაგი და გამოვიდნენ დიდ უბეში, რომელსაც კუქმა ბრისტოლი უწოდა.

დღიურის ნაწერები უნალაშკიდან წასვლის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში ერთფეროვნად აღნიშნავენ ხომალდის ცვალებად კურსს და ასტრონომიულ დაკვირვებებს, კუქის ჩვეულებრივი დუმილი თავის თავზე, თავის პირად ცხოვრებაზე. სრული მშვიდობიანობის და სწრაფად გავლილ დროის შთაბეჭდილებას ქმნის როგორც ყოველთვის ეს ხდება. დღიურებში, ნამდვილად კი მდგომარეობა სულ სხვა გვარი იყო. „გაბედულებაზე“ იმყოფებოდა მშიმე ავალ-მყოფი, კუქისთვის ახლობელი აღამიანი. ორი თვე იყო, რაც ლაწვა ანდერსონი. კლექტი ნელა უღებდა ბოლოს ახალგაზრდა კაცს. ერთ წლის განმავლობაში ის უჩიოდა უქეთობასაც რომელიც მხოლოდ

იშვიათად სტოვებდა მას, ტროპიკულმა ჰავაში განსაყუთრებით ცუდად იმჯემედა ავადმყოფის მდგომარეობაზე. როდესაც ხომალდები მიეიღენ ამერიკის ნაპირებთან, ანდერსონმა თავი უკეთ იგრძნო და უწინდელი გატაცებით მიჰყო ხელი თავის ბოტანიკურ გამოკვლევებს და კოლექციებს. კუქს ეგონა, რომ ქირურგი გამოჯანსალების გზაზე დადგა. ანდერსონი ისე, როგორც, თავის დროზე გეორგ ფორსტერი, კუქისთვის სხვა თანამგზავრებზე უფრო ძვირფასი იყო. ნიჭიერი ექიმი და კარგი ბოტანიკოსი, ანდერსონი, ამავე დროს, მშვენიერი ადამიანი და კარგი ამხანაგი იყო. მასთან მუშაობის და მასთან ყოფნის დროს კუქი გრძნობდა თავის გერდით ქრთვულ თანაშემწეს და, შეიძლება, ერთად ერთ ადამიანს ხომალდზე, რომელიც მთლიანად იზიარებდა მის შეხედულებებს. ლია ზღვაში მოსაწყინ ცურვის დროს, საუბარი ანდერსონთან ამოკლებდა დროს და არც აბეზრებდა ერთფეროვანებით. ავადმყოფობამ თავისი საბედისწერო ბეჭედი დასვა მის გამხდარ და წყნარ სახეს ლურჯად მოევლო თვალებს, გაუწიოთლა ლოყები და ყრუ ხველებით უხუთავდა სულს. და აი, უკვე ორი თვეა, რაც ანდერსონი უარესად არის; მას სიცხეს აძლევს, ახველებს და სისხლს აღებინებს. ის უფრო და უფრო ხშირად რჩებოდა თავის კაიუტაში და ეძნელებოდა ერდოზე ამოსვლაც კი, კუკი ნახულობდა მას რამდენჯერმე დღეში, უამბობდა ხომალდზე მომხდარ ახალ ამბებს, ატყობინებდა, თუ რა დაინახა ნაპირზე, მაგრამ კუკმა დაუმალა ავადმყოფს, რომ ნისლმა ნაპირებთან კინაღამ არ დაღუპა „გაბედულება“; ავადმყოფობაზე უუბნებოდა, რომ იგი მალე გავილის და, როგორც ცეოლი გადია, ასმევდა წამალს, უსწორებდა ბალიშებს, თუმცა აღარ სჯეროდა წამლების განმკურნავი ძალა. წყნარ, მზიან დღეებში ივადმყოფი ამოკეავდათ ერდოზე. ის მიუბრუნებდა ხოლმე მზეს სანთელივით ყევითელ სახეს, უცქეროდა კას, ღრუბლებს, გამოცოცხლდებოდა და აშენებდა მომაკლის გეგმებს.

მაგრამ ავადმყოფობამ დაიწყო გართულება. ანდერსონი დაწვა მან უთხრა კუკს; „ჩემთვის ძნელი წერა... აი, ჩემი დღიური... შეიძლება მე ვეღარ მოერჩე.... აი სხვა წალალდები.... თქვენ, კაპიტანო, წაიღეთ ეს კუვლაფერი,... და როდესაც დაბრუნდებით ინგლისში, — გადაეცით სერ ჯოზეფ ბენჯეს.... სამეფო საზოგადოების შეიძლება გამოადგეს ჩემი მცირე შრომა.... მე ძლიერ ვიღლები.... აი, აქ მე დავწერე“, და მან მიაწოდა კუკს ქალალდის ფურცელი — ანდერსი. კუკი დაპირდა თხოვნის შესრულებას და გაჩუმდა, როგორ შეეძლო მას მომაკვდავისთვის ნუგეშის მიცემა? ეცრუა, როგორც

უოველთვის ცრუობენ ასეთ შემთხვევაში — ეს მას სისულელედ და შეურაცყოფად მიაჩნდა. ასეთ წუთებში სჯობდა გაჩუმება. ავადმყოფის გამხდარი ხელი შეეხო მის ხელს.

„ბატონი ანდერსონი, ჩემი ქირურგი, რომელსაც ერთ წელი-წადჲე მეტია, რაც ჭლეჭი სჭირს, გარდაიცვალა საღამოს სამსა და ოთხ საათს შეუა. ეს იყო ახალგაზრდა კაცი, აღსავსე კეთილშობილ გრძნობებით, ჭკუით და სასიამოვნო ჭრევით. მან კარგად იცოდა თავისი ხელოვნება და მიაღწია ღიდ ცოდნას სხვა დარგებშიდაც; ალ-ბათ, მყითხველები მიხვედრილი არიან თუ რამდენად სასაჩვენებლო იყო იგი ჩემთვის მოგზაურობის განმავლობაში. სიკვდილს რომ მის-თვის ბოლო არ მოელო, — მე დარწმუნებული ვარ, საზოგადოება მიიღებდა მისგან თხზულებებს იმ ჭვენების ბუნების ისტორიის შესახებ, რომლებიც ჩვენ მოვიარეთ. ეს ნაწერები თვალსაჩინოდ და-იმტკიცებდენ, რამდენად ღირსი იყო იგი აქ, ჩემს მიერ გამოთქმულ, ჭებისა.

„...მალე მას შემდეგ, რაც პატიორისონმა უკანასკნელად ამოისუნთ-ქა, ჩვენ დავინახდთ დასავლეთით მიწა, თორმეტი ლიეს სიგრძის. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს კუნძულია და მე ვუწოდე მას ანდერსონის კუნძული. მინდოდა ამით უკვდავმეყო იმ ადამიანის ხსოვნა, რო-მელიც მიყვარდა და ლრმად პატიოვა ვცემდი.

კუკა არ ელირსა მეგობრის უკანასკნელი ნების შესრულება და ანდერსონის ქალალდები, რომლებიც წიგნებთან და სხვა საბუთებ-თან ერთად გადაეცა საადმირალო სამმართველოს, მთლიანად ვერ მოხვდა. ბენქსის ხელში. ლორდებმა საჭიროდ სცნეს, პოლიტიკური ხასიათის მოსაზრებებით, დაეტოვებიათ ქალალდების უმეტესი ნაწი-ლი თავის სამინისტროში და დაეთმოთ მხოლოდ ის, რაც ბუნების ისტორიას შეეხებოდა.

ამ ღროს ხომალდებმა მიაღწიეს ამერიკის დასავლეთ კონცხს ჩრდ. განედ. 65°-ზე, საღაც ჯერ კიდევ არც ერთი უვროპელი მეზ-ლვაური არ ყოფილი. კუკმა პირუელმა აღნიშნა ზედმიწევნით აზი-ისა და ამერიკის პატერიკების დაახლოების მანძილი. აქამდე შე-იძლებოდა მხოლოდ რუს მოგზაურთა გაურკვეველ ჩვენებით ხელ-მძღვანელობა. მოპირდაპირ ნაპირზე კუკმა დაიხახა აღვილობრივი შეცხოვრებლები, რომლებიც მკვეთრად განირჩეოდენ ამერიკის შეცხოვრებთაგან მაღალი ტანით, მოგრძო სახით, სამკაულთა სიმცი-რით, ბეჭვიანი სამოსით, რომელიც მათ თავსაც უფარავდა; მრგვალი გრძელწვეტიანი, ზღვის ძალების ტყავისაგან გაკეთებული კარვე-ბით.

„ჩევნ ჯერ ვიფიქრეთ, რომ ეს მიწა შეაღგენს. კუნძულ ალიას-კის ნაწილს, აღნიშნულს რუკაზე ბატონ შტელინის მიერ, რომელ-ზედაც მე ზევით ვლაპარაკობდი. მაგრამ ნაპირის მოხაზულობამ, მოპირდაპირე, — ამერიკის ნაპირის მდებარეობამ და გრძელდა მიგვი-ყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეს არის „ჩუტის მხარე“, ანუ აზიის აღ-მოსავლეთი კიდე, რომელიც ნახა ბერინგმა 1728 წელს“¹.

ბერინგის სრუტით გაიარეს ჩრდილოეთისაკენ. ჩრდ. განედ. 70°44'-ზე ყინულის მინდორმა გააჩერა ხომალდები. კუკი შეეცადა შოვლო — ყინულებისთვის სამხრეთ-დასავლეთიდან, შემდეგ იგი ისევ წავიდა ჩრდილოეთისაკენ 70°-მდე, მაგრამ ყინულის ზოუ-დე სამი მხრიდან გადაეღობა მათ და გრძოსავალი მხოლოდ სამხრე-თისაკენ იყო. „მე ვფიქრობდი მომექებნა ადგილი, სადაც ჩევ-ძლებდით წყლის და შეშის მარაგის შევსებას. განსაკუთრებით მა-ფიქრებდა ის, თუ როგორ გამეტარებინა ზამთარი ისე, რომ მომე-ტანა სარგებლობა ნავიგაციისა და გეოგრაფიისათვის და მზად ვყო-ფილიყავი მომავალ ზაფხულში უკან დასაბრუნებლად რომ განმეო-ლებინა გასავლის ძიება“. სექტემბრის დასაწყისში ხომალდებმა ჩა-მოუშვეს ღუზა წმინდა ლავრენტის ნავსაყუდელში.

„მე სამართლიანი პატივისცემა უნდა მივაგო ბერინგის ხსოვ-ნას და დავამოწმო. რომ მას შესანიშნავად გადაულია ნაპირის და გა-ურკვევია განედის და გრძელის წერტები, ბევრად უკეთ, ვინემ ეს შევგეძლო მოგვეთხოვა მისგან, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ხერხებს, რითაც ის სარგებლოდა“.

კუქმა მიაღწია ყველაფერს, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა ზამ-თრის დადგომამდე. მას არ სურდა წასულიყო კამჩატკის პეტროპავ-ლოვსკში არა მარტო იმიტომ, რომ ეს ნავსადგური მოუხერხებელი იყო, არამედ იმიტომაც, რომ არ სურდა უსაჭმოდ დარჩენილიყო. „საშინლად მეზარება ექვსი ან შვიდი თვე უსაჭმოდ დარჩენა. მე ვერაფერს სასარგებლოს ვერ გავაკეთებდი, რომ გაგვეტარებინა ზამ-თარი ამ ჩრდილოეთის ქვეყანაში“. მან გადაწყვიტა წასულიყო უკან, სენდვიჩის კუნძულებისაკენ და გაევლო უნალაშკაში, წყლის მარა-გის მისაღებად.

¹ შტელინი—აკადემიკოსი, დედოფალ ეკატერინე II-ს მრჩეველი, დასწერა პატარა წიგნი რუსების მოგზაურობათა შესახებ კამჩატკაზე და ბერინგის ზღვის კუნძულებზე. ეს ნაშრომი მეტად ზერელეა, არ შეიცავს არც ამონაშერებს ხომალ-დების უურნალებიდან და არც გზის დაწვრილებით აღწერას, დართული რუკა არ არის ზუსტი. წიგნი გამოცემულია გერმანულ ენაზე.

კუკის წაკითხული. ჰქონდა „ფილოსოფიური ნაწერები“, მიუღლების და რობერსტონის წიგნები რუს მეზღვაურთა მოგზაურობაზე ამერიკის ნაპირებისაკენ. ამიტომ მან რუსების შესახებ მეტი იცოდა, ვიდრე მრავალმა მისმა თანამშრომელმა, რომლებიც, მეტი წილად, ალმაცერად უყურებდენ ამ შორეულ, „ნაცევრად ბარბაროსულ“ ქვეყანას. ფართე საზოგადოების ინტერესი აზიასა და ამერიკას შორის აღმოჩენებისადმი დაიბადა მხოლოდ XVIII საუკუნის დამლევს; როდესაც კუკის უკანასკნელმა მოგზაურობამ ასეთი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, სწორედ მაშინ გამოქვეყნდა, უმთავრესად გერმანულ ენაზე, უფრო დაწვრილებითი აღწერანი და სერიოზული ნაშრომები რუს მოგზაურებზედაც. კუკი დიდად აფასებდა ბერინგის და ჩირიკვის დამსახურებას და ახლა, დარწმუნდა რა მათი ცნობების სისწორეში, კიდევ უფრო დაინტერესდა ყველაფრით, რაც კი რუს მეზღვაურთა მოგზაურობებს შეეხებოდა. რუსებზე, საერთოდ, ცოტა რამ იცოდნენ, და მათ ისეთივე უცნაურ არსებებად სთვლიდენ, როგორც „ინდოელებს“.

როდესაც 3 ოქტომბერს ხომალდები სამგანუტკის ნავსაყუდელში მივიდნენ, და მუშებმა დაიწყეს ხომალდების შეკეთება, შეზღვაურები კი დაითანცენ წყლის და სურსათის მოსაძებნად, აღგილობრივა მცხოვრებლებმა დაიწყეს თევზით ვაჭრობა და დილიდან სალამომდე დასცურავდენ ხომალდების ირგვლივ თავის ნავებზე. ხუთი დღის შემდეგ ერთმა მათვანმა გაშოაცხადა „გაბედულების“ კაპიტანის ნახვის სურვილი. „... რვა რიცხვში უნალაშკის ერთერთმა მცხოვრებმა, სახელად დერრამუშქმა, მითავაზა მეტად უცნაური საჩუქარი, თუ მივიღებთ მხედველობაში ადგილს, სადაც ჩენ ვიმყოფებოდით, ეს იყო ჭვავის პური, ან, უფრო სწორედ, ნამცხვარი, რომელსაც ქონდა პურის ფორმა, შიგ კი ჩატენილი იყო პილპილით შეცაზმული ორაგული მაგრად. ამავე ადამიანმა მიუტანა ასეთივე საჩუქარი კაპიტან კლერკს წერილით, მეორე წერილიც მე მომიტანა, ორივე ბარათი დაწერილი იყო მთელ კაპიტანისათვის უცნობ ენაზე; ჩვენ სამართლიანად ვიგულისხმეთ, რომ ეს საჩუქრები გამოგვიგზავნეს ვიღაც, ჩვენს მეზობლად მყოფმა რუსებმა. ჩვენ გავუგზავნეთ მათ, იმავე კაცის ხელით, რამდენიმე ბოთლი რომი, ლვინო და ლუდის მსგავსი სასმელი, რომელსაც პორტერი ქვია. ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ამაზე უკეთეს ვერაფერს ვერ შევთავაზებდით მათ, და მართლაც მაღვე გავიგოთ, რომ არ შევმცდარეართ...“

კაპრალი, რომელიც გაგზავნეს საჩუქრებით, დაბრუნდა ორი დღის შემდეგ და მოიყვანა სამი რუსი მრეწველი: ისინი ყიდულობდენ უნალაშკაზე ბეწვეულს, ჰქონდათ იქვე სახლი, საწყობი და ოც-
170

დაათ ტონიანი ნავი, რუსები წერა-კითხვის მცოდნენი აღმოჩნდენ; ცოდენ არაბული ციფრები და კუკი ნასიამოვნები და გაკვირვებული იყო იმით, რომ ისინი არამც თუ ჭკვიანები იყვნენ, — არამედ ჰრდილობიანი ყოფაქცევაც კი ჰქონდათ. ცუდი ის იყო, რომ მათ არ ესმოდათ ინგლისური ენა, მთარგმნელი კი არავინ იყო. მიუხედავად ამისა, კუკი მიხვდა, რომ მათ იციან ბევრი რამ ბერინგზე, სხვა მეზღვაურებზე და ჩრდილოეთის პოლარულ ზღვისაკენ გასავლის, ძიების ცდაზე. მათ იცოდნენ რუს ლეიტენანტტ სინდის მოგზაურობაზედაც, რომელმაც 1766 წ. ოხოტსკიდან მიაღწია ამერიკის ნაპირს ჩრდ. განედ. 66°-ზე. უცნაური ის იყო, რომ მათთვის სრულებით უცნობი იყო კამჩატკა და ამერიკის ნაპირები, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც მათი მხარის პირდაპირ მდებარეობდა. მათ დაათვალიერეს კუკის რუკა და სთკვეს, რომ ვერ მოძებნეს იქ აღნიშნული კუნძულები. კუკისთვის სასიამოვნო დარჩა, რომ რუსები დიდის მოწიწებით იხსენიებდენ ბერინგს და მშვენივრად ესმოდათ, რომ მთელ თავის სიმდიდრეს ისინი ამ გაბედულ მეზღვაურს უნდა უმადლოდენ, რომელმაც თავისი სიცოცხლე გასწირა. რუსებმა გაათიეს ლამე „გაბედულებაზე“, შემდეგ წავიდნენ და დაპირდენ ისევ დაბრუნებულიყვნენ და მოეტანათ თავისი რუკები.

„თოთხმეტს საღამოს, როდესაც ბატონი ვებერი და მე სამგა-ნუტკის მახლობლად სოფელში ვიმყოფებოდით, დავინახეთ რუსი, რომელიც ნაპირზე გადმოვიდა. როგორც მე შემდეგ გავიგე, ეს იყო მთავარი პიროვნება ამ ადგილებში და მახლობელ კუნძულებზე. მას ერქვა ერაფიმ გრიგორიოვ სიმ ისმილოვ“¹.

რუსმა, თავისი რამდენიმე ამხანავით, გაშალა კარავი ინგლისულების სამყოფელის მახლობლად: ხშირმა მისვლა-მოსვლამ მათ შორის განამტკიცა ნაცნობობა. იზმაილოვი უმასპინძლდებოდა კუკის ორაგულით და მოცხარით, კაშიტანი კი სთავაზობდა რუსებს რომა და პორტერს. მუნჯური ლაპარაკი აქმაყოფილებდა ორივე მხარეს და კუკმა გაივი, რომ იზმაილოვმა იცის გეოგრაფია, იცნობს რუსების ყველა მოგზაურობას და რომ იფი სინდთან ერთად იყო ჩუკოტის ტევირობა. გარდა ამისა, მან სთკვა, რომ არც ერთთ რუსი არ ყოფილა. ჩუკოტის ცხვირის პირდაპირ მდებარე ამერიკის ნაპირზე და რომ ამ მიწას ეწოდება ალიასკა, და არა „სტაშტან ნიტადა“, როგორც ეს ინგლისურ რუკებზეა წარწერილი. მან იღაბარაკა აგრეთვე რუსების ექსპედიციაზე 1773 წ. ყინულოვან კუკანეში, რომელმაც

¹ სერაფიმ გრიგორიოს-შე იზმაილოვი.

ყინულებზე მარხილებით მიაღწია კოლიმის შესართავთან მდებარე კუნძულებს. თვითონ იზმაილოვმა იმოგზავრა 1771 წ. ბოლშერეცკის და კურილის კუნძულებზე, იქნიან იაპონიაში, შემდეგ კანტონში, საფრანგეთში და პეტერბურგში. კუკმა ცერ გაიგო მისგან, — სად წავიდა ხომალდი, რომელმაც შეასრულა ეს მოგზაურობა და როგორი იყო ამ ექსპედიციის მიზანი.

ერთხელ იზმაილოვმა მიუტანა კუკს ორი ხელთნაწერი რუკა, ერთ მათგანზე დახაზული იყო კამჩატკა და ნაპირი ოზოტსკიდან იაპონიამდე. რუკა შეესწორებინა იზმაილოვს და კუკი მიხვდა, რომ რუსი გაზომვის დროს სარგებლობდა თეოდოლიტით. კამჩატკას იყი დაწვრილებით იცნობდა, იქ იყო მრავალი ბეწვეულობით მოვაჭრე რუსი მრეწველი. მეორე რუკა კუკისათვის კიდევ უფრო საინტერესო აღმოჩნდა. რუკაზე გამოსახული იყო აზის და ამერიკის შუა მდებარე კუნძულები და ამერიკის გასავლელი კიდე. კუკმა აღმოაჩინა ამ რუკაში ბევრი შეცდომა და არა სისწორე, მაგრამ როდესაც შეადარა იგი მიულერის წიგნზე დართულ რუკას, — ვერ გადასწყვიტა, რომელი მათგანი იყო უფრო სწორი. იზმაილოვი ამტკიცებდა თავის გაზომვათა სისწორეს, რასაც ორივე რუკაში შეჰქმნდა შესწორება. კუკს თავისი მოსაზრებები ჰქონდა, მაგრამ უნდა გამომტყდარიყო, რომ შეიძლება მისი გამოანგარიშებანი არ იყვნენ მთლად ზედმიწევნითი. მხოლოდ უნალაშვის აღგილმდებარეობა არავითარ ეჭვს არ იწვევდა. კუკს სწორედ გამოეანგარიშებინა მისი კოორდინატები.

„აი ყველაფერი, რისი გაგებაც მე შევიძელი რუსებისაგან, ქვეყნის ამ ნაწილის გეოგრაფიის შესახებ, მე ვბედავ ვითიქრო, რომ მათ მეტი არაფერი იცოდენ, რადგან რამდენიმეჯერ მარწმუნებდენ, — მათ რუკებზე აღნიშნულ კუნძულების გარდა სხვას არ ვიცნობთონ და არც ერთ ხომალდს არ უნახავს ამერიკის მატერიკის ის ნაწილი, რომელიც უფრო ჩრდილოეთით მდებარეობს, გარდა ჩიუტის შხარის პირდაპირ მდებარე ნაპირისათ.“

კუკი მეგობრულად გამოეთხოვა იზმაილოვს, გადასცა მას წერილი საადმირალო სამმართველოს ლორდებთან, რომელსაც დაურთო ამერიკის ნაპირების და აღმოჩენილ კუნძულების რუკა. იზმაილოვი, დაპირდა გაეგზავნა ყოველივე ეს გაზაფხულზე თხოტსკიში და ანგარიშით, რომ ურთი წლის შემდეგ ცეტერიშურგში ჩასჭლილ თავის მხრივ, მან გადასცა კუკს წერიალების მაიორ ბემთან, კამჩისტ-

კის გუბერნატორთან და პეტრო-პავლოვსკის პორტის უფროსთან-კუქმა აჩუქა იზმაილოვს ოქტომბრი და აუსტრია მისი ხმარების წესი¹.

მეორე რუსი, რომელიც გაიცნო კუქმა, იყო იაკობ ივანეს-ძე საპოუნიკოვი, პატარა ხომალდის მეთაური, რომელიც იდგა კუნძულ უმანოკას ნავსაყუდელში. „იგი ძლიერ თავდაჭერილი იყო და არ მოისურვა გაესინჯა ჩვენი მაგარი სასმელები, რომლებიც მეტად უყვარდა ყველა მის იქ მყოფ თანამემამულეს. საპოუნიკოვი სწორედ ის აღამიანია, რომელსაც უნდა გადაეცა ბემისათვის კუქის წერილი.

ინგლისელებიც, თავის მხრივ, ესტუმრებოდენ ხოლმე რუსებს. კუქმა საჭიროდ სცნო უფრო დაწვრილებით აეწერა აქამდე უნახავ ხალხის კვება და ტანსაცმელი. „რუსებს ეხერხებათ ჩვეულებრივ პროდუქტებისათვისაც სასიამოვნო გემოს მიცემა. მე ვკამე მათ მიერ დამზადებული ვეშაპის ხორცი და ძალიან გემრიელად მეჩვენა, ისინი აკეთებენ რაღაც პუდინგის მსგავსს, ორაგულს შემწვარ ხიზილა-ლიდან, რომელიც მათ პურის მაგიერობას უწევს და არც თუ ისე ცუდია.... მათ აცვიათ შარვალი, ბეწვის ქუდი, მაღალი ჩექმები, რუსული ტყავისაგან გაკეთებული ძირებით და ზემო პირით, ჩექმის ყულები კი ძლიერ მაგარი ნაწლევებიდანაა გაკეთებული. ორივე მე-თაური, იზმაილოვი და ივანოვიჩი, ატარებდენ მატყულის ზემოტანსა-ცმელს ე. წ. კაფტანებს და, სხვების მსგავსად ეცვათ აბრეშუმის პე-რანგები.... ეს ბეწვით მოვაჭრები, დრო გამოშვებით, სცვლიან ერ-თი მეორეს, ისინი, რომლებიც ჩვენ ვნახეთ, ჩამოვიდნენ. ოხოტსკი-დან 1776 წ. და უნდა დაბრუნდენ უკან 1781 წ.“

კუქის სიმპატიები აშკარად რუს მრეწველების მხარეზე იყო. ის ამართლებდა „პეტერბურგის კაბინეტის“ განკარგულებებს, შკაცრი ზომების მიღების შესახებ ადგილობრივ მცხოვრებთა მიმართ. ვაჭ-რების აღვირასნილობა, რომლებიც მეფის ბრძანებებს თავის სასარ-გებლოდ ხსნიდენ, მთელი თავისი სისასტიკით თავს ატყდებოდა და-მორჩილებულ ხალხს. დედა-ქალაქიდან ცხრა მთას იქით მჯდომი, განაპირა მხარეთა მმართველები ფარავდენ მრეწველების ცოდვებს, რადგან ესენი მათი კეთილი განწყობილების მოსაპოებლად დიდალ ქრითაშ იხდიდენ. კუქი ამართლებდა ვაჭრებს და სოვლიდა, რომ მათი ყოფა-ქცევა, — ერთად-ერთი საშუალებაა ადგილობრივ მცხოვ-რებთა. ცუდ მიდრეკილებების გამოსასწორებლად. უკვე ძნელი საც-ნობი იყო ეს უწინდელი ლიბერალი, მეოცნებე თავისუფლებაზე და-

¹ ოქტომბერი — კუქის მზომი ხელსაწყოა, რომელზედაც აღნიშნულია წრის მერვედი ნაწილი.

ძმობაზე; ფილანტროპი, რომელიც ქადაგებდა ალერსიან და ტკბილ მოპყრობას „ველურებთან“. როგორც ჩანს, კუკს გული აუცრუვა მისი საკუთარი ცდების დამარცხებამ და უწინდელმა შეხედულებებმა წლების განმავლობაში ადგილი დაუთმეს თუ სხვა „აღმომჩენელთათვის“ ჩვეულებრივს, უხეშ თვითნებობას არა, — ყოველ შემთხვევაში ზემოქმედების უფრო ნაცნობსა და იოლ წესს, რომელიც შემოლებული ჰქონდათ ევროპელებს. ეს წესი იძლეოდა ძალადობისა და პირველყოფილ ადამიანთა ნახევრად ცხოველურ ინსტიქტების სუსტ მხარეზე ზემოქმედების ნებას.

უკვე ამ მოგზაურობის დასაწყისიდანვე კუკი შესამჩნევად სცვლის თავის დამოკიდებულების ტაქტიკის ადგილობრივ მცხოვრებლებთან. რაც დრო გადიოდა იგი მათ უფრო იშვიათად იჩენდა თავდაჭერილობას. მრავალი მისი საქციელი უკვე აღარ შეიძლება მივაწეროთ მხოლოდ გულფიცხობას. ამ საქციელს იგი ხშირად სჩადის წინასწარი მოფიქრებით, სისტემატურად. ვერც გონიერებამ და ვერც გულგრილობამ ვერ აიძულა იგი დაეძლია თავისი საზოგადოებრივი გარემოს შეხედულებანი და ტრადიციები. ყოველ მხრივ იგი იდგა მრავალ თავის თანამედროვეზე მაღლა, მაგრამ ვერ გაიკათა სხვა გზა და საბოლოოდ ვერ განთავისუფლდა ტრადიციის. შეძოველი ბორკილებისგან. შეიძლება სწორედ ამიტომაა, რომ ეს თავდაჭერილობა შექმნილ კონფლიქტის გადაწყვეტის დროს და მშვიდობიანი გზის უარყოფა იყო სწორედ მისი ბედნიერი ცხოვრების ტრალიკულად დაბოლოვების მიზეზი.

გადაწყვეტილი იყო უნალაშკილი წასულიყვნენ პირდაპირ სენდვიჩის კუნძულებისაკენ, სადაც უნდა გაეტარებინათ ზამთრის რამდენიმე თვე, მოემარაგებინათ ყოველივე, რაც საჭირო იყო, და დატრუნებულიყვნენ უკან კამატკაში იმ ანგარიშით, რომ იქ მაისის შუარიცხვებში მისულყვნენ.

1779 წლის პირველი დღე დაიწყო ხშირი ნისლითა და წვიმით სენდვიჩის ერთეული კუნძულთაში. ქარიშხლის მიზეზით ხომალდები ხშირად კარგავდენ ხოლმე ერთშანეთს, ამიტომ ისინი ფრთხილად მოძრაობდენ მიწის ნაპირის სიახლოვეს ორი თვის განმავლობაში, და ექებდენ მოხერხებულ ნავსაყუდელს. ხომალდები შორიდან ფრთხილად უვლიდენ ბრავებს, სადაც ზეირთები. უფრო ძლიერი იყო.

ბოლოს, 16 იანვარს, 1779 წელს, გამოჩნდა ნავსაყუდელი, რომელიც თითქოს გამოსადევი იყო გასაჩერებლად. კუკმა გააგზავნა ლეიტენანტი დასაზვერავად. ამავე დროს ხომალდებს გარს შემოხვია

შრავალი ნავი, სავსე ხალხით, ლორებით, ხილეულით. ეს უფალავი ფლოტილია ირეოდა და ყაყანებდა მთელი დღის განმავლობაში. არც ერთი კუნძულელი არ იყო შეიარაღებული და მათი მშვიდობიანი განწყობილება აშკარა იყო კუკისთვის. როგორც ყოველთვის, ასეთ ბრძოში აღმოჩნდა ქურდი: მან მოიპარა საჭე „გაბედულების“ ერთერთი ნავიდან და გაიქცა. კუქმა გადასწყვიტა ესარგებლნა ამ შემთხვევით და ეჩვენებინა ადგილობრივ მცხოვრებთათვის ცეცხლის შერქვეველი იარაღის ძალა. მან უბრძანა სამჯერ გაესროლათ თოვლიდან და სამჯერაც მორტირიდან გაქცეულ ნავის ზევით. ამით არავინ არ დაშავებულა, მაგრამ შეშინებულმა კუნძულელებმა მიაშურეს ნაპირს და კეთილი, მშვიდობიანი განწყობილება შეიცვალა. ფრთხილი გარინდებით. მათ ვერ გაიგეს გასროლის მნიშვნელობა, რადგან არ დაუნახავთ. არც დაჭრილები და არც მოკლულები და მეორე დღეს, როდესაც ხომალდები შემოვიდნენ ნავსაყუდელში, — კუნძულელთა მშვიდობიანი და ცნობის-მოყვარე ბრძო შეხვდა უცხოელებს.

კუქი ქმაყოფილი იყო ასეთი შეხვედრით: მას ეგონა, რომ ბოლოს, როგორც იქნა, მან მიაღწია სასურველ დამოკიდებულებას აღგილობრივ მცხოვრებლებთან. ამ დღეს მან დასწურა დღიურის უკანასკნელი გვერდი, მშვენიერი დაბოლოვება მისი ცოვრების ჩანაწერებისა, რომელიც მან მთლიანად შესწირა საყვარელ მიზანს:

„თერთმეტ საათზე ჩვენ ჩაუშვით ღუზა ნავსაყუდელში. (რომ შელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი უწოდებენ კარაკაკუს), ცაშეტ საუენის სიღრმეზე, სილოვან ფსკერში, მეორედი მიღის დაშორებით ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირიდან... არც ერთი ჩემი მოგზაურობის დროს მე არ მინახავს ასეთი მრავალრიცხვანი ბრძო, შეკრებილი ერთს ადგილას, რადგან, გარდა იმათი, ვინც ნავით მოვიდა ჩვენს შესახვედრად, ნავსაყუდელის ნაპირი მოფენილი იყო მაყურებლებით, სხვები დასცურავდენ ჩვენს ირგვლივ ასეულ აღამიანებისაგან შემზღვრ ჯაფუფებად და ისინი შეტად წაგავდენ თევზებიდან შეკრულ ტივებს. ეს არაჩვეულებრივი სურათი მეტად გვანცვიფრებდა. ქიმზე ცოტა აღმოჩნდა ისეთი, ვინც ინანა, რომ ამ ჯერად ვერ შევიძელი ჩრდილოეთის გასავლის გამონახვა, გასავალი რომ მომენახა, — ჩვენ ხომ აღარ გვეწნებოდა შემთხვევა მეორეჯერ შევჩერებულიყავით სენდვიჩის კუნძულებზე და გაგვემდიდრებინა ჩვენი მოგზაურობა იმ აღმოჩენით, რომელიც როგორც ჩანს, მრავალის მხრივ ჩაითვლება კველაზე მნიშვნელოვნად ევროპელების აღმოჩენებს შორის წყნარ იკვეანეს უზარმაზარ ფართობზე“.

თოთხევთი თებერვალი:

ოუგიგეი (Owhiyhee), — ერთ-ერთი დიდი კუნძულია სენდვიჩის არქიპელაგისა. კარაკაკუს ნავსაყდელი ლრმა ნახევარ წრეს წარმოადგენს. ორივე მხრით დაბალი კონცხია. ჩრდილოეთის კონცხი, — ბრტყელი და შიშველია. იქ აღილობრივ მცხოვრებთა ქოხებია; — სოფელი კოუროუ. უფრო შორს, ზღვიდან მიუვალ მაღალ კლდეების იქით, — კოკოსის პალმების ტყეა, მის გვერდით კი მდებარეობს შეორე დიდი სოფელი კაკუა. სამხრეთის კონცხი, დამუშავებული მინდვრებით და პალმების ტყეებით, მიიმართება კუნძულის სილამისაკენ. ტყეში მცხოვრებთა ქოხებია გაშენებული. შავი მარჯნის ბრაგები გაწოლილია ნავსაყდელის მთელი ნაპირის გასწვრივ. ძლიერი მოქცევის დროს აქ მისვლა შეუძლებელია. მხოლოდ კაქუას პირდაპირ ნაპირი ბრტყელია და სილოვანი. ამ ნაპირზე ერთის მხრივ არის მორაი, — სასაფლაო, მეორის მხრივ კი, მტკნარი წყლით სავსე ჭა.

ხომალდები გაჩერდენ ჩრდილოეთის კონცხის პირდაპირ. აღვილობრივ მცხოვრებთა ბელადები ამოვიდენ „გაბედულებაზე“, წარსდგენ კუკის წინაშე და გამოსთქვეს ყოველგვარი პატივისცემის ნიშნები. მათ თან მოიყვანეს მოხუცი ქურუმი კოაა, პატარა და გამხდარი კაცი, წირბლიანი, დაავადებული თვალებით და დამჭერარი სხეულით, რომელიც მუწუკებით და ჩირქიანი იარებით იყო დაფარული. მოხუცებული დაიხარა, მისცა კუკს მდაბალი სალამი, შემდეგ მიუახლოვდა მას, მხრებზე წითელი ქსოვილი მიაფარა და ბორლოს ლოცვების ბუტბუტით, დასლო მის ფეხებთან გოჭი. ამ ცერემონიამ გააკვირვა კუკი: წითელ ქსოვილს და გოჭს აღილობრივი მცხოვრებნი ღმერთების გამოსახულებას უძღვშიდენ: როდესაც კუკი, კინგთან და ბეილისთან ერთად იმ საღამოს ნაპირზე ჩამოვიდა, მას წინ წარუძღვა ოთხი კაცი. ამათ ეკავათ ხელში პატარა ჯოხები ძაღლის ბალნის ფუნჯებით და გაიძახოდენ ერთსადაიმავე ფრაზას, სადაც სიტყვა „ორონო“ სხვებზე უფრო მაღალი ხმით წარმოითქმდა. აღვილობრივ მკვიდრთა ბრბო სწრაფად იფანტებოდა, ქოხებთან მდგომი რამდენიმე აღამიანი, პირქვე დაეცა და ასე დარჩა მიწაზე განართხული. მოხუცმა ქურუმა რაღაც გაუგებარი მოსაზრებებით გააღმერთა კუკი და მას ღმერთის სახელი უწოდა; ქურუმის ეს გამოგონება აღვილობრივმა მცხოვრებლებმა სერიოზულად მიიღეს, ორონო, — უმაღლესი არსება, რომელმაც მოსცურა გრძნეულ, ფრთა შესხმულ ნავებზე ღმერთების ქვეყნიდან, ზეიმით მიაღაჯებდა ახლა.

მათ შიშაზე, მას წინ მიუძღვდენ მორაის მსახურნი: ნაკურთხი ჯო-
ნები ნიშავდა ტაბუს, ღმერთების სასტიკ აღკვეთას, რომლის დარ-
ღვევა სიკვდილს უდრიდა. ტაბუ აღკვეთას შესავალს საკურთხევ-
ლისაკენ: კრძალავს ამა თუ იმ საჭმელს, გარს ერტყმევა ზღვას და
მიწას და მაშინ ვერც ერთი ადამიანი ვერ დარჩება ამ აღგილზე. ტა-
ბუ, — ღმერთების უძველესი კანონია, გასაგები მხოლოდ ქურუმთა-
ოვის, რომლებიც ღმერთებს ელაპარაკებიან.

კოაა შეხვდა კუკს და წაიყვანა იგი მორაიში. იქ მას გარს შე-
მოეხვიენ სხვა ქურუმები და გალობა დაიწყეს. ტაძრის სილრმეში,
ნახევარი წრის სახით იდგა თორმეტი ხის თოჯინა. უხეშად გამო-
კვეთილი ადამიანების სახეები იმანჭებოდენ მრუდე ლიმილით. მათ
წინ აღმართული იყო მაღალი კვარცხლბეკი, ისეთივე, როგორც
ტატელთა ტაძრებში. როგორც იქ: — აქც კვარცხლბეკზე იდგა
შაქრის ლერწმით დაფარული, გახრწნილი ღორის ხორცი, კოკოსის
კაქლები, ბანანები და ბრინჯის ხის ნაყოფი. კოაამ დააყენა კუკი
კვარცხლბეკის ქვეშ და კიდევ დიდ ხანს ჩიფჩიფებდა უკბილო პი-
რით რაღაც ლოცვას. შემდეგ მან სთხოვა კუკს ასულიყო კვარცხლ-
ბეკზე შასთან და სხვა ქურუმებთან ერთად. იქ ქურუმები დიდ ხანს
გალობდენ ხან ერთად და ხან კი ცალ-ცალკე.

კუკის თანამგზავრები გაკვირვებით შესცემროდნენ, თუ როგორ
იდგა მათი კაპიტანი, გახვეული წითელ ქსოვილში, ნახევრად დამ-
პალ ეშაფოოტზე ორ, თითქმის შიშველ ველურ კაცს შორის; რომ-
ლებიც ხრინწიანი ხმით გალობდენ რაღაც სამგლოვიარო ჰანგს. კუ-
კი დაჯვერებით და მოთმინებით ასრულებდა რიტუალს. იგი ჩამოვი-
და კვარცხლბეკიდან და, კოაას მითითებით, დაწვა პირქვე დედამი-
წაზე შუაში მდგარ კერპის წინაშე, შემდეგ წამოდგა და აკოცა მას.
დაიწყო გამასპინძლება, ასევე მორჩილად მისცა კუკმა ნება ქურუმს
დაეზილა მისთვის სახე, კეფა, ხელები და მხრები კოკოსის კაქლის
კურკით, რომელიც მოხუცებულმა გაღეჭა და ჭინჭმი გაახვია. და
მხოლოდ მაშინ, როდესაც კოაამ გაუწიოდა მას თავისი ბინძური,
დაიარებული ხელი, რომ ჩაედო მისთვის პირში ღორის ხორცის ნა-
ჭერი; კუკმა ვერ სძლია ზიზლს. მან შეხედა მისკენ გამოწოდებულ
გაქონილ თითებს, რომლებიც ნახევარი საათის წინ ეხებოდნენ დამ-
პალ ხორციან კვარცხლბეკს; — და უარი სთქვა ჭამაზე. კოაამ ეს
თავისებურად ახსნა, ჩაიდო ნაჭერი პირში, გაღეჭა და ისევ შესთავა-
ხა. კუკმა ვეღარ მოითმინა და ყოველგვარი მიზეზების მოყვანის;
გააგებინა, რომ ეჩქარება ხომალდზე დაბრუნება. იმავე პატივით გა-
ცილეს იგი ნავამდე. მთელი ეს უცნაური და შემაწუხებელი ცერე-

მონია ერთი რამით ახარებდა კუქს: აშკარა იყო, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი მეგობრულად იყვნენ განწყობილნი.

ამგვარად, ქურუმები და ბელადები დიღის პატივით შეხვდენ კუქს. შესაძლოა, ისინი მოიქცენ ასე რაიმე ფარული პოლიტიკური მოსაზრებით, რაც დაკავშირებული იყო მათ ადგილობრივ საქმეებთან, ან რაიმე სხვა გამოჩენასთან. მართლა წარმოადგენდა მათთვის კუჭი ლეგენდარულ ნახევრად ღმერთს, თუ იგი მათ თვალში უბრალო მომაკვდავი იყო, — მოსახერხებელი ბრძოს მოსატყუილებლად, — სულერთია ორივე შემთხვევაში იგი მათთვის საჭირო კაცი იყო და პირადად მის წინააღმდეგ მათ არაფერი არ უნდა ჰქონილიათ და არც ჰქონდათ, როგორც ეს დაამტკიცა მათმა შემდგომმა საქციელმა.

შეხვეულრით ქმაყოფილი „ღმერთი“ შეუდგა თავის შინაურ საქმეებს, ანძების და იალქნების შეკეთებას და ლორის ხორცის დამარილებას ახალი წესით.

ადგილობრივი მცხოვრებნი ან დილიდან საღამომდე ფუსტუსობდენ ხომალდის ირგვლივ, ან ნაპირიდან უმზერდენ უცხოელებს. ისინი არა ერთხელ ხელავდენ კუქს, გართულს ჩვეულებრივ საქმიანობაში. მიუხედავად ამისა, მასთან შეხვედრის დროს, ზღვაში თუ ხმელეთზე, სულერთია, ისინი მოწიწებით პირქვე ემხობოდენ მის წინაშე. ქურუმებმა დაადვეს ტაბუ ინგლისელების ბანაკს, რომელიც მოთავსდა სასაფლაოს და, ქურუმების სახლის გვერდით და ცნობის მოყვარენი მხოლოდ ნაკურთხ ჯოხებით დასერილ ლობის ჭუჭრუტანებიდან ათვალიერებდენ ასტრონომიულ ხელსაწყოებს, ჯარისკაცების კარვებს და მომუშავე დურგლებს. ქურუმები იპატიუებდენ კუქს თავის სახლში, უმასპინძლდებოდენ მას, ბელადები მიართმევდენ, სთავაზობდენ მას ლორებს, კოკოსის კაკლებს, ბანანებს... „ასეთ შემთხვევებში, წერს კინგი, რომელიც აწარმოებდა დღიურს კუქის შემდეგ, — უმცროსი ბელადები ხშირად გვთხოვდენ ნებართვას, მოკტანათ საჩუქარი ორონოსთვის; მიიღებდენ თუ არა ამ ნებართვას, — ეს ბელადები მოდიოდენ და კრძალვითა და მორიდებით მოჰქონდათ ლორი.

რამდენიმე დღის შემდეგ ნავსაყუდელი უცებ დაცარიელდა და ხომალდები უსურსათოდ დარჩა. თურმე ხომალდებს ტაბუ დაადვეს, მეფის ჩამოსვლის გამო. რამდენიმე კუნძულელი შეეცარა დაერლვია აკრძალვა. „გაბედულებიდან“ მოჩანდა, როგორ აბრუნებდა უკან ერთი ბელადთაგანი ხომალდისაკენ გასაცურავად მომზადებულ მცხოვრებლებს. ხომალდზე გაისროლეს თოფიდან და მდგომა-

რეობა მაშინვე აღდგენილ იქნა: კუნძულელებმა მოიტანეს სურსათი, მათ კვალდაკვალ მოყვა-თვით მეფე ტერრეობუ, რომელმაც მოსცურა ნავით, ცოლშვილის თანხლებით. მან დაათვალიერა ხომალდი და მობრუნდა ნაპირზე, სოფელ კოუროუაში.

მეორე დღეს დაიწყო მორიგი ცერემონიები. ტერრეობუ და მისი მხლებლები გამოემგზავრენ ხომალდისაკენ საზეიმოდ მოკაზმულ ნავებით. პირველ ნავზე მოსცურავდა მეფე და ბელადები. ყველას ეხურა შალალი მუზარადი და ეცვა ფრთებიდან გაკეთებული წამოსასხამი, ხელში ეჭირათ გრძელი შუბები და დაშნები. მეორე ნავზე იმყოფებოდენ ქურუმები, გარშემორტყმული ვეებერთელა, წნელებისაგან გაკეთებული კერპებით. კერპები შეეხვიათ წითელ ქსოვილებში და მოეკაზმათ პატარა, ნაირფეროვანი ფრთით. მზეზე ლაპლაპებდა კერპების თვალები. — სადაფის რგოლები, შავი კაკლებით შუაში, უზარმაზარი პირები დაეღოთ და შიგ უჩნდათ ძალლის ქბილების ორი მწერივი. მესამე ნავი აევსოთ ღორის ხორცით და ხილეულით. ქურუმები საზეიმო ჰანგს გალობდენ. პროცესიაშ გარს შემოუარა ხომალდს და გაეშურა ნაპირისაკენ, სადაც ინგლისელების ბანაკი იყო.

კუკი გაყვა მათ კვალდაკვალ და მიიპატიუა მეფე კარავში. იქ დაიწყო შეხვედრის საცერემონიო წესი და კუქმა კვლავ. აასრულა უგრძესი რიტუალი, ტერრეობუშ ჩააცვა მას თავის წამოსასხამი, დაახურა ფრთებიდან გაკეთებული მუზარადი და მისცა ხელში ჭრელი, უცნაური მარაო. მიწაზე, კაპიტანის ფეხებთან გაშალეს ძვირფასი წამოსასხამები და დადვეს ოთხი დაკლული ღორი, შაქრის ლერწამი, კოკოსის კაკლები და ბრინჯის ხის ნაყოფები. მეფემ და კუქმა შეიცვალეს სახელები, — რაც წარმოადგენდა ყველაზე ერთგული მეგობრობის ნიშანს წყნარ იუენის კუნძულთან წარმოდგენით. შემდეგ, გრძელ მწერივად წამოვიდნენ ქურუმები. მათ უკან მსახურებს მოჰყავდათ ცოცხალი ღორები, მოჰქონდათ ბანანები და სხვა ხილი. მთავარმა ქურუმმა შემოსა კუკი წითელი ქსოვილით და მიართვა მას გოჭი. დაიწყო გრძელი და მოსაწყენი ლოცვები, ხან ცალკალკე, ხან კი გუნდად.

კუკისთვის სასიამოვნო იყო კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო ადგილობრივ მცხოვრებთა მისდამი კეთილ განწყობილებაში, მრავალი წლის მოგზაურობის განმავლობაში ის პირველად იყო ასე დაწყნარებული და დარწმუნებული კუნძულელთა შევიდობიან განზრაბებში.

შემდეგ დღეებშიდაც კუნძულელთა ყოფაქცევა ასეთივე იყო—
ისინი თავაზიანად იღებდენ ნაპირზე ჩამოსულ ოფიციალებს, უმასპინ-
ძლდებოდენ მათ და ართობდენ რითაც შეეძლოთ. კაპიტანი კლერკი
მეცემ მიიღო არა ნაკლები პატივით, ვიდრე კუკი. ადგილობრივმა
მცხოვრებლებმა, ინგლისელების პატივსაცემად მოაწყვეს დიდი, სა-
ჟეიმო დღესასწაული, — კრივი და ჭიდაობა გრძელდებოდა მთელი
სალაშო, უზარმაზარი ბრძოლა დაქსწრო ზეიმს.

კუკიც ცდილობდა, რამდენადაც შეეძლო, გადაეხადა სამაგიე-
რო პატივისცემა. იგი ყოველნაირად ასაჩუქრებდა ტერრეობუს და
მის აქლობლებს, ბრძანებდა დაენთოთ მაშალები ადგილობრივ
მცხოვრებთა გასართობად.

კუნძულის ქურუმები და ბელადები ათასგვარ წვრილ სამსახურს
უწევდენ კუკს და მის თანამგზავრებს. უკანასკნელ დღეს, როდესაც
კაპიტანმა გამოაცხადა, რომ სტოვებს კუნძულს, ხომალდს შემოესია
ნავები, ხვავიანად დატვირთული სურსათ-სანოვაგით, თითქოს ად-
გილობრივმა მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს შიეცათ, რაც კი გააჩი-
დათ, ოლონდ კი დაეკმაყოფილებინათ თავისი სტუმრები. ტერრეო-
ბუს, თავისი მხრით, უსასყიდლოდ აჩუქა კუკს აუარებელი ღორი, ხი-
ლეული და ქსოვილი. ქურუმებმა დიდის ზეიმით გააცილეს ორა-
ნო, მოკაზმული ნავებით, გალობით და ძღვნით.

კარაკაკუას ნავსაყუდელში გატარებული თექვსმეტი დღე დამ-
თავრდა ისევე, როგორც დაიწყო, მრავალი წლის მუშაობის სრული
წარმატებით, ყველა შეცნიერული დებულების ურყევი დასაბუთე-
ბით. კუკს ევონა, რომ იგი მოსცურავს ოუგიგეიდან გამარჯვებული
არა მარტო ადგილობრივ მცხოვრებთა ველურ ტომებზე, არამედ
ლონდონელ მტრებზედაც, რომლებიც ლესავდენ კალმებს თავის სა-
წერ მაგიდებთან, რათა უნიჭო ტრაქტატებში შედავებოლნენ მას და
მასხარად აეგდოთ „მეტიჩარა კაპიტანი“.

შეჩერება კარაკაკუაში გაჭიიანურდა. კუკს არ უნდოდა დროს
დაკარგვა: საჭირო იყო არჭიპელაგის სხვა კუნძულების მოვლაც და-
სხვა, უკეთ დაცულ ნავსაყუდელის მოძებნა, რომელიც გამოდგებო-
და საიმედო და ძირითად ბაზად მეზღვაურთათვის. მიუხედავად თა-
ვისი მრავალი ღირსებისა, კუნძულ აუგიგუზე არ იყო ტყის საჭმა-
რისი რაოდენობა შეშის დასამზადებლად და პატარა ჭა ვერ იძლე-
ოდა წყლის საჭმარის მარაგს. წასვლის წინა დღით საჭირო გახდა სა-
საფლაოს მესერის მოხსნა და მისი გამოყენება შეშად. კარგი, რომ
არც ქურუმებმა და არც ხალხმა არ გაუწიეს მათ წინააღმდეგობა.
მათ შეეძლოთ ჩაეთვალათ ეს ამბავი საჩრწმუნოების შებღალვად,
წმინდათა წმინდის შეფრაცყოფად და მაშინ დაირღვეოდა მათთ კუ-

თილი ურთიერთობა. მართლაც, მხოლოდ აუგიგეიზე შეეძლოთ ინ-
გლისელებს ნება მიეკათ თავისი თავისთვის, რომ ასეთი გაუფრთხი-
ლებლობა ჩაედინათ. მცხოვრებლების რაოდენობაც აქ მცირე იყო.
ტუშილად კი არ უპარტყუნებდენ ისინი ხელს მეზღვაურებს ჩასჭე-
ბულ მუცლებზე ნიშნად იმისა, რომ კარგად გამოკვებულ უცხოელე-
ბი და დროა ისინი თავის სახლში დაბრუნდენ. რამდენადაც ინგლი-
სელებს გაეგებოდათ მათი ენა, — ისინი მიხვდნენ, რომ კუნძულე-
ლები დარწმუნებული არიან, თითქოს ხომალდები მოვიდნენ სიმ-
შილში მყოფ ქვეყნებიდან და ამით ხსნიდენ მეზღვაურების სიგამხ-
დრეს. საერთოდ, ძნელი გასაგები იყო, რა ხდებოდა მათ პრიმიტიულ
გონებაში და როგორ ცნებათა აღრევას ჰქონდა ადგილი მათ თავებ-
ში, რომელიც დახშული იყო რელიგიური რწევნით და გასულელე-
ბული უმარლესი მმართველი კლასის პოლიტიკური გაიძვრობით.

ზღვაში გასვლა ცუდ პირობებში მოხდა. ჯერ დადგა წყნარი,
უქარო დარი და ორი დღე-ღამით შეაჩერა ხომალდები. შემდეგ, გა-
მოჩენდა თითქოს კარგად დაცული ნავსაყუდელი, რომელზედაც
შოჩიანდა ნაკადულები, მაგრამ იგი უვარვისი გამოდგა შეჩერებისა-
თვის. ნაპირიდან მქონლავმა ძლიერმა ქარჩა აიძულა ხომალდები
ჩაწოლილიყვნენ დრეიფში, ამ ქარჩა გაფანტა ხომალდის გამცილე-
ბელი ნავებიც. ღრუბლები გროვდებოდა, ახლოვდებოდა ქარტები-
ლი. ღამით ატყდა ქარიშხალი. „გაბედულებაზე“ რამდენიმე ადგი-
ლას გასკდა ამერიკაში სასწრაფოდ გაკეთებული ანძები, ბრაშსტე-
ვი წაიჭია და აუცილებელი იყო საჩქაროდ მოექებნათ ადგილი ღუ-
ზის ჩასვებად და ხომალდის შესაკეთებლად. ამ სახით ცურვის
ჯაგრულება შეუძლებელი იყო.

კუკს დაუყოვნებლივ უნდა მიელო გადაწყვეტილება: ან განეგრ-
ძო გზა იმ რისკით, რომ ნავსაყუდელს ვერ მოსძებნიდენ, ანდა
დაბრუნებულიყო კარაკაკუაში.

კველაფერი დაბრუნებას უკარნახებდა და კუკსაც სხვა გზა არ
დარჩენოდა, მას უნდა წაეყვანა ხომალდები უკან, კარაკაკუაში.
ძლიერი მდინარება მიაქანებდა ხომალდებს ჩრდილოეთისაკენ, ორი
დღე-ღამე „გაბედულება“ მისცურავდა ნაპირის მახლობლად, ბრა-
გებზე მოხვედრის შიშით. იგი ხან უახლოვდებოდა, ხან კი შორდე-
ზოდა ნაპირს. ქარიშხალმა გაიტაცა „აღმოჩენა“. გრგვინვის ხმა და
ქარიშხლის ღმუილი ფარავდა ზარბაზნების ჭექის ხმას; მხოლოდ მე-
სამე დღეს მოიწმინდა ცა, ჩადგა ქარი, ხომალდებმა მონახეს ქრთ-
მანეთი, შევიდნენ ნავსაყუდელში და ჩაუშვეს ღუზა თითქმის უწინ-
დელ ადგილას.

დაზიანებული ანძა და იალქნები ჩამოიტანეს ნაპირზე, საღაცი იმავე ქურუმების და მათი გრძნეული ჯოხების შემწეობით აკრძალეს ბანაკის საზღვრების გადალახვა, ლეიტენანტ კინგმა ექვსი ჯარისკაცით მოაწყო ბანაკი და იცავდა მუშებს.

პირველი, რაც ინგლისელებს თვალში ეცათ, ეს იყო ნავსაყუდელის სრული სიცარიელე. ნაპირის გასწვრივ მისცურავდა ერთი ან ორი ნავი, ერთი სოფლიდან მეორე სოფლისკენ. არც უწინდელი შეხვედრა, არც აღტაცებული ბრძო, არავითარი სიხარული დაბრუნებულების დანახვის გამო. ქურუმებმა ეს იმით ახსნეს, რომ მეფე წავიდა და დაადო ტაბუ ნავსაყუდელს. რატომ? არც კუქს და არც მის თანამგზავრებს არ სჯეროდათ ამ განმარტების გულწრფელობა. ზოგი ოფიცერი პირველი დღიდანვე ეჭვის თვალით უყურებდა ადგილობრივ მცხოვრებთა ასეთ ყოფაქცევას. კუქს არ სურდა დაეჯერებინა მათი ეჭვებისთვის, თუმცა იგი თვითონ ხედავდა, რომ მოხდა რაღაც ცვლილება, მაგრამ არ ესმოდა, რაში მდგომარეობს ეს ცვლილება და რად არ შეხვდენ მას კუნძულელები ისე, როგორც უწინ. ის რამდენიმე ადამიანი, რომლებთანაც მან მოახერხა ლაპარაკი, გაკვირვებას გამოსთვავამდენ ხომალდების დაბრუნების გამო და ვერავითარშა ახსნა-განმარტებამ ინგლისელების მხრივ ვერ დაარწმუნა ისინი, რომ ინგლისელები იძულებული გახდენ კვლავ შეჩერებულიყვნენ კარაკაკუაში. ყველა ეს საშიში ნიშანი მეორე დღესვე გაითანტა, როდესაც მობრუნდა ტერრეობულ და ნება დართო ეწარმოებინათ გაცვლა-გამოცვლა... „რამდენად ძნელია, — წერს კინგი, — რაიმე უდავო დასკვნის გამოტანა იმ ხალხის მოქმედებისაგან, რომლის ენა და ზეჟ-ჩვეულება სრულებით უცნობია... ერთი შეხედვით ოდნავ შესამჩნევ სიძნელეებს, უმცირეს შეცდომას, შეიძლება მოჰყევს საბედისწერო შედეგები იმათვეის, ვინც ჩვენს. მხგავს მდგომარეობაში იმყოფება...“

ოფიცერი, რომელიც რაზმთან ერთად გაგზავნა კინგმა წყლის მარაგის მოსატანად; მობრუნდა და სოხოვა კინგს დახმარება, რაღან ჭასთან შეგროვილიყო რამდენიმე ბელადი და უკრძალავდა ინგლისელებისაგან დაჭირავებულ მცხოვრებლებს, დახმარებოდენ მეზღვაურებს კასრების ზიდვაში. ოფიცერი ირწმუნებოდა, რომ ბელადების ყოფაქცევა მეტად საეჭვოა და ფიქრობს, რომ ისინი ძალას იხმარები და ნებას არ მისცემენ წყალი ამოილონ. კინგმა გაატანა ოფიცერს ერთი ჯარისკაცი თოვით და დაშნოთ, შალე ოფიცერი ისევ მობრუნდა და კოჭვა, რომ მცხოვრებლები შეიარაღდენ ქვებით და იმუქრებიანო. მაშინ კინგმა გადასწყვიტა თვითონ წასულიყო

ჭისკენ და თან წაიყვანა კიდევ ერთი ჯარისკაცი. მცხოვრებლებმა დაინახეს თუ არა კინგი, მყისვე დააგდეს ქვები და, იმის შემდეგ, რაც კინგი მოელაპარაკა ერთ ბელადთაგანს, — დაიშალენ. მუშაობა განახლდა.

ამ დროს კუკი ჩამოვიდა ნაპირზე და გაიგო კინგისგან მომხდარ ამბების შესახებ. მან უბრძანა ესროლათ ყველასათვის, ვინც ხელს შეუშლიდა მუშაობას. ლეიტენანტმა მაშინვე უბრძანა კაპრალს დაეტენათ ტყვიებით დარაჯების თოფები.

საღამო დადგა. ცარიელი ნავსაყუდელი და ცარიელი ნაპირი მიუუჩდა. ჩამოვარდა შიშის მომგვრელი სიჩუმე. ზღვა წყნარად რეც და კლდეებს. ხომალდების სილუეტები ორხეოდა წყლის ზედაპირზე. სასაფლაოდან მოისმოდა ნაჯახის ხმა. კუკი და კინგი ჩუმად მიზიოდნენ ნავისაკენ. ლეიტენანტი კარგად იცნობდა მეთაურს. მოგზაურობათა მრავალი წლის განმავლობაში მან კარგად შეისწავლა უკაყოფილების, აღელვების, სიფიცხის ოდნავი ნიშნებიც კი: მოხრილი ზურგი, შეჭმუხნილი, ხშირი წარბები, პირველი შეხედვით შეუმნიველა მოძრაობის სისწრაფე ამ ფართე მხარბეჭიან; მუდამ მშეიდი ადამიანისა, — ყოველივე ეს მოწმობდა კუკის დაფარულ აღელვებას: ჩანდა, რომ კაპიტანს მეტად აწუხებდა მომხდარი ამბები, რაღაც ფიქრი აღელვებდა და არ აძლევდა მოსვერებას. სასტიკი ბრძანება გასროლის შესახებ ამტკიცებდა ამას. კუკმა შეამოწმა დურგლების ნამუშევარი, შეიარა ბანაკში, სადაც კემსავდენ იალქნებს და გაიმეორა ბრძანება. თოფების დატენის შესახებ.

არ გასულა ნახევარი საათი, რომ ზღვის მხრიდან მოისმა მუშკეტების ტკაცუნი. ისროდენ „გაბედულებიდან“. ხომალდის მხრიდან სწრაფად მოსცურავდა ნავი, რომელსაც ესროდენ თოფებს. კუნძულელის ნავს ხომალდიდან გამოედევნა პატარა ნავი, რომელიც თითქმის დაეწია ჭურდებს. კუკი სწრაფად მოაბიჯებდა ნაპირისაკენ. ლეიტენანტს უბრძანა გამოეგზავნა შეიარაღებული ხალხი, ნავისთვის გზის გადასაჭრელად. ერთი წუთის შემდეგ კინგი და კუკი შირბოდნენ ნაპირზე, კუნძულელთა გაღმოსავალ ადგილისკენ. სიჩილის დროს მოუხდათ სანაპირო კლდეების მოვლა. ეს მათ დროს აკარგვინებდა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მოასწრეს გაპარვა. მათი ცარიელი ნავი ირხეოდა ნაპირთან. კუკმა არ იცოდა, რომ „გაბედულების“ ნავმა ჩამოართვა მცხოვრებლებს მოპარული ნივთები; მან კვალდაკვალ მისდია გაჭურულებს. იგი სამი მილით დაშორდა ბანაკს და მხოლოდ მაშინ მოისაზრა, რომ ღამდება და საფრთხილოა დევნის გაგრძელება. გზაში შემომხვდარი მცხოვრებლები უჩ-

ვენებდენ გზას, საითკენაც გაიჭენ ქურდები, მაგრამ კუკმა იცოდა, რომ ასეთ შემთხვევებში მათ არ დაეჯერებოდათ და დაბრუნდანაპირზე.

იქ მას ახალი უსიამოგნება მოელოდა. თურმე „გაბედულების“ ოფიციერმა, რომელმაც ჩამოართვა ქურდ კუნძულელს შოპარული ნივთები, — ხომალდზე დაბრუნებისას დაინახა გაქცეული კუკი და გადასწყვიტა, რომ ხელში უნდა ჩაიგდოს კუნძულელის ნავიც. როდესაც მან მოისურვა თავის განზრახვის შესრულება, — მოვიდა ადგილობრივ მცხოვრებთა ერთ-ერთი ბელადი და განაცხადა, რომ ნავი მას ეკუთვნის და არავის არ დაუთმობს. ამ დროს ნაპირთან მისურა კინგისგან გამოგზავნილმა ნავმაც ჯარისკაცებით და დავა გაცხოველდა. „ერთმა ჯარისკაცმა ბელადის თავში ნიჩაბი ჩაკრა და მიწაზე დასცა იგი. მოცვიდენ კუნძულელები, დაავლეს ხელი ქვებს და დაუშინეს ჯარისკაცებს, რომლებიც იძულებული გახდენ ცურვით ამოფარებოდნენ კედლებს. კუნძულელებმა მიაშურეს ნავს და დაიწყეს კველაფრის გატაცება, რაც კი შიგ დარჩა. საბედნიეროდ, გონზე მოსულმა ბელადმა შეაჩერა რბევა, დააბრუნა ნავი და ნივთების ნაწილი და ირწმუნებოდა თავის კეთილ განწყობილებაში. ჩანდა, რომ იგი მეტად შეწუხებული იყო მოქლარი ამბებით და შეძინებული კითხულობდა მოკლავს თუ არა მას ორონო, ან თუ შეიძლება, რომ ხვალ ისევ გამოცხადდეს ხომალდზე. იგი დაარწმუნეს. რომ აპატიებენ დანაშაულს. მაშინ ბელადი დაწყნარდა და შეეხო თავისი ცხვირით ოფიცრის ცხვირს, რაც, კუნძულელთა ჩვეულებით, ნიშნავდა სრულ შერიგებას და მეგობრობას. ახლა ის დაბრუნდა უკან სოფელში.

ამ ამბავმა კიდევ უფრო ააღელვა კუკი. ჩან არაფერი არ სთქვა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ძლიერ იკავებდა თავს. აღგილობრივ მცხოვრებთა საქციელით გაბოროტებულ ჯარისკაცების წინაშე არ შეიძლებოდა შენიშვნის მიცემა ზომაზე ბეჯით ოფიცრისთვის. კუკი თავისი ლეიტენანტის თანხლებით ჩაჯდა ნავში და უბრძანა გაეცურათ „გაბედულებისაკენ“. ვარსკვლავებიანი ცის კამარა გადაიშალა ნავსაყუდელის ზევით და აისახა წყლის ზედაპირზე. იკლაკნებოდა ხომალდზე დანთებული სინათლის მოწითალო შუქი. აჯავრულ დევებივით, შავად მოჩანდა კუნძულის ჩუმი კლდეები.

— მე ძლიერ ვშიშობ, — ჩუმად სთქვა კუკმა, — რომ კუნძულელები მაიძულებენ მივიღო სასტიკი ზომები.... — მის ხმაში მოისმოდა სევდა და ნალველი. — მაგრამ, რომ იცით, კინგ, არ შეიძლება

შეთ ვაფიქრებინოთ, რომ ჩვენ გვაჯობეს... მისი ხმა უფრო დარწმუნებით გაისმოდა.

ავიდა თუ არა ხომალდის ერდოზე კუქმა ბრძანა, გაეგდოთ იქედან ყველა დარჩენილი კუნძულები. ლეიტენანტმა კინგმა შეამოწმა საათი, გასცა განკარგულებანი უმცროს ოფიცრებისადმი და დაბრუნდა ნაპირზე. ბანაკში მან გააორმავა გუშაგების რიცხვი. ეს ჯაფრთხილების ზომა ზედმეტი არ გამოდგა: ოტრთშეტ საათზე ერთერთმა გუშაგმა შენიშნა ხუთი ადგილობრივი მცხოვრები, რომლებიც მოფოფხავდენ სასაფლაოს მესერის გასწვრივ. გაიგონეს თუ არა ჯარისკაცების მოძრაობა,— ისინი მიიმაღენ სიბნელეში. შეაღმეზე ისინი ისევ გაჩნდენ და ერთი მათგანი სულ ახლოს მიცოცდა კარავთან, სადაც ინახებოდა ასტრონომიული ხელსაწყოები. გუშაგმა გაისროლა, კუნძულელები გაიფანტენ.

მეორე დღე, 14 თებერვალი, მღელვარებით დაიწყო. „აღმოჩენიდან“ მოვიდა ცნობა, რომ ღამით ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მოსინეს და წაიღის ხომალდიდან პატარა ნავი. ამ ცნობამ კუჭი მოთმინებიდან გამოიყვანა. საჭირო იყო გადამწყვეტი ზომების მიღება, რომ ბოლო მოღებოდა კუნძულელთა კადნიერებას. თუ ახლავდ არ იქნება მიღებული ზომები, თუ ინგლისელები სისუსტეს გამოიჩენენ, გამარჯვებით აღფრთოვანებული კუნძულელები მიიყვანენ თავის გამოსვლებს. შეიარაღებულ თავდასხმამდე, ასტეხენ ნამდვილობში, ხელს შეუშლიან მუშაობას და შესწყვეტენ სურსათ-სანოვაგის მოწოდებას. საჭიროა დაუყოვნებლივ წალებულ ნავის დაბრუნება და დამნაშავეთა სასტიკად დასჯა. მან გადასწყვიტა გამოეყენებინა ზომა, არა ერთხელ ნაცადი ამხანაგობის კუნძულებზე და ახალ ზელანდიაში: აეყვანა. მძევლად მეფე და მისი ვაჟიშვილები. თუ ეს ზომა გასჭრის, ნავს მოაბრუნებენ, ქურდებს გასცემენ და ყველაფერი მალე მორიგდება. ოლონდ კი ტერრეობუ არ შეშინდეს მომხდარ ამბებით და არ გაიქცეს.

კლერკი ავად იყო და მარტო კუკს მოუხდა მოვკიდა ხელი ამ საქმისათვის. პირველი მისი განკარგულება იყო, — დაეცავებინათ შველა კუნძულელის ნავი, რომლებიც შეეცდებოდნენ ნავსაყუდლიდან გასვლას. ნავსაყუდლის გასწვრივ მწკრივად ჩამოადგა თნდლისელების ნავები ორივე ხომალდიდან, შეიარაღებული ჯარისკაცებით. არტილერიას უბრძანეს ესროლათ გაქცეულებისათვის.

დილის რვა საათისთვის კუკი, საზღვაო ქვეითი ჯარის ლეიტენანტი ფილიპსი და ცხრა ჯარისკაცი ჩასხდენ ნავში. კუკს ხელში ჰქონდა ტყვევებით დატენილი თოფი, იგი იდგა ნავში და აძლევდა

უკანასკნელ განკარგულებებს „აღმოჩენაზე“ დარჩენილებს და ოფ-
რეთვე ლეიტენანტ კინგს, რომელიც დილასვე მოვიდა ნაპირიდან,
რაღაც არაჩევულებრივი კილო ისმოდა კაპიტნის ხმაში, მისი პატა-
რა თვალები მოუსვენრად ბრწყინავდა, ყოველ მოძრაობაში გამოსჭ-
ვიოდა ცუდად დაფარული აღელვება. იგი იჩქაროდა, არ აძლევდა
სხვას დალაპარაკების შესაძლებლობას, სიტყვას ართმევდა. „... უკა-
ნასკნელი ბრძანებები, მისგან რომ მივიღე, იყო: დამემშვიდებინა აღ-
გილობრივი მცხოვრებნი, დამერწმუნებინა ისინი, რომ მათ არავინ
ავნებს, არ დამექსაქსა ჩემი პატარა რაზმი და ფხიზლად ვყოფილი-
ყვითები“. კინგი დაბრუნდა ბანაკში. კუკის ნავმა გასცურა სოფელ
უასკენ, საღაც ცხოვრობდა ტერრეობუ.

კუკმა ანიშნა ჩრდილოეთის კონცხთან მდგომ „გაბედულების“
ნავს, რომ მას წაყოლოდა, იგი გაღმოვიდა ნაპირზე, ფილიპსთან და
ჯარისკაცებთან ერთად და წავიდა სოფლისაკენ.

შეხვედრა თითქოს ჩვეულებრივი იყო: ადგილობრივი მცხოვ-
რებნი ეფინებოდენ მის წინ მიწაზე და სთავაზობდენ გოჭებს. ჩანს,
ისინი ვერ მიუხვდენ კუკის განზრახვას. კუკმა გამოიძახა მეფის ვა-
ჟაშვილები და სთხოვა, მიეყვანათ იგი ტერრეობუსთან. მოხუც-
სთვლემდა ჭილოფზე. კუკმა უამბო მას ქურდობის შესახებ, დიპ-
ლომატიურად დაუმატა, რომ არ სთვლის მას დამნაშავედ ქურდობა-
ში და სთხოვა წაყოლოდა მას ხომალდზე. ტერრეობუ ერთი წუთი-
თაც არ შეეჭვებულა. მისი ვაჟები ჩასხდენ კუკის ნავში და უცდი-
დენ მამას, რომელიც კოჭლობით მოდიოდა კუკის გვერდით. რამ-
ჯენიმე მხლებელი მათ უკან მოსდევდათ. ამ დროს; ნავსაყუდელი-
დან გაისმა მუშკეტის სროლა; მეზღვაურები ნავიდან ესროდნენ მი-
მავალ კუნძულელთა ნავს.

უცებ დაიწყო ყვირილი ერთმა მოხუცებულმა ქალმა, რომელიც
უკან მისდევდა მფფეს, ის უძახოდა ტერრეობუს ერთ-ერთ ცოლს;
მისი ორი ვაჟის დედას. თვალცრემლიანი მოიჭრა, ჩაუვარდა ფეხებ-
ში მოხუცს და დაუწყო მუდარა, — არ წაყოლოდა უცხოელებს.
ქალს მოყვა ორი ბელადი. ისინიც სთხოვდენ ტერრეობუს, არ ჩამ-
ჯდარიყო ნავში და აიძულეს იგი მიწაზე დამჯდარიყო. სროლით
და ნავსაყუდელში გამწკრივებულ შეიარაღებულ ნავების დანა-
ხვათ შეშინებული მცხოვრებლები მორბოდნენ მეფისაკენ. დოდი
გრძო გარს შემოერტყა ინგლისელებს, საქმე მოულოდნელად შეტ-
რიალდა.

ლეიტენანტ ფილიპსმა კითხა კუკს, ხომ არ ემჯობინება, რომ
გამოიყვანოს ჯარისკაცები ბრძოლან და დაამწკრივოს ოცდაათ ნა-

ბიჯზე სამხედრო წესით, კლდეებთან, ჭღვის ნაპირას. კუკი დასრულდა. ბრბომ გაატარა ჯარისკაცები და ისევ გარს შემოერტყა კუკს. კუკი დაბეჯითებით სთხოვდა ტერჩეობუს წაყოლოდა მას და თითქმის აიძულა ზეზე წამომდგარიყო. მაგრამ ქალების გაძლიერებულმა წივილ-კივილმა, ბელადების ყვირილმა, რომელნიც აჩერებდენ მეფეს, შეაცვლევინეს კუკს თავისი გადაწყვეტილება. მან უთხრა ფილიპსს, რომ ნებით აქ ვერაფერს გახდებიან, და ტყუილადუბრალოდ სისხლის დაღვრა კი მას არ სურს. შიშით აკანკალებული მოხუცი და ატირებული ქალები ეცოდებოდა მას. ბრბოს მუქარა და ყვირილი კი არაფერს კარგს არ მოასწავებდა. მან გადასწყვიტა წასვლა. ნელ-ნელა, ფილიპსთან ერთად იგი გაემართა ნაპირისაკენ. ბრბო უკმაყოფილოდ ყაყანებდა.

კუკი უკან არ იხედებოდა. მას არ დაუნახავს, რომ ნაპირის მეორე მხრიდან მორბოდა კუნძულელი, რომელმაც გაარღვია ბრბო, ფეხებში ჩაუვარდა მეფეს და უამბო; რომ უცხოელებმა ნავებიდან ისროლეს და ეს ესაა მოკლეს ერთი ბელადი, რომელიც შისცურავდა ნავით. მას არ დაუნახავს, რომ წაიყვანეს ტერჩეობუს, გააგზავნეს შინ ქალები და ბავშვები, კაცებმა წამოისხეს საომარი წამოსასხამები და შეიარაღდენ. შუბითა და ქვებით. კუკი მიტრიალდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას უკან მოესმა აჩქარებული ფეხის ხმა. მის წინ იღვა უზარმაზარი კუნძულელი და ემუქრებოდა შუბით და ხანჭლით. მან დაინახა სისხლით ავსილი თვალები და დორბლიანი პირი, საიდანაც გაისმოგა უდიერი მუქარა. კუკმა დაუყვირა მას და ესროლა, მაგრამ საფანტმა მას წამოსასხამიც კი ვერ გაუხვრიტა. ჯარისკაცებს ქვები დაუშინეს. ერთმა კუნძულელმა მოუქწია ხანჭალი ფილიპსს, მაგრამ მოკლულ იქმნა თოფის კონდახის დარტყმით. კუკმა გაისროლა და ტყვიამ დასცა მეორე. ბრბო ღრიალით ცცა ინგლისელებს. ჯარისკაცები და შეზღვაურები ნავებიდან დაუხვდენ მათ მუშეტების სროლით. გამხეცებული ბრბო არ შეუშინდა ტყვიის ცეცხლს და ეკვეთა ჯარისკაცებს, რომლებმაც ვერ მოაწრეს თოფების დატენა. დაიწყო ხელჩართული ბრძოლა.

კუკი ხედავდა, როგორ ეცემოდნენ მისი ხანჯლით განგმირული ჯარისკაცები, სხვები გარბოდენ დასასხლიანებული სახეებით და ვარდებოდენ წყალში. ნავებისაკენ გასაცურავად. დაინახა, თუ ერთმა კუნძულელმა, როგორ ჩასცა ხანჯალი ზურგში ფილიპსს, და შეხლებამდე წყალში ჩამდგარი ლეიტენანტი როგორ მოტრიალდა და თოფით მოკლა დამცემი.

კუკმა მიირბინა წყალთან, ხელებს უქნევდა მეზღვაურებს და უცვიროდა, ცდილობდა სროლის შეჩერებას, მაგრამ, მაუხედავად მისი ყვირილისა, ნავებიდან უშენდენ ცეცხლს, რომელიც მის ზურგს უკან, ცელავდა კუნძულელებს, ამ უკანასკნელ წუთშიდაც კი კუკმა ცდილობდა შეჩერებინა სისხლის ღვრა. მარტოდ მარტო იდგა იგი ნაპირზე მეზღვაურებსა და კუნძულელებს შორის შერიგების ამაო ცდაში.

მას დაარტყეს კეფაში მეორეჯერ, — ზურგში მესამეჯერ... თოფი ხელიდან ვაუვარდა... კუნძულელთა ველური, მხიარული ლრიალი, სიცილი, კბილების ლრჭენა... ცეცხლის დაშენა ნავებიდან და ზარბაზნების გრგვინვა ხომალდიდან...

ნავებიდან დაინახეს, როგორ ჩაარტყა კუნძულელმა კუკს შუბი თავში და როგორ დაეცა კაპიტანი სახით წყალში, როგორ და-ავლეს სხვებმა ხელი ფეხებში და, ხანჯლის ცემით, გაათრიეს ნაპირისაკენ. ტყვიები ყველა დახარჯული იყო და ნავები, არტილერიის დაცვით, მოშორდენ ნაპირს ისე, რომ ვერ აკრიფეს მოკლულები.

ბანაკში დარჩენილი რაზმი როგორლაც გაუმქლავდა ადგილობრივ მცხოვრებთა თავდასხმას, კინგის სიფხიზლემ და მოხერხებულმა განკარგულებებმა, კედლებით დაცულმა სასაფლაომ გადაარჩინა ჯარისკაცები. ზარბაზნის ყუმბარამ „აღმოჩენიდან“ და თოფის სროლამ გაფანტა თავდამსხმელები და დაჭრა რამდენიმე კაცი.

თორმეტ საათზე კაპიტან კლერკთან შეიკრიბა ოფიცრების საბჭო. შეხედულებები გაიყო. კინგი მოითხოვდა ფიცხელ და უსასტიკეს ზომებს კუნძულელთა დასასჯელად. იგი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ სისუსტის გამოჩენა გამოიწვევს უარეს გამოსვლებს და არ მისცემს მათ მუშაობის დამთავრების საშუალებას. მეთაურის და ამხანაგის საშინელი სიკვდილისათვის შური უნდა იძიონ. მას არ დაეთანხმენ. სთქვეს, რომ სიმკაცრე მხოლოდ გააბოროტებს ადგილობრივ მცხოვრებლებს. რომ არ შეიძლება დარჩენილ ჯარისკაცთა მცირერიცხოვან რაზმის საფრთხეში ჩაგდება, რომ ხომალდებს ჯერ კიდევ მოელით ხანგრძლივი მოგზაურობა ჩრდილოეთისაკენ. საჭიროა ყოველგვარი ზომების მიღება ადგილობრივ მცხოვრებლებთან მშვიდობიან განწყობილების აღსაღენად, რათა შესაძლო გახდეს ხომალდების შეკეთება, სურსათის მარაგის შევსება და კაპიტანის ტერდრის მიღება. კლერკმა დაიჭირა ოფიცრების ამ ჯგუფის მხარე და გადასწყვიტა გაეგზავნათ ლეიტენანტი კინგი, ბელადებთან მოსალაპარაკებლად.

კინგი გაემგზავრა ორი ნავით, შეიარაღებული რაზმის თანხლებით, ადგილობრივი მცხოვრებლები გამოვიდენ ნაპირზე შეია-

რაღუბულნი იარაღით და ქვებით, მაგრამ გადააგდეს შუბები და ხანჯლები, დაინახეს თუ არა ოფიცირის ხელში თეთრი ცხვირსახო-კი და დაიწყეს მოლაპარაკება, ლეიტენანტტმა გამოუცხადა. რომ მათ არავინ არაფერს დაუშავებს, თუკი ისინი დაუყონებლივ დაბრუნებენ ორონის ცხედარს. ერთმა ბელადთაგანმა უპასუხა, რომ მისი ცხედარი დაჭრილია ნაჭრებად და დაურიგდა მეფეს და უმაღლეს ბელადებს, მაგრამ იგი ახლავე წავა მათთან და გადასცემს ინგლი-სელთა თხოვნას. კინგმა იცადა ერთ საათზე მეტ ხანს და ბოლოს გააგზავნა ოფიცერი „აღმოჩენაზე“ განკარგულების. მისაღებად, კლერკმა უბრძანა დაუყონებლივ დაბრუნებულიყო. კინვი დაემუჭ-რა კუნძულელებს, რომ მთლად გაანადგურებს სოფელს და დაბ-რუნდა „გაბედულებაზე“. ამავე ღლეს გადავიდა „გაბედულებაზე“ კაპიტანი კლერკიც, რომელმაც დაიკავა კუკის ადგილი, „აღმოჩე-ნის“ მეთაურობა კი გადააბარა ლეიტენანტ გორუს.

დაღამდა, „გაბედულებაზე“ მწუხარება იყო გამეფებული-ოფიციები და მეზღვაურები გლოვობდენ მოკლულებს, ვის შეეძ-ლო კუკის მაგიერობის გაწევა?.. ხომალდზე გააორმაგეს გუშაგთა რიცხვი და დარაჯებიც დააყენეს. კუნძულის სილრმიდან მოჩანდა ცეცხლი და ისმოდა ქალების კვენესა-ვაება. ალბათ, სწვავდენ მოკ-ლულთა გვამებს, თავისიანების და მტრებისას და მოუწოდებდენ ღმერთებს შურისძიებისაკენ. შუალამისას ხომალდის ერთოზე მდგომ-მა გუშაგმა ესროლა მომცურავ ნავს. აღმოჩნდა, რომ ეს ქურუმებია, რომელთაც სურთ კინგის ნახვა (ადგილობრივი მცხოვრებნი მას კუკის ვაჟიშვილად სთვლიდენ). მათ სოქვეს, რომ მთავარმა ქურუმ-მა გამოგზავნა ყველაფერი, რაც დარჩა მოკლულ ორონსაგან: და-ნარჩენი ტერრეობუს და ბელადებს აქვთ. ქურუმმა მსხვერპლის შე-წირვისათვის მიიღო ცხედარის ნაწილი და უბრძანებინათ იგი უცხოელთათვის.

სანათის მბეუტავ სინათლეში ქურუმმა, აქანკალებული ხელე-ბით, გაშალა ქსოვილის ნაჭერი. შიგ გახვეული იყო ათოდე გირვან-ქა აღამიანის დასისხლიანებული ხორცის ნაჭერი... ინგლისელებმა შეხედეს და, ათრთოლებულებმა, უკან დაიხიეს... „წაიღე, — სოქვა ქურუმმა და მიაწოდა გახვეული ფუთა კინგს. მას ხმა უთროთოდა. — როდის დაბრუნდება ორონ? რას გვიზამს იგი“?

ქურუმებმა არ ინდოეს ხომალდზე ღამის გატარება. მათ სოქვეს, რომ მოვიდნენ საიდუმლოდ ბელადებისაგან და უნდა უკან დაბრუნდენ, ვიდრე სიბნელეა. ქურუმებს გამოკითხეს, თუ რა ხდე-ობდა ნაპირზე. ქურუმებმა უამბეს, რომ პირველ შეტაკებაში მოკ-

კუნძულელი ჩვიდმეტი კუნძულელი და ხუთი ბელადი, ბანაკიდან და რვა კაცი, ომშ ტერრეობულ დაიმალა მაღალ კლდეში, გამოქვაბულ-ში, რომ ბელადებს ბოროტი განზრახვები აქვთ უცხოელთა წინააღ-მდეგ.

შეორე დილით ინგლისელები ამაოდ მოელოდნენ დაპირებულს. არავინ არ გამოცხადებულა ხომალდჲე და მხოლოდ ნავებით მო-ცურავე კუნძულელები გაყვიროდნენ და იმუქრებოდნენ იარაღით.

როდესაც შეზღვაურებმა დაინახეს ერთი კუნძულელის ხელში კუკის ჭუდი, რომელსაც იგი აქნევდა აშკარა გამოჯავრების მიზ-ნით, მათ მოითხოვეს კაპიტნისაგან ფიცხელი განკარგულება, რათა სათანადოდ დაესაჯათ თავები. კლერკი იძულებული იყო დაეთმო: ზარბაზნებმა გაანადგურეს ნავი და დაფანტეს ბრბო ნაპირზე. მეზ-ღვაურების შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. შურისძიების გრძო-ბას, დაგროვილ შეურაცყოფას გამოსავალი უნდა ჰქონდა და რო-დესაც კუნძულელები კვლავ თავს დაესხებ წყლის მოსატანად გაგ-ზავნილ რაზმს, მეზღვაურებმა ცეცხლი წაუკიდეს სოფელს, თავი მოკვეთეს ორ კუნძულელს და ზეიმით წამოიდეს ისინი ანძებზე. კლერკი სდუმდა, ხედავდა რა თავის უმწეობას. მაგრამ ხანძარმა ძოულოდნელი გავლენა იქონია: მეფემ გამოგზავნა ბელადები, ზა-უის გამოსათხოვად. მათ უპასუხეს, რომ ზავს აღადგენენ, როგორც კი ისინი დააბრუნებენ კუკის ნეშტს. დღის ბოლოს საზეიმო პრო-ცესია გაემართა სოფლიდან ნაპირისაკენ, მას წინ მიუძლოდა ერთი ბელადთაგანი, შემოსილი ფრთებისაგან გაკეთებულ გრძელ წამოსას-ხამით, რომელსაც მოჰქონდა რაღაც, ქსოვილში გამოხვეული. იგი აეიდა კლდეზე და დაიწყო ნიშნებით თხოვნა, რომ ნავი გამოეგ-ზავნათ, კინგი წავიდა მის წამოსაყვანად. ბელადმა თან მოიტანა გახვეული ფუთა, დაფარული თეთრი, და შავი ფრთებისაგან გაკე-თებულ წამოსასხამით.

„ჩვენ ვნახეთ შიგ ბატონ კუკის ხელები, სრულებით მთელი. ჩვენ ადვილად ვიცანით იგი განაკარით, რომელიც მას ჰქონდა ცერ-სა და დანარჩენ თითებს შორის, ჩვენ ვნახეთ აგრეთვე თავი და ფე-ზის ძვალი, აცლილი ხორცით (თმები მოჭრილი იყო, მოხსნილი თა-ვის ქალასაგან და მიწებებული ყურებთან), თავს აკლდა ქვეშო ყბა. ჩვენ მოვნახეთ აგრეთვე ორივე მკლავის ძვლები, ზედ ჩამოყიდებუ-ლი წინა მხარის კანით, ფეხების ძვლები, მხოლოდ უტერფე-ბოდ. სახსრების შენაერთები მთელი იყო, ყველაფერი თითქოს ცეცხლზე იყო ნამყოფი, გარდა ნელებისა, საღაც შეჩრენილიყო ხორცი, ალაგ-ალაგ დასერილი და ამოვსებული მარილით, ალბათ

ომისათვის, რომ უფრო მეტ ხანს შენახულიყო. თქვების ნაწილი უკან ამოგლეჯილი იყო, მაგრამ არ ჩანდა, რომ თავის ჭალა ჩატეხილი ყოფილიყო“...

მეორე დილით გამოცხადდა მეფის ვაჟიშვილი და მოიტანა დაზ-ჩენილი ძვლები, ორი თოფის კონდახი, ჩექმები და ამდენიმე წვრილმანი ნივთი. იგი ირწმუნებოდა, რომ ტერრეობუს სურს ზავი, რომ ყველაფერი რამდენიმე ბელადის ბრალია, რომელთა ხელქვეითებმა მოიპარეს ნავი და რომ მას არ შეუძლია მოკლულ ჯარისკაცების ძვლების დაბრუნება, რადგან აღგიღლობრივმა მცხოვრებლებმა ისინი კუნძულის სიღრმეში წაიღეს. კლერკმა გაისტუმრა იგი და მოითხოვა ერთი დღე-ღამით ნავსაყუდელზე ტაბუს დადება.

„გაბედულებაზე“ ისმოდა ნაჯახის და ჩაქუჩის რახუნი. დურგ-ლები კუბოს ამზადებდენ, ერთოზე ჩამწყრივდენ ორივე ხომალდის მეზღვაურები და ჯარისკაცები. ოფიცრებმა გამოასვენეს მოკლულის ნეშტი, დაფარული ბრიტანეთის ბაირალით. დაწესებულ ლოცვის შემდეგ კუბო დახურეს და დაჭედეს, გარინდულ ნავსაყუდელში გაისმა ზარბაზნების მრგვინავი ხმები. დაპერეს დაფლაფი თოკებზე ჩამოკიდებული კუბო, ზედ მიბული ტვირთით, რხევით უახლოვდებოდა წყალს. ერთი წუთის შემდეგ ზღვამ დამარხა მეფის კაბიტანი, ჯემს კუკი.

ხომალდზე დუმილი გამეფდა. მეზღვაურები ჩუმად დაიშალენ, გულდათუთქულნი მეთაურის უაზრო და საზარელი სიკვდილით.

ოფიცერთა საბჭომ გადასწყვიტა დაუყონებლივ დაეტოვებინათ კუნძული. იმავე დღეს საღამოთი (22 თებერვალს) „გაბედულება“ და „აღმოჩენა“ გავიდნენ კარაკაკუს ნავსაყუდელიდან. და აიღეს კურსი ჩრდილოეთისაკენ.

მემვიდრეობა

ექსპედიცია განაგრძობდა თავის მუშაობას. მან გამოიკვლია სენდვიჩის არქიპელაგის სხვა კუნძულები და დაიძრა კამჩატკისაკენ. პეტროპავლოვსკში და ბოლშერეცეცში ექსპედიცია დაწვრილებით გაეცნო მხარის ბუნებას, კამჩაღალების და დასახლებულ რუსთა ყოფა-ცხოვრებას. აუარეს წმ. ლავრენტის კუნძულს და კვლავ გავიდნენ ბერინგის სრუტით ჩრდილოეთისაკენ, გზაზე მათ ისევ ყინულები გადაეღობა. ხომალდებმა მიაღწიეს ჩრდ. განედ. 70° 33'-მდე და უკან დაბრუნდნენ. აგვისტოს დამლევს, როდესაც კამჩატკის ნა-

პირების გასწვრივ მოდიოდენ, გარდაიცვალა ჭლეჭით დაავადებული კაპიტანი კლერკი.

ექსპედიციამ გაიარა კურილის კუნძულების არქიპელაგი, ია-პონია და გაჩერდა მაკაოში. იქედან წავიდნენ კანტონში, საღაც შე-კრიბეს მრავალი მნიშვნელოვანი ცნობა ჩინეთის შესახებ, შემდეგ გთარეს ზონდის კუნძულებზე, გაემართენ კეთილ იმედის კონტი-საკუნ და მშეიღობით დაბრუნდნენ ინგლისში 1780 წლის 4 ოქ-ტომბერს, 4 წლის 2 თვის და 22 დღის მოგზაურობის შემდეგ.

კუკმა მიაღწია უდიდეს შედეგებს. სამი უმთავრესი საკითხი, რომელიც წარმოადგენდა ყველა ქვეყნის სწავლულ გეოგრაფთა გაცხარებულ დავის საგანს, საბოლოოდ იქნა გადაწყვეტილი. წაიშა-ლა ფანტასტიური თეთრი ლაქა, რომელსაც ეჭირა რუკაზე თითქმის მთელი სამხრეთის ნახევარსფერო. საბოლოოდ გაითანაბა მოჩვენები-თი მითოსი უცნობ სამხრეთის მიწის შესახებ მისი მდიდარი ბუნე-ბით, ჯერ უხილავ ცხოველთა სამეფოთი და ახალი სახელმწიფოს მოწყობის განუსაზღვრელ შესაძლებლობით, ფართე სანაოსნო სრუ-ტე, რომელიც თითქოს შუაში სჭრიდა ჩრდილო ამერიკას და რომე-ლიც ასე დაუინებით ესიზმრებოდა გეოგრაფიის მკეთებლებს; ისე-თივე ზღაპარი გამოდგა, როგორც მითქმა-მოთქმა აზისი და ამე-რიკის მატერიკების შეერთების შესახებ, ან და, წინააღმდეგ, უზარ-მაზარ წყლის სივრცის შესახებ, რომელიც ყოფს ამ ორ კონტი-ნენტს.

ამხანაგობის კუნძულების აღმოჩენას, ახალ ზელანდიის კუნ-ძულებივი მდგომარეობის გამოკვევის, ახალ ჰოლანდიის აღმო-სავლეთ ნაპირის გამოკვლევის, უზარმაზარ ახალ კალედონიის, გვ-ორგიის და სენდვიჩის კუნძულების აღმოჩენას, და აგრეთვე წვრილ კუნძულების ურიცხვ რაოდენობის აღმოჩენას ატლან-ტიურ და წყნარ ოკეანებზე თან სდევდა კოორდინატების უზუს-ტესი გაზომვა, რუკების შედგენა, წინამორბედ მეზღვაურთა და კარ-ტოგრაფთა აღრიცხვების დაზუსტება და შესწორება. ამას დაემატა უმდიდრესი ბოტანიკური კოლექციები, რომელთაც მისცეს მეც-ნიერებას. ათასეუთას მცენარეთა ახალი სახეობა. ანტროპოლოგიამ და ზოოლოგიამ შეიძინა დაწვრილებითი აღწერილობა ახლად აღმოჩე-ნილ ხალხთა, მათი გარევნობის, ენის და ყოფაცხოვრებისა, —ას-ტრონომიამ მიიღო დაკვირვებათა დიდი რაოდენობა, აღრიცხვათა უდიდესი მასალა, ნავიგაციამ, —სილრმეთა გაზომვა, მიქცევა-მოქ-ცევის. სიმაღლის და დროის გამორკვევა, ფარვატერის და კურვის

პირობების გამოკვლევა სხვადასხვა განედში და წელიწადის სხვა დასხვა დროში.

გარდა ამისა, კუქშა პირველმა მიაქცია ყურადღება მეზღვაურების ჯანმრთელობის დაცვას, მოგზაურობის სხვადასხვა პირობებში. მისმა სურავანდის საწინააღმდეგო საშუალებათა შემოღების ცდებმა ხომალდებზე, ბრწყინვალე შედეგები იქონია და გაუკაფე ახალი გზები საზღვაო მედიცინას¹.

ცოდნის ყველა უმთავრესმა დარგმა შეიძინა უძვირფასესი მას სალა, მეცნიერებას გადაეშალა უდიდესი აპარეზი ახალ გამოკვლევათათვის. ზღვაოსნობას დაქსახა ახალი გზები და ახალ აღმოჩენათა მიღწევის შუქში მეტად გაძლიერდა პოლიტიკური და მეცნიერული ინტერესი მოგზაურობებისადმი. დრომოქმულ შეხედულებათა რუტინის უკუგდებით, მეცნიერულ კონსერვატიზმთან ბრძოლით, ძველ ტრადიციების მომხრეთა მიერ შექმნალ დაბრკოლებათა დაძლევის გზით. პირად კეთილდღეობის შეწირვით, რათა მთელი ძალონე მოენდომებინა საყვარელი საქმისათვის, — კუკმა მოიპოვა უდიდესი გამარჯვება და დაიკავა საპატიო აღგილი XVIII საუკუნის ლირსუსანიშნავ ადამიანთა შორის.

ლიტერატურამაც უხვად, ზსარებლა სახელგანთქმულ კაპიტანის მოგზაურობით. მრავალი პოემისა, ლექსებისა და სახოტბო სიტყვის გარდა, რაც კუკის სიკვდილის შემდეგ დაიწერა. მრავალ ეპროპულ ენაზე გაჩნდა მისი დღიურების და ცხოვრების აღწერილობის თარგმანებიც.

სპეცულატურმა ლიტერატურამ, რამაც აავსო წიგნების ბაზარი, განსაკუთრებით კაპიტანის სიკვდილის შემდეგ, თავისებურად გადააკეთა დღიურები, ამოირჩია მათგან, მისი შეხედულებით, უფრო საინტერესო აღგილები, თან დაურთო მრავალი უსირცხვოლო ტყუილი, მთლიანად მოაკლო დღიურებს მეცნიერული ლირებულება და დამალა ის, რაც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი იყო: აკტორის მოგზაურობის მიზანი. განსაკუთრებით ეს ეხება საზღვარგარეთ გამოსულ მრავალრიცხვან გამოცემას (ინგლისში, როგორც ჩანს), შეეშინდათ სააღმირალო სამმართველოს მიერ აკრძალულ პირველ უხეირო ცდებისა).

სხვებს არც რუსეთის გამომცემლები ჩამორჩენილან: ეკატერინე დედოფლის დროინდელ რუსეთშიდაც კითხულობდენ კუკის ჰავგადასავალს და, უმთავრესად, „საოცარ, ველურ ინდოელის ამბავს“.

¹ უკანასკნელ ექსპედიციის განმავლობაში ორივე ხომალდზე გარდაიცვალა წუთი მეზღვაური:

აღწერილობათა მოხერხებული შემდგენლები სთხოვდენ მსხვილ წიგნებს, გავსებულს უაზრო სისულელებით, რაც მოსწონდა სანტრატეგიურობის და მოსკოვის საზოგადოების შერჩეულ მყითხველებს. ექსპედიციის კვლევა-ძიება ხურდავდებოდა გამართობელ ანეგდოტებად, რაც ნახევრად თვითონ წიგნების შემდგენელთა გამოგონებას წარმოადგენდა.

ევროპულმა ლიტერატურამ მოიტანა კუკის სახე თავის უგვიანეს ნაწარმოებამდე, XIX საუკუნის დამლევს უიულ-ვერნი სწერს კუკზე და მის მოზაურობებზე, 1908 წელს კი ედუარდ პილონი, ფბრუნდება მას თავის წიგნში: „Muses et bourgeois de jadis“.

კლასობრივ დაჯგუფებათა გამწვავებულ ბრძოლის დროს, ურთულეს ეკონომიურ ძერათა და ევროპის ძირიან-ფესვიანად შეცვლის ხანაში, იმ პერიოდში, როდესაც ატყვა რევოლუციური გამანთავისუფლებელი ომი და მასთან ერთად წარმოებდა მეცნიერულ და ფილოსოფიურ მიმართულებათა შორის გარდამწყვეტი დავა, რამაც შევეთრი მიჯნა გაავლო ორ საუკუნეს შორის, კუკს, როგორც ადამიანს, რომელიც ეძიებდა გამოსავალს ძველი ტრადიციების ლაბირინტიდან, რომელმაც სძლია პირად ინტერესებს და წინ გაუსწრო თავის მსგავსთა წრეს, არ შეეძლო და არ შეუძლია არ დააინტერესოს მწერალი. კუკი თან შეზრდილი იყო ბურუუზიულ კლასებთან, მან კეთილსინდისიერად შეასრულა მათი დავალება, იგი წინ წამოიწია თავისი მტკიცე ნებისყოფის და არაჩვეულებრივი ნიჭის გამო. ეს ნიჭი და ნებისყოფა მან მოანდომა ამ კლასების სამსახურს, გაუკაფა რა ახალი გზები ინგლისის მტაცებლურ, კოლონიზატორულ მოღვაწეობას.

კუკის მიერ აღმოჩენილი მიწები გადაიქცევნ კაპიტალისტური ინგლისის ბაზარ, რომელმაც იარაღის ძალით განამტკიცა ახალ ხალხთა კოლონიალური მონობა. 1788 წელს ინგლისის ესკადრამ ჩამოსვა ავსტრალიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე რვაასი ბოროტმომქმედი. ნორფოლკის და ტასმანიის კუნძულებიც იქცნენ გადასახლების. აღგილებად. ინგლისელი მისიონერები, მეციხოვნენი და ვაჭრები იყვნენ ახალ ქალაქების და კოლონიების პირველი დამზუქნებელნი. აფგილობრივ მცხოვრებთა იძულებითი შრომით მოპოვებულმა ოქრომ, სპილენძმა, ნახშირმა, მატყლმა და ხე-ტყემ XIX საუკუნის დამლევისათვის მისცეს მეტროპოლიის უკვე ას მილიონამდე შემოსავალი.

ახალ ზელანდიის მიწები, სადაც ოქრო აღმოჩნდა, ოცდაათიან წლებში დაიკავა სავაჭრო კომპანიამ. იგი იპყრობდა ამ მიწებს და,

ოცი წლის განმავლობაში; ჭევარით და იარაღით ემროდა ურჩ კუნძულელებს. ეს კუნძულები იქცნენ ოქროს და მატყლის უმდიდრეს წყაროდ, აქ გამოიხდა სიმაგრეები და ინგლისის კაპიტალის დასაყრდენი ნაესადგურები. ავსტრალიის ხუთი უდიდესი კოლონია და ოკეანის კუნძულები გახდა, ანდოეთთან ერთად, ინგლისის უძლიავრეს საზღვაო-სამხედრო და სავაჭრო ბაზად. კუკის „მშვიდობიანი“ დაპყრობა სწრაფად გარდაიქმნა ევროპულ მრეწველობის მტაცებლურ პოლიტიკად, რომლებმაც პრაქტიკულად „საქმიანად“ მოკიდეს ხელი ახალ მიწების მართვა-გამგეობას, ექსპლოატაციას და ადგილობრივ მცხოვრებთა გადაქცევას მორჩილ სამუშაო ძალად. იგივე ბედი ეწია ახალ გვინეასაც, მისი ოქროთი, მარგალიტით, კოკოსის და სანდალის ხეებით.

ამგვარადვე, კუკის ნაკვალევზე სავაჭრო კომპანიებმა მიაღწიეს ახალ კალედონიასაც, საღაც „დაამშვიდეს“ ველური ანტროპოფაგები, ააშენეს ეკლესიები და კანტორები და დაიწყეს თუთის, ხრომის და კობალდის დამუშავება, ყავის და შაქრის პლანტაციების, ბრინჯის, კოკოსის და ბანანების ხეების გამრავლება. გავიდა ერთი საუკუნე და კაპიტალისტურმა საფრანგეთმა აღმართა კუნძულზე ციხე-საპყრობილება: იქ დაიტანჯენ სამოცდა მეთერთშეტე წლის გმრიო-კომუნარები, რომლებმაც გაბედეს და აღსდგენ კაპიტალის წინააღმდეგ, დაჩაგრულ პროლეტარიატის დასაცავად.

ცამეტი შტატი ამერიკაში აჯანყდა 1774 წელს ინგლისის კაპიტალის მტაცებლური პოლიტიკის წინააღმდეგ, ნორტის სამინისტროს წინააღმდეგ, რომელიც სულს უხუთავდა კოლონიებს გადასახადებით და ბაჟებით. მათ წარმატებით აწარმოეს ბრძოლა ბრიტანეთის ჯარებთან, ამ ომმა აღშფოთებაში მოიყვანა ევროპა, ატეხა საკერთაშორისო კონფლიქტის ქარიშხალი, რამაც შეარყია მაშინდელ პოლიტიკურ წესწყობილების ისედაც მერყევი საძირკველი, ბრიტანეთის იარაღის თავდაპირველი გამარჯვება დამარცხებად იქცა, საფრანგეთ-ამერიკის კავშირის შეტევის გამო, რომელიც სამოცდა ცხრა წელში გაძლიერდა ესპანეთის მონაწილეობით. ჩრდილოეთის საზღვაო სახელმწიფოებმა, რუსეთის მეთაურობით, შეკრეს „შეიარაღებული ნეიტრალიტეტი“ და იმუქრებოდნენ ახალი გართულებებით. დაბნეულმა ინგლისის მთავრობამ გამოუცხადა ომი ჰოლლანდიას, რომელიც მიემხრო ჩრდილოეთის კავშირს. ომი ამერიკასთან ამწვავებდა მდგომარეობას. სახელმწიფოს შეგნით მძინვარებდა ამბოხები. ირლანდიელებმა და შოტლანდიელებმა ააფრიალეს აჯანყების დროშა, ისინი მოითხოვდნენ თავისუფლებას, მეფის ნაცვალთა

უფლებების გაუქმებას და სავაჭრო შეღავათებს. იხდოეთის კოლონიებში იფუთქა ომა მაპარათის და მაიზორის მმართველებთან, რომლებიც ცდილობდენ განთავისუფლებულიყვნენ ინგლისელთა აუტანელ ულელისაგან. პარლამენტის ოპოზიცია კვიროდა ლიბერალურ რეფორმებზე და მოითხოვდა ტორთა მინისტრების გადაყენებას, პარტიების ბრძოლა, უდიდესი ზარალი, რომელიც განიცადა სავაჭრო კაპიტალმა და რევოლუციის აჩრდილის მუქარა, — ყოველივე ეს აიძულებდა ზავის დაუყონებლივ შეკრას, რა ფასადაც არ უნდა დამჯდარიყო იგი.

კუკის აღმოჩენებმა რამდენიმედ გამოასწორეს ინგლისის კოლონიალურ მეურნეობის ბალანსი, აანაზღაურეს რა დანაკარგი ამერიკაში. თვით გამწვავებულ ომის დროსაც ისმოდა ხმები, რომლებიც იქსენებდენ სახელგანთქმულ მოგზაურს და ცდილობდენ დაეცვათ იგი არა სასიამოვნო შემთხვევებისაგან. კუკის ხომალდების გზა ასცდა სამხეურო ფლოტილების გზებს და ასე რომ არ მომხდარიყო, ვინ იცის, ექნებოდა თუ არა რაიმე ძალა მეცნიერების მაღალშოამაგეთა მჭერმეტყველურ მოწოდებებს, რომლებიც ლიბერალურად გვერდს უხვევდენ დიპლომატიურ პირობითობას. ამ დროს რომა ოფიციალურმა წერილმა გაახსენა ქვეყნიერებას ორი არა მეომარი ხომალდების არსებობა.

ევროპამ ჯერ კიდევ არაფერი იცოდა კუკის სიკვდილის შესხებ, როდესაც ცნობილი მეცნიერი, ბენიამინ ფრანკლინი, შეერთებულ შტატების პირველი ელჩი საფრანგეთში, იწერებოდა პასსიდან 1779 წლის 19 მარტს.

„შეიარაღებულ ხომალდების ყველა კაპიტანს და შეთაურს, ამერიკის შეერთებულ შტატების კონგრესის დავალებით, რომელიც ამჟამად იმყოფება საომარ მდგომარეობაში დიდ ბრიტანეთთან.“

„ბატონებო, ინგლისმა ამჟამად წარმოებულ ომის დაწყების წინ აღჭურვა და გააგზავნა ხომალდი, სახელგანთქმულ კაპიტან კუკის ხელშძლვანელობით, ახალ მიწების აღმოსაჩენად უცნობ ზღვებზე-ვინაიდან ამ, თავისთავად მოსაწონ წამოწყებას შეუძლია გაამრავლოს გეოგრაფიული ცოდნანი, გაადვილოს დაშორებულ ხალხთა ურთიერთ შეხვედრა საქონლის და აგრეთვე ხელოვნების ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლისათვის, რაც ხელს უწყობს ცხოვრების კეთილდღეობას და ბოლოს, რასაც ძალუძს გაავრცელოს აღამიანთა მოდგმისათვის სასარგებლო მეცნიერებათა მონაპოვარი, — მე ძალიან მსურს, რომ არც ერთმა თქვენთაგანმა, ვინც შეხვდება კაპიტან კუკის ხომალდს, რომელსაც ამჟამად მოელიან ევროპულ ზღვებ-

ში, არ ჩასთვალოს იგი მტრად, არ დაუშვას მისი ნივთების დარბევა. და არ შეუშალოს ხელი მის უშუალო დაბრუნებას ინგლისში, პირიქით, დიდად სასურველია, თუ თქვენ ზრდილობიანად და კეთილი სურვილით მოეპყრობით კაპიტან კუკს და მის თანამგზავრებს და გაუწევთ მათ, როგორც კაცობრიობის მეგობრებს, დახმარებას, რაიც თქვენს შესაძლებლობაში იქნება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამგვარი ქცევით თქვენ გამოამჟღავნებთ არა მარტო თქვენს დიდ-სულოვნებას, არამედ მიიღებთ კონგრესის და ყველა ამერიკელ ხო-მალდის მფლობელის დასტურს.

„მაქს პატივი, ბატონებო, დავრჩე თქვენი უმდაბლესი და მორ-ჩილი მსახური ბ. ფრანკლინი, ამერიკის შეერთებულ შტატების სრულუფლებიანი მინისტრი საფრანგეთის სამეფო კართან“.

ამ წერილის მიბაძვით, საფრანგეთის უჭრისტიანეს მეფის მინისტრებმაც გადაწყვიტეს არ დაწიათ ძირს ფრანგული განათლების დიდება და ერთი კვირის შემდეგ მათაც შეაღგინეს წერილი, საზღვაო მინისტრის სარტინის ხელის მოწერით, საფრანგეთის ყველა სამხედრო ხომალდის მეთაურის სახელზე. ეს წერილი შეეხებოდა ხომალდებს „გაბედულებას“ და „აღმოჩენას“, რომლებიც გამგზავ-რებული არიან აღმოჩენათა მოსახდენად „იაპონიის და კალიფორ-ნიის ზღვებში, ნაპირებთან და კუნძულებთან“. წერილში გამოქმუ-ლი იყო მეფის სურვილი, რომელიც ბრძანებდა მოყრობოდნენ კუკს, როგორც ნეიტრალურ მოკავშირე სახელმწიფოს ხომალდის მეთაურს და მასთან შეხვედრისას გადაეცეთ მისოვის მეფის ბრძანე-ბა მის შესახებ და თან გაეფრთხილებინათ, რომ მასაც აგრეთვე უნ-და შეეკავებინა თავი ყოველგვარი მტრული მოქმედებისაგან.

ფრანკლინი მოქმედებდა საკუთარი შეხედულებით. მას არც კი უხსესნებია კაპიტანი კლერკი. კონგრესმა კი, გაიგო რა წერილის შინაარსი, გამოსთქვა უკმაყოფილება თავისი ელჩის მოქმედებით, რომელმაც მეცნიერების ინტერესი პოლიტიკის ინტერესზე უფრო მაღლა დააყენა. თვითნებური განკარგულება მაშინვე გაუქმებული იქმნა და კონგრესმა გასცა ბრძანება, რომლითაც ავალებდა ამერი-კულ ხომალდების მეთაურებს ხელში ჩაეგდოთ კაპიტან კუკის ხო-მალდი. ინგლისელთა მოგზაურობა ამერიკის დასავლეთ ნიპირების გასწვრივ არ მოსწონდა შტატების მთავრობას. ასევე მოიქცა ესპა-ნეთიც, რომელსაც ეშინოდა, რომ ინგლისელები აღმოაჩენენ ჩრდი-ლო გასავალს და ამით შექმნიან მუქარას მის ამერიკულ კოლონიე-ბისათვის. საზღვაო მინისტრმა უარი განაცხადა მეცნიერთა ყოველ-

გვარ შუამდგომლობაზე ფრანკლინის წერილის მსგავსი ბარათის შედგენის შესახებ.

როდესაც, ბოლოს, სამწუხარო ცნობამ მიაღწია ინგლისამდე, ლონდონის „საზოგადოებაში წარმოითქვა მრავალი საქებარი სიტყვა. დაიწერა უამრავი წერილი და ნეროლოგი, პარლამენტში და სალონებში მხოლოდ კუკზე ლაპარაკობდენ: სახელოვანი ლორდები ამბობდენ სიტყვებს, მოჰყავდათ ციტატები „დაბადებიდან“. „გა-ბედულების“ კაპიტანს თითქმის ლმერთს ადარებდენ, ახალ მოდის პოეტები უძლვნიდენ კუკს სახოტბო ლექსებს და აჯილდოებდენ მას „ნაზის“ ეპიტეტით“. ანა მორმა, ფიც ჯერალდ გრესსინმა, ელლენ ვილიამსმა და სევარდმა უძლვნეს კუკს უამრავი ლექსი. სამეფო საზოგადოებამ ჩამოასხა ოქროს და ვერცხლის მედალები „კაპიტანის პროფილით, მედალები უთავაზეს საფრანგეთის და პოლონეთის მე-ფეს და რუსეთის დედოფალს“¹. კუკის მეუღლემ და ფრანკლინმაც მიიღეს მედალები. არ დავიწყებიათ სააღმირალო სამართველოს პირველი ლორდიც, რომელმაც საკუთარი ღირსების სრული შეგნებით მოწყალედ მიიღო „დამსახურებული“ ჯილდო. კაპიტანის ოჯახი უზრუნველყვეს მუდმივი პენსიით და აგრეთვე შემოსავლის ნახევრით უკანასკნელი მოგზაურობების გამოცემისაგან. სერ. ხიუგ პალისერმა თავის ბეჭინგამშირის მამულის ბალში აღმართა ბოძი და ზედ გამოკვეთა მგრძნობიარე, საქებარი სიტყვები მეგობრის ხსოვნის პატივსაცემად. საფრანგეთის და იტალიის აკადემიკოსებმა წარმოსთქვეს ბრწყინვალე სიტყვები კუკის გარდაცვალების გამო.

ყველა ოფიციალური წესი შესრულებულ იქნა ლედი და ჯენტლმენების ეროვნული სიამაყის გრძნობა დაკმაყოფილდა. ომიანობის და საფრანგეთიდან მოახლოვებულ ქარიშხლის საშიშ ეპოქაში საზოგადოების ყურადღება ზიდ ხანს ვერ შეჩერდებოდა კუკის ბეჭილბალზე. ამგვარად, საზოგადოებამ გააკეთა ყველაფერი, რაც კი შეეძლო მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად, მიუხედავად მისი დიდი დამსახურებისა და სრული თავგანწირვისა ბურუუზის საჭმისათვის, მას მაინც ვერ დაევიწყებინა კუკის „ბნელი წარმოშობა“ და სახელმწიფოს „საუკეთესო ადამიანებმა“ იყადრეს და შეითერეს „მოჯამაგორის შვილი“ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მთელი თავისი სიცოცხლე ემსახურებოდა მათ ინტერესებს.

საფრანგეთის რევოლუციის ქარიშხალმა სერიოზულად დაშინა რნგლისის ბურუუზია. ოპოზიციის ლიბერალებმა საჩქაროდ მიმა-

¹ ეკატერინე II-მ გადასცა ეს მედალი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის შუზეუმს.

ლეს რეფორმების პროცესტები და გაუწოდეს ხელი „მეტის მეგობრებს“. არისტოკრატებმა და ვაჭრებმა, ინტელიგენტებმა და მოხელეებმა შეკრეს თავდაცვის კავშირი. პარტიული დავა დავიწყებული იქნა მოახლოებულ ხითათის გამო. ტორები და ვივები მგრძნობია - რედ დაძმობილდენ. მეფე გეორგისათვის დადგა დიდი ხნის ნანატრი საათი.

ლუი XVI-ს სიკვდილით დასჯამ გამოიყვანა ინგლისი ნეიტრალურ პოზიციიდან, საფრანგეთის ელჩი წავიდა ლონდონიდან. პარიზის კონვენტმა ომი გამოაცხადა.

ინგლისი თავისი თავის ერთგული იყო. იგი იმარჯვებდა ზღვაზე და უმიზნებდა უმთავრესად, ოსტ და ვესტ-ინდოეთის ფრანგულ კოლონიებს. სახელმწიფოს შიგნით სიმშილით და სიძვირით გამწარებულ ხალხის უკმაყოფილება იზრდებოდა, იგი თავს იჩენდა ხოლმე აჯანყების სახით, რომელთაც მთავრობა ახშობდა უსასტიქესი ზომებით. პარლამენტი გამუდმებით აქტეუნებდა განსაკუთრებულ კანონებს. მდგომარეობის შეცვლამ საფრანგეთში და ბონაპარტის ლაშქრობამ ეგვიპტეში გააუსარესა მდგომარეობა და „შეერთებულ ირლანდიელების“ ამბოხებამ აანთო სამოქალაქო ომის ცეცხლი. მეფის მთავრობამ სისხლში ჩაახრია რევოლუციის ალი და მოისყიდა ირლანდიის ბურეუაზია, რომელმაც გასცა ხალხი.

კონტინენტზე გრევინავდა ნაპოლეონის სახელი.. ახალი საუკუნე ინგლისისათვის დაიწყო ზარბაზნების ხმაურით, რომელიც არყევდა მთელ ევროპას. მთელ რიგ ხელშეკრულებათა ძალით, ინგლისის რამდენიმე კოლონია საფრანგეთის, ესპანეთის და პოლლანდიის ხელში გადავიდა. საფრანგეთის იმპერია ემუქრებოდა ინგლისს. ევროპული ნავსადგურების დაკეტვით. 1803 წელს ინგლისმა კვლავ გამოუცხადა ომი საფრანგეთს. უხეირო პრემიერმა აღინგრონმა დაუთმოთავისი ადგილი პიტტის, რომელიც გადადგა ორი წლის წინეთ, ბურუუაზიული ინგლისი ხედავდა მასში თავის მხსნელს, პიტტმა გამოუცხადა ომი ესპანეთს და შეკრა კავშირი რუსეთთან. აღმირალმა ნელსონმა გაანადგურა საფრანგეთ-ესპანეთის ფლოტი ტრაფალგართან, მაგრამ ბონაპარტმა დაამარცხა მოკავშირენი ხმელეთზე და ვამოაცხადა ინგლისის ნავსადგურების ბლოკადა. ინგლისის ხომალდები და საქონელი მან გამოაცხადა საერთო დავლად. ტილზიტის ზავმა და საფრანგეთ-რუსეთის მოულოდნელმა დამევებრებამ კვლავ გაანაპირა ინგლისი. ფოქსის და გრენვილლის სამინისტრო (პიტტის გარდაცვალების შემდეგ), უხერხულად მოძრაობდა პოლოტიკის დამღუპველ ბრაგებში.

სავაჭრო კაპიტალი უდიდეს ზარალს განიცდიდა და მთავრობა ჩაეცა მშვი, რომ კონტრაბანდული ვაჭრობა მაინც შეენარჩუნებინა. ზღვაზე ბატონობის შესანარჩუნებლად, იგი სახელმწიფოს უკანასკნელ წვენს სწურავდა და ახრჩობდა ხალხს გადასახადებით და ბაჟებით.

ვენის ზავი, — გამარჯვების დასაწყისი იყო. ზავები და ნავსაღვურები კვლავ გაიხსნა, ინგლისმა კვლავ წამოიწია ევროპულ სახელმწიფოთა პირველ რიგში. უდიდესმა კოლონიალურმა შენაძენებმა, განმტკიცებულმა საფრანგეთის საბოლოო დამარცხებით ვატერლოსთან და საერთო ზავით, კვლავ აღადგინეს ინგლისის ძლიერება. უმთავრესი მეტოქე დამარცხებული იყო. კანადა, სამხრეთი ცტრიკა, ინდოეთი და ავსტრალია გადაიქცენ ინგლისის სამჩერწველო კაპიტალის, უმდიდრეს ბაზად. ინგლისის ტექნიკის სიმაღლემ, სხვა ქვეყნებთან შედარებით, დაამარცხა მისი მეტოქები. ინგლისის საჭონელმა აავსო მსოფლიო ბაზარი. XIX საუკუნის შუა საუკუნებში ინგლისის კოლონიალურმა ექსპანსიამ სრულ აყვავების ხანას მიაღწია. სამრეწველო კაპიტალმა დაიჭირა გაბატონებული მდგომარეობა. კოლონიალურ ნედლეულის სიბატემ და კოლონიებიდან სურსათის შემოტანამ. ინგლისში საგრძნობლად დასწია ფასები. მრეწველობის მიერ მტაცებლური წესით მოპოებულ მოგებისა და კოლონიალურ მონათა უფასო შრომის წყალობით, რამდენიმედ ამაღლდა ინგლისის შუშათა კლასის საარსებო დონე. რევოლუციური მოძრაობა გაქცელილი კაპიტალის ჩექმით, თანდათან ცხრებოდა.

ბრიტანეთის ლომშა, მაძლარმა და კმაყოფილმა, განცხრომით ჩასთვლიმა.

ს ა რ ჩ 0 3 0

უფლება ცხოვრებაზე	10
პირველი მოგზაურობა.	21
მეგობრები და მტრები	48
მეორე მოგზაურობა.	65
„სამხრეთის უცნობ მიწისაკენ“	75
პირველი წრე	84
მეორე წრე	94
ოქროს ხომალდი	119
მესამე მოგზაურობა.	141
ამხანაგობის კუნძულები	150
ბერინგის კვალზე.	160
თოთხმეტი თებერვალი:.	176
მემკვიდრეობა	191

ქართული თარგმანის რედაქტორი: პროფ. გ. გერებანი

კორექტორი: ტ. სანიკიძე

მთარგმნელი: ჭ. გოციელი

წიგნი გადაეცა ასაწყობად 7/II—1936 წ.

ხელმოწ. დასაბ. 25/III—1936 წ.

მთავლიტის რწმუნებული № ღ—79

ტირაჟი 2000 შეკვეთა № 58.

ქაღალდის ზომა 62×94

წიგნის ზომა 6×10

გამოვიდა 1936 წლის 31 მარტს

საქ. ა. პ. (პ) ც. კ. პარტგამომცემლობის I სტამბა, ლენინის ქ. № 3.

ଓঁ সো ৫ মাৰ.

91

3 652

